ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ. 18
1944

საქართველოს სსრ

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1944 წლის აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენახულ იქნას იმ მასალების თანაბრად,
რაც არ უნდა გამოქვეყნდეს

საქართველოს სსრ

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1944 წლის აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 846

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დონბასის ქვანახშირის კომბინატებისათვის ახალი ხილის, ჩირისა და ღვინის გაგზავნის შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 18 ივლისის № 6213 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით, გაუგზავნონ 1944 წლის III და IV კვარტალებში დონბასის ქვანახშირის კომბინატებს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის განრიგის თანახმად, შემდეგი რაოდენობის ახალი ხილი, ჩირი და ღვინო:

ა) საქკონსერვხილტრესტის მმართველმა ამხ. წიკლაურმა—28 ვაგონი ახალი ხილი (250 ტონა, აქედან 100 ტონა შავქლიავა) და 5 ვაგონი ჩირი (20 ტონა);

ბ) ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნარსიამ—11 ვაგონი ახალი ხილი (100 ტონა) და 5 ვაგონი ჩირი (20 ტონა);

გ) თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორმა ამხ. ჰყონიამ—11 ვაგონი ახალი თესლოვანი ხილი (100 ტონა);

დ) კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის მმართველმა ამხ. აზარაშვილმა—17 ვაგონი შემაგრებული ღვინო (8500 დეკალიტრი);

ე) საქართველოს შამპანკომბინატის დირექტორმა ამხ. არობელიძემ—8 ვაგონი მშრალი ღვინო (4000 დეკალიტრი).

2. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ამხ. კიკნაძემ გამოუყოს საქკონსერვხილტრესტს, ცეკავშირს, თბილხილბოსტანვაჭრობას, სამტრესტსა და საქართველოს შამპანკომბინატს 1944

წლის III და IV კვარტალებში საჭირო რაოდენობის იზოთერმული ვაგონები დონბასის ქვანახშირის კომბინატებისათვის ახალი ხილის, ჩირისა და ღვინის გასაგზავნად, ამ დადგენილების 1 პუნქტის თანახმად.

3. დაევალოს ამხ. წიკლაურს, ნარსიას, ჭყონიას, აზარაშვილსა და არობელიძეს ყოველთვიურად მოაწოდონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 1 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 848

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დიდი რუსი მხატვრის—ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ

1944 წლის 5 აგვისტოს დიდი რუსი მხატვრის—ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომიტეტი, ამხ. ო. ეგაძის (თავმჯდომარე), შ. მამალაძის (თავმჯდომარის მოადგილე), ი. ნიკოლაძის, მ. თოიძის, გ. ჩუბინიშვილის, შ. ამირანაშვილის, მ. ჭიაურელის, ს. ჩიქოვანის, გ. ნანიტაშვილის, ვ. ეგნატაშვილის, ვ. კუპრაძის, ს. ჯანაშიას, ა. ჯანელიძის, მ. დუდუჩავას, გ. კილაძის, ა. ვასაძის, კ. შახაზიზოვის, უ. ჯაფარიძის, გ. ქიქოძის, შ. მშველიძის, თ. აბაკელიას, ა. ქუთათელაძისა და გ. ნატროშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს:

ა) ჩაატაროს ქ. თბილისში 1944 წლის 5 აგვისტოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავისადმი;

ბ) მოაწყოს რეპინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებები საქართველოს დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში;

გ) გამოსცეს ბროშურა რეპინის მოკლე ბიოგრაფიითა და მისი სურათების რეპროდუქციებით.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დახარჯოს თავის 1944 წლის ხარჯთაღრიცხვიდან 15.000 მანეთი რეპინის დაბადების 100 წლისთავის აღნიშნვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 3 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 849

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ბორჯომ—ვალეს რკინიგზის ხაზის მშენებლობის მდ. ფოცხოვის ხიდისათვის ლითონის მალიან ნაგებობათა დამზადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს ლითონის კონსტრუქციათა ქარხნის დირექტორს ამხ. უსოვს მიიღოს № 153 მშენებლობისაგან დაკვეთა მდ. ფოცხოვის ხიდისათვის ხუთი ლითონის მალიანი ნაგებობის დამზადებაზე გზათა სახალხო კომისარიატის ხიდტრესტის ნახაზებით.

№ 153 მშენებლობის უფროსმა ამხ. ჩოჩუამ დაუყოვნებლივ დასდოს ხელშეკრულება ლითონის კონსტრუქციათა ქარხანასთან აღნიშნულ ფერმათა დამზადებაზე.

2. ფერმების დამზადების დამთავრების ვადად დაწესდეს 1944 წლის 1 ნოემბერი. № 153 მშენებლობის უფროსმა ამხ. ჩოჩუამ და № 61 ხიდმშენის უფროსმა ამხ. ცქიტიშვილმა უზრუნველჰყონ ლითონის კონსტრუქციათა ქარხანა ხიდის ფერმების დამზადებისათვის საჭირო ყველა მასალით დაწესებულ ვადაში.

3. დაევალოს № 61 ხიდმშენს—ამხ. ცქიტიშვილს გადასცეს ლითონის კონსტრუქციათა ქარხანას ლითონის ფერმათა დამზადების დროისათვის 3 ბორმანქანა და 5 დამხმარე მუშა.

4. წინადადება მიეცეს № 153 მშენებლობის უფროსს ამხ. ჩოჩუას:

ა) გადასცეს № 61 ხიდმშენს 12 ცალი ავტოსაფარი, 3 ცალი აკუმულატორი, 25 წყვილი რეზინის ჩექმა, 50 წყვილი ტყავის დაბალყელიანი წაღა, 500 მეტრი სპეცტანსაცმლის ქსოვილი და 2000 მანეთის ავტოსათადარიგო ნაწილები.

აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში მიზიდოს ხიდის მშენებლობისათვის ლითონის მალიანი ნაგებობის ფერმების დამზადებისათვის საჭირო ყველა მასალა.

ლობასთან მდ. ფოცხოვით და გადასცეს ხიდმშენს 300 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა;

ბ) № 153 მშენებლობისათვის დასახული კვების ფონდებიდან გამოუყოს № 61 ხიდმშენს 2 სადილი ლიტერ „ბ“, 5 სპეცკვების სადილი და უზრუნველჰყოს იმ მუშათა ფაქტიური რაოდენობა, რომლებიც გადამეტებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, მეორე ცხელი სადილით.

5. ეცნობოს გზათა სახალხო კომისარს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩს, რომ № 153 მშენებლობას არ მოეპოვება საჭირო მასალები მდინარე ფოცხოვის ხიდის ლითონის მალიან ნაგებობათა დამზადებისათვის.

ეთხოვოს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩს გამოჰყოს 1944 წლის აგვისტოს განმავლობაში ხიდის მალიან ნაგებობათა დამზადებისათვის შემდეგი მასალები „სტალ“—2 მარკის მრგვალი რკინა მოქლონებისათვის დიამეტრით 22 მმ—5 ტონა, კუთხოვანი რკინა 80×80×8 მმ—7 ტონა, 90×90×10 მმ—3,5 ტონა, 120×80×12 მმ—9,3 ტონა, 130×130×14 მმ—3,5 ტონა, ფურცლოვანი რკინა სისქით 10 მმ—5 ტონა და სისქით 12 მმ—1,7 ტონა.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944-წლის 2 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 850

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის II კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმის შესრულების შედეგებისა და მიმდინარე წლის III კვარტალის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს საწარმოებმა, რომლებიც ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებსა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ამზადებენ, მიმდინარე წლის II კვარტალში გამოუშვეს 89,0 ათასი მანეთის ტრაქტორის დეტალები, მაშინ როდესაც გეგმით უნდა გამოეშვათ 80,0 ათასი მანეთის დეტალები, და 115,0 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 108,0 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილებისა და ინვენტარის გამოშვება.

წარმატებით შეასრულეს დავალება შემდეგმა ქარხნებმა: საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 26 კომისრის სახელობისა და კალინინის სახელობის ქარხნებმა, თავდაცვის სახალხო კომისარიატის კიროვის სახ. № 228, „სტანოკ“ № 247 და № 302 ქარხნებმა, ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 712 ქარხანამ, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ და სასალტო-სარემონტო სახელოსნომ, საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს და თბილისის წყალსადენის მექანიკურმა სახელოსნოებმა, საქსოფლელექტროტრესტმა, აგარის შაქრის ქარხანამ, სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის არტელმა „შრომის გმირმა“ და № 3, 5, 6 და 7 სახელოსნო სასწავლებლებმა.

მაგრამ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო

ქარხანამ (დირექტორი ამხ. ჭიჭინაძე) მიმდინარე წლის 1-ლი ნახევრის გეგმა შეასრულა მხოლოდ ტრაქტორების (№ სტზ—4301) სახნისებისა და ერთი დეტალის დარგში, ხოლო ორი სახელწოდების ხაზით (№№ სტზ—50 და სტზ—58) 1944 წლის დასაწყისიდან არც ერთი დეტალი არ ჩაუბარებია, მიუხედავად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორჯერადი დადგენილებისა ამ საკითხზე და ქარხნის ხელმძღვანელობის გაფრთხილებისა. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ (დირექტორი ამხ. ჭავჭანიძე) თუმცა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების 4 დეტალის დამზადების გეგმა შეასრულა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ვერ გამოუშვა (გამოშვებულია 2173 ბაღის ხერხი, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 3.000 ცალი, 354 ბორდურის მაკრატელი, მაშინ როდესაც გეგმა ითვალისწინებდა 3.000 ცალს, და 28 სასხლავი მაკრატელი, მაშინ როდესაც გეგმით დასახული იყო 1.000 ცალი).

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიმდინარე წლის 23 ივლისის № 6241 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს, საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს და ქარხნების დირექტორებს: 26 კომისრის სახელობისა—ამხ. მელაძეს, კალინინის სახელობისა—ამხ. მეშველიანს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა—ამხ. ჭავჭანიძეს, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნისა—ამხ. მეტრეველს, № 302 ქარხნისა—ამხ. ჯიქიას, № 712 ქარხნისა—ამხ. კანკავას, საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სასალტო-სარემონტო სახელოსნოსი—ამხ. მელიქიშვილს და სახელოსნო სასწავლებელთა დირექტორებს: № 3—ამხ. ბარძიმოვს, № 5—ამხ. ნაცვლიშვილს, № 6—ამხ. ცურკავას, № 7—(ბორჯომის)—ამხ. არჯევანიძეს, სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს და საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს ამხ. რობიტაშვილს დაამზადონ და ჩააბარონ თანაბარ პარტიებად „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორას მიმდინარე წლის III კვარტალში ტრაქტორის სათადარიგო ნაწილე-

ბი № 1 დანართში გათვალისწინებული რაოდენობითა და ნომენკლატურით.

2. დაევალოს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს, შრომითი რეზერვების სამმართველოს ამხ. ჩხეიძეს და ქარხნების დირექტორებს: „სტანოკ“ № 247—ამხ. ბოკერიას, აგარის შაქრის ქარხნისა—ამხ. ხოფერიას, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობისა—ამხ. მეშველიანს, კიროვის სახელობისა—ამხ. სარიშვილს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა—ამხ. ჰავჰანიძეს, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა—ამხ. ჭიპინაძეს, № 201 გემთშემკეთებელი ქარხნისა—ამხ. ტოკარევს, ჰიათურმარგანეცის ტრესტის მმართველს ამხ. ანდღულაძეს და მარგანტრესტის მექანიკური სახელოსნოს დირექტორს ამხ. გეწაძეს, თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნოს დირექტორს ამხ. თავბერიძეს, საქსოფლელექტროტრესტის მმართველს ამხ. თევოსიანს და № 11 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ამხ. კუპრავას დაამზადონ და ჩააბარონ თანაბარ პარტიებად საქსოფლმეურნმომარაგებას მიმდინარე წლის III კვარტალში სასოფლო-სამეურნეო მანქანათა დეტალები № 2 დანართში გათვალისწინებული რაოდენობითა და ნომენკლატურით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. რობაქიძეს დაამზადოს პლასტრეზინის ქარხანაში ნატურალური კაუჩუკიდან და ჩააბაროს საქსოფლელექტროტრესტს მიმდინარე წლის აგვისტოს განმავლობაში 300 კილოგრამი ნედლი რეზინი მაგნეტოს სადენების მოსამზადებლად და დაუვალოს საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სასალტო-სარემონტო სახელოსნოს 600 კილოგრამი კაუჩუკი წებოვანი რეზინისათვის.

4. დაევალოს საქსოფლელექტროტრესტის მმართველს ამხ. თევოსიანს გადასცეს მიმდინარე წლის აგვისტოში სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის არტელ „შრომის გმირს“ 2000 ცალი ვოლფრამის კონტაქტი ტრაქტორების მაგნეტოს მწყვეტების დასამზადებლად.

5. წინადადება მიეცეს „გლავმეტალსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. მემარნიშვილს მისცეს საქართველოს სსრ მიმდინარე წლის III კვარტალის ფონდის ანგარიშში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამამზადებელ საწარმოებს № 3 დანართით გათვალისწინებული რაოდენობის ლითონი და სასხმულო თუჯი.

6. წინადადება მიეცეს „გლავცვეტმეტსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. ხაინდრავას მისცეს მიმდინარე წლის III კვარტალის ფონდის ანგარიშში წნელოვანი თითბერი ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად: № 302 ქარხანას—500 კილოგრამი და № 712 ქარხანას—25 კილოგრამი.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. მეშველიანს დაამზადოს და ჩააბაროს მიმდინარე წლის 10 აგვისტომდე საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სასალტო-სარემონტო სახელოსნოს ჰიდრავლიკური წნეხი ტრაქტორებისა და კომბაინების ღვედების დასამზადებლად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს გადასცეს № 247 ქარხანა „სტანოკს“ საწარმოო სწავლებისათვის 5 მოწაფე-მეყალიბე სასოფლო-სამეურნეო მანქანათა დეტალების დამზადებაზე სამუშაოდ.

9. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების № 1 მექანიკური ქარხნის დირექტორს ამხ. მიხაილოვს მოამზადოს წარმოება იმ ანგარიშით, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში გამოუშვას ტრაქტორების მაგნეტოს დამჭაერებელთა საცდელი ნიმუშები (დეტ. პუ-4646).

10. დაევალოს „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ბელქანიას გადასცეს მიმდინარე წლის აგვისტოში არტელ „შრომის გმირს“ მაგნეტოს მწყვეტების დასამზადებლად 100 კილოგრამი ავტომანქანის ალუმინის დგუშების ჯართი.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს გაითვალისწინოს მიმდინარე წლის III კვარტალში კოქსის გამოყოფა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამამზადებელ საწარმოთათვის: № 247 ქარხანა „სტანოკისათვის“—4 ტონა, აგარის შაქრის ქარხნისათვის—3 ტონა, კალინინის სახელობის ქარხნისათვის—8 ტონა, საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს სახელოსნოსათვის—1 ტონა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნისათვის—6 ტონა, № 7 სახელოსნო სასწავლებლისათვის (ბორჯომი)—2 ტონა, თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნოსათვის—1 ტონა და საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სასალტო-სარემონტო სახელოსნოსათვის— 1000 მეტრი ბრეზენტი (ამერიკული).

12. გაფრთხილებულ იქნან ამ დადგენილებაში დასახელებული სახალხო კომისრები და ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საჭირო მასალებით სრული და დროული უზრუნველყოფისა და სათადარიგო ნაწილების წარმოების დაწესებული გეგმის შესრულებისათვის.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახკონტროლის სახალხო კომისარს ამხ. თავაძეს კონტროლი დააწესოს და თვეში ერთხელ მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

14. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. ალავიძეს), სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საქართველოს სსრ რწმუნებულთან (ამხ. კალანდაძესთან) ერთად, შეამოწმოს საქართველოს სსრ საკავშირო და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ლითონისა და მასალების ძირითადი პროგრამის შესრულების შემდეგ დარჩენილი და აგრეთვე არაკონდიციური ლითონისა და წარმოების ნარჩენების მარაგი, რათა გამოყენებულ იქნას იგი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადებისათვის.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს, საქართველოს სსრ მიწსახკომს—ამხ. ხოშტარიას, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველს ამხ. ჯაფარიძეს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. კეცხოველს, საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბერიშვილს და „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქკანტორის მმართველს ამხ. ბელქანიას ჩაატარონ ინვენტარიზაციის საფუძველზე ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების აღრიცხვა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით გამსაღებელი ორგანიზაციების საწყობებში და აგრეთვე მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში და აღრიცხვის შედეგები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 1 ნოემბრამდე.

16. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწსახკომს—ამხ. ანდრეევს, გამოუყოს 1944 წლის III კვარტალში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დეცენტრალიზებული წესით დამზადებისათვის: 32 ტონა

ფურცლოვანი ფოლადი, 40 ტონა სასხმული თუჯი, 1 ტონა წნელოვანი თითბერი, 0,5 ტონა დარეზინებული ქსოვილი—ჩეფერა, 0,5 ტონა კორდი, 1 ტონა წებოვანი რეზინი და 300 კილოგრამი კარბოლიტის ფხვნილი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ქ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 2 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 2/VIII № 850 დადგ-
ნილების დანართი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუსხა

ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ საწარმოები 1944 წლის III კვარტალში

დამამზადებელი ქარხანა	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	დასამზადებელი რაოდენობა (ცალობით)
1	2	3	4	5
1 საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი				
ა) 26 კომისრის სახ. ქარხანა	1. სარქველის მბრეულის თითი	286	ცალი	500
	2. მოსაბრუნი მუშტის თითი	14	„	500
	3. გადასაბმელი მუფთის დისკო	423	„	1500
	4. ვენტილატორის კრონშტეინის ლილვაკი . .	250	„	500
	ს უ ლ			3000
ბ) კალინინის სახ. ქარხანა	1 ქვედა ბორბალი (ჩამოსხმა)	452	„	300
	2. გადასაბმელი მუფთის ცალუღი	441	„	600
	ს უ ლ			900
გ) სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა	1. კბილანის მორგვი (ჩამოსხმა)	62	„	300
2 საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი				
ა) თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	1. დგუშის თითი	211 ა	„	1500
	2. სტუ—ნატი	ა04—10	„	500
	3. „ უ—1	03—14	„	1000
	4. გაზ დგუშები	6110	„	2500
	ს უ ლ			5500

დამამზადებელი ქარხანა	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	დასამზადებელი რაოდენობა (ცალობები)
1	2	3	4	5
ბ) სასალტო-სარემონტო სახელოსნო	1. ვენტილატორის ღვედი	461	ცალი	2000
	2. დინამოს ღვედი . . .	745	„	1000
	3. სტუ მილყელი	522	„	1000
	4. გაზ-ნატი	ა 8260	„	500
	5. „	ა 8286	„	500
	6. გაზ-ნატი ღვედი . . .	88620	„	500
	ს უ ლ			5500
3. ქარხანა № 712	1. მაგნეტოს გარეპირი . .	404|405	„	1500
	2. მორბედი	5057	„	1000
	3. მწყვეტის დეტალები . .		კომპლ.	400
	ს უ ლ			2500
4. ქარხანა № 302	1. ნემსა სარქველის კორპუსი	329	ცალი	500
	2. სტუ მამტვერებელი . .	340	„	1000
	3. „ „ უ-2 . .	16—23|25	„	500
	4. კუთხ სარქველი . .	328	„	1000
	ს უ ლ			3000
სრ.-საქართველოს ინკოოპ-კავშირი				
არტელი „შრომის გმირი“	1. აწყობილი მწყვეტი	ს-62	„	400
შრომითი რეზერვების სა-მართველო				
ა) სახელოსნო სასწავლებელი № 6	1. კბილანის მორგვი (მექდამუშავება)	62	„	300
ბ) სახ. სასწ. № 5	1. ზედა ბორბალი	452	„	150
გ) სახ. სასწ. № 3	2. „ „	452	„	150
დ) სახ. სასწ. № 7	1. ქვედა ბორბალი . . .	254	„	300
საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნო	1. ჭია კბილანის კოლოფი	545	„	60
	2. კოლოფის საკისრები .	548	„	100
	3. სამტვერის ხუფი . . .	2174	„	300

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 2/VIII № 850 დადგენილების დანართი №2

ნ უ ს ხ ა

სახოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალებისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ საწარმოები 1944 წლის III კვარტალში

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	დასამზადებელი დეტალების რაოდენობა (ცალობით)
1	2	3	4	5
1. ქარხანა „სტანოკი" № 247	1. II წმენდის ვენტილატორის ლილვის კბილანა	ყმ— 60	ცალი	100
	2. მთავარი ბიტერის მარცხენა კბილანა	ყმ — 66	„	100
	3. ჩალა-ტრანსპორტერის ჯაჭვის კბილანა	ყმ— 68	„	100
	4. მკვებავი ტრანსპორტერის ჯაჭვის კბილანა	ყმ—170	„	200
	5. მიმღები ბიტერის კბილანა	ყმ— 74	„	100
	6. მეორე წმენდის კბილანა	ყმ—104	„	100
	7. გაფართოებული დოლის დეკა	ყმ—107	„	200
	8. იგივე უკანა	ყმ—108	„	100
	9. გაფართოებული დოლის ქვედოლის სექცია უშტრიფოდ	ყმ—138	„	100
	10. II წმენდის საცრის წინა საკიდარი	ყმ—166	„	50
	11. მკვებავი ტრანსპორტერის ამძრავი ლილვის ბორბალი	ყმ—149	„	100
	12. ავტომატის დისკო	პ—8	„	100
	13. უკანა თვლის მილისები	პ—13	„	100
	ს უ ლ			1450

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	დასამზადებელი დეტალების რაოდენობა (ცალობით)
1	2	3	4	5
2. აგარის შაქრის ქარხანა (ჩამოსხმა)	1. გარეთა უსასრულო ხრახნის ზედა საკისარი	ყმ— 94	ცალი	100
	2. 1 ბიტერის საკისრის ზუფი	ყმ— 41	„	100
ბ) სახელოსნო სასწავლებელი № 11 (ყველა დეტალის მექდამუშავება)	3. 1 ბიტერის საკისრის კორპუსი	ყმ— 42	„	100
	4. ბიტერის მარჯვენა კბილანა № 5-7	ყმ— 85	„	100
	5. ბურთულსაკისრის ბიტერის, უსასრულო ხრახნებისა და ელევატორის კორპუსი	ყმ—171	„	150
	6. ბურთულსაკისრის ზუფი	ყმ—172	„	100
	7. გაფართოებული დოლის მილისა	ყმ— 27	„	200
	8. ხედერის ამწის კბილანა	ყმ—131	„	100
	9. დოლის მარჯვენა საკისრის კორპუსის ზუფი	ყმ—1734	„	100
	10. პირველი წმენდის საკიდრის კრონშტეინი	ყმ— 99	„	200
	ს უ ლ			1250
3. კალინინის სახ. ქარხანა	1. ჩელხის ტრანსპორტერის კბილანა	ყმ— 75	ცალი	100
	2. კარდანის სახსრის კბილანა	ყმ—189	„	100
	3. მოტოვილის წინა ლილვის კბილანა	ყმ—954	„	50
	4. II წმენდის ვენტილატორის მორგვი გამოსატვირთი უსასრულო	ყმ—2093	„	100
	5. გამოსატვირთი უსასრულო ხრახნის კონუსური კბილანა	ყმ—1945	„	50
	6. უსასრულო ხრახნის წმენდის კბილანა	ყმ— 51	„	100

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	დასამზადებელი დეტალების რაოდენობა (ცალობით)
1	2	3	4	5
3. კალინინის სახ. ქარხანა	7. წამყვანი ტრანსპორტიორის კბილანა	ყმ— 53	ცალი	100
	8. ჩელხის ტრანსპორტერის დიდი კბილანა	ყმ— 64	„	100
	9. მთავარი შინაგანი ბიტერის მარცხენა კბილანა	ყმ— 65	„	100
	10. ჩალა-ტრანსპორტერის სადები—ზედა	ყმ—42164	„	100
	11. იგივე ქვედა	ყმ—42165	„	100
	12. ჯოკსონის ჯაჭვის რგოლი (ბოლოვანი ფოლადი 3 მმ)	ყმ—512	„	7000
	ს უ ლ			8000
4. თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნო	1. უკანა თვლის თალფაჩი	პ—11	ცალი	400
5. ჭიათურმარგანეცის ტრესტის მექანიკური სახელოსნო	1. გუთნის კორპუსის დგარი	პ—1036	„	200
	2. მთავარი ბიტერის გარეთა კბილანა	ყმ— 116	„	200
	3. მთავარი ბიტერის მარცხენა კბილანა	ყმ— 67	„	200
	4. გამოსატვირთი უსასრულო ხრახნის კბილანა	ყმ—1952	„	200
	5. გამოსატვირთი უსასრულო ხრახნის ჭადასაბმელი მუფთა	ყმ—1954	„	200
	ს უ ლ			1000
6. კიროვის სახ. ქარხანა	1. სახნისები	პ—1037	„	300*

*) კიროვის სახ. № 228 ქარხნის ლიტონისაგან.

დაშზადებული საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №	საზომი ერთეული	დასამზადებელი დეტალების რაოდენობა (ცალობით)
1	2	3	4	5
7. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა	1. ავტომატის კორპუსი	პ-1	ცალი	200
	2. თვლის მილისის თალფაქი	პ-5	„	200
	3. შინაგანი ავტომატის გორგოლაჭი	პ-14	„	200
	ს უ ლ			600
8. სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	1. სახნისები	პ-1037	„	300
9. გემთსარემონტო ქარხანა № 201 (ბათუმის ფილიალი)	1. გუთნის კორპუსის დგარი	პ-1036		200**
10. საქსოფლელექტრო	1. მაგნეტოს სადენი	—	მეტრი	3000

**) № 201 ქარხნის ლითონისაგან.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ-პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 2|VIII № 850 დადგენილების დანართი № 3

სპეციფიკაცია

იმ მასალებისა და ლითონისა, რომელნიც უნდა გამოეყოს საქართველოს სსრ საწარმოებს მიმდინარე წლის III კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად

დამამზადებელიი საწარმოები	გამოსაყოფი მასალა	საზომი ერთეული	რაოდენობა
1. 26 კომისრის სახ. ქარხანა	1. საკონსტრუქციო ფოლადი	ტონა	4,0
	2. ფურცლოვანი ფოლადი	„	3,5
2. კალინინის სახ. ქარხანა	1. სასხმული თუჯი	„	6,0
	2. ფურცლოვანი ფოლადი 3 მმ.	„	3,0
3. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	1. საკონსტრუქციო ფოლადი	„	3,0
4. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა	1. სასხმული თუჯი	„	6,0
5. შრომითი რეზერვების სამმართველო	1. სასხმული თუჯი	„	3,0
6. აგარის შაქრის ქარხანა	1. სასხმული თუჯი	„	2,0
7. ჭიათურმარგანეცის ტრესტი	1. ფურცლოვანი ფოლადი 8 მმ.	„	2,0
8. თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნოები	1. თუჯი	„	1,0
9. ქარხანა „სტანოკი“ № 247	1. სასხმული თუჯი	„	6,0
10. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	1. ფურცლოვანი ფოლადი	„	2,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 851

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 ივლისის № 918 დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ," საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მისცენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ პირთ შვებულება ხელფასის შეუნახავად მისაღები გამოცდების პერიოდში იმ დროის გათვალისწინებით, რაც საჭიროა სასწავლებელში წასასვლელად და უკან დასაბრუნებლად, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღებულნი გაანთავისუფლონ სამუშაოდან 10 დღით ადრე სასწავლო მეცადინეობის დაწყებამდე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს მილიციის დარგში ამხ. ნაჭყებიას უზრუნველჰყოს სამგზავრო საშვების შეუფერხებელი მიცემა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შემსვლელთათვის სასწავლებელთა დირექტორების გაწვევით, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღებულნი ჩასწეროს საბინაო დავთარში სასწავლებელთა ცნობებით ჩარიცხვის შესახებ.

მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში გაწვევისათვის დატოვებულ იქნას ძალაში ის წესი, რაც წინათ იყო დაწესებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებით.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ამხ.

კიკნაძემ უზრუნველჰყოს სამგზავრო ბილეთების მიყიდვა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შემსვლელთათვის სასწავლებელთა ცნობებით მათი გამოცდებზე გაწვევისა ან სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს— ამხ. გიორგაძეს მოამარაგოს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოსული პირნი უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და ტექნიკუმთა მოსწავლეებისათვის დაწესებული ნორმებით და უზრუნველჰყოს აბიტურიენტების მიმაგრება სასწავლებლებთან არსებულ ან საზოგადოებრივი კვების სასადილოებზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

• 1944 წლის 5 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 852

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას. მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 60,4%-ით, აქედან საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში—54,1%-ით.

სრულიად არასაკმარ ტემპებით მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ოჩამჩირის რაიონში, რომელმაც წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ 49%-ით, ლანჩხუთის რაიონში—57,2%-ით, ქობულეთის რაიონში—58,6%-ით, ზუგდიდის რაიონში—58,7%-ით, ჩხოროწყუს რაიონში—58,8%-ით და გეგეჭკორის რაიონში—59,5%-ით.

სამარცხვინოდ ჩამორჩება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 44%-ით, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა—44,2%-ით, წულუკიძის—49,3%-ით და მოქვის—49,6%-ით.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ხარისხობრივი მაჩვენებლები: 1 აგვისტოსათვის მოკრეფილი და დამზადებული ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობიდან პირველი ხარისხი შეადგენს მხოლოდ 43,6%-ს.

ჩაშალეს გეგმის შესრულება მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხის მხრივ შემდეგმა რაიონებმა: წულუკიძის რაიონმა, სადაც პირველი ხარისხის ფოთოლი შეადგენს მხოლოდ 13,7%, წყალტუბოს რაიონმა—21,1%, ცხაკაიას რაიონმა—22,5%, ჩოხატაურის რაიონ-

მა—24,4%-ს, გეგეჭკორის რაიონმა—25,9%, სამტრედიის რაიონმა—29,6%, გალის რაიონმა—30,4 და ლანჩხუთის რაიონმა—32%.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 13 ივნისის მითითებათა შემდეგ ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხი გაუმჯობესდა, მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ ირღვევა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ელემენტარული წესები.

ივლისის პირველ ხუთდღიურში ჩაის ყველა რაიონში მოკრეფილ იქნა 581,3 ტონა, მეოთხე ხუთდღიურში—1168 ტონა, მეხუთეში—1947 ტონა და მეექვსე ხუთდღიურში—4061 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩაის ფოთლის ასეთი არათანაბარი კრეფის შედეგად, უხეშად ირღვეოდა კრეფის წესები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ხარისხს. თუ 20 ივლისისათვის მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის საერთო რაოდენობიდან პირველი ხარისხი 49,4% შეადგენდა, 1 აგისტოსათვის იგი უკვე 43,6%-მდე შემცირდა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იკრიფება შემოუსვლელი ყლორტები, ცალკეული კვირტები და ამავე დროს რჩება ბუჩქებზე ნაზი ყრუ დუყები; მასობრივი ხასიათი მიიღო ცალკეული უხეში ფოთლების კრეფამ.

არადამაკმაყოფილებლად ტარდება ჩაის პლანტაციების დამუშავება. მიმდინარე წლის 20 ივლისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ჩაის კოლმეურნეობებში პლანტაციების პირველი გათხნა შესრულებულია 62,6%-ით, მეორე—26,4%-ით და მესამე—1,3-ით. განსაკუთრებით ძლიერი ჩამორჩენა აქვთ ოჩამჩირის, გალის, ცხაკაიას, ჩხოროწყუსა და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებს.

სამარგლავ სამუშაოთა დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი აგრეთვე საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებშიაც, სადაც პირველი გათხნა შესრულებულია 54,9%-ით, მეორე—12,6%-ით და მესამე—1,6%-ით. სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა აქვთ გათხნის საქმეში: ნარაზნის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, სადაც 1003 ჰექტარიდან გათხნა ჩატარებულია მხოლოდ 90 ჰექტარზე, წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ გათხნის გეგმა შეასრულა 12,9%-ით, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ—28,3%-ით, დიდიჭყონისა—37,4%-ით და ლესიჭინისა—43%-ით. ხოლო მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გათხნა სრულიადაც არ ჩატარებულა.

ჩაის პლანტაციებში დასამუშავებელ სამუშაოთა ასეთი არა-

დამაკმაყოფილებელი ჩატარების შედეგად, მთელ რიგ ადგილებში ჩაის ბუჩქები დაფარულია სარეველებითა და ჯაგნარებით. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაშალდამებულია სარეველებითა და ველური ამონაყარით. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება ჩაის პლანტაციები მოქვის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც უყურადღებოდ მიტოვების გამო 100 ჰექტარ ფართობზე ჩაის ფოთლის კრეფა მიმდინარე წელს არ ჩატარებულა. უყურადღებოდ მიტოვებული და სარეველებით სავსე პლანტაციები მოიპოვება ოჩამჩირის, წულუკიძის, წალენჯიხის, ლანჩხუთისა და გალის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაშიაც.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობისა და პირველი ხარისხის გეგმის შესრულების ჩამორჩენის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ არ სწარმოებს განუწყვეტელი კრეფა, კლავე გრძელდება კრეფის წესების უხეში დარღვევა და არადროულად და არახარისხობრივად ტარდება ჩაის პლანტაციების მოვლისათვის საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებანი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საქართველოს ჩაის ტრესტის დამამზადებელი პუნქტები. ზოგიერთ პუნქტში ადგილი აქვს ჩამბარებელთა მოტყუებას წონაში, უკანონო ფასდაკლებას წონის დროს, მიღებული ფოთლის ხარისხიანობის არასწორ გამორკვევას, მიღებული ჩაის ფოთლის გაფორმების შეფერხებას და სხვ.

ჩაის ფაბრიკების მხრივ ყოველდღიური კონტროლის გაუწევლობის შედეგად, დამამზადებელ პუნქტებზე ადგილი აქვს ბოროტმოქმედების შემთხვევებს.

მიუხედავად საკმაო რაოდენობის ავტოტრანსპორტის არსებობისა, ჩაის ფოთლის გადაზიდვა დამამზადებელ პუნქტებიდან მთელ რიგ ფაბრიკებში 3-5 დღესა და კიდევ მეტს იგვიანებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს, ჩაის რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მიწსახკომსა და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს ჩაის ტრესტების მმართველებს:

ა) დაუყოვნებლივ მოაწყონ ჩაის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კოლმეურნეთა და ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშათა მასობრივი გამოსვლა ჩაის ფოთლის კრეფასა და ჩაის

პლანტაციების დამუშავებაზე (გათოხნა, კულტივაცია, ჯაგნარებისა და ამონაყარებისაგან გაწმენდა და სხვ.), კერძოდ ჩაის ყველა საბჭოთა მეურნეობაში მთლიანად გამოიყენონ ამ სამუშაოებზე საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა;

ბ) ჩაის პლანტაციების გათოხნა და გაწმენდა ჩაის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაამთავრონ აგვისტოს დამლევამდე;

გ) დააწესონ ჩაის ბუჩქების მდგომარეობის მუდმივი მეთვალყურეობა, ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის მოწყობით უზრუნველჰყონ ყველა შემოსული ყლორტის დროულად მოკრეფა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ასეთი ყლორტების დატოვება და მათი გაუხეშება;

დ) აგვისტოდან თვით სეზონის დამლევამდე აწარმოონ 3-2-ფოთლიანი დუყებისა და 2-ფოთლიანი ნაზი ყრუ დუყების კრეფა ნორმალურ ყლორტებზე და დასტოვონ ორივე შემთხვევაში ნეკზე მხოლოდ თევზა ფოთოლი;

ე) კატეგორიულად აკრძალონ ყველგან მარტოული ფოთლების კრეფა, ყლორტების მტვრევა, კვირტებისა და შემოუსვლელი ყლორტების კრეფა;

ვ) აკრძალონ პირველი და მესამე ხარისხის ჩაის ფოთლის კრეფა ერთსა და იმავე დროს. ჩაის ბუჩქებზე უწინარეს ყოვლისა მოჰკრიფონ პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი და შემდეგ კი უკვე შემდგომი ხარისხები;

ზ) 10 აგვისტომდე ჩაატარონ ჩაის ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადების მიხედვით, ჩაის ფოთლის მკრეფთა თათბირები მათი გულმოდგინე ინსტრუქტაჟისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ორგანიზაციისა და წესების საკითხებზე.

2. სეზონის დარჩენილი თვეებისათვის ჩაის ფოთლის ხარისხობრივი კრეფის სტიმულირების მიზნით, დაევალოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და რჩევა მიეცეს ჩაის კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) გამომუშავების ნორმები ჩაის ფოთლის კრეფაზე დააწესონ ხარისხთა მიხედვით, რომლის დროსაც გაითვალისწინონ ჩაის პლანტაციების მდგომარეობა და მოსაკრეფი ფოთლის რაოდენობა ჩაის ბუჩქზე, ამასთან პირველი ხარისხის ფოთლის კრეფის დიდი სტიმულირებისათვის მნიშვნელოვნად შეამცირონ პირველი ხარისხის ნორმები;

ბ) კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის იმ მკრეფავთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კრეფის დადგენილ წესებს, გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-17 პუნქტით გათვალისწინე-

ბული სასჯელის ზომები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში მათ დაადონ ადმინისტრატიული სასჯელი, თვით დღიური გამომუშავების სასყიდლის შემცირებამდე.

3. დაევალოს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს მიამაგრონ დასახმარებლად ჩაის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და დაა. კისრონ მათ, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან ერთად, პასუხისმგებლობა ჩაის ფოთლის დროული და ხარისხობრივი კრეფისათვის და ჩაის პლანტაციების მოვლისათვის საჭირო ყველა ღონისძიების გატარება აგვისტოს განმავლობაში (გათოხნა, გაწმენდა).

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამუშაო დღის მაქსიმალურად გამოყენებას და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა დაგვიანებით გამოსვლა სამუშაოზე და ადრე დაბრუნება პლანტაციებიდან.

ცალკეულ ადგილებში მოაწყონ დროებითი საველე ბანაკები კოლმეურნეთა და მუშათა ღამის გასათევად.

4. დაევალოს იმ რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს, რომელთა ტერიტორიაზედაც ჩაის საბჭოთა მეურნეობებია, ჩაატარონ რაიონების შესაძლებელი რაოდენობის შრომისუნარიანი მოსახლეობის დამატებითი მობილიზაცია რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.

5. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს ჩაის ტრესტსა და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, აგრეთვე ჩაის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან გაცდენებისა და ჩაის ფოთლის გადასაზიდად გამოყოფილი ავტომანქანების უმართებულოდ გამოყენების ფაქტები და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან დამამზადებელ პუნქტებში მიღებული და ჩაის საბჭოთა მეურნეობებში შეგროვებული მწვანე ფოთლის დატოვება მეორე დღისთვის.

6. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს ჩაის ტრესტს, საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებსა და რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან დამამზადებელი პუნქტების მუშაობაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი, მოახდინონ წონაში მოტყუებისა და ხარისხიანობის არასწორად გამორკვევის ფაქტების ლიკვიდაცია, გააძლიერონ დამამზადებელი პუნქტებისა და ბოროტმოქმედების ჩამდენ პირთა მუშაობის კონტროლი და დაუ-

ყოვნებლივ მოხსნან და მისცენ ისინი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

დაევალოს საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მიწსახკომთან ერთად, გადასინჯოს 1945 წლისათვის ჩაის ფოთლის მიღების დარგში არსებული ინსტრუქცია და დასახოს ღონისძიებანი დამამზადებელი პუნქტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ჩაის რაიონების რაიკომების მდივნებს განიხილონ ეს დადგენილება ჩაის რაიონების კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირებზე და ამავე რაიონების სასოფლო პარტიულ-კომკავშირულ კრებებსა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებას და მიმდინარე წლის მოსავლის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის უცილობელ ხარისხობრივ და რაოდენობრივ შესრულებას.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 5 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 855

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დიდი რუსი პოეტ-იგავთმწერლის—ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას დიდი რუსი პოეტ-იგავთმწერლის—ივანე ანდრიასძე კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისია, ამხ. ლ. ქიაჩელის (თავმჯდომარე), ს. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ნ. ნაკაშიძის, შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, ა. ვასაძის, მ. თოიძის, გრ. კილაძის, ა. მაშაშვილის, გ. ჯიბლაძისა (მდივანი) და შ. რადიანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს:

ა) ჩაატაროს ქ. თბილისში 1944 წლის 21 ნოემბერს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი;

ბ) მოაწყოს კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებები საქართველოს დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში;

გ) გამოსცეს კრილოვის არაკების კრებული ქართულ ენაზე პოეტის ბიოგრაფიით.

2. დაევალოს ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს გასცეს 20 ათასი მანეთი განათლების დარგში განსახკომის მიერ მიღებული ეკონომიის ხარჯზე ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღნიშნვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 7 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 858

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის განმეორებითი აღების ჩატარების შესახებ

თივის პირველი მოთიბვის პერიოდში არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ცუდი ბალახნარის გამო, მთელ რიგ რაიონებმა ვერ შესძლეს საკმაო რაოდენობის საკვების დაგროვების უზრუნველყოფა.

ამჟამად, დიდ წვიმებთან დაკავშირებით, ბალახნარი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ყოველგვარი შესაძლებლობა მოიპოვება იმისათვის, რომ თივის განმეორებითი მოთიბვის ჩატარებით დამატებით დაგროვდეს საკვები განსაზოგადოებული მეცხოველეობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს განიხილონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თივის განმეორებით აღების მოწყობას და ჩატარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კერძოდ გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გაგზავნონ კოლმეურნეობათა გამგეობების დასახმარებლად პასუხისმგებელი მუშაკები, თივის მოსავლიანობის გათვალისწინებით გამოარკვიონ და დაწესონ თივის განმეორებითი მოთიბვის დამატებითი გეგმები და კალენდარული ვადები ყოველი ცალკე კოლმეურნეობისათვის, მიამაგრონ მემინდვრეობის ბრიგადებსა და რგოლებს განმეორებითი მოთიბვისათვის გამოსადეგი ნაკვეთები და უზრუნველჰყონ თივის მთელი რაოდენობის აღება;

ბ) მოაწყონ კოლმეურნეთა მასობრივი გასვლა თივის აღების სამუშაოებზე, სწორად გაანაწილონ მემინდვრეობის ბრიგადებსა და რგოლებში გამოცდილი მთიბავები, ფართოდ ჩაბან თივის აღებაში კოლმეურნე და მოზარდი ქალები;

გ) სავსებით გამოიყენონ თივის ასაღები მანქანები და მთელი წვრილი ინვენტარი, მიამაგრონ ეს მანქანები და ინვენტარი ბრიგადებსა და რგოლებს, დააწესონ ყოველდღიური გამომუშავების ნორმები და თივის ასაღები მანქანების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის მტკიცე გრაფიკი, უზრუნველჰყონ მათი შეუფერხებელი მუშაობა მაქსიმალური დატვირთვით;

დ) მთელი აღებული თივა თავის დროზე აზომონ ბულულებად და ზვინებად, მიიტანონ პირუტყვის საზამთრო სადგომ ადგილებზე, ხელწერილქვეშ ჩააბარონ მეცხოველეობის ფერმების გამგეებს და უზრუნველჰყონ მისი სათანადოდ დაცვა გაფუჭებისა, დატაცებისა და ხანძრისაგან.

2. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორს ამხ. ჯაფარიძეს დააწესოს საბჭოთა მეურნეობებისათვის თივის განმეორებითი მოთიბვის გეგმები და ვადები, გაგზავნოს ტრესტის ხელმძღვანელი მუშაკები საბჭოთა მეურნეობების დასახმარებლად და უზრუნველჰყოს თივის განმეორებითი მოთიბვის ჩატარება.

3. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ა/წ 1 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში თივის განმეორებითი აღების ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 9 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 859

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საქმეთა მიღებისა და ჩაბარემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ამხ. გ. ი. კიკნაძეს ჩააბაროს, ხოლო ამხ. ვ. დ. კუპრაძემ მიიღოს საქართველოს სსრ განსახკომის საქმეები სათანადო აქტის შედგენითა და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 2 მარტის № 348 დადგენილებით.

საქართველოს სსრ განსახკომის საქმეთა მიღება-ჩაბარება მოხდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. მ. თარგამაძის თანდასწრებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 860

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

სახდამზღვევფონდისათვის გამოსაყოფი ჯიშიანი თესლის გაწმენდის ორგანიზაციის შესახებ

სახდამზღვევფონდისათვის გამოსაყოფი ჯიშიანი სათესლე მასალის თავის დროზე გაწმენდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე ოლქის საოლქო კომიტეტს, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, თეთრიწყაროს, დუშეთის, თიანეთის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ბორჩალოს რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 ივლისის № 796 დაგენილება „სახდამზღვევფონდისათვის გამოსაყოფად 1944 წლის მოსავლის მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმის შესახებ“ და მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები ჯიშიანი თესლის დამზადების დაწესებული გეგმის უცილობელი შესრულებისათვის.

გაფრთხილებულ იქნან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომ ჯიშიანი მარცვლის ყოველი პარტიის ჩაბარებისას ისინი ვალდებული არიან წარუდგინონ „ზაგოტზერნოს“ პუნქტებს ჯეროვანი წესით გაფორმებული საჯიშე მოწმობები.

2. წინადადება მიეცეს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს:

ა) მთელი დამზადებული საშემოდგომო ჯიშიანი მარცვალი დაბაგროვოს გასაწმენდად „ზაგოტზერნოს“ შემდეგ პუნქტებსა და ბა-

ზებში და უზრუნველჰყოს შემდეგი რაოდენობის კონდიციური ჯი-შიანი სათესლე მასალის გამოყვანა:

ახალქალაქის ბაზაში	50	ტონა
ახალციხის „	10	„
კასპის „	180	„
გომის პუნქტში	100	„
სანდარის „	570	„
მუკუზნის „	370	„
ბადიაურის „	50	„
წნორის „	1800	„
ნავთლულის „	1170	„

ბ) შეაკეთოს „ზაგოტზერნოს“ ბაზებში არსებული 5 მარცვალ-საწმენდი მანქანა „ვიმ—2“, 16 ტრიერი და 2 სეპარატორი და 1944 წლის 15 აგვისტოსათვის მოიყვანოს ისინი სრულ წესრიგში;

გ) მოაწყოს მარცვალსაწმენდი მანქანების სამცველიანი მუშაობა ნავთლულისა და წნორის ბაზებში და ამ მანქანების ორცვლიანი მუშაობა დანარჩენ პუნქტებში, ამ ანგარიშით, რომ ჯიშიანი სათესლე მასალის გაწმედა და სათესლე ხარისხის შემოწმება დამთავრდეს 1944 წლის 15 სექტემბრამდე.

3. დამტკიცდეს ჯიშიანი მარცვლის დამამზადებელ პუნქტებიდან გასაწმენდ პუნქტებში გადაგზავნის აგვისტოს გეგმა, № 1 დანართის თანახმად.

4. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. გ. კიკნაძეს გამოუყოს აგვისტოში „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, მის განკარგულებაში მიხედვით, საჭირო რაოდენობის ვაგონები ჯიშიანი სათესლე მასალის გადასაზიდად, ამ დადგენილებით დამტკიცებული გეგმის თანახმად.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს ხუთი დღის განმავლობაში გადასცეს „ზაგოტზერნოს“ პუნქტებს 3 მარცვალ-საწმენდი მანქანა „ვიმ—2“ ტრაქტორებითა და ტრაქტორისტებით შემდეგი მტს-ებიდან:

კასპის მტს-დან—1 „ვიმ—2“ ტრაქტორითა და ტრაქტორისტებით—„ზაგოტზერნოს“ კასპის პუნქტს,

შირაქის მტს-დან—1 „ვიმ—2“ ტრაქტორითა და ტრაქტორისტებით—„ზაგოტზერნოს“ წნორის პუნქტს,

წნორის მტს-დან—1 „ვიმ—2“ ტრაქტორითა და ტრაქტორისტებით—„ზაგოტზერნოს“ წნორის პუნქტს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ქვემოდასახელებული რაიონების რაიაღმასკომებს და ამავე რაიონების რაიკომებს ხუთი დღის განმავლობაში გადასცენ „ზაგოტზერნოს“ შესაბამის პუნქტებს

მარცვლის გაწმენდის პერიოდისათვის თავისი რაიონის კოლმეურნეობებიდან წესიერ მდგომარეობაში მყოფი შემდეგი რაოდენობის ტრიერები:

წითელწყაროს რაიონიდან—	10	ტრიერი—წნორის ბაზას,
სიღნაღის „	8	ტრიერი—წნორის ბაზას,
ბორჩალოს „	10	ტრიერი—სანდარის ბაზას,
გურჯაანის „	7	ტრიერი—მუკუზნის ბაზას,
	5	ტრიერი—ბადიაურის პუნქტს,
ხაშურის „	10	ტრიერი—გომის პუნქტს.

7. დამტკიცდეს ჯიშიანი მარცვლის გაწმენდის გეგმა „ზაგოტზერნოს“ ცალკეული ბაზების მიხედვით, № 2 დანართის თანახმად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს მოახდინონ შემდეგი რაოდენობის მუშათა მობილიზაცია და გაგზავნონ მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან ჯიშიანი მარცვლის გაწმენდის მთელი პერიოდისათვის „ზაგოტზერნოს“ პუნქტებში:

თბილისის რაიონში	ნავთლუღის ბაზისათვის	80	კაცი
წითელწყაროს „	წნორის „	100	„
სიღნაღის „	წნორის „	70	„
ბორჩალოს „	სანდარის „	48	„
გურჯაანის „	მუკუზნის პუნქტისათვის	44	„
	ბადიაურის „	16	„
კასპის „	კასპის „	12	„
ხაშურის „	გომის „	30	„
ახალციხის „	ახალციხის „	4	„
ახალქალაქის „	ახალქალაქის „	16	„

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მიამაგროს ჯიშიანი მარცვლის გაწმენდის პერიოდისათვის „ზაგოტზერნოს“ პუნქტებს შემდეგი ინჟინერ-მექანიკოსები:

წნორის ბაზას	ლევან კუპრენკო	წნორის მტს-დან
მუკუზნის პუნქტს	ფ. დანილინი	გურჯაანის მტს-დან
ბადიაურის „	პ. დოლიძე	კაჭრეთის მტს-დან
კასპის „	ლ. ბაინდურაშვილი	კასპის მტს-დან
გომის „	ტ. მომლაური	ხაშურის მტს-დან
ნავთლუღის ბაზას	ლეჟავა	ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან.

10. ჯიშიანი სათესლე მასალის თავის დროზე დამზადების საქმეში რაიონებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და აგრეთვე „ზაგოტზერნოს“ პუნქტების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ჯიშიანი სათესლე მასალის გაწმენდის საქმეში, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მიამაგროს მიწსახკომის სპეციალისტები „ზაგოტზერნოს“ შემდეგ პუნქტებს:

კასპის, ქარელის, გორისა და ხაშურის პუნქტებს—მიწსახკომის უფროსი აგრონომი — ამხ. გ. ხმალაძე.

წნორის პუნქტს — სიღნაღის რაიმიწგანის უფროსი აგრონომი ამხ. გ. აბრამიშვილი.

ნავთლუღის ბაზას — მიწსახკომის უფროსი აგრონომი ამხ. სამადაშვილი.

ბორჩალოს პუნქტს — მიწსახკომის უფროსი აგრონომი ამხ. ი. მიქაძე.

მუკუზნისა და ბადიაურის პუნქტებს — გურჯაანის რაიმიწგანის უფროსი აგრონომი ამხ. შავგულიძე.

11. წინადადება მიეცეს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს ჯიშიანი სათესლე მასალის გაწმენდის სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის მიამაგროს კანტორის პასუხისმგებელი მუშაკები „ზაგოტზერნოს“ შესაბამის პუნქტებს.

12. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. კვირკველიას მარცვალ-საწმენდი მანქანების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად გამოუყოს „ზაგოტზერნოს“ საჭირო რაოდენობის საწვავი და საცხები მასალები.

13. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვისათვის საჭირო სათესლე მასალის ნაკლებობის გამო, წინადადება მიეცეს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას საშემოდგომო ხორბლისა და ქერის შემოსული სასაქონლო მარცვლიდან გადაარჩიოს სათესლე მიზნებისათვის ვარგისი 3,5 ათასი ტონა მარცვალი გაღივების უნარით არანაკლებ 70 პროცენტისა და დააწყოს იგი ცალცალკე ჯიშების მიხედვით.

დაევალოს იმ რაიონების ყველა რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, რომლებიც საშემოდგომო კულტურების მარცვალს აბარებენ, სასაქონლო მარცვლის ჩაბარების დროს წარუდგინონ დამამზადებელ პუნქტებს ცნობები ამ მარცვლის ჯიშიანობის შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 9 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 9/VIII № 860 დადგენილების დანართი № 1

გ ე გ მ ა

ჯიშიანი მარცვლის გადაგზავნისა დამამზადებელ პუნქტებიდან გასაწმენდ პუნქტებში 1944 წლის აგვისტოსათვის (ტონობით)

დამზადების რაიონები	საშემოდგომო მარცვლის დამზადების გეგმა	რჩება ადგილზე გასაწმენდად	იგზავნება „ზაგოტზერნოს" პუნქტებში გასაწმენდად	აქედან:				
				ნაგთლული	ჭარი	მუცუზანი	ბადიაური	იგზავნება გასაწმენდად
1. ახალქალაქის	50	50	—	—	—	—	—	აგვისტო
2. ახალციხის	60	10	50	50	—	—	—	„
3. თიანეთის	100	—	100	100	—	—	—	„
4. ბორჯომის	30	—	30	30	—	—	—	„
5. კასპის	600	180	420	420	—	—	—	„
6. გორის	950	—	950	570	380	—	—	„
7. ქარელის	50	—	850	—	750	50	50	„
8. გომის	100	100	—	—	—	—	—	„
9. სამხრეთ-ოსეთის	470	—	470	—	270	200	—	„
10. ლაგოდეხის	400	—	400	—	400	—	—	„
11. ბორჩალო-თეთრიწყაროს	570	570	—	—	—	—	—	„
12. მცხეთისა და დუშეთის	120	—	120	—	—	120	—	„
ს უ ლ	4300	910	3390	1170	1800	370	50	

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ-პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 9/VIII № 860 დადგე-
ნილების დანართი № 2

გეგმა

1944 წლის მოსავლის ჯიშიანი მარცვლის გაწმენდისა (ტონობით)

„ზაგოტზერნოს“ ბაზებისა და პუნქტების დასახელება	გასაწმენდი რაოდენობა	მარცვალსაწმედი მანქანების რაოდენობა					სულ	გამტარუნარიანობა *)	გაწმენდის დაწყების დრო	გაწმენდის დამთავრების ვადა
		საკუთარი			მტს-ებიდან გადაცემული					
		„ვიმ—2“	სეპარატორი	ტრიერი	„ვიმ—2“	ტრიერი				
1. ნავთლული	1.170	3	1	5	—	—	9	34	15/VIII	15/IX
2. წნორი	1.800	1	2	3	2	18	26	52	„	15/IX
3. სანდარა	570	1	—	2	—	10	13	19	„	15/IX
4. მუკუზანი	370	1	—	—	—	7	8	11	„	15/IX
5. ბადიაური	50	—	—	—	—	5	5	4	„	5/IX
6. კასპი	180	—	—	—	1	—	1	8	15/VIII	10/IX
7. გომი	100	—	—	—	—	10	10	7	25/VIII	10/IX
8. ახალქალაქი	50	—	—	5	—	—	5	4	20/VIII	10/IX
9. ახალციხე	10	—	—	1	—	—	1	1	20/VIII	10/IX
სულ	4.300	6	3	16	3	50	78	139	—	—

*) დღეღამეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 861

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა 1944 წლის 15 ივნისიდან 31 დეკემბრამდე 248225 მანეთის რაოდენობით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/VIII
№ 861 დადგენილების დანართი

ხარჯთაღრიცხვა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს სამმართველო ხარჯებისა 1944 წლის 15 ივნისიდან 31 დეკემბრამდე

ხარჯთა მუხლების დასახელება	თანხა ათას მანეთობით	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
მუხ. 1-ლი. ხელფასის ფონდი	189200	(33577—50×2,5)×0,7+ +(33577—50×4)—2%— 189200
მუხ. მე-2. 4,4% დანარიცხი ხელფასზე .	8325	
მუხ. მე-3. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები:		
1. საკანცელარიო და სასტამბო ხარჯები	6.000	
2. ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ხარჯები	2.500	
3. განათება	3.000	
4. გათბობა	6.000	
5. წყალმომარაგება და კანალიზაცია . .	3.500	
6. სადგომის სუფთად შენახვა	1.000	
7. ავტოტრანსპორტის შენახვა	3.200	1 მსუბ. „ზის“
8. სადგომების ოყარა	1.500	
სულ მე-3 მუხლით . . .	26.700	
მუხ. მე-4. სამივლინებო ხარჯები . . .	15.000	იხ. ამასთან დართული გაანგარიშება
მუხ. მე-15. დანარჩენი ხარჯები (კონსულტაციები, ექსპერტიზები და სხვ.).	9 000	
მთლად	248225	

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 865

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. თ. ბირკაძის შვებულების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. თ. ბირკაძეს შვებულება ავადმყოფობის გამო, მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

2. დაევალოს ჯანსახკომის სპეცსამსანსამმართველოს უფროსს ამხ. ფრანგულიანს უზრუნველჰყოს ამხ. თ. ბირკაძე მკურნალობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 866

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1943 წლისა და 1944 წლის პირველი ნახევრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოებმა საერთო პროდუქციის 1943 წლის გეგმა შეასრულეს 100,8%-ით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გეგმა—92,8%-ით. ძირითადი სახის გამოსამუშავებელ პროდუქციიდან მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა, გეგმასთან შედარებით, ნაკლები გამოუშვეს: ბამბის საკოსტუმე ნაწარმი—413 ათასი ცალი, მამაკაცის თეთრეული—357 ათასი წყვილი, საძირე ტყავსაქონელი—101 ტონა, საპირე ტყავსაქონელი—2843 ათასი კვ. დეციმეტრი, ფეხსაცმელი—95,8 ათასი წყვილი, პლასტრეზინი—19 ტონა და თექა—60 ტონა.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: მუშახელის დიდი დენადობა, მუშებისა და საწარმოო მოწყობილობის გაცდენა, საწარმოთა არასაკმაო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სამუშაო ადგილის არადამაკმაყოფილებელი მომსახურება, საწარმოთა მოწყობილობის რემონტის დაბალი ხარისხი და მუშათა არადამაკმაყოფილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა დირექტორები სერიოზულად არ ეკიდებიან მუშახელის დამაგრების საკითხს, რის შედეგადაც იმ დროს როცა 1943 წელს მუშათა საერთო რაოდენობა სიის მიხედვით 4965 კაცს უდრიდა, მიღებულია 2213 და დათხოვნილია 2797 კაცი.

იმ დროს როცა ტყავფეხსაცმლის მრეწველობას, ნედლეულისა და მასალების ნაკლებობის გამო, არ შეუსრულებია პროდუქციის

გამოშვების გეგმა, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა დაუშვეს ნედლეულის მნიშვნელოვანი გადახარჯვა. მაგალითად, № 2 ტყავის ქარხანას ჰქონდა ტყავნედლეულის გადახარჯვა 280 ათასი კვ. დეციმეტრი, № 3 ტყავის ქარხანა—558 ათასი კვ. დეციმეტრი, № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკას—57 ათასი კვ. დეციმეტრი, № 4 ფეხსაცმლის ფაბრიკას—12 ათასი კვ. დეციმეტრი საპირე ტყავსაქონელი და 7 ათასი კვ. დეციმეტრი სასარჩულე მასალა.

მთელი გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 2872 ათასი მანეთით გადააჭარბა 1943 წლის საგეგმო დონეს, რაც ნაწილობრივ იმით არის გამოწვეული, რომ ზედმეტი თანხა იყო გადახდილი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისაგან შეძენილ ფურნიტურაში.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სადებიტორო დავალიანების გადახდევინების მხრივ. შემცირების ნაცვლად, ადგილი აქვს სადებიტორო დავალიანების ზრდას 1944 წლის 1 იანვრისათვის 3778 ათასი მანეთით ანუ 84%-ით; ამას გარდა, საწარმოთა ანგარიშებით მუშათა მომარაგების განყოფილებებზე ირიცხება დავალიანება 81 ათასი მანეთი, ხოლო სადებიტორო დავალიანების საერთო თანხა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 7892 ათას მანეთს უდრის.

№ № 4 და 7 სამკერვალო ფაბრიკების, № 2 ტყავის ქარხნის, № № 1 და 2 ფეხსაცმლის ფაბრიკების ხელმძღვანელობის მხრივ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სასაქონლო-მატერიალური ღირებულებებისადმი სათანადო კონტროლის უქონლობის გამო, 1944 წლის 1 იანვრისათვის ამ საწარმოების საამქროებიდან და საწყობებიდან მოპარულია 607 ათასი მანეთის მასალა, ნახევარფაბრიკატები და მზა პროდუქცია.

არათავისდროზე თესვის, ნიადაგის ცუდად დამუშავებისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებლად ჩატარების შედეგად, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დამხმარე მეურნეობებმა, გეგმასთან შედარებით, ნაკლები მიიღეს: 1365 ცენტნერი ბოსტნეული, 380 ცენტნერი კარტოფილი და 209 ცენტნერი სიმინდი. ერთი ცენტნერი სიმინდის თვითღირებულებამ მიაღწია 1179 მანეთს, კარტოფილისა—194 მანეთს, კომბოსტოსი—461 მანეთს და პამიდორისა—513 მანეთს. მუშათა მომარაგების განყოფილებების სავაჭრო ქსელში აღმოჩენილია დანაკლისი: შაქრის—247 კგ, ხორცისა—233 კგ, ბურღულისა—182 კგ და სხვ.

მუშათა მომარაგების განყოფილებებმა და დამხმარე მეურნეობებმა ცუდი მუშაობის შედეგად იზარალეს 510 ათასი მანეთი. აგ-

რეთვე არის ზეგეგმური ზარალი საწარმოთა საბინაო-კომუნალური მეურნეობის შენახვის ხაზით 238 ათასი მანეთი.

განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავმარაგგასაღება და მისი ბაზები. ბაზებში აბნეულია სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა აღრიცხვა და ანგარიშგება, არ იღებენ ზომებს სადებიტორო დავალიანების გადასახდევინებლად, ბაზების ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ მოსული ტვირთის დანაკლისს, არ ადგენენ სათანადო დოკუმენტაციებს დანაკლისი ტვირთისათვის პრეტენზიების წარსადგენად. № 3 ბაზაში განაღდებული ანგარიშებით დღემდეც არ არის გამორკვეული, თუ სახელდობრ რა ტვირთია შემოსული ბაზაში და რა ტვირთია გზაში.

არადამაკმაყოფილებელი საწარმოო საქმიანობისა და უყაირათო მუშაობით გამოწვეული ზარალის შედეგად, 1943 წელს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემამ დაგროვების დაზუსტებული გეგმა რაც 4483 ათას მანეთს შეადგენდა, შეასრულა 2691 ათასი მანეთით ანუ 60 პროცენტით.

1944 წლის 1 იანვრისათვის საბრუნავი სახსრების გარღვევა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით უდრის 2586 ათას მანეთს, აქედან მუშათა მომარაგების განყოფილებებში—236 ათას მანეთს.

1944 წლის პირველ ნახევარში მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 106,8%-ით და სასაქონლო პროდუქციის გეგმა—100,3%-ით, ამასთან ტყავფეხსაცმლის საწარმოებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი გეგმის შეუსრულებლობას, ნედლეულისა და დამხმარე მასალების გადახარჯვას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაქიძეს:

ა) ჩაატაროს ყოველ საწარმოსა და ბაზაში საჭირო ღონისძიებანი იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც აღნიშნულია ამ დადგენილებით მსუბუქი მრეწველობის წუმაობაში და უზრუნველჰყოს 1944 წლის საწარმოო პროგრამის უცილობლივი ხარისხობრივი შესრულება;

ბ) მოაწყოს დაკარგული ტვირთების, აგრეთვე მიღებული ტვირთის დანაკლისის ძებნა და გამოვლინება, ამასთან სათანადო დოკუმენტაციით გააფორმოს დაკარგული და დანაკლისი ტვირთი, რისთვისაც პრეტენზიები წარუდგინოს სათანადო ორგანიზაციებს;

გ) 1944 წლის 1 ნოემბრამდე მოიყვანოს სათანადო მდგომა-

რეობაში მთავმარაგგასაღების აღრიცხვა და ანგარიშიანობა და უზრუნველჰყოს სადებიტორო დავალიანების მაქსიმალური შემცირება;

დ) დაიწყოს 1941-1943 წლების განმავლობაში გზაში დაკარგული ტვირთების ძებნა, რისთვისაც მიავლინოს სპეციალური მუშაკები და გადასცეს მასალები ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტვირთის მიმღებთა გამოსავლინებლად;

ე) ერთი თვის ვადაში გადასინჯოს ბაზების მუშაკთა შემადგენლობა და განამტკიცოს ბაზები შემოწმებული კადრებით.

2. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ტაბატაძეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ გადაცემული მასალების მიხედვით დაიწყოს დაკარგული ტვირთების ძებნა და დახმარება გაუწიოს ამ საქმეში მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

3. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. ტალახაძემ თვალყური ადევნოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავმსუბმარაგგასაღების პრეტენზიებით აღძრული საქმეების მსვლელობას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაქიძეს:

ა) უზრუნველჰყოს, რათა ყველა საწარმომ და საამქრომ შეასრულოს საწარმოო გეგმები დადგენილი ასორტიმენტის დაცვით;

ბ) გააუმჯობესოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რისთვისაც დაიცვას ტექნოლოგიური რეჟიმი და გააძლიეროს საოპერაციათაშორისო კონტროლი, ამასთან არ დაუშვას განსხვავება მარკირებულ ხარისხიანობასა და ფაქტიურ ხარისხს შორის;

გ) ერთი თვის ვადაში გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი და მიაღწიოს როგორც ნედლეულის, ისე მასალების გადახარჯვის ლიკვიდაციას;

დ) მესამე კვარტალის განმავლობაში დაიყვანოს დაწესებულ ნორმატივამდე საწარმოებსა და ბაზებში სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ნაშთები;

ე) გამოჰყოს საწარმოთა საამქროებში მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს ნედლეულისა და ნახევარ-ფაბრიკატების მიმოქცევას, ხოლო დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოავლინოს კონკრეტული დამნაშავენი, მისცეს ისინი პასუხისგებაში და მიაღწიოს საწარმოსათვის მიყენებული ზარალის უცილობლივ ანაზღაურებას;

ვ) ამიერიდან სათანადო ნებართვის მიუღებლად არ დაუშვას ზედმეტ საათებში მუშაობა და კვირადღეებში მუშაობა;

ზ) სისტემატურად ჩაატაროს როგორც თვით საწარმოებში, ისე მთავარ სამმართველოებსა და სახალხო კომისარიატში, თვითღირებულების გეგმის შესრულების ანალიზები;

თ) მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დაუყოვნებლივ შეაკეთოს საცხოვრებელი სახლები და უზრუნველჰყოს ფაბრიკების საერთო საცხოვრებლები ინვენტარით, ლოგინის მოწყობილობით და სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით.

5. დაევალოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაჭიძეს 1944 წელს ჩაატაროს №№ 1 და 3 ბაზების დოკუმენტალური რევიზია.

6. მიღებულ იქნას კომისიის წინადადება 1139,0 ათასი მანეთის ზარალად ჩამოწერის შესახებ, რაც აისახოს 1943 წლის წლიურ ანგარიშში, აქედან:

ა) არარეალური სადებიტორო დავალიანება მთავმსუბმარაგგასაღების № 3 ბაზაში—598,6 ათასი მანეთი;

ბ) დანაკლისი საწარმოთა დაუმთავრებელ წარმოებაში—540,4 ათასი მანეთი.

7. გაფრთხილება მიეცეს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს ამხ. ყაზარიანს, № 7 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს ამხ. უსტინოვს და № 2 ტყავის ქარხნის დირექტორს ამხ. სუმბათიანს, რომ, თუ მომავალშიაც ადგილი ექნა უყაირათობას, სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა დატაცებას და სადებიტორო დავალიანებას, ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

8. დაევალოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაჭიძეს ერთი თვის ვადაში შეამოწმოს საწარმოთა დამხმარე მეურნეობების, აგრეთვე მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაობა და შემოწმების შედეგები განიხილოს სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე, ამასთან დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ დამხმარე მეურნეობათა რენტაბელურ მუშაობას და მუშათა მომარაგების განყოფილებების უზარალობას.

9. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინსახკომს მესამე კვარტალის განმავლობაში მისცეს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბრუნავი სახსრების არსებული გარღვევის დასაფარავად 2126 ათასი მანეთი, გარდა იმ 1000 ათასი მანეთისა, რაც გათვალისწინებულია წლიური საფინანსო გეგმით.

10. დაევალოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაჭიძეს სამუშაოდან მოხსნას № 3 ბაზის დირექტორი შ. ო. რამიშვილი და ამავე ბაზის მთავარი ბუჰჰალტერი გ. ნ. ოსკანოვი

აღრიცხვისა და ანგარიშიანობის ქაოსური მდგომარეობისა და ტვირთის მნიშვნელოვანი დანაკარგებისა და დანაკლისისათვის.

11. წინადადება მიეცეს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაქიძეს სასტიკი სასჯელი დაადოს მთავმსუბმარაგგასაღების სამმართველოს უფროსს გ. ვ. ტერ-ოგანეზოვს და ამავე სამმართველოს მთავარ ბუხჰალტერს ე. ა. გულიანს, ამასთან გაფრთხილება მიეცეს მათ, რომ თუ ისინი უახლოეს დროში არ აღმოფხრავენ უყაირათობას ბაზების მუშაობაში და არ დაამყარებენ იქ სათანადო წესრიგს, მოიხსნებიან სამუშაოდან და მიცემულ იქნებიან სამართალში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 867

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ინდივიდუალური მშენებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 29 მაისის № 625 დადგენილებისა „განთავისუფლებულ რაიონებში ინდივიდუალური საბინაო ფონდის აღდგენისა და სსრ კავშირის ქალაქებსა და მუშათა დაბებში საბინაო მშენებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს—ამხ. კვიცარიძეს ინდივიდუალურ მენაშენეებთან საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და აღდგენისათვის საჭირო სესხთა გაფორმების დროს გაუდიდოს სესხის რაოდენობა 10,0 ათას მანეთამდე თვითეულს, სესხის 7 წლამდე დაფარვის ვადით, რის გამოც საწარმოთა და ორგანიზაციათა თხოვნით დაუშვას ხელშეკრულებათა ხელახალი გაფორმება მენაშენეებთან 1943 წლიდან გარდმომავალ მშენებლობებზე, როგორც სესხის რაოდენობის, ისე მისი დაფარვის ვადების ნაწილში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას მიიღოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან განაცხადები ადგილობრივი საბჭოების გეგმით 1944 წელს დასახული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დამატებით საჭირო კრედიტებზე და საქართველოს სსრ კომბანკთან ერთად წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს შემდგომი წარდგენით ცეკომბანკისათვის.

კრედიტის რაოდენობის დაწესებამდე, ნება დაერთოს საქართ-

ველოს კომბანკს დააკრედიტოს მსესხებელთა ახალი მშენებლობა ადგილობრივი საბჭოების მიერ დამტკიცებული სიით და გაფორმებული სესხები ჩარიცხოს შემდგომ 1944 წლის დაკრედიტების ლიმიტში.

დაკრედიტების ახალი პირობები გაავრცელოს ყველა წინათ გაფორმებულ კრედიტზე, დაუმთავრებელი მშენებლობის მიხედვით.

3. დაევალოს თბილისის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და ზუგდიდის, თელავისა და გურჯაანის რაიონ საბჭოების აღმასკომებს გამოჰყონ შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურ მენაშენეთა საჭიროებისათვის ხე-ტყე 10 კუბ. მეტრის რაოდენობით თვითეულ მენაშენეზე მათ მიერ დამზადებული მაქნისი მერქნიდან.

4. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს:

ა) გაითვალისწინოს კაპიტალურ სამუშაოთა, ლიმიტგარეშე დაბანდებათა და საოპერაციო ხარჯთა გეგმებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი რაიონების კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფის სამუშაოები:

ბ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოსთან ერთად გადასინჯოს ქ. თბილისის დაგეგმვის პროექტი იმ მიზნით, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ იქნას კომუნალური კეთილმოწყობით უზრუნველყოფილი დამატებითი რაიონები;

გ) ქალაქ თბილისის საწარმოებში გამოყენებული ქვანახშირის წიდის-ნაშთების ბაზაზე მოაწყოს წიდაბლოკების სამრეწველო დამზადება და მოახმაროს წიდაბლოკები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მომარაგებას;

დ) შემოჰიდოს ქსნის კრამიტის ქარხნიდან ქალაქ თბილისის ინდივიდუალურ მენაშენეთათვის საჭირო რაოდენობის კრამიტი და გასცეს იგი დამტკიცებულ საგეგმო ფასებში.

5. დაევალოს საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გამოუყონ ინდივიდუალურ მენაშენეებს ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ქალაქისა თუ რაიცენტრის დაგეგმვის პროექტების შესაბამისად, ხოლო დაგეგმვის პროექტების უქონლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ორგანოებთან შეთანხმებით, უმთავრესად ქალაქისა თუ რაიონული ცენტრის კეთილმოწყობილ რაიონებში.

ბ) აღმოუჩინოს მენაშენეებს დახმარება ადგილობრივი სამშენებლო მასალების დამზადების მოწყობაში და აგრეთვე მშენებლობის ადგილამდე მათს ტრანსპორტირებაში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახალხო კომისარიატების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოაწყონ თავის საწარმოთა ინდივიდუალური მენაშენეების მომარაგება სამშენებლო მასალებით, სამშენებლო დეტალებით, ნახევარფაბრიკატებით, კავეული ნაწარმებითა და ინსტრუმენტებით თვითღირებულების მიხედვით და აღმოუჩინონ მათ დახმარება მშენებლობის ადგილამდე სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებაში.

7. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სიღნაღის, თეთრიწყაროს, ბორჯომის, ვანის, ყვარლისა და მცხეთის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ აამუშაონ საექსპლოატაციოდ რაიონული ქვემდებარების დროებით დაკონსერვებული სამშენებლო მასალების ქარხნები და საწარმოები, № 1 სიის თანახმად, და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის 20%-მდე გასცენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ საგეგმო ფასებში.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს დაამზადოს და მისცეს საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის განაწილებით 1250 კარვის კარის ყულფები, 1250 კარვის ფანჯრის ყულფები, 1600 ცალი ფანჯრის საქარე კავი და 5000 ცალი რკინის კავი სამშენებლო ფერმებისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს—ამხ. ბუაჩიძეს რაიონული ქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა და აგრეთვე სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის იმ საწარმოთა დირექტორებს, რომლებიც აგურს, კრამიტს, კირსა და გაჯს ამზადებენ, გასცენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დამტკიცებულ საგეგმო ფასებში საქალაქო და რაიონული აღმასკომების კომუნალურ განყოფილებათა მიერ გაცემული ცნობებით საწარმოთა მიერ გამოშვებული სამშენებლო მასალების 10%-და აგრეთვე დაწესებული საწარმოო გეგმის გადამეტებით გამოშვებულ სამშენებლო მასალათა მთელი რაოდენობა.

10. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ—ამხ. ქურდიანმა:

ა) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად ორი დეკადის განმავლობაში შეარჩიოს საქკომუნპროექტისა და თბილქალაქპროექტის მიერ დამუშავებული საცხოვრებელი სახლების ტიპიური პროექტები და დაუგზავნოს ისინი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს კალკეული რაიონების კლიმატური პირობებისა და ამ რაიონებში არსებული სამშენებლო მასალების რესურსების გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველჰყოს არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოთა საშუალებით საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ინდივიდუალურ მენაშენეთა მიერ განხორციელებული მშენებლობის მეთვალყურეობა.

11. გაფრთხილებულ იქნან სახალხო კომისარიატებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორები და აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები, რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გაცემული კრედიტების მიზანშეწონილი გამოყენების კონტროლის განხორციელებისა და მათ მიერ საქართველოს სსრ კომბანკთან დადებული ხელშეკრულების შესრულებისათვის.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს (ამხ. კვიცარიძეს) სისტემატური კონტროლი დააწესოს კრედიტებისა და მსესხებელთა ვალდებულებების დროულ გაფორმებაზე და გაცემული სესხების მიზნობრივ გამოყენებაზე და ყოველკვარტალურად მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ბანკის სესხით განხორციელებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

13. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს ერთი კვირის განმავლობაში დაამუშაონ და დაამტკიცონ კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა საბინაო ფონდის აღდგენისა და აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გაძლიერებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ჱ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 10/VIII
№ 867 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

სამშენებლო მასალათა დამამზადებელი საწარმოებისა, რომლებიც ამუშავებულ უნდა იქნან საექსპლოატაციოდ 1944 წლის III კვარტალში

რაიონების დასახელება	ქარხნების დასახელება
1. ბორჯომის რაიონი	კირის ქარხანა
2. ყვარლის „	აგურის ქარხანა
3. მცხეთის „	აგურის ქარხანა
4. ვანის „	აგურის ქარხანა
5. თეთრიწყაროს „	აგურის ქარხანა
6. სიღნაღის „	გაჯის ქარხანა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 868

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ „მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებებზე“ 1944 წლის 31 მარტს გამოტანილი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომებმა რამდენადმე გააძლიერეს ბრძოლა მალარიასთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საკავშირო სახკომსაბჭოს ა/წ 29 მაისის № 625 და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 31 მარტის № 302 დადგენილებები „მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. მატულობს მალარიის რეციდივები ლაგოდეხის, საგარეჯოს, სამტრედიის, ქუთაისის, ქარელის, გორის, საჩხერისა და ახალციხის რაიონებში, ხოლო მალარიის პირველად დაავადებებს, გასულ წელთან შედარებით, მეტი რაოდენობით აქვს ადგილი აფხაზეთში, ჩოხატაურის, საჩხერისა და ბორჩალოს რაიონებში.

ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული მალარიით დაავადებულთა ზუსტი აღრიცხვა და მკურნალობა.

დუშეთის, ასპინძის, საჩხერის, ყარაიის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოს, ბორჩალოს, კასპის, ხაშურისა და ქარელის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ბონიფიკატორები და ქინიზატორები გამოყოფილია ფორმალურად და მათ არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატმა და აგრეთვე სათანადო რაიაღმასკომებმა ყარაიის, გორისა და სიღ-

ნაღის რაიონებში ვერ უზრუნველჰყვეს სარწყავი ქსელის მთლიანად გაწმენდა და შემკრები არხების სათანადო რემონტი.

სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ჯანსახკომმა და მისმა ეპიდემიისსაწინააღმდეგო სამმართველომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს საჭირო დახმარება აღმოეჩინათ და ოპერატიული კონტროლი გაეწიათ ადგილობრივი ჯანმრთელობის ორგანოებისა და მალარიისსაწინააღმდეგო დაწესებულებებისათვის მალარიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) უზრუნველჰყონ მთლიანად შესრულება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 29 მაისის № 625 და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 31 მარტის № 302 დადგენილებებისა „მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) მოისმინონ სხდომებზე ადგილობრივ ჯანდაცვისა და სხვა სათანადო ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მალარიასთან ბრძოლის გასაძლიერებლად;

გ) ყველა სამეურნეო ორგანიზაციიდან, კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან გამოყონ ბონიფიკატორები და ქინიზატორები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით მალარიისსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ და საბონიფიკაციო სამუშაოთა უზრუნველსაყოფად;

დ) უზრუნველჰყონ მალარიისსაწინააღმდეგო დაწესებულებები ტრანსპორტით მალარიასთან ბრძოლის ჩატარების დროს;

ე) ყოველთვიურად წარუდგინონ წერილობითი ანგარიშები საქართველოს სსრ ჯანსახკომს მალარიის წინააღმდეგ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ. ხელიძეს:

ა) სისტემატურად შეამოწმოს, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წლის 29 მაისის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ა/წლის 31 მარტის დადგენილებანი მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და მიიღოს გადამწყვეტი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა ადგილობრივი ჯანმრთელობის ორგანოებისადმი და უზრუნველჰყოს მალარიის დაავადებულთა ზუსტი აღრიცხვა და სისტემატური მკურნალობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ. ხელიძეს შეუთანხმოს საკავშირო ჯანსახკომს მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის იმ შენობის განთავისუფლების საკითხი, რომელიც ამჟამად ევაკოჰოსპიტალს უკავია.

4. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარს და სათანადო რაიაღმასკომებს ა/წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველჰყონ სარწყავი სისტემის შემკრები არხების მთლიანად გაწმენდა, გააძლიერონ მოქმედი სარწყავი სისტემის სწორი ექსპლოატაციის კონტროლი და არ დაუშვან ჭაობების გაჩენა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1943—44 სასწავლო წლის გამოშვებიდან მაავლინოს ჯანსახკომის განკარგულებაში სამი ბიოლოგი; ამავე დანიშნულებისათვის გამოჰყოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ხოშტარიამ 2 ენტომოლოგი.

6. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს:

ა) დაუბრუნონ ჯანმრთელობის ორგანოებს მალარიისსაწინააღმდეგო დაწესებულებათა ის შენობები, რომლებიც დროებით სარგებლობისათვის ჰქონდათ გადაცემული სხვა ორგანიზაციებს;

ბ) გაამახვილონ ეპიდემიის საწინააღმდეგო კომისიების ყურადღება მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებების გატარების საკითხებზე და მოისმინონ საქალაქო და რაიონული აღმასკომების სხდომებზე ეპიდემიისსაწინააღმდეგო კომისიების მოხსენებები ამ დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

7. დაევალოს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. რობაქიძეს მისცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომს იპრიტის საწინააღმდეგო 200 კომბინეზონი სანიტარიული სამუშაოებისათვის.

8. დაევალოს „გლავრეზინოსპირტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. შიხმანს მისცეს საქართველოს ჯანსახკომს 200 წყვილი რეზინის ჩუნი სანიტარიული სამუშაოებისათვის.

9. მითითება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს: ჩოხატაურისა — ამხ. სიხარულიძეს, ბორჩალოსი — ამხ. გულიევს, საგარეჯოსი — ამხ. მუჩიაშვილს და აფხაზეთის ასსრ ჯანსახკომს ამხ. პაპას-

კუას მალარიისაწინააღმდეგო ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებლად გატარებისათვის.

10. გაფრთხილებულ იქნას ჯანსახკომის ეპიდემიისაწინააღმდეგო სამმართველოს სამალარიო ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. ჩქოლორია, რომ თუ იგი არ გაუმჯობესებს ხელმძღვანელობას მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გასატარებლად, მას დაედება მკაცრი სასჯელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 869

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილ საჩივართა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დატოვებულ იქნას უშედეგოდ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი ქვემოდასახელებული საჩივრები:

1. სრულიად-საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საჩივარი მთავარი არბიტრაჟის 1943 წლის 24 დეკემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო „ოპტპრომტორგის“ თბილისის ბაზისადმი 12.664 მან. 92 კაპ. შესახებ (ს. №2/1301).

2. სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის სამხედრო-აღდგენით სამუშაოთა მთავარ სამმართველოს საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 15 იანვრის დადგენილებაზე სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის სამხედრო-აღდგენითი სამუშაოების მთავარ სამმართველოს მუშათა მომარაგების სამმართველოს № 4 მოძრავი სავაჭრო-შემსყიდველი ბაზის სარჩელისა გამო თბილისის ხორცრძეგასაღებისადმი 21.869 მან. 63 კაპ. შესახებ (ს. № 2/44).

3. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 21 აპრილის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო თბილისის ტრიკოტაჟკომბინატისადმი 4.140 მან. 32 კაპ. შესახებ (ს. № 2/592).

4. „გლავტექსტილსბიტის“ საქართველოს ბაზის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 10 მაისის დადგენილებაზე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავმარაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაღების სარჩელისა გამო „გლავტექსტილსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკურ სავაჭრო ბაზისადმი 16.322 მან. 73 კაპ. შესახებ (ს. № 2/628).

5. „გლავმიასომოლსბიტის“ თბილისის ბაზის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 13 აპრილის დადგენილებაზე თბილვაჭრობის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 16.740 მან. შესახებ (ს. № 2/438).

6. „გლავნეფტესნაბის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 27 მარტის დადგენილებაზე ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 4.392 მან. 10 კაპ. შესახებ (ს. № 2/704).

7. ქუთაისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების აგურის ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 17 მაისის დადგენილებაზე ქუთაისის საქალაქო საბჭოსთან არსებული სამშენებლო-სარემონტო კანტორის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 17.284 მან. შესახებ (ს. № 2/1184).

8. „გლავსახარის“ საქართველოს კანტორის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 27 მარტის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო აფხაზვაჭრობისადმი და ტყეარჩევანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებისადმი 2.356 მან. შესახებ. (ს. № 2/39).

9. საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 28 მარტის დადგენილებაზე უალკოჰოლო სასმელების ქარხნის სარჩელისა გამო თბილვაჭრობის წვრილსაცალო ბაზისადმი 109.754 მან. შესახებ (ს. № 2/959).

10. № 344 ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 2 მარტის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ფოთის სამხედრო-საზღვაო ნავსადგურისადმი 17.788 მან. 20 კაპ. შესახებ (ს. № 2/30).

11. საქვაჭრობის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 20 მარტის დადგენილებაზე საქვაჭრობის ფოთის განყოფილების სარჩელისა გამო ფოთის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების ფოთის სადარაჯო ტრესტისადმი 38.482 მან. შესახებ (ს. № 2/92).

12. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 15 აპრილის დადგენილებაზე № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილების სარჩელისა გამო ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მშენებლობის დამხმარე მეურნეობისადმი 3.104 მან. 66 კაპ. შესახებ (ს. № 2/391).

13. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 15 აპრილის

დადგენილებაზე № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილების სარჩელისა გამო ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილებისადმი და ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისადმი 1.200 მან. შესახებ (ს. № 2/390).

14. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 26 თებერვლის დადგენილებაზე დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხანა № 247 „სტანოკის“ სარჩელისა გამო თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკისადმი 52.280 მან. შესახებ (ს. № 2/1200).

15. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 21 თებერვლის დადგენილებაზე თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის სარჩელისა გამო დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხანა № 247 „სტანოკისადმი“ 34.346 მან. 04 კაპ. შესახებ (ს. № 2/224).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 870

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წელს უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურაში მიღების გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 25 ივლისს „1944 წელს უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურაში მიღების გეგმის შესახებ“ გამოტანილი № 928 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1944 წელს უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურაში მიღების გეგმა 60 კაცის რაოდენობით მუშაობისაგან მოწყვეტით, რაც შემდეგნაირად განაწილდეს უმაღლეს სასწავლებლებს შორის:

ა) საქართველოს სსრ განსახკომის თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 40 კაცი;

ბ) საქართველოს სსრ ჯანსახკომის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი—4 კაცი;

გ) საქართველოს სსრ მიწსახკომის თბილისის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი—6 კაცი;

დ) საქართველოს სსრ მიწსახკომის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტი— 4 კაცი;

ე) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია— 4 კაცი;

ვ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სამხატვრო აკადემია—2 კაცი;

2. დაევალოს განსახკომს—ამხ. კუპრაძეს, ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს, მიწსახკომს—ამხ. ხოშტარიას, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ.

ეგაძეს და უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს უზრუნველჰყონ ასპირანტურაში ჩასარიცხავ პირთა სწორად და გულმოდგინედ შერჩევა.

3. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მისცენ ასპირანტურაში შესასვლელ გამოცდებზე დაშვებულ პირებს უჯამაგირო შვებულება 15 დღის ვადით გამოცდის ჩასაბარებლად და იქით-აქეთ სამგზავროდ, ხოლო ასპირანტურაში ჩარიცხული პირები გაანთავისუფლონ სამუშაოდან არაუგვიანეს ერთი თვისა მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ცნობა მათი ჩარიცხვის შესახებ.

4. დაევალოს განსახკომს—ამხ. კუპრაძეს განიხილოს და დაამტკიცოს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა კონტინგენტის განაწილება სპეციალობათა მიხედვით.

5. განმარტებულ იქნას, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 ივლისს № 928 დადგენილების თანახმად, უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტებს გადაედებათ წითელ არმიაში გაწვევის ვადა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 872

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჯანსახკომის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებამ დაადასტურა სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. საავადმყოფოს გამგე (იკვე მთავარი ექიმი) ამხ. ქაჯაია და საავადმყოფოს მთელი რიგი სხვა მუშაკები თავის მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ, რის გამო ავადმყოფთა მკურნალობა თითქმის სრულიად თავმინებებულია. საავადმყოფოში ადგილი აქვს დიდ სიკვდილიანობას. 1942 წელს გარდაიცვალა 240, 1943 წელს — 177 და 1944 წლის პირველ ნახევარში კი—28 ავადმყოფი.

სიკვდილიანობის ასეთი დიდი რაოდენობა შედეგია ცუდი მოვლა-პატრონობისა.

ავადმყოფთა აღრიცხვისა და ავადმყოფობის ისტორიის შენახვის საქმისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების შედეგად, 1941 წელს დაკარგულია ავადმყოფის ისტორია 77, 1942 წელს—190, 1943 წელს—57 და 1944 წლის პირველ ნახევარში—10.

გაუგანმრთელებული ავადმყოფის გაწერა, როგორც წესი, სწარმოებს ექიმ-ორდინატორის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, სათანადო კომისიის გარეშე, რის გამო ცალკეულ შემთხვევაში მოსალოდნელია ავადმყოფი არასწორად გაიწეროს.

საავადმყოფოში დღემდე არ არის მოწყობილი ფიზიოთერაპიული განყოფილება და ლაბორატორია. გარდაცვლილ ავადმყოფთა გვამების პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთა არ სწარმოებს, რის გამოც შეუძლებელია სიკვდილიანობის ნამდვილი მიზეზის გაძორკვევა.

ძალზე ცუდად არის დაყენებული ავადმყოფთა კვების საქმე, დაწესებული ნორმები ავადმყოფებს მთლიანად არ ეძლევათ.

საავადმყოფო არ არის დაკომპლექტებული შტატით გათვალისწინებული საექიმო და მომსახურე პერსონალით და ამასთან არავითარი მუშაობა არ სწარმოებს საექიმო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აიხსნება იმითაც, რომ საქართველოს სსრ ჯანსახკომი და მისი სამკურნალო სამმართველო არ უწევენ საავადმყოფოს სათანადო ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ფსიქიატრიული ინსტიტუტი თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ფსიქიატრიული საავადმყოფოების უმრავლესობას. კერძოდ, სურამის საავადმყოფოში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინსტიტუტს არც ერთი მუშაკი არ მიუვლინებია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ. ხელიძეს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ერთი თვის ვადაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები და უზრუნველჰყოს ამ დადგენილებაში აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ავადმყოფთა მკურნალობის სწორად დაყენებას, რისთვისაც დააკომპლექტოს საავადმყოფო სათანადო კვალიფიკაციის ექიმებით და მასთან მიავლინოს ერთი თვის ვადით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ფსიქიატრიის ინსტიტუტიდან.

2. დაევალოს საქართველოს ჯანსახკომს და სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორს:

ა) ერთი კვირის განმავლობაში მოაწესრიგონ ავადმყოფობის ისტორიის სწორად გაფორმების, აღრიცხვისა და შენახვის საქმე;

ბ) შექმნას საავადმყოფოში სათანადო კომისია, რომელსაც დაევალოს გაჯანსაღებული ავადმყოფების გაწერა; აუკრძალოს ექიმ-ორდინატორებს ერთპიროვნულად ავადმყოფების გაწერა;

გ) ორი თვის განმავლობაში მოაწყონ 15-საწოლიანი ბავშვთა განყოფილება, ფიზიოთერაპიული განყოფილება და ლაბორატორია;

დ) აცნობონ ავადმყოფთა მდგომარეობის გაუარესება და სიკვდილის შემთხვევა ნათესავებს.

3. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ. ხელიძეს:

ა) 1 სექტემბრისათვის დააკომპლექტოს სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო საექიმო და მომსახურე პერსონალით; ამავე დროისათვის ადგილზევე მოაწყოს დაბალი მედპერსონალის 15-დღიანი გადასამზადებელი კურსები სამუშაოდან მოუწყვეტლივ;

ბ) უზრუნველჰყოს სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს სურ-

სათ-სანოვაგით დროულად მომარაგება და ავადმყოფთა ნორმალური კვება.

4. დაევალოს ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს გამოუყოს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთი 10 ჰექტარის რაოდენობით.

5. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს განსაკუთრებული კონტროლი გაუწიოს ფსიქიატრიული საავადმყოფოების მომარაგების საქმეს და შეუფერხებლად უზრუნველჰყოს ისინი საკვები პროდუქტებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

6. დაევალოს ჯანსახკომს ამხ. ხელიძეს ერთი თვის განმავლობაში გამოარკვიოს ქალაქ ქუთაისის, სტალინირისა და სოხუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოების და აგრეთვე თბილისის ფსიქიატრიული ინსტიტუტის მუშაობა, გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად და შედეგი ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს ა/წლის 25 სექტემბრისათვის.

7. სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს გამგეს ქაჯაიას ავადმყოფების მკურნალობის, მოვლისა და კვების საქმის ცუდად დაყენებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნას, რომ თუ უახლოეს დროში არ გაუმჯობესებს ავადმყოფების მკურნალობასა და მოვლა-პატრონობას, იგი მოხსნილ იქნება სამუშაოდან და მიცემული სამართალში.

8. საქართველოს ჯანსახკომის სამკურნალო სამმართველოს უფროსს ამხ. მინდაძეს სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 873

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

„ინტურისტის“ საქართველოს განყოფილების სასტუმრო „ორიანტის“ შენობის რემონტის შესახებ

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1944 წლის 5 ივლისს „მომდინარე წლის მეორე ნახევარში სასტუმრო „ორიანტის“ კაპიტალური რემონტის ჩატარების შესახებ“ გაცემული № 115/25-ს განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ტრესტ „თბილქალაქპროექტს“ (ამხ. თევზაძეს) ერთი დეკადის ვადაში დაამთავროს და „ინტურისტის“ საქართველოს განყოფილებას გადასცეს სასტუმრო „ორიანტის“ სანტექნიკის სისტემის კონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

2. სასტუმრო „ორიანტის“ შენობის სანტექნიკის სისტემის რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოების შესრულება დაეკისროს სამშენებლო ტრესტ „თბილმშენს“, ამასთან სამუშაოთა მთლიანად დამთავრების ვადად დაწესდეს 1945 წლის 1 იანვარი.

3. წინადადება მიეცეს „ინტურისტის“ საქართველოს განყოფილების მმართველს ამხ. ფალავანდიშვილს ა/წ 15 აგვისტოსათვის გაანთავისუფლოს მობინადრეებისაგან სასტუმროს შენობის პირველი ნახევარი და მოამზადოს იგი რემონტისათვის, ხოლო მეორე ნახევარი სარემონტოდ გაანთავისუფლოს მას შემდეგ, რაც დამთავრდება მუშაობა და საექსპლოატაციოდ გადაეცემა შენობის პირველი ნახევარი.

4. დაევალოს „ინტურისტის“ საქართველოს განყოფილების მმართველს ამხ. ფალავანდიშვილს უზრუნველჰყოს სამშენებლო მასალების გამოყოფილი ფონდების სავალდებულო რეალიზაცია და მათი გადაცემა ტრესტ „თბილმშენისათვის“ სასტუმრო „ორიანტის“ შესაკეთებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 874

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქართული კონიაკის წარმოების გადიდების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ქართული ხარისხოვანი კონიაკის გამოშვების გადიდების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუდიდდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტს ხარისხოვანი კონიაკის სპირტის დასავარგებლად შენახვის დავალება და განისაზღვროს 1945 წლის 1 იანვრისათვის შენახვის საერთო ფონდი 30 ათასი დეკალიტრი კონიაკის უწყლო სპირტის რაოდენობით.

2. დასაძველებლად კონიაკის სპირტის შენახვის დავალების შესრულების და ხარისხოვანი კონიაკის გამოშვების მიზნით, წინადადება მიეცეს შამპანური ღვინის კომბინატს (ამხ. არობელიძეს) გადასცეს სამტრესტს კონიაკის უწყლო სპირტი იმ არსებული რაოდენობიდან, რაც გამოშვებულ უნდა იქნას 1944 წლის დამლევამდე, 15,0 ათასი დეკალიტრი.

3. ნება დაერთოს სამტრესტის დირექტორს ამხ. ბაზარაშვილს, სამტრესტის თბილისის კონიაკის ქარხნის შენობის სიმცირის გამო, კონიაკის სპირტი დასაძველებლად შეინახოს გურჯაანის ღვინის ქარხანასა და ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში.

4. დაწესდეს, რომ ქართული კონიაკის გამოშვება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით:

მარკა „ოს“ დავარგებული ათი წლის კონიაკის სპირტიდან შეფასებით არანაკლებ 8,5 (ათბალიანი შეფასებისას);

მარკა „კს“ რვა წლის კონიაკის სპირტიდან შეფასებით არანაკლებ 8,2;

მარკა „ხუთი ვარსკვლავი“ დავარგებული სამი წლის კონიაკის სპირტიდან შეფასებით არანაკლებ 7,5.

მარკა „სამი ვარსკვლავი“ ახალი სპირტიდან (1-2 წლისა), მაგრამ შეფასებით არანაკლებ 7 ბალისა.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ ავჭალის კონიაკის ქარხანა, რომელიც ამჟამად შენდება, უზრუნველყოფილი არ არის ნედლეულის ბაზით, დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნას ავჭალის კონიაკის ქარხანა ნედლეულით ქარხნის მთელი სიმძლავრისათვის.

6. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს და შამპანკომბინატს—ამხ. არობელიძეს განსახილველად წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს შამპანკომბინატის 1945 წლის საწარმოო გეგმის პროექტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 875

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის შესყიდული პირუტყვის სულადობის ხორცად გადამუშავების ორგანიზაციის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან მიღებულია განკარგულება, რომლის მიხედვითაც ხორცკომბინატებს გადასამუშავებლად უნდა გადაეცეს მთელი შესყიდული პირუტყვი, რაც განკუთვნილი იყო გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის გასაგზავნად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ბერიშვილს და ტრესტ „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორას — ამხ. სტურუას:

ა) შეუდგნენ პირუტყვის მთელი იმ შესყიდული სულადობის მიღებას კოლმეურნეობებისაგან, რაც წინათ განკუთვნილი იყო გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში გასაგზავნად, და მოაწყონ მისი გაგზავნა გადასამუშავებლად სათანადო ხორცკომბინატებში იმ ანგარიშით, რომ მთელი ეს მუშაობა დამთავრდეს ა/წ 15 სექტემბრამდე;

ბ) რაიმიწგანების ზოოვეტკომისიებთან ერთად გულმოდგინედ შეარჩიონ პირუტყვის შესყიდულ სულადობიდან პროდუქტიული, ჯიშიანი, სარეპროდუქციოდ გამოსადეგი პირუტყვი, მათ შორის მოზარდეულიც, და რაიონის კოლმეურნეობებში გადასცვალონ იგი სახორცე პირუტყვზე. გადაცვლის ოპერაციები აწარმოონ პირუტყვის იმ ცოცხალი წონისა და სიმსუქნის მიხედვით, რაც აღნიშნულია

განთავისუფლებული რაიონებისათვის პირუტყვის შესყიდვის დროს დადებულ ხელშეკრულებებში.

2. დაევალოს ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს სექტემბრის დამლევამდე დაამთავროს მთელი იმ პირუტყვის გადამუშავება ხორცკომბინატებში, რაც გადაცემული იქნება ამ დადგენილების თანახმად.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და იმ რაიონების რაიაღმასკომებს, რომელთაც გაჰყიდეს პირუტყვი გერმანელთა ოკუპაციისაგან გახთავისუფლებული რაიონებისათვის:

ა) შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორისათვის განთავისუფლებულ რაიონებში გასაგზავნი პირუტყვის მიყიდვის გეგმას და მიიღონ ზომები, რათა უცილობლივ შესრულდეს პირუტყვის შესყიდვის დაწესებული გეგმა ა/წ 20 აგვისტომდე;

ბ) მოაწყონ რაიმიწგანებთან ზოოვეტკომისიები და „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორის წარმომადგენლებთან ერთად შეუდგნენ პირუტყვის შერჩევას და გადაცვლის ოპერაციებს;

გ) ერთი დეკადის განმავლობაში გამოავლინონ რაიონის კოლმეურნეობებში იმ პირუტყვის რაოდენობა, რაც დაწუნებულ უნდა იქნას, აგრეთვე ინსტრუქციის შესაბამისად შეარჩიონ ტუბერკულოზით და ბრუცელოზით დაავადებული პირუტყვი გადასაცვლელად და მოაწყონ პირუტყვის გადაცვლა „ზაგოტსკოტის“ მიერ შესყიდულ ხარისხოვან პროდუქტიულ პირუტყვზე.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მიწსახკომს დააწესონ ხუთდღიურ ანგარიშგება გადაცვლის ოპერაციების მიმდინარეობის, ტრესტ „ზაგოტსკოტის“ მიერ პირუტყვის მიღებისა და ხორცკომბინატებში მისი გაგზავნის შესახებ.

5. დაევალოს ტრესტ „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორას პირუტყვის გარეკა მიღების პუნქტებიდან ხორცკომბინატებამდე აწარმოოს ფეხდაფეხ იმ ვეტერინარული პირობების სრულად დაცვით, რაც საჭიროა პირუტყვის გარეკის დროს.

6. დაევალოს რაიაღმასკომებს გამოუყონ „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორას საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები მენახირეებად პირუტყვის გასარეკად ხორცკომბინატებამდე.

მენახირე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება დაეკისროს ტრესტ „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორას.

7. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და თბილისის წყალსადენის ტრესტს

უზრუნველჰყონ წყლის შეუფერხებლივ მიწოდება თბილისის ხორც-კომბინატისათვის თბილისის საბჭოს მიერ დაწესებული გრაფიკის მიხედვით.

8. წინადადება მიეცეს საქკონსერვხილტრესტის მმართველს ამხ. წოკლაურს გამოუყოს ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს სამტრედიის მაცივარში სათანადო ტევადობა 50 ტონამდე ხორცის შესანახად.

9. დაევალოს ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილს და ს. გ. ხოშტარიას თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 876

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

შეშის მომარაგებისა და შეშის გადასაზიდად საჭირო ვაგონების განაწილების 1944 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 8 ივლისს „შეშის მომარაგებისა და შეშის გადასაზიდად საჭირო ვაგონების განაწილების 1944 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ" მიღებული № 838 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სარეალიზაციო შეშის რესურსები და მომხმარებელთა შეშით მომარაგების გეგმა 1944 წლის III კვარტალისათვის 162,9 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით, აქედან ძირითადი მიმწოდებლები—46 ათასი კუბ. მეტრი, ძირითადი თვითდამამზადებლები—58 ათასი კუბ. მეტრი და ადგილობრივი დამამზადებლები და თვითდამამზადებლები—58,9 ათასი კუბ. მეტრი, რაც განაწილდეს შეშის ცალკეულ დამამზადებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა მიხედვით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დამტკიცდეს 1944 წლის III კვარტალისათვის ქალაქ თბილისში შეშის შემოზიდვის გეგმა 41,5 ათასი კუბ. მეტის რაოდენობით № 2 დანართის თანახმად.

3. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ

„გლავსნაბლესის“ საქართველოს სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს, თბილისის საქალაქო სათბობი ტრესტის მმართველს ამხ. ბუაძეს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს, საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯგბაშვილს, ბათუმის საქალაქო სათბობ განყოფილებას, ხობის და ცხაკაიას რაიაღმასკომებისა და ფოთის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატებს:

ა) სამი დღის განმავლობაში მიამაგრონ შეშის მომხმარებლები მიმწოდებლებს და მისცენ მათ შეშის მისაღები განრიგები დამტკიცებული ფონდების ფარგლებში;

ბ) პირველ რიგში უზრუნველჰყონ შეშით გამოყოფილი ფონდების ფარგლებში საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, საბავშვო ბაგები, საავადმყოფოები და ევაკოჰოსპიტლები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები შეშის დამზადებისა და შეშის მომარაგების 1944 წლის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) მისცეს ახალქალაქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ბაკურიანის საკურორტო-სატყეო მეურნეობის თორის სატყეო აგარაკიდან 80 კუბ. მეტრი შეშა, რაც მაქნისი ხე-ტყის დამზადების შემდეგ არის დარჩენილი.

5. დამტკიცდეს შეშის გადასაზიდად ვაგონების განაწილების 1944 წლის III კვარტალის გეგმა, № 3 დანართის თანახმად.

დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს ამხ. ტაბატაძეს:

ა) უზრუნველჰყოს ცარიელი ვაგონების თავის დროზე მიწოდება შეშის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის შეშის გადაზიდვის 1944 წლის III კვარტალის გეგმის უცილობრივ შესასრულებლად;

ბ) სამი დღის განმავლობაში შეამოწმოს, თუ რამდენი შეშა აქვთ შეშის დამამზადებელ ორგანიზაციებს რკინიგზის გასაგზავნ პუნქტებში, მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ აუცილებლად განიტვირთოს 1944 წლის III კვარტალში აღნიშნული გასაგზავნი პუნქტები და დააჩქაროს შეშის შემოტანა ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსები

1944 წლის III კვარტალში სარეალიზაციო შეშისა

(სასაწყობო კუბ. მეტრობით)

ძირითად ჩამბარებელთა ხაზით

საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი	36000
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავტყემომარაგება	10000
სულ	46000

ძირითად თვითდამამზადებელთა ხაზით

შინსახკომი—გზატკეცილების სამმართველო	1000
თავდაცვის სახ. კომისარიატი—ა/კ-ის ფრონტის საბინაო საექსპლოატაციო განყოფილება	5C000
სსრ კავშირის შინსახკომი—სანაპირო ჯარის სამმართველო	5000
მთავსამხმრეწვმშენი	1000
შინსახკომი — შრომაგასწორების კოლონიების განყოფილება	1000
სულ ძირითად თვითდამამზადებელთა ხაზით .	58000

ადგილობრივ დამამზადებელთა და თვითდამამზადებელთა ხაზით

თბილსათბობი	13000
საქსარეწტყეკავშირი	8510
საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო	12040
ბათსათბობი	3300
ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი	2100
ცხაკაიას „ „ „	2450
ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატი	2000
ქუთაისის „ „ „	3500
სარეწაო კავშირი „ „	1000
საქ. სსრ კომუნ. მეურნეობის სახ. კომისარიატი . . .	1800
საქართველოს ჩაის ტრესტი	1000

საქეთერმრეწვზეთტრესტი	350
ფოთის სავაჭრო ფლოტი	350
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	350
საქაბრეშუმტრესტი	700
მთავარი საგზაო სამმართველო	1000
ცეკავშირი	1000
„კავსტროიმატერიალი“	450
მშენებლობა № 165 ტ	1000
რაჭის დარიშხანა	700
ცანის დარიშხანა	1300
„კარობირედმეტი“	1000
სულ ადგილობრივ დამამზადებელთა და თვითდამამზადებელთა ხაზით	58900
სულ შეშის რესურსები III კვარტალისათვის საქართველოს სსრ-ში	162900

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

შეშის ჩაბარებისა 1944 წლის III კვარ

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		აქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
თავდაცვის სახალხო კომისარიატი								
ა/კ-ის ფრონტის სანინაოსაექსპლოატაციო განყოფილება	250	—	—	—	—	—	—	—
თავდაცვის სახალხო კომისარიატი—ბრონსატანკო ქარხანა № 66 .	100	100	—	—	—	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი — შავი ზღვის ფლოტის ტოპგანყოფილება	3000	—	—	—	—	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი—ნახიმოვის სასწავლებელი	100	100	—	—	—	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი — ჰოსპიტალი № 2454	200	200	—	—	—	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი—გემთსაშენი .	—	—	—	—	—	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი — შავი ზღვის ფლოტის საარტილერიო-სარემონტო ქარხანა	—	—	—	—	—	—	—	—
შინსახკომი—ჯარის მომარაგების საოლქო სამმართველო	2000	400	300	—	—	—	300	—
შინსახკომი — სამეურნეო სამმართველო	500	500	—	—	—	—	—	—

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/VIII
№ 876 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ ა

ტალიხათვის საქართველოს სსრ-ში

ბელთა დასახელება

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ზობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		ზადებლები		სულ	
ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის ც/	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	750	—	50000	—	51000	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
200	—	—	—	300	—	1000 [1]	—	—	—	4500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	200
—	—	—	—	200	—	—	—	—	—	200	—
—	—	100	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	1000 [2]	—	5000	—	8600	400
—	—	—	—	—	—	300	—	—	—	800	500

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბილი		ბათუმათბილი	
	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
შინსახკომი—სპეცსაჭრობა	200	200	—	—	—	—	—	—
შინსახკომი—გზატკეცილების სამმართველო . .	150	—	—	—	—	—	—	—
შინსახკომი—შრომაგასწორების ბანაკებისა და კოლონიების სამმართველო	300	250	—	—	—	—	—	—
შინსახკომი--საავიაროდრომო მშენებლობის სამმართველო	—	—	50	—	—	—	—	—
საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი . . .	750	400	—	—	—	—	—	—
„გლავვოენსტრომი“ .	—	—	—	—	—	—	—	—
„ზაკვოენსტროი“	300	100	100	—	—	—	—	—
გემთსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ფოთის ქარხანა № 201	700	—	—	—	—	—	—	—
გემთსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი — ბათუმის ქარხანა № 201	300	—	—	—	—	—	—	—
საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი —ქარხანა № 31 .	500	500	—	—	—	—	—	—
საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი —თბილისის ავიატექნიკუში	70	70	—	—	—	—	—	—
საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი —ქუთაისის ავიატექნიკუში	30	—	—	—	—	—	—	—
სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სამმართველოს საქტექსამმართველო	150	150	—	—	—	—	—	—
ჯანსახკომი—ევაკოჰოსპიტლებისათვის . . .	1300	1000	800	—	—	—	200	—
პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო—ევაკოჰოსპიტლებისათვის .	300	—	—	—	—	—	—	—

ბელთა დასახელება

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ზობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ საბჭომსახურების არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამზადებლები		სულ	
ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის ც/ფ	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის ც/ფ	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის ც/ფ	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის ც/ფ	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის ც/ფ	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის ც/ფ
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	200
—	—	—	—	—	—	200	—	1000	—	1350	—
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1300	250
—	—	100	—	—	—	—	—	—	—	150	—
—	—	—	—	—	—	250	—	—	—	1000	400
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1000	—
300	—	—	—	—	—	—	—	—	—	700	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	700	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	70	70
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	150	150
—	—	1000	—	500	—	500	—	—	—	4300	1000
—	—	300	—	—	—	700	—	—	—	1300	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ს/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ს/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ს/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ს/ვ ს	აქედან თბილისისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებული	300	300	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი — ამიერკავკასიის რკინიგზა	7000	4550	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი	200	200	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—თბილისის სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	900	900	100	100	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—ორთქლმავალ-ვაგონსარემოტო ქარხნის მშენებლობა № 3	100	100	100	100	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—„კავსტროიმატერიალი“	—	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი — მშენებლობა № 153	400	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი — მშენებლობა № 165	300	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—ელექტროტექნიკური ქარხანა . . .	50	50	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—სალიანდაგო-სარემონტო ქარხანა № 9	50	50	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი — მშენებლობა № 165	—	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი — „ცუკკლდორსტროი“—ხიდის მშენებლობა № 44	—	—	—	—	—	—	—	—
რკინიგზელთა პროფკავშირი—საბავშვო მოედანი	30	30	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		სულ	
ს/ფ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	300
—	—	200	—	300	—	—	—	—	—	7500	4550
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1000	1000
—	—	100	100	—	—	—	—	—	—	300	300
—	—	—	—	—	—	—	—	450	200	450	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	400	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1000	—
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბობა		ბათსათბობი	
	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
აქ-ის რკინიგზის მუშათა საგზაო კომიტეტი—საბავშვო მოედანი . .	10	10	—	—	—	—	—	—
რკინიგზელთა პროფკავშირი—პიონერბანაკი .	30	30	—	—	—	—	—	—
ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატი—ქარხანა № 712 . . .	500	500	—	—	—	—	—	—
ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატი—ქარხანა № 173 . . .	50	50	50	50	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატი—საქენერგო	60	30	—	—	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატი—საქენერგოს მუშათა მომარაგების სამმართველო	30	30	—	—	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატი—ბრამჰესშენი	50	50	—	—	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატი—გასამზედროებული დაცვა	40	40	—	—	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატი—ჰიდროენერგოპროექტი	—	—	—	—	—	—	—	—
ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატი—საქნახშირგამოკვლევა	—	—	—	—	10	10	—	—
ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ტყიბულქვანახშირი	—	—	100	—	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატი—საქნავთი	50	50	—	—	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატი—„სოიუზნეფტეპროვოდი“	50	—	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		ს უ ლ	
ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის ჯ/	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის ჯ/	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის ჯ/	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის ჯ/	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის ჯ/	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის ჯ/
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	80	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	500
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	40	40
50	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ სსრ საბ. კომსაბჭოსთან არს. მთავტყემომომარაგება		საქსარგწყტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისის თვის	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისის თვის	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისის თვის	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისის თვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
ნავთის მრეწველობის საბალხო კომისარიატი—თბილისის ნავთის ტექნიკუმი	—	—	30	30	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის საბალხო კომისარიატი—საქგუმბრინი	—	—	50	—	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის საბალხო კომისარიატი—გასამხედროებული დაცვა № 108	—	—	30	50	—	—	—	—
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი — ზესტაფონის ფეროშარხანა	400	—	—	—	—	—	—	—
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—ჰიათურმარგანეცი . . .	460	—	—	—	—	—	—	—
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი „სნაბჩერმეტის“ თბილკანტორა	—	—	100	100	—	—	—	—
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი — „გლავტორჩერმეტი“	—	—	—	—	10	10	—	—
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი — „გლავმეტალსბიტი“	—	—	20	20	—	—	—	—
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—„სოიუზპრომმეტიზბიტი“	—	—	—	—	10	10	—	—
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—„კოროობირედმეტი“ .	—	—	—	—	—	—	—	—
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—საქფერადლითონგამოკვლევა	—	—	—	—	10	10	—	—
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—„ვტორცვეტმეტის“ საქკანტორა	10	10	—	—	10	10	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელთა დასახელება

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ზობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		სულ	
ც/ფ ს	აქედან თბილისთვის ც/	ც/ფ ს	აქედან თბილისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	400	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	460	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1000	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახ. კომისაბჭოსთან არს. მთავტყემომომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბოში		ბათსათბოში	
	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისათვის	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისათვის	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისათვის	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი —„ავეტმეტსბიტი“ .	—	—	—	—	10	10	—	—
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—საპოჭრო	20	20	—	—	—	—	—	—
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი—სპილენძსაგლინი ქარხანა	—	—	10	10	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატი —რაჭის დარიშხანა	—	—	—	—	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ცანის დარიშხანა . .	—	—	—	—	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა	—	—	30	—	—	—	—	—
დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატი—კიროვის სახ. ქარხანა	100	100	—	—	—	—	—	—
დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატი—ქარხანა „ცენტროლიტი“	100	100	—	—	—	—	—	—
დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატი—„სტანკოსნაბის“ თბილკანტორა	—	—	—	—	20	20	—	—
სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი—სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო . . .	1600	150	50	50	—	—	—	—
სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი—კასპის ცემენტის ქარხანა . .	50	—	—	—	—	—	—	—

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამზადებლები		სულ	
ც/ს ფ	აქედან თბილისათვის	ც/ს ფ	აქედან თბილისათვის	ც/ს ფ	აქედან თბილისათვის	ც/ს ფ	აქედან თბილისათვის	ც/ს ფ	აქედან თბილისათვის	ც/ს ფ	აქედან თბილისათვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	700	—	700	—
—	—	—	—	—	—	—	—	1300	—	1300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	350	—	2000	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ც/ფუთ	აქედან თბილისათვის	ც/ფუთ	აქედან თბილისათვის	ც/ფუთ	აქედან თბილისათვის	ც/ფუთ	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი—ბათუმის სავაჭრო პორტი	1800	—	—	—	—	—	—	—
საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი—ფოთის სავაჭრო პორტი	—	—	—	—	—	—	—	—
მშენებლობის სახალხო კომისარიატი — „ჩერნომორტეხფლოტი“	50	—	—	—	—	—	—	—
მშენებლობის სახალხო კომისარიატი—„ზაკმეტალურგსტროი“	200	200	500	500	—	—	—	—
მეტალურგიული ქარხანა	50	50	—	—	—	—	—	—
განსაკუთრებული სამშენებლო სამონტაჟო სამართველო — 5	—	—	100	100	—	—	—	—
განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილი—56	—	—	100	100	—	—	100	—
განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილი—104	—	—	—	—	20	20	—	—
განსაკუთრებული საპროექტო-სამონტაჟო სამართველო—35	—	—	100	100	—	—	—	—
განსაკუთრებული სამშენებლო სამმართველო—№ 1, განსაკუთრებული სამშენებლო - სამონტაჟო ნაწილი—35	—	—	100	100	—	—	—	—
„ვლავსტროისნაბის“ თბილკანტორა	—	—	—	—	10	10	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი	200	200	—	—	—	—	50	—
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი—ტრიკოტაჟკომბინატი	—	—	—	—	100	100[3]	—	—
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი—საქტრიკოტაჟის ფაბრიკა	—	—	—	—	60	60	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ზობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		ს უ ლ	
ც/ს უ ლ	აქედან თბილისისთვის	ც/ს უ ლ	აქედან თბილისისთვის	ც/ს უ ლ	აქედან თბილისისთვის	ც/ს უ ლ	აქედან თბილისისთვის	ც/ს უ ლ	აქედან თბილისისთვის	ც/ს უ ლ	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
200	—	—	—	—	—	—	—	—	—	2000	—
—	—	—	—	—	—	—	—	350	—	350	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	700	700
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	250	150	—	—	—	—	500	350
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავარტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბოები		ბათისათბოები	
	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
სარ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი—ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკა	—	—	—	—	100	100	—	—
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი—„სოიუზგლავლეგსბიტის“ საქკანტორა	—	—	30	30	—	—	—	—
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი – თბილისის ტყავ-ფაგარის ბაზა . .	—	—	10	10	—	—	—	—
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი—„სოიუზუტილის“ ფაბრიკა . .	100	100	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ საფეიერო მრეწველობის საბალხო კომისარიატი	390	210	—	—	—	—	—	—
აქედან—საბავშვო ბაღებს	140	—	—	—	—	—	—	—
თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი	10	10	—	—	—	—	—	—
„გლავტექსტ•ლსბიტის“ საქბაზა	—	—	—	—	20	20	—	—
საქაბრეშუმტრესტი . . .	—	—	—	—	—	—	—	—
მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი	—	—	—	—	20	20	—	—
საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი	450	450	200	—	—	—	—	—
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი—საქკონსერვტრესტი	100	—	—	—	—	—	—	—
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი—აგარის შაქრის ქარხანა	800	—	—	—	—	—	—	—
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი—საქჩაი . .	50	50	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამზადებლები		სულ	
ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
150	50	100	50	250	150	160	—	—	—	1000	460
—	—	—	—	—	—	160	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
40	—	60	—	80	—	—	—	700	—	880	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	150	—	—	—	800	450
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	800	—
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1050	50

შუშის მომხმარებელთა დასახელება	შუშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი—საქთამბაქნედლეული	50	50	100	—	—	—	—	—
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი—შამპანკომბინატი	—	—	30	30	—	—	—	—
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი—ლიქიორ-არყის ქარხანა . . .	—	—	—	—	20	20	—	—
საქ. სსრ ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატი	1500	300	200	100	—	—	—	—
საქ. სსრ ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატი—ფოთის მაცივარი	—	—	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატი—თბილისის მაცივარი	260	260	—	—	—	—	—	—
დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქ. სსრ-ში	50	50	—	—	—	—	—	—
დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო— თბილწისქვილკომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილება . . .	50	50	—	—	—	—	—	—
დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო—თბილწისქვილკომბინატი .	—	—	100	100	—	—	—	—
დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო—ფოთის წისქვილკომბინატი .	—	—	—	—	—	—	—	—
გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმარ-								

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სარეწველო კომბინატი		ცხაკაიას სარეწველო კომბინატი		ხობის სარეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამადებები		სულ	
ც/ფ	აქედან თბილისთვის	ც/ფ	აქედან თბილისთვის	ც/ფ	აქედან თბილისთვის	ც/ფ	აქედან თბილისთვის	ც/ფ	აქედან თბილისთვის	ც/ფ	აქედან თბილისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	150	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1700	400
40	—	—	—	—	—	—	—	—	—	40	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	260	260
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
60	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	—

შუშის მომხმარებელთა დასახელება	შუშის ჩამბარე							
	საქ. სსრ საბჭომთან არს. მთავტყემმარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ჯ/ვ ს	აქედან თბილსათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილსათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილსათვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილსათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
თველო—კარტოგრაფიული ფაბრიკა № 8	20	20	—	—	—	—	—	—
გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო — თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი	—	—	100	100	—	—	—	—
საქ. სსრ მიწსახკომი—ბერიას სახ. სასოფლოსამეურნ. ინსტიტუტი	150	150	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ მიწსახკომი—ზოოვეტინსტიტუტი . .	100	100	—	—	—	—	—	—
მიწსახკომი—საქსოფლელექტრო	—	—	—	—	30	30	—	—
მიწსახკომი—თესლკანტორა „ვეტბაკლაბორატორია	—	—	—	—	10	10	—	—
მიწსახკომი— თბილისის აგრომეტეოროლოგიური სადგური	—	—	—	—	20	20	—	—
მიწსახკომი—ლიმანტრესტი	—	—	—	—	10	10	—	—
მიწსახკომი— ვეტსაცდელი სადგური	30	30	—	—	—	—	—	—
მიწსახკომი—აფხაზეთის საკარანტინო ინსპექცია	—	—	—	—	30	30	—	—
საქ. სსრ ჯანსახკომი—სამკურნალო—საავადმყოფო ქსელისა და საბავშვო ბაგებისათვის .	1770	1500	400	—	—	—	200	—
აქედან—სამხანსამმართველოს სახლს აბასთუმანში	—	—	—	—	—	—	—	—
აქედან—საბავშვო ბაგებს საზაფხულო პერიოდისათვის	—	—	—	—	—	—	—	—
აქედან – თბილისის საჭიროებისათვის	1500	—	—	—	—	—	—	—
აქედან—ქუთაისის საჭიროებისათვის	100	—	100	—	—	—	—	—
აქედან—ფოთის საჭიროებისათვის	—	—	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		სულ	
ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის	ც/ფ ს	აქედან თბილისათვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	150	150
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	100	—
100	—	—	—	—	—	450	—	—	—	2920	1500
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	400	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბობა		ბათსათბობი	
	ც/ხ	აქედან თბილისათვის	ც/ხ	აქედან თბილისათვის	ც/ხ	აქედან თბილისათვის	ც/ხ	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
აქედან—ბათუმის საჭიროებისათვის	—	—	—	—	—	—	200	—
აქედან—სოხუმის საჭიროებისათვის	—	—	200	—	—	—	—	—
აქედან—სხვა რაიონების საჭიროებისათვის	170	—	100	—	—	—	—	—
საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი	50	50	50	50	—	—	—	—
საქ. სსრ განსახკომი—სკოლებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა, სამაგშვო ბაღებისა, პიონერბანაკებისა და სხვ. საჭიროებისათვის	1200	1200	700	200	800	800	450	—
აქედან—სამაგშვო ბაღებს საზაფხულო პერიოდისათვის	—	—	—	—	—	—	80	—
„ —პიონერბანაკებს	—	—	—	—	—	—	70	—
„ —სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტს	200	200	—	—	—	—	—	—
„ —პუშკინის სახ. ინსტიტუტს	—	—	100	100	—	—	—	—
„ —კოჯრის სამაგშვო სახლებს	600	600	—	—	500	500	—	—
„ —სხვა სამაგშვო სახლებს	400	400	100	—	100	100	—	—
აქედან: ქ. ჭუთაისისათვის	—	—	200	—	—	—	—	—
„ ქ. სოხუმისათვის	—	—	200	—	—	—	—	—
„ ქ. ბათუმისათვის	—	—	—	—	—	—	300	—
„ ქ. ფოთისათვის	—	—	—	—	—	—	—	—
„ სხვა საჭიროებისათვის	—	—	100	100	200	200	—	—
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი	—	—	—	—	100	100	—	—
აქედან: სამაგშვო სახლებს საზაფხულო პერიოდისათვის	—	—	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატი	—	—	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები			
ჯ/ჯ ს	აქედან თბილისათვის ჯ/ჯ	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისათვის ჯ/ჯ	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისათვის ჯ/ჯ	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისათვის ჯ/ჯ	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისათვის ჯ/ჯ	ჯ/ჯ ს	აქედან თბილისათვის ჯ/ჯ
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	150	100
100	—	—	—	—	—	600	—	—	—	3850	2200
—	—	—	—	—	—	435	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	135	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	220	220	50	—	—	—	370	320
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	1800	—	1800	—

შეშის ჩამბარე

შეშის მომხმარებელთა დასახელება	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავმყიდმარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისთბობა		ბათსთბობა	
	ს/ვ ს	აქედან თბილისთვის	ს/ვ ს	აქედან თბილისთვის	ს/ვ ს	აქედან თბილისთვის	ს/ვ ს	აქედან თბილისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატი	120	—	200	200	—	—	—	—
აქედან — ცხაკაიას საინვალიდო სახლს	—	—	—	—	—	—	—	—
„ —მცხეთის საინვალიდო სახლს	60	—	—	—	—	—	—	—
„ —წითელქალაქის საინვალიდო სახლს	60	—	—	—	—	—	—	—
„ —მანგლისის საინვალიდო სახლს	—	—	—	—	—	—	—	—
სამრეწველო დამზღვევი სალარო—საბავშვო სახლებსა და პიონერბანაკებს	—	—	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი	1150	1100	500	400	—	—	—	—
ცეკავშირი	60	30	—	—	—	—	—	—
ექსპერიმენტალური მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი	—	—	—	—	—	—	—	—
„ირენსოვტრანსი“	20	20	—	—	—	—	—	—
სარეწაო კავშირი	300	200	100	100[1]	—	—	—	—
ინკოოპკავშირი	—	—	—	—	50	50	—	—
შრომითი რეზერვების სამმართველო	200	150	100	100	150	150	—	—
საქ. სსრ ფინსახკომი და საფინანსო ტექნიკუმი	50	50	—	—	30	30	—	—
სახდაზღვევის სამმართველო	—	—	—	—	10	10	—	—
საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა ფეხურნეობების ტრესტი	—	—	20	20	—	—	—	—
საქეთერზეთტრესტი	30	30	—	—	20	20	—	—
ელექტრიკოსთა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო საკვლევო ტექნიკური საზოგადოება	—	—	—	—	10	10	—	—
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია	200	200	50	50	—	—	—	—
საქართველოს მუზეუმი	—	—	—	—	80	80	—	—
თბილისის ობსერვატორია	30	30	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სარეწველო კომბინატი		ცხაკაიას სარეწველო კომბინატი		ხობის სარეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თევითდამზადებები			
ც/ნ ა	აქედან თბილისისთვის	ც/ნ ა	აქედან თბილისისთვის	ც/ნ ა	აქედან თბილისისთვის	ც/ნ ა	აქედან თბილისისთვის	ც/ნ ა	აქედან თბილისისთვის	ც/ნ ა	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	60	—	—	—	150	—	—	—	530	200
—	—	60	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	150	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	60	—	—	—	60	—
—	—	—	—	—	—	200	—	—	—	1850	1500
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1060	30
—	—	—	—	—	—	300	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	—
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1400	300
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	450	400
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	80	80
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	30	—	—	—	—	—	350	—	430	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	350	250
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	80	80
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ც/ფ ხ	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ხ	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ხ	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ხ	აქედან თბილისისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი	100	100	—	—	150	150	—	—
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტკურსები	30	30	30	30	30	30	—	—
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი	20	20	—	—	10	10	—	—
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტი . .	—	—	—	—	10	10	—	—
„გლაჭრიბსბიტის“ საქკანტორა	100	—	—	—	—	—	—	—
საქთევზტრესტი	500	—	—	—	—	—	—	—
კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული . . .	—	—	100	50	—	—	—	—
კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამართველოს მუშათა მომარაგების განყოფილება	—	—	100	100	—	—	—	—
კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი . .	60	60	—	—	—	—	—	—
ინტურისტი	—	—	—	—	20	20	—	—
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი	—	—	—	—	30	30	—	—
ლენინის მუზეუმი	—	—	—	—	20	20	—	—
„კომუნისტის“ გამომცემლობა და სტამბა . .	60	60	—	—	50	50	—	—
„ზარია ვოსტოკას“ სტამბა	—	—	—	—	60	60	—	—
საქ. სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობა	100	100	—	—	50	50	—	—
საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველობა	50	50	—	—	—	—	—	—
მთავრობის სახლის მმართველობა	30	30	30	30	30	30	—	—
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო	100	100	—	—	100	100	—	—
აქედან: მხატვრულ ნაწარმოთა ტრესტს	20	20	—	—	—	—	—	—
ფიზკულტურის საქმეთა სამმართველო	20	20	—	—	10	10	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		სულ	
ც/ს ფ	აქედან თბილისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისთვის	ც/ს ფ	აქედან თბილისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	250	250
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	90	90
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	110	110
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	150	150
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	90	90
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30

შეშის მომზმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ საბჭოსთან არს. მთავრობა		საქსარეწყ-ტყეკავშირი		თბილისათბრობა		ბათისათბრობი	
	ს/ს წ	აქედან თბილისათვის	ს/ს წ	აქედან თბილისათვის	ს/ს წ	აქედან თბილისათვის	ს/ს წ	აქედან თბილისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
წონა-ზომის ხელსაწყოთა კომიტეტი	—	—	—	—	20	20	—	—
„გლავკინოპროკატის“ კანტორა	—	—	—	—	10	10	—	—
კინოსტუდია	100	100	—	—	10	10	—	—
კინოსტუდიის მუშათა მომარაგების განყოფილება	230	230	—	—	—	—	—	—
კინოფიკაცია	150	150	—	—	50	50	—	—
გორის სახელმწიფო თეატრი	30	—	—	—	—	—	—	—
სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო	60	60	100	—	—	—	—	—
თბილისის აეროპორტი	—	—	—	—	30	30	—	—
საქკოოპბანკი	10	10	—	—	—	—	—	—
სახბანკის საქკანტორა	10	10	—	—	—	—	—	—
ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი	—	—	—	—	10	10	—	—
საქართველოს გეოლოგიური სამმართველო	—	—	—	—	10	10	—	—
თბილისის სამშენებლო ტექნიკუმი	—	—	—	—	30	30	—	—
ფოთის საქალაქო საბჭო	—	—	—	—	—	—	—	—
ჭუთაისის საქალაქო საბჭო	—	—	—	—	—	—	—	—
სამტრედიის რაიაღმასკომი	400	—	—	—	—	—	—	—
ცხაკაიას რაიაღმასკომი	—	—	—	—	—	—	—	—
გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“	20	20	—	—	—	—	—	—
გორის რაიაღმასკომი და საქალაქო საბჭო	—	—	—	—	—	—	—	—
მახარაძის საქალაქო საბჭო	100	—	—	—	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ საკომსაბჭო	2000	—	1000	—	—	—	—	—
საქართველოს სამხედრო კომისარიატი—რაიონული სამხედრო კომისარიატების გათვალისწინებით	150	150	—	—	—	—	—	—
რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატი და პროკურატურა	30	30	—	—	—	—	—	—

ბელთა დასახელება

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ საბჭომთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები			
ჭ/ს ჯ	აქედან თბილისისთვის	ჭ/ს ჯ	აქედან თბილისისთვის	ჭ/ს ჯ	აქედან თბილისისთვის	ჭ/ს ჯ	აქედან თბილისისთვის	ჭ/ს ჯ	აქედან თბილისისთვის	ჭ/ს ჯ	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	110	110
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	230	230
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	160	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
500	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	—
—	—	—	—	—	—	—	—	3500	—	3500	—
310	—	—	—	—	—	—	—	—	—	710	—
—	—	300	—	—	—	—	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	100	—	—	—	600	—	—	—	700	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	2800	—	—	—	5800	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	150	150
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემომარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბილი		ბათისათბილი	
	ჯ/ვა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ვა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ვა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ვა ს	აქედან თბილისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
საკურორტო სამმართველო —ახტალა . . .	60	—	—	—	—	—	—	—
საკურორტო სამმართველო —მენჯი . . .	100	—	—	—	—	—	—	—
საკურორტო სამმართველო —აფხაზეთი . .	—	—	—	—	—	—	—	—
საკურორტო სამმართველო —წყალტუბო . . .	100	—	—	—	—	—	—	—
საკურორტო სამმართველო —ბორჯომი . . .	—	—	—	—	—	—	—	—
საკურორტო სამმართველო აბასთუმანი . . .	—	—	—	—	—	—	—	—
მთავარი საგზაო სამმართველო	—	—	—	—	—	—	—	—
აჭარის ასსრ სახკომსაბჭო	—	—	—	—	—	—	2000	—
თბილისის საქალაქო საბჭო	—	—	—	—	5000	5000	—	—
აქედან: სახალხო განათლების თბილისის განყოფილებისა და სახალხო განათლების ყველა რაიგანყოფილების საბავშვო მოედნებს	—	—	—	—	700	700	—	—
ზესტაფონისა და არგვეთის შამპანკომბინატი . .	100	—	—	—	—	—	—	—
წვრილი ბითუმი	600	600	—	—	1400	1400	—	—
მიყიდვა ქ. თბილისის მოსახლეობისათვის . .	3000	3000	1400	1400	4000	4000	—	—
ქ. ჭუთაისის მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის	300	—	—	—	—	—	—	—
ქ. გორის მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის	300	—	—	—	—	—	—	—
ქ. ზესტაფონის მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის	200	—	—	—	—	—	—	—
ინგურკომბინატი . . .	200	—	—	—	—	—	—	—
რეზერვი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სამმართველოსათვის	750	—	—	—	—	—	—	—
ცემი საბავშვო ტუბსანატორიუმი	—	—	—	—	—	—	—	—

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ზობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამამზადებლები		სულ	
ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის	ც/ფ ს	აქედან თბილისისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	200	—	—	—	200	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	60	—	—	—	60	—
—	—	—	—	—	—	150[5]	—	—	—	150	—
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1000	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2000	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5000	5000
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2000	2000
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	8400	8400
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	750	—
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	100	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. მთავტყემოგარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბობა		ბათსათბრბ	
	ს/ წ ო	აქედან თბილისთვის	ს/ წ ო	აქედან თბილისთვის	ს/ წ ო	აქედან თბილისთვის	ს/ წ ო	აქედან თბილისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
XVII პარტყრილობის სახ. სანატორიუმი	—	—	—	—	—	—	—	—
აბასთუნის ტუბინსტიტუტი	—	—	—	—	—	—	—	—
ბაკურიანის საბავშვო სანატორიუმი	—	—	—	—	—	—	—	—
ახალდაბის საბავშვო სანატორიუმი	—	—	—	—	—	—	—	—
ქვიშხეთის პიონერბანაკი .	—	—	—	—	—	—	—	—
თბილისაჯეგეტრესტი—ფასანაური	—	—	—	—	—	—	—	—
ბაკურიანის მემხეცეობის საბჭოთა მეურნეობა . .	—	—	—	—	—	—	—	—
ბორჯომინწყალი	—	—	—	—	—	—	—	—
ქალაქის ჯანდაცვის წყნეთის საბავშვო სანატორიუმი	—	—	—	—	—	—	—	—
შინსაკომის მანგლისის საბავშვო სანატორიუმი	—	—	—	—	—	—	—	—
პიონერთა სასახლე—საბავშვო მოედნებისათვის	—	—	—	—	30	30	—	—
პიონერთა სასახლე—პიონერბანაკისათვის . .	—	—	—	—	10	10	—	—
ხელოვნების მუშაკთა კავშირი—საბავშვო მოედნისათვის	20	20	—	—	—	—	—	—
ხელოვნების მუშაკთა კავშირი—პიონერბანაკისათვის	—	—	—	—	—	—	—	—
მეფეხსაცმელეთა კავშირი—საბავშვო მოედნისათვის	—	—	—	—	20	20	—	—
მეფეხსაცმელეთა კავშირი—პიონერბანაკისათვის . .	—	—	—	—	—	—	—	—
უმაღლესი სკოლების მუშაკთა კავშირი—საბავშვო მოედნისათვის	—	—	—	—	20	20	—	—
დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირი—პიონერბანაკისათვის . . .	—	—	—	—	—	—	—	—
აბრეშუმმრეწველობის მუშაკთა კავშირი—პიონერბანაკისათვის . .	—	—	—	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელთა დასახელება

ფოთის სარეწველო კომბინატი		ცხაკაიას სარეწველო კომბინატი		ზობის სარეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამადებლები		სულ	
ც/ს ფ	აქედან თბილისის ც/	ც/ს ფ	აქედან თბილისის ც/	ც/ს ფ	აქედან თბილისის ც/	ც/ს ფ	აქედან თბილისის ც/	ც/ს ფ	აქედან თბილისის ც/	ც/ს ფ	აქედან თბილისის ც/
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	150	—	—	—	150	—
—	—	—	—	—	—	200	—	—	—	200	—
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	20	—	—	—	20	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	70	—	—	—	70	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	შეშის ჩამბარე							
	საქ. სსრ საბჭომთან არს. მთავმარაგება		საქსარეწტყეკავშირი		თბილისათბობა		ბათსათბობი	
	ს/ფ ს ვ ი	აქედან თბილისთვის	ს/ფ ს ვ ი	აქედან თბილისთვის	ს/ფ ს ვ ი	აქედან თბილისთვის	ს/ფ ს ვ ი	აქედან თბილისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა კავშირი—პიონერბანაკისათვის . .	—	—	—	—	—	—	—	—
კომუნალურ-საბინაო მშენებლობის მუშაკთა კავშირი—პიონერბანაკისათვის	—	—	—	—	—	—	—	—
პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ჰოსპიტლების სამმართველო—პიონერბანაკისათვის	—	—	—	—	—	—	—	—
ქუთაისის შუშატარის ქარხანა	100	—	—	—	—	—	—	—
სულ საქართველოს სსრ-ში	46000	23060	8510	4490	13000	13000	3300	—

ბელთა დასახელება

ფოთის სამრეწველო კომბინატი		ცხაკაიას სამრეწველო კომბინატი		ხობის სამრეწველო კომბინატი		საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო		თვითდამმადებლები		სულ	
ჯ/ა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ა ს	აქედან თბილისთვის	ჯ/ა ს	აქედან თბილისთვის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	40	—	—	—	40	—
—	—	—	—	—	—	20	—	—	—	20	—
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—
2000	50	2450	150	2100	520	12040[6]	—	73500	200	162900	41470

შენიშვნა: 1) სრულად უნდა ჩაბარდეს აფხაზეთიდან შავი ზღვის ფლოტის ზურგის სოხუმის განყოფილების სოხუმის ტოპგანყოფილებას.

2) აქედან 500 კუბ. მეტრი აფხაზეთიდან და 80 კუბ. მეტრი მანგლისის პიონერბანაკს.

3) აქედან 10 კუბ. მეტრი საბავშვო მოედნისათვის.

4) სრულად — არტელ „კოლექტიურ შრომას“ გაჯის გამოსაწვავად.

5) გარდა ამისა, 150 კუბ. მეტრი საირმის სატყეო მეურნეობის სამეურნეო დამზადებიდან.

6) გარდა ამისა, 3550 კუბ. მეტრი რაიონულ ორგანიზაციებს და ადგილობრივ მოსახლეობას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

ვაგონების განაწილებისა შეშის გადმოსაზიდად 1944 წლის III კვარტალისათვის

უწყებები და ორგანიზაციები	სულ დამზადებულია III კვარტალისათვის	აქედან	
		აგვისტო	სექტემბერი
თბილსათბობი	120	50	50
საქსარეწტყეკავშირი	62	23	23
საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო	8	2	2
ქუთაისის საქალაქო საბჭო	20	8	8
ბათსათბობი	24	10	10
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატი	10	5	5
კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო	4	2	2
აგარის შაქრის ქარხანა	1	—	—
სარეწაო კავშირი	1	—	—
ს უ ლ	250	100	100

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 877

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქუთაისის საქალაქო საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ს ქალაქო კომიტეტის სახლის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის სახლის მშენებლობის პროექტი 2.493.162 მანეთის ღირებულებით.

2. დაევალოს ტრესტ საქკომუნპროექტის მმართველს ამხ. ჩაჩანიძეს სამუშაო ნახაზების დამუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შენიშვნები.

3. აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მიერ განხილული და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ადმინისტრაციული სახლის მშენებლობისა გადიდებულია 567.557 მანეთით, რაც წარმოადგენს მშენებლობის ღირებულების არასერიოზულად დამუშავებისა და ზერელე ექსპერტიზის შედეგს.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას:

ა) გადასინჯოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის

სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობა, ამასთან მხედველობაში მიიღოს, რომ საჭიროა სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოში წარდგენილი პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხოვნად და სრულფასოვნად განხილვის უზრუნველყოფა;

ბ) დააკომპლექტოს ტრესტ საქკომუნპროექტის სახარჯთაღრიცხვო ჯგუფი ხარჯთაღრიცხვის კვალიფიციური ინჟინრებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 878

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თელავის, სიღნაღის, საჩხერის, მახარაძის, ვანის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, თბილისის, ამბროლაურის, ხობის, ონისა და ორჯონიკიძის რაიონების სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების თელავის, სიღნაღის, საჩხერის, მახარაძის, ვანის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, თბილისის, ამბროლაურის, ხობის, ონისა და ორჯონიკიძის რაიონების რაისაბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე მიენიჭოს შეღავათები 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ შემდეგ მეურნეობებს:

თელავის	რაიონში	308	მეურნეობას	153.930	მან.
სიღნაღის	„	1685	„	592.181	„
საჩხერის	„	53	„	25.428	„
მახარაძის	„	297	„	166.852	„
ვანის	„	246	„	78.709	„
ლანჩხუთის	„	59	„	18.088	„
წალენჯიხის	„	92	„	42.342	„
თბილისის	„	965	„	513.300	„
ამბროლაურის	„	339	„	124.148	„
ხობის	„	51	„	16.336	„
ონის	„	93	„	39.080	„
ორჯონიკიძის	„	184	„	88.120	„

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თელავის, სიღნაღის, საჩხერის, მახარაძის, ვანის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, თბილისის, ამბროლაურის, ხობის, ონისა და ორჯონიკიძის რაიონების რაისაბჭოების აღმასკომებს სრულად მიანიჭონ აღნიშნული შეღავათები 1944 წელს ამ რაიონების სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ მეურნეობებს.

3. დამტკიცდეს სიღნაღის რაიონის სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა სია და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე გაუგრძელდეს რაიონის 18 კოლმეურნეობას 1944 წლის საშემოსავლო გადასახადის — 476.645 მანეთის — შეტანის ვადა 1945 წლის 1 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 879

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის შუამდგომლობა ზესტაფონის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატისათვის უპატრონო ავტომანქანის „ზის—5“ გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ცნობების თანახმად, დადასტურდა, რომ ჩხარის შამპანური კომბინატის დირექტორმა ამხ. ტარიაშვილმა უნებართვოდ ააწყო სხვადასხვა ნაწილებისა და აგრეგატებისაგან ავტომანქანა „ზის—5“. ამჟამად მანქანა დაკავებულია ზესტაფონის ავტოინსპექციის მიერ. მანქანა ტექნიკურად ვარგის მდგომარეობაში იმყოფება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის შუამდგომლობა და ზესტაფონის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატს გადაეცეს უპატრონო სატვირთო ავტომანქანა „ზის—5“, რომელიც ჩხარის შამპანკომბინატში იმყოფება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსს ამხ. მანსვეტოვს ჩამოართვას ჩხარის შამპანკომბინატს სატვირთო ავტომანქანა „ზის—5“ და გააფორმოს იგი ზესტაფონის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატის სახელზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 880

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

კოლმეურნეობათა იმ საჩივრების განხილვის შედეგებზე, რომლებიც შეეხება სამანჭანო-სატრაქტორო სადგურების მიერ 1944 წლის მოსავლის ხაზით შესრულებულ სამუშაოთათვის ნატურსაზღაურის დასარიცხავად მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის თანრიგებზე არასწორად მიკუთვნებას

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნას დასაბუთებულად ქვემოდასახელებულ კოლმეურნეობათა საჩივრები იმის შესახებ, რომ ისინი არასწორად არიან მიკუთნებული მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის თანრიგებზე ნატურსაზღაურის დასარიცხავად მტს-ების მუშაობისათვის 1944 წლის მოსავლის ხაზით და ცნობილ იქნას საჭიროდ მათი მიკუთვნება მოსავლიანობის შემდეგ თანრიგებზე:

მე-5 თანრიგის ნაცვლად მიკუთვნებულ იქნან მოსავლიანობის მე-4 თანრიგზე:

ა) ყარაიის რაიონის სოფ. ნაზარლოს ლენინის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) ყარაიის რაიონის სოფ. ჯანდრის სტალინის სახ. კოლმეურნეობა.

მე-5 თანრიგის ნაცვლად მიკუთვნებულ იქნან მოსავლიანობის მე-3 თანრიგზე:

ა) მცხეთის რაიონის სოფ. ჩარდახის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) გორის რაიონის სოფ. არბოს კოლმეურნეობა „სიმართლე“.

მე-4 თანრიგის ნაცვლად მიკუთვნებულ იქნან მოსავლიანობის მე-3 თანრიგზე:

ა) ბორჩალოს რაიონის სოფ. თაზაქენდის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) ბორჩალოს რაიონის სოფ. ზედა სოროლის ა. კ-ის VI ყრილობის სახ. კოლმეურნეობა;

გ) თეთრიწყაროს რაიონის სოფ. მუხათის მე-6 ქართული გიონის სახ. კოლმეურნეობა;

დ) თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ბარბალოს ბერიას სახ. კოლმეურნეობა;

ე) თბილისის რაიონის სოფ. ზემო-თელეთის კოლმეურნეობა „იმედი“;

ვ) ქარელის რაიონის სოფ. აბისის კოლმეურნეობა „გლეხის შრომა“;

ზ) ქარელის რაიონის სოფ. ზემო-ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“;

თ) ქარელის რაიონის სოფ. II-წვერის ბერიას სახ. კოლმეურნეობა;

ი) ქარელის რაიონის სოფ. ქვემო-ხვედურეთის მახარაძის სახ. კოლმეურნეობა;

კ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფ. ძუკაანთკარის სტალინის სახ. კოლმეურნეობა;

ლ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. დვგრისის ბაქრაძის სახ. კოლმეურნეობა.

მე-4 თანრიგის ნაცვლად მიეკუთვნონ მოსავლიანობის მე-2 თანრიგს:

ა) თბილისის რაიონის სოფ. თელეთის ლენინის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) ქარელის რაიონის სოფ. ტატანაანთუბნის 5 დეკემბრის სახ. კოლმეურნეობა;

გ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. გუჯაბაურის კოლმეურნეობა „ჩვენი იმედი“.

მე-3 თანრიგის ნაცვლად მიეკუთვნონ მოსავლიანობის მე-2 თანრიგს:

ა) სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო-მაღაროს კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო-მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“;

გ) სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო-მაჩხაანის კიროვის სახ. კოლმეურნეობა;

დ) სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“;

ე) გურჯაანის რაიონის სოფ. კაჭრეთის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობა;

ვ) თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურის 26 კომისრის სახ. კოლმეურნეობა;

ზ) კასპის რაიონის სოფ. ერთაწმინდის კოლმეურნეობა „მტკვრული ცე კავშირი“;

თ) კასპის რაიონის სოფ. გარიყულის კოლმეურნეობა „ახალი შრომა“;

ი) მცხეთის რაიონის სოფ. პატარა ქანდის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა;

კ) მცხეთის რაიონის სოფ. ახალდაბის კოლმეურნეობა „პროფ-კავშირი“;

ლ) მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელის კოლმეურნეობა „ნამგალ-ჩაქუჩი“;

მ) მცხეთის რაიონის სოფ. მცხეთის სტალინის სახ. კოლმეურნეობა;

ნ) მცხეთის რაიონის სოფ. ძალისის ბაქრაძის სახ. კოლმეურნეობა;

ო) გორის რაიონის სოფ. კარალეთის კოლმეურნეობა „კომუნის გზა“;

პ) გორის რაიონის სოფ. ქვემო-არწევის კოლმეურნეობა „ვარდიანი“;

ჟ) გორის რაიონის სოფ. შინდისის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება“;

რ) გორის რაიონის სოფ. ყელქცეულის კოლმეურნეობა „სიმართლე“.

მე-3 თანრიგის ნაცვლად მიეკუთვნონ მოსავლიანობის 1-ლ თანრიგს:

ა) თელავის რაიონის სოფ. კონდოლის ბერიას სახ. კოლმეურნეობა;

ბ) თელავის რაიონის სოფ. ოჟიოს ბერიას სახ. კოლმეურნეობა.

მე-2 თანრიგის ნაცვლად მიეკუთვნონ მოსავლიანობის 1-ლ თანრიგს:

ა) საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთის სტალინის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) საგარეჯოს რაიონის სოფ. კრასნოგორსკის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობა;

გ) გურჯაანის რაიონის სოფ. ჯიმითის ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობა;

დ) ქარელის რაიონის სოფ. სამწერისის კოლმეურნეობა „შრომის ოჯახი“;

ე) ყვარლის რაიონის სოფ. ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობა;

ვ) თბილისის რაიონის სოფ. ორთაჭალის მახარაძის სახ. კოლმეურნეობა;

ზ) ბორჩალოს რაიონის სოფ. ამბაროვკის მე-3 გადამწყვეტი წლის სახ. კოლმეურნეობა.

2. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში დასახელებულ კოლმეურნეობათა მოსავლიანობის თანრიგების შეცვლა.

3. მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების მოსავლის პირის შეფასების შემოწმების ცნობათა საფუძველზე, უარყოფილ იქნას, როგორც დაუსაბუთებელი, ქვემოდასახელებულ კოლმეურნეობათა საჩივრები მოსავლიანობის თანრიგებზე მათი არასწორად მიკუთვნების შესახებ:

ა) საგარეჯოს რაიონის სოფ. ჩაილურის ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობა;

ბ) საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“;

გ) გურჯაანის რაიონის სოფ. კაჭრეთის კიროვის სახ. კოლმეურნეობა;

დ) გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთანი“;

ე) თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის კომინტერნის სახ. კოლმეურნეობა;

ვ) ყარაიის რაიონის სოფ. თაზაქენდის კოლმეურნეობა „სოციალიზმი“;

ზ) ყარაიის რაიონის სოფ. რუისპოლოს ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის სახ. კოლმეურნეობა;

თ) ბორჩალოს რაიონის სოფ. საბირქენდის ლენინის სახ. კოლმეურნეობა;

ი) დუშეთის რაიონის სოფ. მჭადისჯვრის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“;

კ) კასპის რაონის სოფ. სარიბარის კოლმეურნეობა „შრომა“;

ლ) თბილისის რაიონის სოფ. დიდი-ლილოს სტალინის სახ. კოლმეურნეობა;

მ) თბილისის რაიონის სოფ. მარტყობის ლენინის სახ. კოლმეურნეობა;

ნ) თბილისის რაიონის სოფ. მარტყობის კიროვის სახ. კოლმეურნეობა;

ო) თბილისის რაიონის სოფ. გლდანის ფრუნზეს სახ. კოლმეურნეობა;

პ) მცხეთის რაიონის სოფ. წეროვანის კეცხოველის სახ. კოლმეურნეობა;

ჟ) გორის რაიონის სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადი“;

რ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. ერეთბის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა;

ს) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. ხეთაგუროვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობა;

ტ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. არგვიცის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა;

უ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. პრისის მიხა ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობა;

ფ) ბორჩალოს რაიონის სოფ. სადახლოს კოლმეურნეობა „კომინტერნი“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 881

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ახალხევის სატყეო მეურნეობის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ახალხევის სატყეო მეურნეობა ადგილსამყოფელით ახალხევში.

2. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიის მიერ 1944 წლის 29 ივნისს მიღებული შტატის შესაბამისად, დამტკიცდეს ახალხევის სატყეო მეურნეობის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა 1944 წლის დარჩენილი 5 თვისათვის შემდეგი რაოდენობით:

ა) ხელფასი	27,5	ათასი მანეთი
ბ) ხელფასის დანარიცხი	1,1	„ „
გ) სამივლინებო ხარჯები	15,0	„ „
დ) საკანცელარიო ხარჯები	5,0	„ „
ე) საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები . .	5,0	„ „
ვ) ინვენტარის შეძენა	20,0	„ „
ზ) ავტომანქანების შენახვა და რემონტი	10,0	„ „
თ) სადგომის დაქირავება	5,0	„ „
ი) სადგომის რემონტი	10,0	„ „
ს უ ლ	98,6	ათასი მანეთი

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს აღნიშნული ხარჯები გასწიოს 1944 წლის ბიუჯეტით მიღებული საოპერაციო ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 882

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სასწავლო მეურნეობის მოსაწყობად საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის მიწის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 21 ივლისის დადგენილება (ოქმი № 175) 250 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ:

ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან		26,2 ჰექტარი
ჩარკვიანის	„ „	71,0 „
სტალინის	„ „	15,3 „
ბაქრაძის	„ „	137,5 „

თბილისის რაიონის სოფ. დიღომში საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობის მოსაწყობად.

2. რაიონში თავისუფალი საფონდო მიწების უქონლობის გამო, მიწების გამოყოფა მოხდეს უკონპენსაციოდ.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ეს დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 883

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის მოსავლის თხილისა და კაკლის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 31 ივლისის № 15637-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის კაკლისა და თხილის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმა 200 ტონის რაოდენობით, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკისა და რაიონების მიხედვით:

	სულ	აქედან	
		თხილი	კაკალი
აფხაზეთის ასსრ	50	40	10
ზუგდიდის რაიონი	120	117	3
მახარაძის „	25	23	2
ჩოხატაურის „	5	—	5

2. კაკლისა და თხილის კონტრაქტაცია და დამზადება დაეკისროს საქკონსერვხილტრესტს, ამასთან დაევალოს საქკონსერვხილტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს დაამთავროს კონტრაქტაცია 1944 წლის 20 აგვისტოსათვის.

3. წინადადება მიეცეს საქკონსერვხილტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს გადაუხადოს ჩამბარებლებს ხმელი კაკლისა და თხილის შემდეგი დასამზადებელი ფასები:

(მანეთობით ტონაში)

თხელნაჭუჭიანი კაკალი 1 ხარისხისა	3.000 მანეთი
სქელნაჭუჭიანი კაკალი 1 ხარისხისა	2.200 მანეთი
თხილი . . . . . „	3.500 მანეთი

დაწესდეს, რომ უმაღლესი ხარისხის თხილისა და კაკლის ჩაბარებისას გაიცემა წანამატი 1 ხარისხის ფასის 15% რაოდენობით; მეორე ხარისხის თხილისა და კაკლის ჩაბარებისას წესდება ფასდაკლება პირველი ხარისხის ფასის 25% რაოდენობით, ხოლო არასტანდარტული თხილისა და კაკლის ჩაბარებისას წესდება ფასდაკლება პირველი ხარისხის ფასის 50%-ის რაოდენობით.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საქკონსერვხილტრესტს 1944 წლის მოსავლის თხილისა და კაკლის კონტრაქტაციის და დამზადების ჩატარების საქმეში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დამზადების ამ დადგენილებით დაწესებული გეგმის მთლიანად შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 884

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

მეთესლეობის ზოგიერთი რაიონული მეურნეობის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამორიცხულ იქნას ჯიშიანი თესლის წარმოებიდან მეთესლეობის შემდეგი რაიონული მეურნეობანი:

ა) ახალციხის რაიონის სოფელ კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ვერ უზრუნველჰყოფს მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის წარმოებას, იმის გამო, რომ რკინიგზის მშენებლობისათვის გასხვისებულ იქნა მეთესლეობისათვის გამოსადეგი მიწები, ხოლო კოლმეურნეობათა დანარჩენი მიწები მდებარეობენ რაიონისათვის არატიპიურ ნიადაგობრივ-კლიმატურ ზონაში;

ბ) ბორჩალოს რაიონის სოფელ სარვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა იმის გამო, რომ სახნავი მიწების ერთი ნაწილი გამოყოფილია სამხედრო მშენებლობისათვის და კოლმეურნეობა გადატვირთულია ტექნიკური კულტურებით;

გ) ჯავის რაიონის სოფელ მსხლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობა იმის გამო, რომ კოლმეურნეობა დაწვრილერთეულებულ იქნა და დარჩენილი სათესი ფართობი საკმარისი არ არის საგანზოფსულო მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის წარმოების გეგმის შესასრულებლად.

2. აღნიშნული 3 კოლმეურნეობის ნაცვლად, დამტკიცდეს მეთესლეობის შემდეგი რაიონული მეურნეობანი:

ა) ახალციხის რაიონის სოფ. წყალთბილის კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრე“, რომელიც მეთესლეობის დარგში მომსახურებას გაუწევს ახალციხისა და ადიგენის რაიონების კოლმეურნეობებს;

ბ) ბორჩალოს რაიონის კაჩაგანის სასოფლო საბჭოს კოლმეურ-

ნეობა „სოციალიზმი“, რომელიც მეთესლეობის დარგში მომსახურებას გაუწევს ბორჩალოს, ყარაიისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ჯავის რაიონის სოფ. ბუზალის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც საგანგებო ფხულო თავთავიანი კულტურების მეთესლეობის დარგში მომსახურებას გაუწევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთაგორიანი ზონის კოლმეურნეობებს.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დაამტკიცოს ეს დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 885

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის რაიონის სოფელ სოღანლუღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 29 ივლისის № 176 დადგენილება სოფელ სოღანლუღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, ამ კოლმეურნეობის მიწის ნაკვეთები 1.913 ჰექტარის რაოდენობით, აქედან სახნავი მიწები—1.040 ჰექტარი, საძოვრებ-საბალახოები—720 ჰექტარი, ვენახი—38 ჰექტარი, ხილის ბაღები—11,3 ჰექტარი და დანარჩენი სავარგულები—103,7 ჰექტარი ჩაირიცხოს საქართველოს სსრ სახელმწიფო მიწის ფონდში.

2. მოლოტოვის სახელობის ლიკვიდირებული კოლმეურნეობის მიწებიდან გამოეყოს:

ა) ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას დამხმარე მეურნეობისათვის—560,0 ჰექტარი, აქედან:

სახნავი მიწები	300,0 ჰექტარი
საძოვრებ-საბალახოები	246,0 „
დანარჩენი სავარგულები	14,0 „

ბ) საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის მთავარ სამმართველოს დამხმარე მეურნეობისათვის 313,8 ჰექტარი, აქედან:

სახნავი მიწები	138,0 ჰექტარი
საძოვრებ-საბალახოები	108,0 „
ვენახი	12,3 „
ხილის ბაღი	11,3 „
დანარჩენი სავარგულები	44,2 „

გ) საქართველოს სსრ შინსახკომის № 1 საბჭოთა მეურნეობას 1039,2 ჰექტარი, აქედან:

სახნავი მიწები	603,0	ჰექტარი
საძოვრებ-საბალახოები	366,0	„
ვენახი	25,7	„
დანარჩენი სავარგულები	44,5	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ცენტრალური საკარმიდამო ნაკვეთი საცხოვრებელი და საწარმოო ნაგებობებიანად და 25,7 ჰექტარი ვენახი გადაეცეს კოლმეურნეობის საბალანსო ღირებულებით, ამორტიზაციის გათვალისწინებით, საქართველოს სსრ შინსახკომის № 1 საბჭოთა მეურნეობას.

ხუტორი ნაგებობებიანად, 11,3 ჰექტარი ხილის ბაღი და 12,3 ჰექტარი ვენახი გადაეცეს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურგლეხური მილიციის მთავარ სამმართველოს აგრეთვე კოლმეურნეობის საბალანსო ღირებულებით და ამორტიზაციის გათვალისწინებით.

4. პროდუქტიული და მუშაპირუტყვი (ძროხა, ხარი, ცხენი, ცხვარი, ღორი, ფრინველი), მანქანები, ინვენტარი, მოწყობილობა, საკვები, თესლი, შხამმასალა და განუყოფელი ფონდის სხვა საშუალებანი პირველ რიგში მოხმარდეს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ყველა ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე ბანკებისადმი და ფინსახკომისადმი დავალიანების დაფარვას, ხოლო განუყოფელი ფონდის დანარჩენი ნაწილი გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომს რაიონის მცირე შეძლების კოლმეურნეობებისათვის გადასაცემად.

5. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დაამტკიცოს ეს დადგენილება.

6. იმასთან დაკავშირებით, რომ მოლოტოვის სახელობის ლიკვიდირებული კოლმეურნეობის პროდუქტიული პირუტყვი დაავადებულია ბრუცელოზით და ტუბერკულოზით, ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოს აღმასკომს პროდუქტიული პირუტყვის მთელი დაავადებული სულადობა (მაღალხარისხოვან ძროხებს გარდა) გადასცეს „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორას ჯანსაღ პროდუქტიულ პირუტყვზე გადასაცვლელად.

დაევალოს ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს და „ზაგოტსკოტის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სტურუას ჩაატარონ აღნიშნული გადაცვლითი ოპერაციები საერთო საფუძველზე.

7. დაევალოს თბილისის რაიაღმასკომს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის სალიკვიდაციო კომისიის მუშაობას და პირველ რიგში უზრუნველჰყოს, რათა კოლმეურნეობებმა დაფარონ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისა და კონტრაქტაციის ყველა ვალდებულება და მხოლოდ ამის შემდეგ გაანაწილოს მიმდინარე წლის შემოსავალი კოლმეურნეებს შორის შრომადღეების მიხედვით.

8. დაევალოს თბილისის რაიაღმასკომს გააფრთხილოს ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, მათ შორის სამხედრო ორგანიზაციებიც, რომელთაც აქვთ ნათესები სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის, საქართველოს სსრ მუშურგლეხური მილიციის სამმართველოსა და შინსახკომისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე, რომ მათ გაანთავისუფლონ ეს ნაკვეთები მიმდინარე წლის მოსავლის აღების შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 886

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1943 წელს მეცხენეობის დარგში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დასაჯილდოებლად გაღებული სახსრების განაწილების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 24 მაისის № 599 დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკას 1943 წელს მეცხენეობის დარგში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მიეცა მეორე სახელმწიფო პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ა) დამტკიცდეს პრემიების შემდეგი განაწილება საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების, აგრეთვე ორგანიზაციების მიხედვით:

აჭარის ასსრ	10.000	მანეთი
აფხაზეთის ასსრ	6.000	„
სამხრეთ-ოსეთის ა/ო	7.000	„
წითელწყაროს რაიონი	6.000	„
სიღნაღის „	6.500	„
გურჯაანის „	5.000	„
ახალქალაქის „	6.000	„
ცხაკაიას „	6.000	„
ხ ო მ ბ ი ს „	5.000	„
ზუგდიდის „	3.500	„
სამტრედიის „	2.500	„
საქ. სსრ მიწსახკომს	25.500	„
თბილისის სახელმწიფო ცხენთსაშენს	5.000	„

საქართველოს მეცხოველეობის ტრესტს . 3.000 მანეთი
მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების
მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს . . . . 3.000 „

2. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და იმ რაიონების ყველა რაიაღმასკომს, რომლებიც პრემიებს იღებენ, გააწყილონ აღნიშნული პრემიები სამიწათმოქმედო ორგანოებისა და კოლმეურნეობათა მუშაკებს შორის, რომელთაც თავი გამოიჩინეს გეგმების შესრულებაში და საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ 1943 წელს მეცხენეობის დარგში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 887

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ყვარლის რაიონიდან დაღისტნის ასს რესპუბლიკაში გადასახლებულ დაღისტნელებისათვის ნაგებობათა ღირებულების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სპეციალური შემფასებელი კომისიის მუშაობის შედეგად, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ დაღისტნის ასსრ სახკომსაბჭოს წარმომადგენლები, დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ყვარლის რაიონის ხაშალხუთისა და ტივის სასოფლო საბჭოების იმ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შენობების ღირებულება, რომლებიც გადასახლებული არიან დაღისტნის ასსრ რესპუბლიკაში, შეადგენს 1.391.179 მანეთს, აქედან კოლმეურნეობათა კუთვნილი შენობების ღირებულება ჟღრის 101.259 მანეთს, ხოლო კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შენობების ღირებულება—1.289.920 მანეთს.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო 1944 წლის 18 მაისის № 546 დადგენილების მე-6 პუნქტის შესასრულებლად, დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს დაუყოვნებლივ გადაურიცხოს დაღისტნის ასსრ სახკომსაბჭოს 1.152.141 მანეთი, რათა გადასახლებულ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს აუნაზღაურდეთ მათი კუთვნილი შენობების ღირებულება, ხოლო 239.038 მანეთი გადაურიცხოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას იმ გრძელვადიანი კრედიტების დასაფარავად, რაც გადასახლებულ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებზე ირიცხება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 888

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ფართო მოხმარების ნაწარმის ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ფართო მოხმარების საქონლის შემდეგი ნაწარმის გასაცემი და საცალო ფასები:

1. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „საქძაფის“ და „მკერავთა კომუნის“ მიერ დამზადებული ახალი სახის სამკერვალო ნაწარმისა, № 1 დანართის თანახმად.

2. სარეწაო კავშირის სისტემისა და ინკოოპკავშირის არტელების მიერ დამზადებული ახალი სახის ტრიკოტაჟის ნაწარმისა, № 2 დანართის თანახმად.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფაბრიკა „კომსომოლკის“ მიერ დამზადებული გასაყარი რეზინისა, № 3 დანართის თანახმად.

4. სარეწაო კავშირის სისტემის არტელებისა და თბილვაჭრობის სახელოსნოს მიერ დამზადებული ლითონის ნაწარმისა და ლითონის სათამაშოებისა, № 4 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 10 აგვისტო

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/VIII
№ 888 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტი

სარეწაო კავშირის სისტემის არტელების წარმოების დარაიხ ტიპის აბრეშუმეულქსოვილთა სამკერვალო ნაწარმის საცალო ფასებისა

	დომფალის აბრეშუმეულქსოვილისა	შავი ჩხარის აბრეშუმეულქსოვილისა
I. არტელი „საქძაფი"		
აბრეშუმის კაბა გადმოსაკეცსაყელოიანი, გლუზურგიანი, მკერდნაოჭიანი, ქამრიანი, ზომა 34—36	220 მან.	290 მან.
38—40	241 „	310 „
42—44	277 „	358 „
28—30	167 „	220 „
32	184 „	240 „
აბრეშუმის კოსტუმი, მდგომსაყელოიანი, გლუზურგიანი, ორჯიბიანი, მკერდაგვირიშტებული, გლუქვედატანი კაბა, ზომა 42—44	330 „	425 „
აბრეშუმის მატროსულა გოგოებისათვის, საყელო და მანჟეტები ლურჯი ფერისა, ქვედა ტანი გლუ, ზომა 32	270 „	354 „
აბრეშუმის მ ტროსულა ბიჭებისათვის, საყელო და მანჟეტები ლუჯი, შარვალი გლუ, ღილისკილოიანი, ზომა 32	250 „	326 „
აბრეშუმის უზბეკური ქუდი, დაჩითული, ნარმის სარჩულით	19 „	24 „
II. არტელი „მკერავთა კომუნა"		
დომფალის აბრეშუმის კაბა გადმოსაკეცსაყელოიანი, ქვედატანი 4-ნაოჭიანი, ნახევარკლიოშე, ქამრიანი, სახელო ინგლისური მანჟეტიანი, ზომა 48—52 . . 1 ცალი	400 „	
მამაკაცის ასეთივე ქსოვილის პერანგი მთლიანსაყელოიანი ორმაგმანჟეტიანი	1 ცალი	325 „
ასეთივე ქსოვილის გიმნასტურა, გადმოსაკეცსაყელოიანი, 2-ჯიბიანი, მანჟეტიანი სახელოებით, ზომა 48—52	1 „	264 „

შენიშვნა: ფასდაკლება ხარისხიანობის თვის და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ იქნას სამკერვალო ნაწარმთა ფასების პრეისკურანტის მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ 1939 წ. 5/I.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/VIII
№ 888 დადგენილების დანართი № 2

პრეისკურანტი

დამატებითი სახის სატრიკოტაჟო ნაწარმის საცალო და გასაცემ-ფასებისა ბრუნვის გადასახადის გამოკლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმის დასახელება	არტ. №	რა ნედლეული	რა მანქანაზე	გასაცემი ფასი ბრუნვის გადასახადით	საცალო ფასი
I. სარეწაო კავშირის არტელი „მრეწველი“					
პულოვერი ნახ. უსახელ. ზომა 50	6441	ბამბ. № 4	რიპშაიბი	10—62	15 მან.
„ „ „ 48	„	„	„	10—00	14 „
„ „ „ 46	„	„	„	9—80	13 „
„ „ „ 44	„	„	„	9—50	12 „
„ „ „ 42	„	„	„	8—90	9 „
„ „ „ 40—38	„	„	„	6—65	7 „
„ „ „ 36—34	„	„	„	4—75	5 „
„ „ „ 32—30	„	„	„	3—80	4 „
„ „ „ 28—26	„	„	„	2—85	3 „
ქვედატანი ნახ. ზომა . . 52	ტნ-5—177	„	„	12—50	17 „
„ „ „ 48	„	„	„	11—70	16 „
„ „ „ 46	„	„	„	11—50	15 „
„ „ „ 44	„	„	„	10—80	14 „
„ „ „ 42	„	„	„	10—50	13 „
„ „ „ 40—38	„	„	„	9—80	11 „
„ „ „ 36—34	„	„	„	8—55	9 „
„ „ „ 32—30	„	„	„	6—18	6 მ.50კ.
„ „ „ 28—36	„	„	„	5—70	6 მ.ი.
შაისურა უსახელო სასპორტო ზომა 7	ტნ-5—178	ბამბ. 40	პოლტავკა	6 მან.	9 მან.
„ „ „ 6	„	54	„	5—70	8 მან.
ფუტბოლურა სასპორტო ზომა 7	ტნ-5—179	„	„	9 მან.	12 მან.
„ „ „ 6	„	„	„	8—60	11 მან.
II. სარეწაო კავშირის სისტემის არტ. „ფეიქარი“					
სვიტრი ხამი და შეღებილი, ზომა 6	ტნ-5—180	ბამბ. № 4	რიპშაიბი	12—70	21 მან.
„ „ „ 5	„	„	„	12 მან.	20 მან.
III. ინკოოპკავშირის სისტემის არტ. „სპორტი-ტრიკოტაჟი“					
მამაკაც-ს თეთრეული (გარნიტური) ფლანელერა და ქვედა საცვალი, ზომა 6	ტნ-5—181	„	პოლტავკა	25—25	30 მან.
„ „ 5	„	„	„	24 მან.	28 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება ხარისხიანობისათვის და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ იქნას ტრიკოტაჟის ერთიანი ფასების პრეისკურანტის მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ 1939 წ. 5/I.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტი

საქ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფაბრიკა „კომ-სომოლკას“ გასაყარი რეზინის ახალი საცალო ფასებისა

რეზინის ძარღვაკის ნარჩენებისაგან დამზ. გასაყარი რეზინი
№ 6 არტ. 1854 . . . . 1 მეტრი 1 მან. 25 კაპ.
№ 8 „ 1855 . . . ·1 „ 1 მან. 65 „

შენიშვნა: ფასდაკლება ხარისხიანობისათვის და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ იქნას საგალანტერიო ნაწარმთა ფასების პრეისკურანტის მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/VIII
№ 888 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

ახალი სახეების ლითონნაწარმთა და სათამაშოთა გასაცემი ფასებისა

წარმოების ფრანკო-საწყობი

I. სარეწაო კავშირის სისტემის ვოროშილოვის სახ. არტელი

თეთრეულის სარჩი . . . . . 1 ც. 0—60 კაპ.

II. სარეწაო კავშირის სისტ. არტ. „უნივერსალი“

დეკაპირკის მანქანა თმის დასახვევად, ცილინდრული ფორმისა . . . . . 1 ც. 10 მან.

III. სარეწაო კარშირის სისტ. არტ. „მზიმი“

სათამაშო ნიჩაბი ტარიანი, შეღებილი ზეთის საღებავით, სიგრძე— 110 მმ. . . . . 1 ც. 6 მან.
სათამაშო ვედრო რკინისა, შეღებილი მინანქრის საღებავით, სიმაღლე—90 მმ . . . . . 1 ც. 10 მან.
სათამაშო საზიდარი რკინისა, შეღებილი ზეთის საღებავით, სიგრძე 133 მმ. . . . . 1 ც. 20 მან.

IV. თბილვაჭრობის სახელოსნო

რძის ბიდონი მარგარინის ქილისა, სახურავიანი, ტევადობა—3 ლიტრი . . . . . 1 ც. 15 მან.
ნავთის ბიდონი იმავე მასალისა, ტევადობა—3 ლიტ. 1 ც. 12 მან.

შენიშვნა: მეორე ხარისხის ნაწარმზე დაწესდეს ფასდაკლება აღნიშნული ფასების 10%-ის ოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 889

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ქ. მოსკოვს გამგზავრების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. ვ. დ. კუპრაძეს გაემგზავროს ქალ. მოსკოვს ვადით 13-დან 28 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 12 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 892

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

მაიაკოვსკი—საირმე—წითელი მინდვრის გზის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კურორტ საირმისაკენ გასაყვანი გზის მშენებლობის სამუშაოები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

დაგეგმილი 208 ათას კუბ. მ. მიწის სამუშაოებიდან ა/წ 15 ივლისისათვის შესრულებულია მხოლოდ 37 ათასი კუბ. მ. ანუ 17%.

არ სწარმოებს მუშაობა ხიდების მშენებლობის დარგში. ვანის, ზესტაფონისა და ჩხარის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წ. 18 თებერვლის დადგენილება მუშახელისა და ცხენების გათვალისწინებული რაოდენობის გამოყვანის შესახებ, არ უზრუნველუყვიათ დავალებული მოცულობის მიწის სამუშაოთა შესრულება.

ა/წ 1-ლ აპრილიდან 15 ივლისამდე მიწისა და კლდის სამუშაოები შესრულებულია: ვანის რაიონის მიერ—4515 კუბ. მ., გეგმით გათვალისწინებული 35.000 კუბ. მ. ნაცვლად, ანუ 13%; ზესტაფონის რაიონის მიერ—898 კუბ. მ., გეგმით გათვალისწინებული 30.000 კუბ. მ. ნაცვლად, ანუ 3% და ჩხარის რაიონის მიერ—1370 კუბ. მ., 30.000 კუბ. მეტ. ნაცვლად, ანუ 4,5%.

საქ. სსრ შინსახკომის შრომაგასწორების კოლონიების სამმართველოს უფროსმა ამხ. ოყროშიძემ ვერ უზრუნველჰყო სსრ კავშირის შინსახკომის განკარგულებით გამოყოფილი 300 პატიმრის გამოყვანა გზის მშენებლობაზე. ა/წ 15 ივლისისათვის მშენებლობაზე იმყოფება მხოლოდ 140 პატიმარი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა მთავარმა საგ-

ზაო სამმართველომ ვერ უზრუნველჰყო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის ჯეროვანი ხელმძღვანელობა და ვერ შეჰქმნა საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები კოლმეურნეობებიდან მშენებლობაზე მისული მუშებისათვის.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს ამხ. ბირკაიას:

ა) „კურორტ საირმიდან წითელ მინდვრამდე გზის მშენებლობის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 24 ივლისის № 373 დადგენილების შესაბამისად, შეადგინოს ა/წ 1 ოქტომბრამდე საირმე—წითელი მინდვრის გზის მშენებლობის საპროექტო დავალება, ამასთან უზრუნველჰყოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება ტრასის გამოკვლევების პარალელურად;

ბ) ა/წ 10 სექტემბრამდე მიიღოს სსრ კავშირის შინსახკომის ა/კ მეტალურგმშენის სამმართველოსაგან 1500 მუშა და გაანაწილოს ისინი მაიაკოვსკი—საირმე—წითელი მინდვრის გზის მშენებლობაზე.

2. სსრ კავშირის შინსახკომის ა/კ მეტალურგმშენის სამმართველოს უფროსმა ამხ. ვოლინსკიმ უზრუნველჰყოს აგვისტოს განმავლობაში მუშების, კარვების, ლოგინის მოწყობილობისა და კვების პროდუქტების გადაყვანა-გადატანა მაიაკოვსკი—წითელი მინდვრის გზის მშენებლობაზე, ამასთან დასდოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსთან ხელშეკრულება აღნიშნულ მშენებლობაზე მუშახელის გამოყენების შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს ამხ. ჯაშს აღმოუჩინოს ა/კ მეტალურგმშენს დახმარება დემობილიზებულ წითელარმიელთა რიცხვიდან 200 კაცის შეგროვებაში გზის მშენებლობაზე გამოყვანილ პატიმართა გასამხედროებული მცველი რაზმის დასაკომპლექტებლად.

4. წინადადება მიეცეს ქუთაისის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ვანისა და ჩხარის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს:

ა) მოაწყონ ა/წ 15 აგვისტოდან მოსახლეობის მასობრივად გამოსვლა იმ ვარაუდით, რომ ა/წ 15 სექტემბრამდე მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი რაიონებისათვის დავალებული მიწის სამუშაოთა მოცულობის შესრულება;

ბ) მიამაგრონ გზის მშენებლობაზე ხრეშისა და ხე-ტყის მასალების მისაზიდად 15 აგვისტოდან ერთი თვის ვადით ურმები შემ-

დეგი რაოდენობით: მაიაკოვსკის რაიონმა—100, ქუთაისისამ—50 და ვანისამ—50.

5. დაევალოს ამბროლაურისა და ონის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს მობილიზაცია უყონ თვითეულმა 30 ხუროს ხელსაწყოიანად და 15 აგვისტოდან გაგზავნონ ისინი გზის მშენებლობის უფროსის განკარგულებაში ვადით 1944 წ. 15 სექტემბრამდე ხიდების მშენებლობის სამუშაოებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინსახკომის შრომაგასწორების კოლონიების სამმართველოს უფროსს ამხ. ოყროშიძეს ა/წ 20 აგვისტომდე აიყვანოს პატიმართა რაოდენობა 300 კაცამდე, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის შინსახკომის განკარგულებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს:

ა) მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს გზის მშენებლობაზე დასაქმებული მუშებისათვის 5.000 ათასი მანეთის თამბაქო და 200 კილოგრამი სარეცხი საპონი;

ბ) გამოჰყოს ჩამოთვლილი რაიონების რაისამომხმარებლო კავშირებისათვის ფქვილის საჭირო რაოდენობა გზის მშენებლობაზე მომუშავე კოლმეურნეების პურით უზრუნველსაყოფად. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებსა და რაიაღმასკომებს უზრუნველჰყონ პურის გამოცხობა კოლმეურნეებისათვის და დააწესონ ფქვილის სწორად ხარჯვის კონტროლი.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს ამხ. ბირკაიას გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი გზის მშენებლობაზე დასაქმებული მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

9. გაფრთხილება მიეცეს ზემოთჩამოთვლილი რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს, რომ მათ აწევთ პერსონალური პასუხისმგებლობა კურორტ საირმისაკენ გასაყვანი გზის მშენებლობის იმ სამუშაოთა ვადაზე შესრულებისათვის, რაც მათ დაკისრებული აქვთ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 893

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ ქვანახშირის ტრესტების დახმარებისა და 1944 წლის III კვარტალში ქვანახშირის მოპოვებისა და ახალი მაღაროების მშენებლობის საკითხებზე გამოტანილი დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის № 6277 დადგენილება „საქართველოს სსრ ქვანახშირის ტრესტების დახმარებისა და 1944 წლის III კვარტალში ქვანახშირის მოპოვებისა და ახალი მაღაროების მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს ამხ. ჯაშს:

ა) მოახდინოს მობილიზაცია და ჩააბაროს საქართველოს ქვანახშირის ტრესტებს მუშაობის ადგილას 1944 წლის აგვისტოსა და სექტემბერში სამ-სამი ათასი კაცი თვეში, ხოლო სულ 6 ათასი კაცი სამხედრო სამსახურისათვის ვარგის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც გაანაწილოს რაიონებს შორის, № 1 დანართის თანახმად;

ბ) მობილიზაცია დაიწყოს 1944 წლის 15 აგვისტოს და დაამთავროს ამავე წლის 26 სექტემბერს;

გ) მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ყოველ ხუთდღიურში;

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ)

საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს მიიღონ მონაწილეობა სამხედრო კომისარიატებთან არსებული კომისიების მუშაობაში და უზრუნველჰყონ ქვანახშირის მრეწველობაში სამუშაოდ ვარგისი კონტინგენტების შერჩევა.

გაფრთხილებულ იქნან რაიაღმასკომების თავმჯდომარეები და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პირველი მდივნები, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის № 6277 დადგენილების თანახმად მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქვანახშირის ტრესტების ხელმძღვანელების თანაბრად მუშათა შერჩევისა და მაღაროების მშენებლობაზე მათი დამაგრებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ტრესტების ხელმძღვანელებს: ტყვარჩელქვანახშირისა—ამხ. გარდაფხაძეს, ტყიბულქვანახშირისა—ამხ. ვარდოშვილს და საქმაღარმშენისა—ამხ. ბერეგვაძეს დაუყოვნებლივ გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მობილიზებულ მუშათა შენარჩუნებისათვის სათანადო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით (საცხოვრებელი ფართობი, კვება და სხვ.) და მოაწყონ ახლად მოსულ მუშათა სპეციალური საწარმოო სწავლება.

4. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს უზრუნველჰყოს მობილიზებულ მუშათა შეუფერხებელი გაგზავნა მუშაობის ადგილას საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის გაანაცხადთა მიხედვით.

5. დაევალოს კომისიას, ამხ. ს. ხოშტარიას (მოწვევა), ს. ჭელიძისა და ბ. გოგუას შემადგენლობით, ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს წინადადება საქართველოს ქვანახშირის ტრესტებისათვის დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად და ინდივიდუალური მებოსტნეობის განსავითარებლად დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისათვის ვარგისი მიწის ნაკვეთების (700 ჰექტარი საერთო ფართობით) გამოყოფის შესახებ.

6. ნება დაერთოს ტყიბულქვანახშირის, ტყვარჩელქვანახშირის, საქმაღარმშენისა და საქნახშირგამოკვლევის მუშათა მომარაგების განყოფილებებს ჩაატარონ 200 ტონა ბოსტნეულის, 270 ტონა კარტოფილის, 300 ტონა ხილის, 500 ცენტნერი ცოცხალი პირუტყვისა და 60 ცენტნერი ყველის ერთდროული შესყიდვა კოლმეურნეობებში დეცენტრალიზებულ დამზადებათა წესით, რაც გაანაწილონ რაიონებსა და ქვანახშირის ტრესტებს შორის, № 2 და 3 დანართების თანახმად.

დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომისა და № 2 და 3 დანართებში დასახელებული რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველ

შდივნებს პირადად ადევნონ თვალყური ყოველდღიურად ქვანახშირის ტრესტებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის მიმდინარეობას, მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა მათთვის კოლმეურნეობათა მიერ ყველა დანარჩენ დეცდამაზადებელთა უმალ და ყველა შემთხვევაში უზრუნველჰყონ ქვანახშირის ტრესტებისათვის ამ დადგენილებით დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულება.

7. საწარმოთა და დაწესებულება»ა მუშა-მოსამსახურეების ინდივიდუალური სარგებლობისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 19 მაისის № 519 დადგენილებით დაწესებული გოჭების გაყიდვის გეგმის ანგარიშში მიეყიდოს 1944 წლის განმავლობაში საკოლმეურნეო მეღორეობის ფერმებიდან ქვანახშირის მრეწველობის მუშებსა და საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალს 1000 გოჭი თვითეული 15 კილოგრამზე ნაკლები ცოცხალი წონით, აქედან ტყვარჩელქვანახშირს—400 სული და ტყიბულქვანახშირს—600 სული.

დამტკიცდეს საკოლმეურნეო ფერმებიდან ქვანახშირის მრეწველობის მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალისათვის მისაყიდად გათვალისწინებული გოჭების შემდეგი რაიონობლივი განაწილება:

აფხაზეთის ასსრ-ში	150 სული	
ზუგდიდის რაიონში	50 „	
ლანჩხუთის „	100 „	ტყვარჩელქვანახშირისათვის
ცხაკაიას „ . . .	50 „	
ხობის „	50 „	
ქუთაისის „	50 „	
ჭიათურის „	100 „	
წყალტუბოს „	100 „	
წულუკიძის „	50 „	ტყიბულქვანახშირისათვის
ვანის „	50 „	
ზესტაფონის „	50 „	
სამტრედიის „	50 „	
აბაშის „	150 „	

8. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და მე-7 პუნქტში აღნიშნული რაიონების რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ გაანაწილონ გოჭების გაყიდვის გეგმა ცალკეულ კოლმეურნეობათა შორის და აღმოუჩინონ ტყვარჩელქვანახშირისა და ტყიბულქვანახშირის მუშათა მომარაგების განყოფილებებს საჭირო დახმარება ამ დადგენილებით გათვალისწინებული რაოდენობის გოჭების შესყიდვის საქმეში.

დადგენილ იქნას, რომ გოჭების მიყიდვა ქვანახშირის მრეწველობის მუშებისა და საინჟინერო-ტექნიური პერსონალისათვის სწარ-

მოებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 28 მარტის № 315 და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 19 მაისის № 519 დადგენილებებით გათვალისწინებულ პირობებში, რომელთა მიხედვითაც:

ა) კოლმეურნეობათა მიერ ქვანახშირის მრეწველობის მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალისათვის მიყიდული გოჭების მთელი სულადობა ჩაეთვლებათ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში;

ბ) გოჭების მიყიდვა ქვანახშირის მრეწველობის მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალისათვის სწარმოებს მუშათა მომარაგების განყოფილებათა საშუალებით სასარგებლო პირუტყვზე დაწესებულ ფასებში (20 მანეთი 2 თვემდე ასაკის გოჭების ცოცხალი წონის თითო კილოგრამზე);

გ) გოჭების მყიდველი მუშა-მოსამსახურეები ვალდებული არიან დაუბრუნონ 1944 წლის დამლევისათვის მუშათა მომარაგების განყოფილებებს 12,5 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით მიღებული გოჭების ყოველი 10 კილოგრამის წონისათვის ან ამავე ვადაში დასაბრუნებელი ხორცი დაფარონ სასურსათო ბარათების ხორცის ტალონებით თანაბარ ნაწილებად, მაგრამ არაუმეტეს 1 კილოგრამისა თვეში თვითეული ბარათიდან;

დ) მუშათა და მოსამსახურეთათვის მუშათა მომარაგების განყოფილებათა საშუალებით მიყიდული გოჭების მთელი რაოდენობა ჩაერიცხებათ მუშათა მომარაგების განყოფილებებს ცენტრალიზებული მომარაგების ფონდში თანაბარ ნაწილებად ყოველთვიურად წლის ბოლომდე.

– დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს ჩარიცხოს ტყვარჩელქვანახშირისა და ტყიბულქვანახშირის მუშათა მომარაგების განყოფილებათა მომარაგების გეგმაში გოჭების მიყიდვა ქვანახშირის მრეწველობის მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალისათვის.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და პარტიის საოლქო კომიტეტს (ამხ. მირცხულავასა და მგელაძეს), რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს: ტყიბულისას (ამხ. გორგიძესა და ჯგუბენავას), ახალციხისას (ამხ. ჩხიკვაძესა და კირვალიძეს) და ბორჯომისას (ამხ. ლურსმანიშვილსა და რაზმაძეს (ერთი დეკადის განმავლობაში დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მაღაროებთან, მაღაროთა მშენებლობებთან და ჩიტახევჰესთან არსებული ბაზრების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის და უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ორგანიზებული

გატანა ამ ბაზრებზე მახლობელ კოლმეურნეობებიდან კვირაში ერთხელ მაინც.

10. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის, ბორჯომის, ახალციხის რაიკომებსა და ტყვარჩელის ქალაქკომის პირველ მდივნებს სისტემატურად და პირადად ადევნონ თვალყური ქვანახშირის მოპოვების, მაღაროების მშენებლობის, ჩიტახევჰესისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმის შესრულებას, მიიღონ საჭირო ზომები დახმარების აღმოსაჩენად ქვანახშირის ტრესტებისა და მშენებლობებისათვის მესამე კვარტალის გეგმის შესრულებისა და ამ ობიექტებზე მომუშავე მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11/VIII № 893 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწილება

მობილიზებული მუშებისა საქართველოს რაიონებსა და ქვანახშირის ტრესტებში

რაიონების დასახელება	მუშათა რაოდენობა			სად იგზავნებიან მუშები
	ჯ/ნ ს	აქედან		
		აგვისტო	სექტემბერი	
1. ტყიბულის რაიონი	200	100	100	ტყიბულქვანახშირის ტრესტში
2. ონის „	50	—	50	„
3. ჩხარის „	30	30	—	„
4. საჩხერის „	50	50	—	„
5. ჭიათურის „	80	—	80	„
6. ზესტაფონის „	25	25	—	„
7. მაიაკოვსკის „	25	25	—	„
8. ვანის „	80	80	—	„
9. სამტრედიის „	70	70	—	„
10. წითელწყაროს „	80	80	—	„
11. ყვარლის „	50	—	50	„
12. ლანჩხუთის „	50	—	50	„
13. ლაგოდეხის „	50	—	50	„
14. წულუკიძის „	80	80	—	„
15. კასპის „	80	80	—	„
16. აჭარაზეთის ასსრ	400	200	200	ტყვარჩელქვანახშირის ტრესტში
17. ცხაკაიას რაიონი	100	100	—	„
18. ხობის „	50	50	—	„
19. ზუგდიდის „	150	50	100	„
20. ჩხოროწყუს „	70	70	—	„
21. გეგეჭკორის „	100	—	100	„
22. წალენჯიხის „	150	100	50	„
23. გურჯაანის „	100	100	—	ტყიბულის მაღაროების მშენებლობაზე
24. დუშეთის „	80	—	80	„
25. ჩონატაურის „	80	—	80	„
26. მახარაძის „	100	50	50	„
27. ორჯონიკიძის „	30	30	—	„
28. ცაგერის „	80	—	80	„
29. გორის „	200	100	100	„
30. ამბროლაურის „	50	50	—	„
31. ქარელის „	80	—	80	„
32. სიღნაღის „	50	50	—	ტყვარჩელის მაღაროების მშენებლობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების დასახელება	ძუშათა რაოდენობა ს ე ლ ი	აქედან აგვისტო	აქედან სექტემბერი	სად იგზავნებიან მუშები
33. აჭარის ასსრ	150	50	100	ტყეკარჩელის მაღაროების მშენებლობაზე
34. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლ.	300	150	150	„
35. ქალ. ფოთი „	20	20	—	„
36. საგარეჯოს რაიონი	50	50	—	„
37. თელავის „	150	70	80	„
38. თიანეთის „	50	—	50	„
39. ახალციხის „	60	—	60	ახალციხის მაღაროების მშენებლობაზე
40. ახალქალაქის „	250	100	150	„
41. ასპინძის „	50	—	50	„
42. ბოგდანოვკის „	200	100	100	„
43. წალკის „	300	150	150	ჩიტახევჰესის მშენებლობაზე
44. ხაშურის „	100	—	100	„
45. ბორჩალოს „	200	100	100	„
46. ბორჯომის „	100	50	50	„
47. ბოლნისის „	120	60	60	„
48. მცხეთის „	100	50	50	„
49. ყარაიის „	50	50	—	„
50. ქალ. ქუთაისი	100	100	—	ქუთაისის მანქანათსარე-მონტო ქარხნის მშენებ-ლობაზე
51. ქუთაისის რაიონი	50	50	—	„
52. თეთრიწყაროს „	200	100	100	„
53. ბაშქიჩეთის „	250	100	150	„
54. აბაშის „	30	30	—	ბზიბის მაღაროების მშე-ნებლობაზე
55. ქალ. თბილისი „	150	50	100	საქმაღარმშენის მშენებ-ლობაზე თბილისში
56. თბილისის რაიონი	100	—	100	„

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 11/VIII № 893 დადგენილების დანართი № 2

რაიონოგრივი გეგმა

ბოსტნეულის, კარტოფილისა და ახალი ხილის ერთდროული შესყიდვისა ქვანახშირის ტრესტებისათვის საქართველოს სსრ-ში

რაიონები	სულ			ტყიბულქვანახშირი			ტყვარჩელქვანახშირი			მალარმშენი		
	ბოსტნეული	კარტოფილი	ხილი	ბოსტნეული	კარტოფილი	ხილი	ბოსტნეული	კარტოფილი	ხილი	ბოსტნეული	კარტოფილი	ხილი
ახალციხის რაიონი	40	100	30	—	50	15	—	—	—	40	50	15
ადიგენის „	10	100	30	—	—	—	—	70	—	10	30	30
ასპინძის „	—	20	10	—	—	—	—	—	—	—	20	10
გორის „	30	—	50	20	—	50	10	—	—	—	—	—
ქარელის „	20	—	—	—	—	—	10	—	—	10	—	—
ონის „	—	50	—	—	50	—	—	—	—	—	—	—
ტყიბულის „	—	—	60	—	—	40	—	—	—	—	—	20
ქუთაისის „	25	—	—	20	—	—	—	—	—	5	—	—
წყალტუბოს „	25	—	—	20	—	—	—	—	—	5	—	—
წულუკიძის „	15	—	—	10	—	—	—	—	—	5	—	—
სამტრედიის „	15	—	—	—	—	—	15	—	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	20	—	100	—	—	—	15	—	75	5	—	25
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	—	—	20	—	—	—	—	—	—	—	—	20
სულ	200	270	300	70	100	105	50	70	75	80	100	120

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11/VIII № 893
დადგენილების დანართი № 3

რაიონობრივი გეგმა

ხორცის, ყველისა და კარაქის ერთდროული შესყიდვისა ქვანახშირის ტრესტებისათვის საქართველოს სსრ-ში (ცენტნერობით)

რაიონები	სულ		ტყიბულქვანახშირი		ტყვარჩელქვანახშირი		მაღარმშენი	
	ცოცხალი პირუტყვი	ყველი	ცოცხალი პირუტყვი	ყველი	ცოცხალი პირუტყვი	ყველი	ცოცხალი პირუტყვი	ყველი
1. ახალქალაქის რაიონი	80	10	80	10	—	—	—	—
2. ახალციხის „	70	10	—	—	—	—	70	10
3. ადიგენის „	70	10	—	—	—	10	70	—
4. ასპინძის „	70	5	70	—	—	—	—	5
5. ბოგდანოვკის „	50	10	—	—	50	10	—	—
6. წალკის „	50	10	50	10	—	—	—	—
7. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	40	5	—	—	—	—	40	5
8. აფხაზეთის ასსრ	70	—	—	—	70	—	—	—
სულ	500	60	200	20	120	20	180	20

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 894

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

მცხეთის, თბილისისა და სამტრედიის რაიონებში ბოსტნეული კულტურების დამზადების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ბოსტნეული კულტურების დამზადების გეგმის შესრულება მცხეთის, თბილისისა და სამტრედიის რაიონების კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მიმდინარე წლის 5 აგვისტოსათვის მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩააბარეს 100,6 ტონა ანუ 6,6%, თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა—298 ტონა ანუ 14,8% და სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა—642,9 ტონა ანუ 27,7%; განსაკუთრებით დაბალია ბოსტნეულის ჩაბარების ტემპები მცხეთისა და თბილისის კოლმეურნეობებში: 15 აგვისტოსათვის თბილისის რაიონის 12 კოლმეურნეობა კიდევ არ შესდგომია ბოსტნეულის ჩაბარებას, ხოლო 32 კოლმეურნეობის მიერ ჩაბარებული 298 ტონიდან მარტო ერთმა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ ჩააბარა 115 ტონა.

გამორკვეულია, რომ ბოსტნეული კულტურების ნათესები მებოსტნეობის ძირითად კოლმეურნეობათა უმეტესობაში ცუდ მდგომარეობაშია, დასარევლიანებულია და ცუდადაა ან სრულიად არაა დამუშავებული (სოფ. სოღანლუღის მოლოტოვის სახ. და ბერიას სახ. კოლმეურნეობები, სოფ. დიღმის ლენინის სახ. და ბაქრაძის სახ. კოლმეურნეობები).

ადრეული ბოსტნეულის მოყვანის არაუზრუნველყოფის გამო, თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაშალეს ადრეული ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულება.

მცხეთის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ბოსტნეულის ძირზე გადამწიფების ფაქტებს (სოფ. არაშენდის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა, სოფ. ჩარდახის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობა და სხვ.).

ბევრი კოლმეურნეობა ბოსტნეულის აწონას მინდვრად არ აწარმოებს, სწორხიან მხოლოდ დამამზადებელი ორგანიზაციების მიმღებ პუნქტებში, რაც ჰქმნის ბოროტმოქმედების პირობებს.

დადასტურებულია ფაქტები, როდესაც თბილისის რაიონის სოფ. ავჭალის ბერიას სახ. კოლმეურნეობამ, სოფ. დიღმის ლენინის სახ. კოლმეურნეობამ და სოფ. მარტყოფის ლენინის სახ. კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველჰყვეს სახელმწიფო ჩაბარების გეგმის შესრულება და ისინი ისე ჰყიდდნენ ბოსტნეულს ქალ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაეკალოს მცხეთის, თბილისისა და სამტრედიის რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებსა და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში უზრუნველჰყონ ბოსტნეულის დამზადების გეგმის უცილობელი შესრულება, რისთვისაც:

ა) უზრუნველჰყონ ბოსტნეულის ყოველდღიური აღება და ჩაბარება და არ დაუშვან მათი გადამწიფება ძირზე, შეადგინონ ბოსტნეულის ჩაბარების ხუთდღიური გეგმები რაიონების კოლმეურნეობათა მიხედვით, მიაღწიონ მათს აუცილებლივ შესრულებას და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს;

ბ) შეამოწმონ თბილხილბოსტანავჭარობისა და კონსერვტრესტის დამამზადებელი პუნქტების მუშაობა ბოსტნეულის მიღების დარგში და აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს საჭირო დახმარება ბოსტნეული კულტურების სავალდებულო ჩაბარების შესრულების საქმეში;

გ) მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში ბოსტნეულის აწონა მინდვრად მისი აღების შემდეგ, ბოსტნეულის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებში აწარმოონ, როგორც წესი, ზედნადებებით. უზრუნველჰყონ ბოსტნეული კულტურების მტკიცედ დაცვა როგორც მინდვრად, ისე დამამზადებელ პუნქტებში გადაზიდვის დროსაც.

2. წინადადება მიეცეს მცხეთის, თბილისისა და სამტრედიის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს:

ა) უზრუნველჰყონ უახლოეს დღეებში მარგვლის, გათოხნის,

მორწყვისა და სხვა ღონისძიებათა გატარება ბოსტნეული კულტურების მთელს ფართობზე;

ბ) ჩაატარონ ნაგვიანევი ბოსტნეულის, თვის ბოლოკისა და სხვ. თესვა რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში და განსაკუთრებით კი იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც არსებული ნათესებით ვერ უზრუნველყოფენ ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულებას.

3. წინადადება მიეცეს თბილისის რაიაღმასკომს—ამხ. ამირანაშვილს პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირნი სოფ. დიღმის ღენინის სახ. კოლმეურნეობის, სოფ. ავჭალის ბერიას სახ. კოლმეურნეობისა და სოფ. მარტყობის ლენინის სახ. კოლმეურნეობის ამ წესართა რიცხვიდან, რომლებმაც გაჰყიდეს ბოსტნეული სახელმწიფო ჩაბარების გეგმის შესრულებამდე.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 895

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის საფაბრიკო შაქრის ჭარხლის აღების, გამოზიდვისა და დამზადების და შაქრის ჭარხლის თესლის აღებისა და შენახვის შესახებ

„1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების იმ ნაწილის განსახორციელებლად, რომელიც ეხება შაქრის ჭარხლის აღებასა და დამზადებას,—საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I. საფაბრიკო შაქრის ჭარხლის აღებისა და დამზადების შესახებ

1. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის ჭარხლის აღებისა და გამოზიდვის დაწყებისა და დამთავრების შემდეგი ვადები:

		ამოღება		გამოზიდვა
		დასაწყისი	გათავება	გათავება
ხაშურის	რაიონში	20/IX	5/XI	25/XI
ქარელის	„	20 „	5 „	20 „
გორის	„	25 „	5 „	25 „
კასპის	„	25 „	5 „	25 „
ბორჩალოს	„	30 „	5 „	25 „
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი		25 „	5 „	20 „

2. დაევალოს ქარელისა და ხაშურის რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ჭარხლის ამოღება დაიწყონ იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც ჭარხალს აბარებენ უშუალოდ ქარხანას-

თან არსებულ დასამზადებელ პუნქტს, და უზრუნველჰყონ მთელი ამოღებული ჭარხლის ჩაბარება დასამზადებელ პუნქტში არაუგვიანეს ამოღების მეორე დღისა.

3. დამტკიცდეს ჭარხლის ამოღების ხუთდღიური გეგმა მეჭარხლეობის ცალკეული რაიონების მიხედვით დანართის თანახმად.

დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, მეჭარხლეობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ათი დღის ვადაში დაწესონ ცალკეული კოლმეურნეობებისათვის, ხოლო კოლმეურნეობებში—ბრიგადებისა და რგოლებისათვის შაქრის ჭარხლის ამოღებისა და დასამზადებელ პუნქტებში მიზიდვის დავალებანი და უზრუნველჰყონ დავალებათა თანაბარი შესრულება, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან გარღვევა დროის მხრივ შაქრის ჭარხლის ამოღებასა, გაწმენდასა და დასამზადებელ პუნქტებში ჩაბარებას შორის.

4. განისაზღვროს 350 ჰექტარი ფართობით ჭარხლის მექანიზებული ამოღების გეგმა, რაც შემდეგნაირად განაწილდეს მტს-ების მიხედვით:

ხაშურის	მტს	100 ჰექტარი
ქარელისა	„	50 „
აგარისა	„	200 „

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს და ზემოაღნიშნული მტს-ების დირექტორებს:

ა) 10 სექტემბრამდე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ერთად, გამოჰყონ ჭარხალამომღები მანქანათა სამუშაოდ ვარგისი ფართობები;

ბ) არაუგვიანეს ა/წ 5 სექტემბრისა დაამთავრონ ყველა ჭარხალამომღები მანქანის, აგრეთვე „უ—2“ ტრაქტორების რემონტი და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა;

გ) შეადგინონ ჭარხალამომღები მანქანების მუშაობის გრაფიკი და ჭარხლის ამოღებამდე 10 დღით ადრე დაიყვანონ იგი სატრაქტორო ბრიგადამდე, ტრაქტორისტამდე და სათანადო კოლმეურნეობამდე;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჭარხლის ამომღები მანქანების მოწესრიგებას და მიაღწიონ ჭარხლის დანაკარგთა სრულ ლიკვიდაციას.

6. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, მეჭარხლეობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) 5 სექტემბრამდე უზრუნველჰყონ ახალი საწყობების, ჭარხალ-ამომღების, დანებისა და მოსავლის ასაღები სხვა ინვენტარის დამზადება და კოლმეურნეობებში არსებულთა რემონტი;

ბ) ჭარხლის ზიდვის დაწყებამდე 5 დღით ადრე დაამთავრონ კოლმეურნეობებში არსებული ავტომანქანების რემონტი, აგრეთვე ძველი ურმებისა და საზიდრების რემონტი და ახლების დამზადება;

გ) 10 სექტემბრამდე დაამთავრონ გზების, ხიდების, აგრეთვე ჭარხლის დასამზადებელ პუნქტებთან მისასვლელების შეკეთება, ამასთან მთელი ჭარხალდამზადების პერიოდისათვის დააწესონ გზების მოვლა და მათი წესივრულ მდგომარეობაში შენახვა.

7. დაევალოს ბორჩალოს რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომს 15 სექტემბრამდე გაიყვანონ 300 მეტრი მანძილი გზა ახლადაგებულ სანდარის ჭარხალდასამზადებელ პუნქტისაკენ.

აგარის შაქრის ჭარხლის დირექციამ აანაზღაუროს აღნიშნული გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

8. დაევალოს მეჭარხლეობის კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს:

ა) შაქრის ჭარხლის დანაკარგებთან და დატაცებასთან ბრძოლის მიზნით კოლმეურნეობათა მეჭარხლეობის ყველა რგოლში უზრუნველჰყონ მთელი ამოღებული ჭარხლის ზუსტი აღრიცხვა აწონით ან აწყვით;

ბ) მთელი ამოთხრილი ჭარხალი გაიტანონ ნაკვეთის პირას, სადაც გაწმინდონ და გროვებად დააწყონ;

გ) მოაწყონ ჭარხლის პლანტაციების სადღეღამისო დაცვა და არ დაუშვან პირუტყვის მიერ ჭარხლის ნათესების გამოძოვება ჭარხლის გამოზიდვის სრულ დამთავრებამდე და აღებული ნაკვეთების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მიერ მიღებამდე; აღებული ნაკვეთების მიღება გაფორმდეს სათანადო აქტებით;

დ) შექმნან თვითეულ კოლმეურნეობაში სპეციალური სატრანსპორტო ბრიგადები პლანტაციებიდან დასამზადებელ პუნქტებში შაქრის ჭარხლის მისაზიდად, იმ ვარაუდით, რომ შაქრის ჭარხლის გამოზიდვა უზრუნველყოფილ იქნას არაუგვიანეს ამოღების მეორე დღისა; მიამაგრონ ამ ბრიგადებზე გამწევი ძალის საჭირო რაოდენობა და არ დაუშვან მისი გამოყენება სხვა სამუშაოებისათვის მთელი ჭარხლის გამოზიდვის დამთავრებამდე;

ე) შაქრის ჭარხლის ამოღების დაწყებამდე დაამზადონ ან შეიძინონ ჩელტების და სხვა მასალის საჭირო რაოდენობა, როგორც გამოსაზიდი, ისე კაგატებად ან გროვებად დასაწყობი ჭარხლის სავალდებულო გადაფარების მიზნით.

9. დაწესდეს შაქრის ჭარხლის სავალდებულო დამზადება კოლ-

მეურნეთა, სხვა მეურნეობათა და კოლმეურნეობის იმ არაწევრთა საკარმიდამო ნაკვეთებიდან, რომლებიც მეჰარხლეობის რაიონებში ცხოვრობენ და რომლებსაც აქვთ შაქრის ჭარხლის ნათესები.

10. დაევალოს მიწსახკომს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და აგარის შაქრის ქარხანას დაამუშაონ კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის კაგატირების გეგმა და თავისი წინადადებანი 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ განსახილველად.

11. შაქრის ჭარხლის ამოღების რაც შეიძლება სწრაფად ჩატარების წახალისების, აგრეთვე ჭარხლის კაგატებად დაწყობის მიზნით, რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს კონტრაქტაციითა და ნატურასაზღაურით ჩაბარებულ ჭარხალში მათი კუთვნილი შაქრიდან გამოჰყონ 40 გრამი ამოთხრილი და გაწმენდილი და 20 გრამი კაგატებად დაწყობილი ჭარხლის თითო ცენტნერზე შაქრის ჭარხლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეთა შორის შრომადღეების მიხედვით გასანაწილებლად.

ჩაბარებულ ჭარხალში კოლმეურნეობის მიერ მისაღები დანარჩენი შაქარი განაწილდეს შრომადღეების მიხედვით, შაქრის ჭარხლის აღებაზე და კაგატებად მის დაწყობაზე გამომუშავებული შრომადღეების ჩათვლით, დადგენილი წესის თანახმად.

12. დაევალოს მეჭარხლეობის კოლმეურნეობათა გამგეობებს ჩაბარებულ ჭარხალში ავანსად მისაღები შაქარი ჭარხლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებს მისცენ ყოველ დეკადაში მოსავლის აღების კამპანიის პერიოდისათვის.

13. კატეგორიულად აეკრძალოს კოლმეურნეობებს არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ დახარჯონ შაქარი, მიღებული ჭარხალზე მომუშავე კოლმეურნეებისათვის მისაცემად.

14. წინადადება მიეცეს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას:

ა) ავანსად მისცეს კოლმეურნეობებს 60 გრამი შაქარი თვითეულ ჩაბარებულ ცენტნერ ჭარხალში, დაწყებული შაქრის ქარხნის მუშაობის მეორე დეკადიდან;

შაქრის საბოლოო ანგარიში კი კოლმეურნეობებს გაუსწოროს მთელი ჭარხლის ჩაბარების შემდეგ;

ბ) კოლმეურნეობათა მიერ არაკონდიციური ჭარხლის მოტანისას ჩაატაროს მთელი არაკონდიციური ჭარხლის გადარჩევა კოლმეურნეობათა ძალებით; იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იქნება შესრულებული, შეამციროს შაქრის გაცემა არაკონდიციურ ჭარხალში ერთი მესამედით დაწესებულ ნორმასთან შედარებით:

გ) შაქრის ქარხანასა და ჭარხლის დასამზადებელ პუნქტებში მიტანილ თვითეულ ცენტნერ ჭარხალში მისცეს შაქარი მზიდავებს, ოფერებსა და ავტომანქანის მტვირთავებს ქარხნის ანგარიშზე შემდეგი რაოდენობით (გრამობით):

	მზიდავებს	ოფერებს	ავტომანქანის მტვირთავებს
6 კილომეტრამდე	10	2	2
6-დან 15 კილომეტრამდე	25	5	3
15 კილომეტრს ზევით	40	8	4

შაქრის აღნიშნული რაოდენობა მზიდავებს ეძლევათ იმ პირობით, თუ ჭარხლის დატვირთვა-გადმოტვირთვას ისინი თვითონ ეწევიან.

ჭარხლის ზიდვაში კუთვნილი შაქარი მისცეს უშუალოდ მზიდავებს მათ მიერ ქარხანასა და ჭარხლის დასამზადებელ პუნქტებში მიტანილი შაქრის რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ფულადი დანამატი მისცეს უშუალოდ მზიდავებს დაწესებული ტარიფის 50% რაოდენობით.

15. იმ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა წასახალისებლად, რომლებიც თავიანთ ძროხებსა და ფურკამეჩებს უთმობენ შაქრის ჭარხლის გამოსაზიდად, ნება დაერთოს შაქრის ქარხანას, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით კოლმეურნეობებისათვის მისაცემი შაქრის გადამეტებით, მიჰყიდოს დაწესებულ შეღავათიან ფასად შაქარი კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს 100 გრ. რაოდენობით თითო ტონა-კილომეტრში.

16. ჭარხლის დასამზადებელი პუნქტების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად, კოლმეურნეობებიდან გამოზიდული შაქრის მიღებისა და გადმოტვირთვისას შეფერხების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ჭარხლის სწორად აწონისა და მიღების დოკუმენტების გამოწერისათვის კონტროლის გასაწევად, დაევალოთ მეჭარხლეობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს მიამაგრონ დასამზადებელ პუნქტებს დამზადების მთელი პერიოდისათვის რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები.

17. დაევალოს მეჭარხლეობის რაიონების რაიაღმასკომებსა და რაიკომებს უზრუნველჰყონ მიმღები პუნქტების მთელი სადღეღამისო მუშაობა და არ დაუშვან ჭარხლის მზიდავთა გაცდენა.

18. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას მოაწყოს შაქრის ჭარხლის გულდასმით დაცვა დასამზადებელ პუნქტებში, აგრეთვე რკინიგზის მარშრუტებზე, რომლებსაც გადააქვთ შაქრის ჭარხალი.

დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომს (ამხ. კ. ნაჭყებიას)

აგარის შაქრის ჭარხლის დირექციასთან ერთად შეამოწმოს მცველთა პირადი შემადგენლობა და შეაიარაღოს ისინი გლულიანი იარაღით.

19. დაევალოს შინსახკომის მილიციის სამმართველოს და საქართველოს სსრ პროკურატურას მისცენ საჭირო მითითებანი თავიანთ ადგილობრივს ორგანოებს შაქრის ჭარხლის მოსავლის დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

20. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას:

ა) ა/წ 5 სექტემბრამდე დაამთავროს დამკაგატებელთა, მწონავთა, წუნმდებელთა და ჭარხლის მიმღები პუნქტების გამგეთა კადრების მომზადება;

ბ) ა/წ 10 სექტემბრამდე დაამთავროს მიმღები პუნქტების მოპარაგება ინვენტარით (ჯინები, ორკაპები, კიბეები, ჩელტები და სხვ.) და სასწორების მისასვლელთა რემონტი, აგრეთვე დასამზადებელ პუნქტებში საკაგატო ნაკვეთების დაგეგმვა;

გ) ა/წ 5 სექტემბრამდე სავსებით წესიერულ ტექნიკურ მდგომარეობაში მოიყვანოს რკინიგზის ყველა ჩიხი.

21. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს მოაწყოს ტრიალები სადგურთან არსებული დასამზადებელი პუნქტებიდან შაქრის ქარხანაში შაქრის ჭარხლის გადასაზიდად, ხოლო შაქრის ჭარხლის მასობრივად შემოსვლამდე მისცეს ვაგონები შაქრის ქარხნის განაცხადის მიხედვით.

შაქრის ქარხნის დირექციამ უზრუნველჰყოს ვაგონების თავის დროზე დატვირთვა განტვირთვა და არ დაუშვას დაწესებული ვადების დარღვევა.

22. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტსა და საქართველოს კ. პ. (ბ) მეჭარხლეობის რაიონების რაიკომებს, აგარის შაქრის ჭარხლის დირექციასთან ერთად, ა/წ 5 სექტემბრამდე დააკომპლექტონ ჭარხლის მიმღები პუნქტები შემოწმებული კადრებით.

II. შაქრის ჭარხლის თესლის აღებისა და შენახვის შესახებ

23. დაევალოს ქარელის, გორის, კასპისა და ბორჩალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე მიწსახკომსა და აგარის შაქრის ქარხნის დირექციას:

ა) გორგლურას 25—30% გაწაბლისფერებისას შეუდგნენ ჭარხლის თესლის აღებას მეთესლეობის კოლმეურნეობებში და დაამთავრონ იგი სულ ბევრი 6 დღის განმავლობაში;

ბ) ძნების გაშრობისთანავე შეუდგნენ ჭარხლის თესლის გალეწვას და დაამთავრონ იგი გადანარგავის მოჭრის დაწყებიდან 25 დღის განმავლობაში;

გ) ჭარხლის თესლის რაც შეიძლება მალე გალეწვისა და გაწმენდის მოსაწყობად, ხელით გალეწვასთან ერთად, გამოიყენონ აგრეთვე ადგილობრივ არსებული სალეწი მანქანები და კომბაინები;

დ) გალეწვის მიყოლით მოაწყონ ჭარხლის თესლის ჩაბარება მიმღებ პუნქტებში და ეს სამუშაო დაამთავრონ არაუგვიანეს 1944 წლის 10 ოქტომბრისა.

24. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, აგარის შაქრის ქარხნის დირექციასთან ერთად, ჭარხლის თესლის აღების დაწყებამდე მოაწყოს ჭარხლის მეთესლეობის ყველა კოლმერნეობის თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა და მერგოლეულთა ინსტრუქტაჟი თესლის აღების, გალეწვისა და გაწმენდის ტექნიკის საკითხებზე, დააწესოს მუდმივი მეთვალყურეობა მეთესლეობის კოლმეურნეობათა მუშაობაზე, ჭარხლის თესლის აღებისა და დამზადების ღონისძიებათა თავის დროზე და ხარისხოვნად ჩატარების საქმეში.

25. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას ერთი დეკადის ვადაში მოამზადოს საწყობები (დეზინფექცია უყოს მათ) და უზრუნველჰყოს ჭარხლის თესლის ხარისხოვანი შენახვა და არ დაუშვას მისი გაღივების უნარის შემცირება.

26. წინადადება მიეცეს გორისა და კასპის რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს გამოჰყონ აგარის შაქრის ქარხნისათვის სათანადო სადგომები შაქრის ჭარხლის თესლის ძიასაღებად და შესანახად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წ. 11/VIII № 895 დადგენილების დანართი

1944 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის ამოღების ხუთდღიური გეგმები

	საფაბრიკო ჭარხლის ასაღები ფართობი ჰექტარობით	ამოღება ჰექტარობით								
		სექტემბერი		ოქტომბერი						ნოემბერი
		20—25	25—30	1—5	5—10	10—15	15—20	20—25	25—31	1—5
ხაშურის რაიონი	1350	100	120	120	120	120	120	220	220	210
ქარელის „	1630	200	200	200	160	160	200	200	185	125
გორის „	815	—	90	110	100	90	160	100	120	45
კასპის „	1085	—	70	70	100	100	185	190	190	180
ბორჩალოს „	500	—	—	30	30	30	55	140	115	100
სამხრეთ-ოსეთის ა\ო	400	—	30	40	50	40	80	80	40	40
ს უ ლ	5780	300	510	570	560	540	800	930	870	700

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 896

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

კეთილშობილი დაფნის ნარგავთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ 1943 და 1944 წლებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა უმეტესობის მიერ დაფნის ნარგავთა მოვლის აგროღონისძიებათა შეუსრულებლობის შედეგად (გადაბარვა, გათოხნა, მკურნალობა), დაფნის პლანტაციები უკიდურესად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ხობის, ვანისა და ზუგდიდის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობათა შემოწმებით გამოირკვა, რომ კეთილშობილი დაფნის პლანტაციებს უმეტეს შემთხვევაში მტაცებლურად უწევენ ექსპლოატაციას: ფოთლის მოსავლის კრეფა ერთსა და იმავე ფართობებზე, ნაცვლად დაწესებული კრეფისა ორ წელიწადში ერთხელ, სწარმოებს ყოველწლიურად, განსაკუთრებით საკარმიდამო ნაკვეთებზე, სადაც სიმინდისათვის ნაკვეთების გასაწმენდად სწარმოებს დაფნის ბუჩქებისა და თვით შტამბიანი ხეების სხვლა.

ის ნაკვეთები, სადაც სიმინდი არ ითესება, სრულიად მოუვლელადაა მიტოვებული და მორეულია სარეველა ბალახებით.

დაფნის ბუნებრივი ნარგავები სრულიად მოუვლელია, მთლიანად დაფარულია ხის მცენარეულობით, ჯაგნარებითა და ეკლებით და, გარდა ცალკეული ნაკვეთებისა, არც კი არის ხელმისაწვდომი ექსპლოატაციისათვის.

დაფნის პლანტაციების ასეთი მდგომარეობა ჰქმნის დაფნის ფოთლის კრეფის 1944 წლის გეგმის შეუსრულებლობისა და მისი ხარისხის მნიშვნელოვნად შემცირების საფრთხეს და აგრეთვე დაფნის პლანტაციების ცალკეული მასივების დაღუპვის საშიშროებას.

კეთილშობილი დაფნის ნარგავთა მდგომარეობის გაუმჯობესების

მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და აგრეთვე საქართველოს სსრ მიწსახკომს:

ა) ორი დეკადის განმავლობაში შეამოწმონ ყოველ კოლმეურნეობაში დაფნის როგორც კულტურულ, ისე ბუნებრივ ნარგავთა მდგომარეობა, გამოარკვიონ იმ მოუვლელი პლანტაციების ფართობები, რომლებიც გაწმენდილ უნდა იქნან ჯაგნარების, ეკლებისა და სხვა სარეველა მცენარეულობისაგან, გამოავლინონ დაავადებისა და მავნებლების კერები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დაფნის ნარგავთა მოსავლელად ყოველ კოლმეურნეობაში;

ბ) დაიწესონ ყოველი კოლმეურნეობისათვის მოუვლელი, ჯაგნარიანი, ეკლიანი და სხვა სარეველა მცენარეულობით მორეული ნაკვეთების გაწმენდის კალენდარული გეგმა, იმ ანგარიშით, რომ კულტურული ნარგავების გაწმენდის სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1 სექტემბრამდე და ბუნებრივი ნარგავებისა — მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე;

გ) ჩაატარონ კეთილშობილი დაფნის ყველა ნარგავის ორჯერადი შესხურება 3-პროცენტიანი ზეთის ემულსიით და დაამთავრონ მეორე მკურნალობა მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე;

დ) მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე გასწმინდონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ მთელი სადრენაჟო ქსელი ვაკე ნაკვეთებზე და წყალსარინი არხები ფერდობებზე, გაიყვანონ აგრეთვე ახალი დამატებითი სადრენაჟო ქსელი ზედმეტად დატენიანებულ ნაკვეთებზე;

ე) უზრუნველჰყონ დაფნის ყველა ნარგავი ღობით და ეს მუშაობა დაამთავრონ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე;

ვ) ჩაატარონ პლანტაციების გადაბარვა შემოდგომაზე ყველა ფართობზე, გარდა იმ ნაკვეთებისა, სადაც გადაბარვა ჩატარებულია მიმდინარე წლის 1 ნახევარში, და ეს მუშაობა დაამთავრონ 20 დეკემბრამდე;

ზ) უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 14 თებერვლის № 118 დადგენილებით დაწესებული ყველა აგროტექნიკური ღონისძიების გატარება დაფნის ნარგავთა მოვლისა და სანერგეთა გაშენებისათვის.

2. კატეგორიულად აეკრძალოს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და მედაფნეობის სხვა მეურნეობებს დაფნის ერთსა და იმავე ნარგავებზე ყლორტების ყოველწლიური შეჭრის მავნე პრაქტიკა; შეჭრა

წარმოებულ იქნას ორ წელიწადში ერთხელ და დაწესებულ იქნას ნაკვეთებისა და ცალკეული ხეების ექსპლოატაციის მორიგობა.

3. აიკრძალოს სიმინდის ყოველწლიური თესვა დაფნის პლანტაციებში და ნება დართულ იქნას მისი თესვა მხოლოდ დაფნის გასხვლის წელსა და მხოლოდ პარკოსანთა მიმატებით (ლობიო, სოია), ანდა სასუქის შეტანის პირობებში.

ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) გამოჰყოს დაფნის პლანტაციებისათვის 450 ტონა სულფატამონიუმი და 800 ტონა სუპერფოსფატი, რაც თანაბარ პარტიებად შემოზიდულ იქნას 1944 წლის IV კვარტალსა და 1945 წლის I კვარტალში;

ბ) დაფნის ფოთლის დამზადების სტიმულირებისა და დაფნის ნარგავთა ძდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 1944 წლის შემოდგომიდან, ნაცვლად არსებული 4 მანეთისა, დააწესოს 20 მანეთი დასამზადებელი ფასი 1 კილოგრამ დაფნის ხმელ ფოთოლზე;

გ) გამოჰყოს სამრეწველო საქონლის ფონდი შემხვედრი ვაჭრობისათვის დაფნის ფოთლის ჩამბარებლებთან, იმ ანგარიშით, რომ საქონელი 100%-ით ეძლეოდეს ჩამბარებლებს ჩაბარებული ფოთლისათვის;

დ) კულტურის საუკეთესო აგრომომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესოს მედაფნე აგრონომების თანამდებობანი: თითო აგრონომი—საქართველოს სსრ მიწსახკომში, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მიწსახკომებში და ხობის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ქუთაისის, სამტრედიის, ვანისა და ლანჩხუთის რაიონების რაიმიწგანებში.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 897

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ 1930 წელს პედაგოგიური სასწავლებლები სწავლების ოთხწლიანი კურსით რეორგანიზებულ იქნენ სამწლიანებად, საყოველთაო დაწყებითი სწავლების ჩატარების გადაუდებელ ამოცანებთან და პედაგოგიური კადრების მომზადების დაჩქარების საჭიროებასთან დაკავშირებით.

გასული პერიოდის განმავლობაში პედაგოგიურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს ზოგადგანმანათლებელი სკოლების დაწყებითი კლასების 25.000-ზე მეტი პედაგოგი და დააკმაყოფილეს არსებითად ამ კლასების კადრების მოთხოვნილება.

ამჟამად, სწავლების ხარისხისადმი გაზრდილ მოთხოვნათა პირობებში, პედაგოგიურ სასწავლებელთა არსებული სასწავლო გეგმები, სწავლების ვადის სიმცირის გამო, ვერ უზრუნველყოფენ მასწავლებელთა გამოშვებას ზოგადგანმანათლებელი დისციპლინების საკმაო ცოდნითა და პედაგოგიური მომზადებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. შემოღებულ იქნას 1944—1945 სასწავლო წლიდან სწავლების ოთხწლიანი კურსი ბათუმის, გორის, მახარაძის, ზესტაფონის, სიღნაღის, ქუთაისის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხაშურისა და თბილისის ქართულ პედაგოგიურ სასწავლებლებში, ხოლო 1945—46 სასწავლო წლიდან—რესპუბლიკის დანარჩენ 19 პედაგოგიურ სასწავლებელში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს ერთი დეკადის განმავლობაში შეადგინოს სწავლების ოთხწლიანი კურსის მქონე პე-

დაგოგიურ სასწავლებელთა ახალი სასწავლო გეგმები და ერთი თვის ვადაში—მათი პროგრამები და უზრუნველჰყოს სასწავლებლები მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს (ამხ. ციმაკურიძეს) გაითვალისწინოს 1945 წლის ბიუჯეტის პროექტში ასიგნობანი ამ ღონისძიებათა გატარებისათვის.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 898

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ბაშქიჩეთის რაიონში გამოუყენებელი საძოვრებიდან მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისაგან ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობათა განთავისუფლების შესახებ

იმის გამო, რომ ბაშქიჩეთის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებისათვის დროებითს სარგებლობაში გადასაცემი 3016 ჰექტარი საძოვრიდან ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ ფაქტიურად მიღებულია მხოლოდ 730 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი 2286 ჰექტარი დღემდე გამოუყენებლად არის დარჩენილი თავის რაიონის კოლმეურნეობათა მიზეზით და რადგან შესაძლებელია ეს საძოვრები ნაწილობრივ გამოიყენონ ბაშქიჩეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 1944 წლის დარჩენილ ზაფხულის სეზონში, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეკისროს ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარება ბაშქიჩეთის რაიონის კოლმეურნეობებისაგან დროებითს სარგებლობაში მიღებული 730 ჰექტარ საძოვრიდან.

სახჩაბარება სადაო, აუთვისებელ 2286 ჰექტარ ფართობიდან დაეკისროს თანაბრად ლაგოდეხისა და ბაშქიჩეთის რაიონების კოლმეურნეობებს.

2. მიენდოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში შეიტანოს სათანადო ცვლილებანი ლაგოდეხისა და ბაშქიჩეთის რაიონების კოლმეურნეობებისათვის ჩაბარებულ ვალდებულებებში.

3. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ბაშქირეთისა და ლაგოდეხის რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს განუმარტონ ეს დადგენილება სათანადო კოლმეურნეობებს და უზრუნველჰყონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტთა ჩაბარება ამ დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 899

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ქობულეთი—ნატანების, ფოთი—სუფსისა და ფოთი—ცხაკაიას გზატკეცილების დაგუდრონების მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს—ამხ. ბირკაიას:

ა) ჩაატაროს 1944 წელს მთელი მოსამზადებელი მუშაობა და შეუდგეს ფოთის კვანძის გზების ნაწილობრივ დაგუდრონებას;

ბ) მიმდინარე წლის 10 ავგისტომდე უზრუნველჰყოს სამუშაოები მექანიზმებით, ავტოტრანსპორტითა და სპეციალისტების სათანადო შტატით.

2. დაევალოს ქვემოდასახელებული რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომების მდივნებს 1 სექტემბრამდე დაამზადონ და გამოზიდონ კოლმეურნეობათა ძალებით ხრეში:

ა) ქობულეთის რაიონში—3000 კუბ. მეტრი ნატანებ—ქობულეთის გზაზე (ქობულეთის რაიონის ფარგლებში);

ბ) მახარაძის რაიონში 2500 კუბ. მეტრი ნატანებ—ქობულეთის გზაზე (მახარაძის რაიონის ფარგლებში);

გ) ლანჩხუთის რაიონში 3000 კუბ. მეტრი სუფსა—ფოთის გზაზე;

დ) ხობის რაიონში 3000 კუბ. მეტრი ფოთი—ცხაკაიას გზაზე.

3. წინადადება მიეცეს ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის დირექტორს ამხ. ფირიაშვილს და „გლავნეფტესბიტის“ ბათუმის ბაზის მმართველს ამხ. ნიკოგოსიანს უზრუნველჰყონ ბნ—3 ან ბგ—4 მარკის 500 ტონა თხევადი ნავთბიტუმის მიცემა საქართველოს სსრ სახ-

კომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსათვის აგვისტოსა და ნოემბრის განმავლობაში.

4. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს გამოუყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს მიმდინარე წლის აგვისტოში საჭირო რაოდენობის რკინიგზის ცისტერნები 500 ტონა თხევადი ბიტუმის გადმოსაზიდად ბათუმიდან.

საქართველოს სსრ
ხახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 901

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქ. თბილისის მოსახლეობის სასურსათო საქონლით ნორმირებულ მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაყვანილ იქნას 1944 წლის 1-ლ სექტემბრიდან ქალაქ თბილისის მოსახლეობა სასურსათო საქონლით ნორმირებულ მომარაგებაზე (ხორც-თევზი, ცხიმეულობა, ბურღულ-მაკარონი, შაქარი) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული ნორმების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბაზრობის რესპუბლიკური ბიუროს უფროსს ამხ. გიორგობიანს უზრუნველჰყონ დაწესებული ფორმის სასურსათო ბარათების თავის დროზე დაბეჭდვა და მათი მიცემა ქ. თბილისის მოსახლეობისათვის არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 აგვისტოსი.

3. წინადადება მიეცეს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ სტამბის დირექტორს ამხ. ალექსანდროვს უზრუნველჰყოს სექტემბრისათვის საჭირო პურისა და სასურსათო ბარათების ბეჭდვა და მათი ჩაბარება რესპუბლიკური ბიუროსათვის არაუგვიანეს 17 აგვისტოსი.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. გიორგაძემ:

ა) ჩაატაროს სასურსათო ბარათების საქალაქო და რაიონული იუროების, საკონტროლო-სააღრიცხვო ბიუროების, სავაჭროებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშათა ინსტრუქტაჟი სასურსათო ბარათების გაცემის წესის, მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების მომარაგების ნორმების, სავაჭრო ქსელსა და სავა-

ჭროებისა და მუშათა მომარაგების განყოფილების საზოგადოებრივი კვების ქსელზე კონტინგენტების მიმაგრებისა და აგრეთვე სასურსათო ბარათების დასაქონლებული ტალონების ჩაბარებისა და მიღების კონტროლის შესახებ;

ბ) გამოუყოს სასურსათო საქონლის (ხორც-თევზის, ცხიმეულობის, ბურღულ-მაკარონისა და შაქრის) ფონდები სავაჭროებს. მუშათა მომარაგების განყოფილებებსა და თბილისაკვებტრესტს სექტემბრისათვის ფაქტიურად მიმაგრებული კონტინგენტის მიხედვით და უზრუნველჰყოს სასურსათო ბარათების სრული დასაქონლება ქ. თბილისში;

გ) მოამზადოს სასურსათო საქონლით ვაჭრობისათვის გამოყოფილი სავაჭრო ქსელი და აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ქსელი, ჩაატაროს საჭირო რემონტი და უზრუნველჰყოს მოწყობილობით და ინვენტარით;

დ) მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე დააკომპლექტოს სავაჭრო ქსელი საჭირო რაოდენობის მომზადებული მუშაკებით.

5. სასურსათო საქონლის (ხორც-თევზის, ცხიმეულობის, ბურღულ-მაკარონისა და შაქრის) მიყიდვა იმ მოსახლეობისათვის, რომელსაც მუშათა მომარაგების განყოფილებები და სავაჭროთა დახურული ქსელი ძმომსახურებას არ უწევენ, დაეკისროს თბილვაჭრობასა და „გასტრონომს“.

6. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად, დააწესოს ყოველი მაღაზიისა და სასადილოსათვის მიმაგრების ლიმიტი, მაღაზიისა და სასადილოს გამტარუნარიანობის მიხედვით;

ბ) მოსახლეობის მიმაგრება მაღაზიებზე დაიწყოს 5 დღით ადრე თვის დასაწყისამდე და დაამთავროს არაუგვიანეს შემდგომი თვის 2 რიცხვისა.

გ) არაუგვიანეს ყოველი თვის 7 რიცხვისა შეადგინოს ანგარიში საანგარიშო თვეში ფაქტიურად მიმაგრებული კონტინგენტის რაოდენობის შესახებ ყოველი სავაჭრო ორგანიზაციისა და მუშათა მომარაგების განყოფილების მიხედვით ცალცალკე.

7. დაევალოს მრეწველობის ბაზების ხელმძღვანელებს: „მიასოსბიტის“ საქკანტორისა—ამხ. ქავთარაძეს, „გლავრიბსბიტისა“—ამხ. დარახველიძეს, „გლავრასჭირმასლოსი“—ამხ. ეგიაზაროვს, „გლავსახარისა“—ამხ. კირშტეინს, „გლავკონდიტრისა“—ამხ. თოფურიძეს, „ზაგოტზერნოს“ საქკანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს და

საქკონსერვხილტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს სასურსათო საქონლის ჩაბარება სავაჭრო ორგანიზაციებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებებისათვის მოსახლეობის მოსამარაგებლად აწვარმოონ შეუფერხებლად და თანაბარ პარტიებად და თვიური ფონდების სრული დასაქონლება დაამთავრონ არაუგვიანეს 25 რიცხვისა.

8. წინადადება მიეცეს დირექტორებს: თბილვაჭრობისა—ამხ. კილასონიას, თბილსაჩვებტრესტისა—ამხ. ჩარკვიანს, გასტრონომის საქკანტორისა—ამხ. ხითაროვს და უფროსებს: სპეცვაჭრობისა—ამხ. მამაცაშვილს, ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობის თბილისის საქალაქო ქანყოფილებისა—ამხ. ავაკიმოვს, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის რაიგანყოფილებისა—ამხ. წამალაშვილს და მუშათა მომარაგების განყოფილებათა უფროსებს მოაწყონ სასურსათო საქონლის თავის დროზე შეზიდვა სავაჭრო ქსელსა და სასადილოებში და უზრუნველჰყონ მიმაგრებული კონტინგენტის შეუფერხებელი მომარაგება.

9. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს პირადად ადევნოს თვალყური ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმები

ქალ. თბილისის მოსახლეობის სასურსათო საქონლით მომარაგებისა

მოსახლეობის კატეგორიებისა და ჯგუფების დასახელება	ხორცპროდუქტები	ცხიმეულობა	ბურღულეული	შაქარ-საკონდიტრო ნაწარმები
1. სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშები და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკები	1800	400	1200	400
2. მოსამსახურეები	1200	300	800	300
3. კმაყოფაზე მყოფნი	500	200	600	200
4. ბავშვები 12 წლამდე	400	300	800	300

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. რუხტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 902

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქტყემომარაგების ტრესტისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1944 წლისათვის მიღებული საწარმოო პროგრამის შესაბამისად, განისაზღვროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქტყემომარაგების ტრესტის საბრუნავი სახსრების ნორმატივი 1400 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს საქტყემომარაგების ტრესტს მიმდინარე წლის III კვარტალში საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შესავსებად 235 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 903

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ოქტომბრის სახ. მაუდის ფაბრიკიდან საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში ევაკუირებული მუშებისათვის მოსკოვის ოლქში დაბრუნების ნებართვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. აკიმოვის წერილის თანახმად, დაევალოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხაძეს:

ა) მოაწყოს ყველა იმ მუშის გაგზავნა ოჯახის წევრებიანად, რომლებიც ევაკუაციის წესით ჩამოსული არიან მოსკოვის ოლქის ოქტომბრის სახ. მაუდის ფაბრიკიდან თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში;

ბ) მუშებისა და მათი ოჯახების დაბრუნების ვადა შეუთანხმოს სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს;

გ) უზრუნველჰყოს ყველა დასაბრუნებელი მუშისათვის დახმარების მიცემა და აუნაზღაუროს მათ საგზაო ხარჯები დადგენილი წესით;

დ) შეუთანხმდეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იმის შესახებ, რომ გამოყოფილ იქნას ვაგონების ან რკინიგზის ბილეთების საჭირო რაოდენობა მუშებისა და მათი ოჯახების ორგანიზებული გაგზავნისათვის მოსკოვის ოლქში;

ე) პირადი პასუხისმგებლობით მიიღოს კონკრეტული ზომები და უზრუნველჰყოს ოქტომბრის სახ. მაუდის ფაბრიკიდან ევაკუირებული მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაუყოვნებლივ გაუმჯობესება, კერძოდ, უზრუნველჰყოს ნორმალური მომა-

რაგება კვების პროდუქტებით, აგრეთვე ტანისამოსითა და ფეხსაცმლით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხაძეს და ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყონ მოსკოვის ოლქში გასაგზავნი მუშები და მათი ოჯახის წევრები პურითა და კვების სხვა პროდუქტებით დაწესებული ნორმების მიხედვით მათი მგზავრობის პერიოდისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 14 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 908

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საწარმოების მიერ საბავშვო სახლებისა, საბავშვო მიმღებ-განმანაწილებლებისა, საბავშვო შრომით-აღმზრდელობითი კოლონიებისათვის და სკოლების მოსწავლეთათვის პროდუქციის გამომუშავების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 2 აგვისტოს ტელეგრაფით გადმოცემული № 120-1 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხაძეს, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რობაქიძეს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს, საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს, საქტყემრეწვკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს, თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორს ამხ. თუშიშვილს, ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ალავიძეს, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ დირექტორს ამხ. ღლონტს:

ა) იმუშაონ ყველა თავის საწარმოში ა/წ III კვარტალში ორ სამუშაო დღეს-27 აგვისტოს და 17 სექტემბერს და უზრუნველჰყონ ამ დღეებში პროდუქციის გამოშვება საბავშვო სახლებისა, საბავშვო მიმღებ-განმანაწილებლებისა, საბავშვო შრომით-აღმზრდელობითი კოლონიებისათვის და სკოლების მოსწავლეთათვის № 1 დანართით გათვალისწინებული ოდენობისა და ასორტიმენტის თანახმად;

ბ) წარმოების უკეთ ორგანიზაციისა და ამ დადგენილების პ.1 „ა“ განყოფილებით დაწესებულ დღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოამზადონ ყველა საწარმო გამოსასვლელ დღე-

ებში მაქსიმალური დატვირთვით სამუშაოდ, ამასთან უზრუნველჰყონ ეს საწარმოები ნედლეულის საჭირო რაოდენობით, დამხმარე მასალებითა და მუშახელით.

ჩაატარონ მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა მუშებსა, საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალსა და მოსამსახურეებს შორის და შეიმუშაონ გეგმები კონკრეტული ღონისძიებებისა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საბავშვო დაწესებულებებისა და მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით გამოშვებას; მოაწყონ 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული პროდუქციის სპეციალური აღრიცხვა, ხოლო 28 აგვისტოს და 18 სექტემბერს გამოუცხადონ ყველა მუშებს მუშაობის შედეგები, ამასთან გაატარონ იმ მუშების წამხალისებელი ღონისძიებანი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დამატებითი პროდუქციის გამოშვებაში.

2. ამ დადგენილების პ. 1—ში დასახელებულმა სახალხო კომისარიატებმა და უწყებებმა უზრუნველჰყონ ა/წ 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში კეთილხარისხოვანი პროდუქციის გამომუშავება და არ დაუშვან წუნდებული პროდუქციის გამოშვება.

3. აეკრძალოთ ამ დადგენილების 1 პ—ში დასახელებულ სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს გამოიყენონ გამოსასვლელ დღეებში სამუშაოდ წითელი არმიის შეკვეთების შესასრულებლად განკუთვნილი ნედლეული და მასალები.

4. დ ა ე ვ ა ლ ო ს:

ა) საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხაძეს ა/წ 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული შალეული და ნახევრადაბრეშუმეული ქსოვილი—6252 მეტრი, აბრეშუმეული და ნახევრადშალეული ქსოვილი—32560 მეტრი გადასცეს სარეწაო კავშირს საბავშვო დაწესებულებებისა და მოსწავლეებისათვის ტანსაცმლის შესაკერად;

ბ) სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორს ამხ. თუშიშვილს —27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული ბამბეული ნართი 7300 კილოგრამის რაოდენობით გადასცეს სატრიკოტაჟო ნაწარმად გადამუშავებისათვის:

ფაბრიკა საქტრიკოტაჟს	870 კგ
საქ. სსრ ადგ. მრეწ. სახ. კომისარ. რაიონული მრეწველობის სამმართველოს	2360 „
საქინკოოპკავშირს	1900 „
სარეწაო კავშირს	2180 „

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობის სამმართველოს, საქინკოოპკავშირს და სარეწაო კავშირს გამოყოფილი ქსოვილისა და ბამბეული ნართისაგან ა/წ 1 ოქტომბრამდე გამოიმუშაონ სამკერვალო და სატრიკოტაჟო ნაწარმი № 2 დანართით გათვალისწინებული ასორტიმენტისა და სისტემების თანახმად.

6. ამ დადგენილების პ. 1 და 5-ში ჩამოთვლილი მთელი მზა პროდუქციის რეალიზაცია მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განაწესთა მიხედვით.

7. ეთხოვოს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს — საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ 1944 წლის 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული პროდუქცია დასტოვოს საქართველოს სსრ სამავშვო სახლებისა, სამავშვო მიმღებ - განმანაწილებლებისა, სამავშვო შრომით - აღმზრდელობითი კოლონიებისათვის და მოსწავლეთათვის სარეალიზაციოდ ბავშვთა კონტინგენტების მიხედვით № 3 დანართის დანახმად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს:

ა) მისცეს ა/წ 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში მსუბუქი, საფეიქრო და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს, რომლებიც ნორმირებულ მომარაგებაზე იმყოფებიან, კვების პროდუქტები მუშებისათვის ამ დღეებში ტალონების ამოუჭრელად და ფულის გაცემით დაწესებული ნორმების თანახმად;

ბ) პროდუქციის რეალიზაციაზე სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, თავის დროზე ჩაიბაროს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან, სარეწაო კავშირისა, საქინკოოპკავშირისა, საქტყემრეწკავშირისა, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა და ფაბრიკა „საქტრიკოტაჟისაგან“ 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში გამომუშავებული მთელი მზა პროდუქცია და მოახდინოს მისი რეალიზაცია დანიშნულებისამებრ № 4 დანართის თანახმად;

გ) მოსწავლეთათვის დანიშნული მზა პროდუქციის რეალიზაცია ჩაატაროს რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით,

ამასთან დეფიციტური სამრეწველო საქონელი მოსწავლეებს მისცეს მხოლოდ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ გაცემული ორდერებით და საქონელი საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში შეიტანოს საქართველოს სსრ განსახკომთან შეთანხმებით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. გ. ალავიძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 აგვისტო.

დავალება საქართველოს სსრ ორგანიზაციების მიერ საბავშვო და წესგზულებათა და მოსწავლეთათვის 1944 წლის 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში პროდუქციის გამოშვებისა

საქონლისა და ორგანიზაციების დასახელება	2 გამოსასვლელ დღეს გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობა
საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	
შალის ქსოვილი	6.252 მტ.
აბრეშუმის ქსოვილი	9.100 „
ნახევარაბრეშუმის ქსოვილი	23.460 „
ხალიჩის ფეხსაფენი	80 „
გამბა	7.600 კგ
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	
შალის შარვალი ბიჭებისათვის	450 ცალი
შალის პალტო გოგოებისათვის	130 „
„ „ ბიჭებისათვის	40 „
ბამბის კაბა გოგოებისათვის	250 „
„ „ საბავშვო	250 „
აბრეშუმის კაბა გოგოებისათვის	200 „
ყურიანი ქუდი	200 „
ფიხსაცმელი	6572 წყვილი
სამეურნეო ჩურჩელი	1500 ცალი
სამელნე	1300 „
სხვადასხვა ჯაგრისი	2300 „
აბრეშუმის ძაფი მურგვებად	1000 კოლ.
ლამპის პატრუქი	600 მტ.
ნავთურას პატრუქი	1200 წყვილი
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	
სუფრის კოვზი	400 ცალი
სადესერტო კოვზი	8200 „
ფაიფურის ფინჯანი	1000 „
თოხი	50 „
ვედრო	40 „
გობი	40 „
ტაშტი	40 „
სახარში ქვაბი	40 „
კერამიკული ჩურჩელი	5700 „
ლამპის შუშა	150 „
საბავშვო ტაბურეტი	50 „
საბავშვო მაგიდა	48 „
საბავშვო სკამი	145 „
სასადილო მაგიდა	10 „
ბოძკინტი	10 „

საქონლისა და ორგანიზაციების დასახელება	2 გამოსასვლელ დღეს გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობა
ტაბურეტი	100 ცალი
სამელნე მოწყობილობა	40 „
სახაზავი	2000 „
კუთხედი	500 „
მოსწავლის პორტფელი	100 „
ფიბრის ჩანთა	30 „
ბლოკნოტი	500 „
თალქის ფანქარი	1000 „
სასკოლო ცარცი	10000 „
საკალმე	100 „
სხვადასხვა საბავშვო სათამაშო	160 „
ხელის საპონი	20000 ნაჭერი
სამეურნეო საპონი	440 კგ
გადასაფარი	80 ცალი
ტრიკოტაჟის ნაწარმი	2700 „
საბავშვო ფეხსაცმელი	310 წყვილი
სხვადასხვა სავარცელი	6000 ცალი
სხვადასხვა ღილი	4000 „
ქვანახშირი	35 ტონა
სარეწაო კავშირი	
თუნის ჭურჭელი	11000 ცალი
ლითონის კოვზი	950 „
მელანი	1000 კგ
ფეხსაცმლის კრემი	670 „
სამეურნეო საპონი	4000 „
საპნის ფხვნილი	40 „
თუთქი	160 „
ბავშვისა და მოსწავლის ფეხსაცმელი	1800 წყვილი
სხვადასხვა ჯაგრისი	270 ცალი
ხის კალმისტარი	1500 „
გასაყრელი რეზინი	1340 „
თავის სარჩი	26700 „
ჯაყვა	200 „
ინგლისური ქინძისთავი	10700 „
ქალაღი	48 „
საკანცელარიო კნოპი	190 კოლ.
საკანცელარიო სამაგრი	190 „
ფანქარსათლელი	200 ცალი
პირის გადასაღები ქაღალდი	8000 ფურც.
ნაბადი	70 ცალი
თექის ფეხსაცმელი	190 „
ქვედა ტრიკოტაჟი	2700 „
ზედა ტრიკოტაჟი	2400 „
მაღალ და დაბალყელიანი წინდები	1600 წყვილი
საბავშვო შალნარევი შარვალი და ქურთუკი	160 კომპლ.
აბრეშუმის საბავშვო კაბა	200 ცალი
საქინკოოპკავშირი	
ბავშვისა და მოსწავლის ფეხსაცმელი	400 წყვილი
სხვადასხვა წუღა	600 „

საქონლისა და ორგანიზაციების დასახელება	2 გამოსასვლელ დღეს გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობა
თავსაფარი	300 წყვილი
პარსახოცი	300 „
ზედა ტრიკოტაჟი	1000 „
ქვედა ტრიკოტაჟი	1600 ცალი
მაღალ და დაბალყელიანი წინდები	600 წყვილი
სხვადასხვა ღილი	10000 ცალი
სამეურნეო ჯაგრისი	300 „
საგარცხელი	200 „
ქინძისთავი	600 შეკვრა
საბავშვო საათი	400 ცალი
დ ო მ ი ნ ო	200 კომპ.
ცბილის ფხვნილი	200 კოლ.
მ ე ლ ა ნ ი	140 ბოთლი
პასტა „ნედა“	400 კგ
სამეურნეო საპონი	400 „
თმის სარჭი	1340 შეკვრა
ფეხსაცმლის საცხი	2800 ათ. ქ.
ოთრეულის სარჭი	400 ცალი
საქსარეწტყეკავშირი	
საბავშვო მაგიდა	50 ცალი
ტაბურეტი	100 „
ს ა კ ა ლ მ ე	100 „
მოსწავლის კალმისტარი	8700 „
ხის საძირე ბავშვის ფეხსაცმლისათვის	250 წყვილი
ქვდლის საკიდი	100 ცალი
პატარა ზომის ბამბუკის კალათა	300 „
საქტრიკოტაჟი	
ბამბის მაღალყელიანი წინდები	4000 წყვილი
ბამბის დაბალყელიანი წინდები	1200 „
სასპორტო პერანგი	1000 ცალი
ტ რ უ ს ე ბ ი	1000 „
ქსედა საცვალი	2000 „
თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი	
ბამბეული ნართი	7300 კგ
მაღალყელიანი წინდები	740 წყვილი
საბავშვო ტრუსები	500 ცალი
ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკა	
ბავშვისა და მოზარდის ფეხსაცმელი	2000 წყვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როხტიაშვილი.**

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სარეწაო კოოპერაციისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობისათვის გადაცემული ნედლეულისაგან სამკერვალო და სატრიკოტაჟო ნაწარმის გამომუშავებისა

	გაიცემა	შეკერება და გამომუშავდება	რაოდენობა
სარეწაო კავშირი			
შალეულის ქსოვილი . . .	6252 მტ.	ტოლსტოურა 8-დან 16-დე წლის ასაკის ბავშვებისათვის	961 ცალი
		შარვალი 8-დან 16-მდე ასაკის ბავშვებისათვის	2200 „
		ქვედა 8-დან 16-მდე ასაკის გოგოებისათვის	3900 „
აბრეშუმის და აბრეშუმნარევი ქსოვილი	32560 *) მტ.	კაბა 8-დან 16-მდე ასაკის გოგოებისათვის	12900 „
ბამბის ნართი	2180 კგ	ზედა ტრიკოტაჟი	6000 „
ხაქინკოოპკავშირი			
ბამბის ნართი	1900 კგ	ზედა ტრიკოტაჟი	3500 „
		ქვედა ტრიკოტაჟი	3500 „
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობის სამმართველო			
ბამბის ნართი	2360 კგ	ზედა ტრიკოტაჟი	4500 „
		ქვედა ტრიკოტაჟი	3000 „

*) აქედან 940 მტ. შალის ქსოვილის გადასამუშავებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. ჩოხტიაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/VIII
№ 908 დადგენილების დანართი № 3

კონტინგენტი

საქართველოს სსრ განსახკომის მოსწავლეებისა და საბავშვო სახლებისა, ბავშვთა მიმღებისა და შრომა-გასწორების კოლონიებისა

	ბავშვთა რაოდენობა
საქართველოს სსრ განსახკომის მოსწავლენი	677000
საქართველოს განსახკომის საბავშვო სახლები	4650
ბავშვთა მიმღები	375
შრომით-აღმზრდელობითი კოლონიები	1950
ს უ ლ	683976

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

განაწილება

ბავშვთა დაწესებულებებისა და მოსწავლეებისათვის 1944 წლის 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსახსნელ დღეებში გამოშვებული პროდუქციისა

საბრძ. ერთეული	ს უ ლ	აქედან			
		საქ. სსრ განსაკ. კომის საბავშვო სახლებ.	შრომითი აღმზრდელ. კოლონიებისათვის	შინსახკომის საბავშვო მიწებათვის	საქ. სსრ ვეტერანობის სახ. კომისარ. სტოლებისათვის
ცალი	3900	—	200	80	3620
„	2610	—	500	200	1910
„	130	78	39	13	—
„	40	40	—	—	—
„	250	—	75	25	150
„	250	—	75	25	150
„	1300	—	—	—	1300
„	961	—	—	—	961
კგ	7600	—	—	—	7600
ცალი	200	120	68	12	—
წყვ.	11682	4500	1950	375	4857
ცალი	80	—	50	30	—
„	19900	—	—	—	19900
„	15500	—	—	—	15500
წყვ.	8140	—	—	—	8140
ცალი	300	—	—	—	300
„	300	300	—	—	—
მეტრი	80	80	—	—	—
„	1500	—	—	—	1500
„	1300	—	—	—	1300
„	40	—	—	—	40
„	2870	200	—	—	2670
კოლ.	1000	—	—	—	1000
მეტ.	600	600	—	—	—
წყვ.	1200	200	—	—	1000
ცალი	16700	—	—	—	16700
„	1350	—	650	600	—
„	8200	—	—	—	8200
კგ	1140	—	—	—	1140

საბამი ერთეული	ს უ ლ	ა ქ ე დ ა ნ			
		სულ. სარჯ. განსაზღვრის საბაგშვო სახლებ.	შრომითი ალმოდგენილობისათვის	შინსახკომის საბაგშვო ბიბლიოთეკის	სულ. სარჯ. განკუთვნილობის საბაგშვო სახლის სრული ბისათვის
ფეხსაცმლის კრემი	კგ	3470	—	—	—	3470
სამეურნეო საპონი	„	4840	—	—	—	4840
საპნის ფხვნილი	„	40	—	—	—	40
თუთქი	„	160	—	—	—	160
მოსწავლის ზის კალმისტარი . .	ცალი	10200	—	—	—	10200
გასაყარი რეზინი	მეტ.	1340	1190	—	150	—
თავის სარჭი	ცალი	28040	—	—	—	28040
ჯ ა ყ ვ ა	„	200	—	—	—	200
ინგლისური ქინძისთავი	„	11300	—	—	—	11300
ქალაღა	„	48	—	—	—	48
კნოპი საკანცელარიო	კოლ.	190	—	—	—	190
სამაგრი „	„	190	—	—	—	190
ფანქარსათლელი	ცალი	200	—	—	—	200
პირის გადასაღები ქაღალდი . .	„	8000 *	—	—	—	—
საბაზავი	„	2000	—	—	—	2000
ნაბადი	„	70	70	—	—	—
თექის ფეხსაცმელი	წყვ.	190	190	—	—	—
სწვადასწვა ღილი	ცალი	14000	4000	—	—	10000
სავარცხელი	„	6200	2000	—	—	4200
დომინო	„	200	—	—	—	200
კბილის ფხვნილი	კოლ.	200	—	—	—	200
პასტა „ნედე“	კგ	400	—	—	—	400
თეთრეულის სარჭი	ცალი	400	400	—	—	—
ფაიფურის ფინჯანი	„	1000	1000	—	—	—
ვარცლი	„	40	40	—	—	—
თ ო ხ ი	„	50	50	—	—	—
ვედრო	„	40	40	—	—	—
ტაშტი	„	40	40	—	—	—
საბარში ქვაბი	„	40	40	—	—	—
ლამპის შუშა	„	150	—	—	—	150
საბავშვო ტაბურეტი	„	250	250	—	—	—
„ მაგიდა	„	98	98	—	—	—
„ სკამი	„	145	145	—	—	—
სასადილო მაგიდა	„	10	10	—	—	—
ბოძკინტი	„	10	10	—	—	—
საკალმე	„	200	—	—	—	200
კუთხედი	„	500	—	—	—	500
მოსწავლის პორტფელი	„	100	—	—	—	100
ბამბუკის კალათი	„	300	—	—	—	300
ფიბრის ჩანთა	„	30	—	—	—	30
სწვადასწვა საბავშვო სათამაშო .	„	160	—	—	—	160
ბლოკნოტი	„	500	—	—	—	500
ხელის საპონი	ცალი	20000	3000	1000	200	15800
თალქის ფანქარი	ნაჭერი	1000	—	—	—	1000
სასკოლო ცარცი	„	1000	—	—	—	1000
საბავშვო საათი	„	400	—	—	—	400

	საზომი ერთეული	ს ე ზ ო ნ ი	ა ქ ე დ ა ნ			
			საქ. სსრ განსახკომის საბავშვო სახლებ.	ფრონტისპირა აღმოსავლეთ კოლონიებისათვის	შინსახკომის საბავშვო მიწებითვის	საქ. სსრ სახელმწიფო პროლეტარული სახ. მისაღ. სკოლებისათვის
კედლის საკიდი	ცალი	100	—	—	—	100
ქვანახშირი	ტონა	35 **	—	—	—	—
ხის საძირე ბავშვის ფეხსაცმლისათვის	წყვ.	250 ***	250	—	—	—

*) პირის გადასაღები ქაღალდი—სახელგამს გასაყიდად საქ. სსრ განსახკომის მითითებით.

**) განსახკომს სკოლებისათვის.

***) საქართველოს სსრ განსახკომის საბავშვო სახლთა საწარმოო სახელოსნოებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რასტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 911

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის ჩასატარებლად ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობათათვის ხე-ტყის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს მისცეს ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებს რაიაღმასკომის განაწილებით 500 კუბ. მეტრი ფურცლოვანი მაქნისი ხე-ტყე მეცხოველეობის დარგში მშენებლობის საჭიროებისათვის, აქედან: ყაზბეგის რაიონის ტყეებიდან—200 კუბ. მეტრი გადაბერებული ხე-ტყე და დუშეთის სატყეო მეურნეობის ანანურის სატყეო აგარაკიდან — 300 კუბ. მეტრი გადაბერებული წიფლის ხე-ტყე.

2. დაევალოს ყაზბეგის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. შელიას და რაიმიწგანის გამგეს ამხ. დავითაშვილს:

ა) ამ დადგენილებით გამოყოფილი ხე-ტყე 500 კუბ. მეტრის რაოდენობით გაანაწილონ კოლმეურნეობათა შორის და უწინარეს ყოვლისა გამოიყენონ 1250 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტევადობის იმ 21 პირუტყვსადგომის მშენებლობის დასამთავრებლად, რომლებიც დაწყებულია გასულ წლებში;

ბ) უზრუნველჰყონ ხე-ტყის დამზადების ორგანიზაცია და თავის დროზე მიზიდვა კოლმეურნეობათა მიერ პირუტყვსადგომების მშენე-

ბლობის ადგილას და მიიღონ ზომები, რომ არ დაუშვან ხე-ტყის განიავება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

გ) 1944 წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წერილობითი ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 912

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის 1944 წლის მეორე ნახევარში მეტალურგიული მოწყობილობის მიწოდებისა და მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატისა და მშენებლობის სახალხო კომისარიატისათვის მეტალურგიული და სამთამადნო მოწყობილობის წარმოების მძლავრი ბაზის განვითარების საქმეში დახმარების აღმოჩენის ღონისძიებათა შესახებ

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 ივლისის № 926 დადგენილება „შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის 1944 წლის მეორე ნახევარში მეტალურგიული მოწყობილობის მიწოდებისა და მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატისა და მშენებლობის სახალხო კომისარიატისათვის მეტალურგიული და სამთამადნო მოწყობილობის წარმოების მძლავრი ბაზის განვითარების საქმეში დახმარების აღმოჩენის ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს:

ა) დაამზადოს 1944 წელს მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის „სოიუზპრომმეხანიზაციის“ ტრესტის დაკვეთებით შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის ბაქოს 26 კომისრის სახელობისა და კალინინის სახელობის ქარხნებში: 200 ცალი რედუქტორი, 160 ცალი სტაციონარული ლენტური ტრანსპორტერი, 30 ცალი ფირფიტოვანი მკვებავი და 100 ცალი თეფშისებრი მკვებავი;

ბ) სასწრაფოდ წარუდგინოს შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატს საპირო ლითონის სპეციფიკაცია და კოქსის განაცხადები

და მიიღოს ზომები შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის მიერ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის განუწყვეტელი ტრანსპორტის მოწყობილობის დასამზადებლად ყოველთვიურად გამოყოფილი ლითონისა და კოქსის რეალიზაციისათვის.

2. ეთხოვოს მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს—ამხ. კაზაკოვს გაეთუყოს და გადმოუგზავნოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს 26 კომისრის სახელობისა და კალინინის სახელობის ქარხნებისათვის ამ უკანასკნელთა სპეციფიკაციებით განუწყვეტელი ტრანსპორტის მოწყობილობის დასამზადებლად საჭირო ლითონნაწარმი (ჭანჭიკები და ქანჩები), ბურთულსაკისრები და ლითონსაჭრელი ინსტრუმენტები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 17 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 913

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის II კვარტალსა და ივლისში სასურსათო საქონლით საქართველოს სსრ მოსახლეობის მომარაგების გეგმის შესრულებისა, ა/წ III კვარტალის მომარაგების გეგმის უზრუნველყოფის და სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების სისტემატური კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ა/წ II კვარტალში მთელი რიგი სასურსათო საქონლის—ერბო-კარაქის, მცენარეული ზეთის, შაქრის, ჩაისა და კვერცხის მხრივ მოსახლეობისათვის საქონლის რეალიზაციის გეგმები მთლიანად იქნა შესრულებული.

ამასთან ერთად ხორცეულის რეალიზაციის II კვარტალის გეგმა „მიასომოლსბიტის“ საქკანტორამ შეასრულა 97,5%-ით, ყველისა—97,3%-ით; განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული თევზეულისა და მარილის რეალიზაციის გეგმა. თევზეული ა/წ II კვარტალში რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო 544 ტონით ნაკლები (გეგმით გათვალისწინებული 1300 ტონის ნაცვლად რეალიზებულია 756 ტონა ანუ 58%), მარილი—2117 ტონით ნაკლები.

არადამაკმაყოფილებლად საქონლიანდება სასურსათო საქონლის ფონდები მოსახლეობისათვის III კვარტალში მისაყიდად: „გლავრიბსბიტის“ საქკანტორამ (ამხ. დარახველიძე) ა/წ ივლისში რეალიზაცია უყო მხოლოდ 63 ტონა თევზეულს, გეგმით გათვალისწინებული 947 ტონის ნაცვლად; „გლავსახარის“ საქკანტორამ (ამხ. კირშტეინი) ნაცვლად 294 ტონა შაქრისა, რაც კვარტალურ გეგმას შეადგენდა, ივლისში გასცა 23,4 ტონა; საქხორცრძეგასაღებამ (ამხ. ქავთარაძე) ივლისში ხორცეული, შემცვლელთა გათვალისწინებით, გასცა 281 ტონა, კვარტალური გეგმის—1851 ტონის ნაცვ-

ლად, საქონლის ცხიმეული—33,1 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 396 ტონის ნაცვლად; „გლავრასჟირმასლოს“ საქანტორამ (ამხ. ეგიაზაროვი) ივლისში ჩააბარა მხოლოდ 80 ტონა მცენარეული ზეთი, იმ დროს როცა რეალიზაციის კვარტალური გეგმა შეადგენდა 605 ტონას.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი თევზეულის არათანაბარ ჩაბარებას ძირითადი მომხმარებლებისათვის: მეორე კვარტალში მთლიანად თევზეულის რეალიზაციის გეგმის 58%-ით შესრულებისას, მუშათა მომარაგების განყოფილებებისათვის ჩაბარების გეგმა შესრულებულია შემდეგი რაოდენობით; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა—21%-ით, ტყიბულქვანახშირისა—45%-ით, ხრამჰესმშენისა — 35%-ით, ჭიათურმარგანეცისა—45%-ით, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა—22%-ით, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებისათვის არაფერი მიუციათ, სახუნტის მუშათა მომარაგების განყოფილებას ჩააბარეს 11%, მედინსტიტუტის მუშათა მომარაგების განყოფილებას—14%, სამხედრო ვაჭრობას—40.

მაშინ როცა ერბო-კარაქისა და ხორცრძეპროდუქტების რეალიზაციის გეგმები, შორეულ პუნქტებიდან პროდუქციის გამოსაზიდად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ (ამხ. ბერიშვილი) მიღებული ზომების არასაკმარისობის გამო, არ ყოფილა შესრულებული, ადგილებზე ა/წ 1 აგვისტოსათვის დაგროვდა ერბო-კარაქი—50 ტონა, ნაკრები-გლეხური ყველი და დავარგებული საქარხნო ყველი—650 ტონაზე მეტი.

ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი (ამხ. ბერიშვილი) არადამაკმაყოფილებლად ასრულებს პირუტყვის გამოკვების, გასუქებისა და გამოზრდის ხარჯზე ხორცის რესურსების გადიდების დავალებებს: მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელად დაყენებას 1944 წელს 4500 სულის რაოდენობით, ფაქტიურად დაყენებულია 3709 სული; გეგმით გათვალისწინებული 7 ათასი ცხვრის ნაცვლად გამოსაზრდელად დაყენებულია 5899 სული; მაშინ როცა 1944 წლისათვის დავალებაა გამოსაკვებად დაყენებულ იქნას 2400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ფაქტიურად დაყენებულია 776 სული.

1943 წელს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული დავალებისა—გამოკვების და გასუქების ოპერაციების გზით მიეღო 465 ათასი ტონით მეტი ხორცი, ფაქტიურად მიიღო 178 ტონა.

ცეკავშირის დამზადებათა სამმართველო უპასუხისმგებლოდ ეკიდება დასამზადებელი პროდუქციის გადამუშავებას: საკვების თბი-

ლისის ტრესტის მიერ II კვარტალში მიღებული 917 ათასი ცალი კვერცხიდან 60 ათასი ცალი კვერცხი წუნი და გატეხილი აღმოჩნდა, ხოლო 12 ათასი ცალი კვერცხის დანაკლისი გამოაშკარავდა.

სავაჭრო ქსელში მიღებული კვერცხი სისტემატურად არაკეთილხარისხოვანია, რაც იმის შედეგია, რომ დამზადებათა პუნქტებიდან კომბინატებში მას არა თავის დროზე გზავნიან და წუნდებას არასაკმაო ყურადღებას აქცევენ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და ვაჭრობის საქალაქო რაიონული განყოფილებანი არასაკმაოდ უწევდნენ კონტროლს მუშათა მომარაგების განყოფილებებისათვის საქონლის პირველ რიგში გაცემას, როგორც მაღაზია-სავაჭროებში, მოსახლეობისათვის, ისე მუშათა მომარაგების განყოფილებების სავაჭრო ქსელისათვის საქონლის მიყიდვას.

1944 წლის III კვარტალში სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების გეგმის შესრულების უზრუნველყოფისა და მომარაგების გეგმების შესრულების სისტემატური კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს

1. დ ა ე ვ ა ლ ო ს:

ა) ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს—ჩაბაროს ა/წ 1 სექტემბრამდე „გლავმიასომოლსბიტის“ საქკანტორას III კვარტალის საბაზრო ფონდების დასასაქონლიანებლად 800 ტონა ხორცი და 100 ტონა ერბო-კარაქი;

ბ) „გლავმიასომოლსბიტის“ საქკანტორის მმართველს ამხ. ქავთარაძეს—ა/წ 1 სექტემბრამდე. ივლისში ფაქტიური რეალიზაციის გათვალისწინებით, ჩაბაროს მოვაჭრე ორგანიზაციებს III კვარტალის საბაზრო ფონდების ანგარიშში 800 ტონა ხორცი უმემცვლელებოდ, 200 ტონა საიმპორტო ხორცეული, 100 ტონა ადგილობრივ გამომუშავებული ერბო-კარაქი და 150 ტონა საიმპორტო ერბო-კარაქი;

გ) „გლავრიბსბიტის“ საქკანტორას—ამხ. დარახველიძეს და ამხ. დევსუროვს—უზრუნველჰყონ, რომ III კვარტალის საბაზრო ფონდების ანგარიშში შემოტანილ და ჩაბარებულ იქნას 1 სექტემბრამდე—720 ტონა თევზეული, მათ შორის აზერბაიჯანიდან და დაღისტნიდან—620 ტონა და საქთევზტრესტის მიერ დაჭერილი—100 ტონა.

გაფრთხილება მიეცეს ამხ. დარახველიძეს და დევსუროვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ დადგენილების თანახმად თევზეულის რეალიზაციის დავალებებს ვერ შეასრულებენ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული;

დ) „გლავრასჟირმასლოს“ საქკანტორის მმართველს ამხ. ეგიაზაროვს—ჩააბაროს აგვისტოში მოსახლეობისათვის მისაყიდად III კვარტალის ფონდიდან, ივლისში ფაქტიურად ჩაბარებულის გათვალისწინებით, ადგილობრივ გამომუშავებული 100 ტონა მცენარეული ზეთი და 350 ტონა საიმპორტო მცენარეული ზეთი, რაშიც შედის საიმპორტო ცხიმეულის სამრეწველო გადამუშავებისათვის ჩაბარებაც.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. კეცხოველმა ამავე ვადაში ჩააბაროს „რასჟირმასლოს“ საქკანტორას თბილისის ზეთსახდელი ქარხნის მიერ გამომუშავებული 100 ტონა მცენარეული ზეთი;

ე) ტრესტს „საქართველოს ჩაის“ დირექტორმა ამხ. სარჯველაძემ 1 სექტემბრამდე უზრუნველჰყოს III კვარტალის საბაზრო ფონდების ანგარიშში მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის 44 ტონა ჩაის ჩაბარება;

დაევალოს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს ჩაის გამოზიდვა ჩაის საწონ ფაბრიკიდან;

ვ) „გლავსახარის“ საქკანტორის მმართველმა ამხ. კირშტეინმა ჩააბაროს 1 სექტემბრამდე III კვარტალის საბაზრო ფონდში არანაკლებ 200 ტონა შაქრისა;

ზ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. კეცხოველმა უზრუნველჰყოს III კვარტალის ანგარიშში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში 1944 წლის 1 სექტემბრამდე არანაკლებ 250 ტონა საკონდიტრო ნაწარმის გამომუშავება და ჩაბარება „გლავკონდიტერის“ საქართველოს კანტორისათვის, ხოლო „გლავკონდიტერის“ საქკანტორის მმართველმა ამხ. თოფურიძემ მოახდინოს 1944 წლის III კვარტალისათვის დაწესებული საბაზრო ფონდების ანგარიშში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან მიღებული საკონდიტრო ნაწარმის რეალიზაცია.

2. წინადადება მიეცეს ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს და საქყველკარაქის ტრესტის დირექტორს ამხ. ზოდელავას უზრუნველჰყონ ა/წ 5 სექტემბრამდე საქონლის ცხიმის მთელი მარაგის გამოზიდვა შორეულ პუნქტებიდან და მისი ჩაბარება საქხორცრძეგასაღებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ყველა რაიონული აღმასკომის თავმჯდომარეს ადგილებზე მიიღონ ყოველი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1944 წლის აგვისტოში შორეულ პუნქტებიდან პირუტყვის ცხიმეულის, კვერცხისა და მოხდილი რძის პროდუქციის მთელი მარაგის გამოზიდვა სადგურისპირა ბაზებთან, საწყობებთან და საცივრებთან და აღმოუჩინონ ხორცისა და რძის მრეწველობის

სახალხო კომისარიატისა და ცეკავშირის სისტემას ყოველგვარი დახმარება სატრანსპორტო საშუალებებით.

4. წინადადება მიეცეს მრეწველობის ქვემოდასახელებული ბაზების ხელმძღვანელებს უზრუნველჰყონ, რათა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებისაგან მიღებულ და შემოზიდულ იქნას აგვისტოში:

ა) „გლავმიასოსბიტის“ საქკანტორისა ამხ. ქავთარაძეს—200 ტონა ხორცეული პროდუქტი და 150 ტონა საქონლის ცხიმი;

ბ) „გლავსახარის“ საქკანტორისა—ამხ. კირშტეინს—500 ტონა შაქარი;

გ) „გლავრასჟირმასლოს“ საქკანტორისა—ამხ. ეგიაზაროვს—350 ტონა მცენარეული ზეთი.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ-ში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს იმ პუნქტებში, სადაც არ მოიპოვება საბაზრო ფონდი მოსახლეობის მოსამარაგებლად განკუთვნილი ბურღული, შეავსოს ბურღულის დანაკლისი რაოდენობა ხარისხოვანი ხორბლის ფქვილით.

6. წინადადება მიეცეს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას პირადად შეამოწმოს საზკვების თბილისის ტრესტისათვის, თბილვაპრობისათვის და სხვა მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის II კვარტალში არაკეთილხარისხოვანი კვერცხის გამოგზავნა, გამოარკვიოს კვერცხის დანაკლისის მიზეზები და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

7. ხილბოსტნეულით ქალაქების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამტკიცდეს III კვარტალისათვის ბაღჩეული კულტურების, გარეული ხილისა და მწვანილის დამზადებისა და გამოყენების გეგმები, რაც დამზადების რაიონებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით განაწილდეს №№ 1—4 დანართის თანახმად.

წინადადება მიეცეს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას, თბილხილბოსტანვაჭრობას—ამხ. ჭყონიას, საქკონსერვხილტრესტს—ამხ. წიკლაურს, ა/კ ფრონტის სამხვაჭრობას—ამხ. ავაკიმიანს, ა/კ რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს—ამხ. ტამრაზოვს დაუყოვნებლივ შეუთანხმონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას კოლმეურნეობებთან, საკოლმეურნეო კომლებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებთან ბაღჩეული კულტურების შესასყიდად და უზრუნველჰყონ დამზადების გეგმის მთლიანად შესრულება და დამზადებული პროდუქციის გამოზიდვა.

ბაღჩეული კულტურების დამზადების რაიონების რაიაღმასკომ-

თა თავმჯდომარეებმა, აგრეთვე დამზადების სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულებმა ყოველნაირი დახმარება გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებაში და საბაღჩე კულტურების შესყიდვის დაწესებული გეგმების შესრულებაში.

დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. კვირკველიას ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს დამზადების ამ გეგმების შესრულებას, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. გიორგაძემ სისტემატურად ადევნოს თვალყური ამ პროდუქციის თავის დროზე შემოზიდვას და ქალაქების მოსახლეობისათვის მიყიდვას.

8. დაევალოს მრეწველობის საგამსაღებლო ბაზების ხელმძღვანელებს—„გლავრიბსბიტის“ საქანტორისა—ამხ. დარახველიძეს, საქხორცრძეგასაღებისა—ამხ. ქავთარაძეს, „გლავრასჟირმასლოს“—ამხ. ეგიაზაროვს, „გლავსახარს“—ამხ. კირშტეინს, „გლავკონდიტერს“—ამხ. თოფურიძეს, „გლავსოლს“—ამხ. ხუციშვილს, ცეკავშირის დამზადებათა სამმართველოს—ამხ. ბეჭვაიას და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ დირექტორს ამხ. ლარჯველაძეს გადაჭრით გაუმჯობესონ ბაზების საგამსაღებლო მუშაობა და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მოსახლეობის მოსამარაგებლად საქონლის რეალიზაციის გეგმის თავის დროზე შესრულებას.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს ყოველდღიურად ადევნოს თვალყური როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე მუშათა მომარაგების ცალკეულ განყოფილებათა და მოვაჭრე ორგანიზაციათა ხაზით გამსაღები ორგანიზაციების მიერ სასურსათო საქონლის თავის დროზე და სწორად რეალიზაციას.

ამხ. გიორგაძემ ყოველთვიურად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების გეგმათა შესრულების მიმდინარეობის ანგარიში.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს სისტემატურად განახორციელოს სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების გეგმის შესრულების შემოწმება, შეამოწმოს მიმწოდებელი სახალხო კომისარიატების, ბაზების, სავაჭრო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების მუშათა მომარაგების განყოფილებების მიერ გეგმების შესრულება.

შემოწმების შედეგები აცნობოს სახალხო კომისარიატებსა და ბაზებს ზომების მისაღებად, ხოლო საჭირო შემთხვევებში შემოიტა-

ნოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში ჩატარებული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე წინადადებანი.

11. დაევალოს სახკონტროლის სახალხო კომისარს ამხ. თავაძეს სისტემატურად გაუწიოს კონტროლი სასურსათო საქონლით მუშათა მომარაგების ძირითადი განყოფილებებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მომარაგების მიმდინარეობას, გამოავლინოს და პასუხისგებაში მისცეს მოსახლეობისათვის მომარაგების დაკლებაში დამნაშავე პირნი.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს და ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს ა/წ აგვისტოს განმავლობაში ჩაატარონ სასურსათო საქონლით მომარაგებაზე მყოფ კონტინგენტების შემოწმება და შემოწმების შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ა/წ 15 სექტემბრისათვის.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ცნობები კვარტალის უკანასკნელი თვის 1 რიცხვისათვის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების რაოდენობის შესახებ არაუგვიანეს საანგარიშო მომდევნო თვის მე-7 დღისა.

14. 1944 წლის 1 სექტემბრიდან სასურსათო საქონლით ნორმირებულ მომარაგებაზე ქალ. თბილისის მთელი მოსახლეობის გადაყვანასთან დაკავშირებით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მრეწველობის საგამსაღებლო ბაზებს 25 სექტემბრამდე მთლიანად დაასაქონლონ ქალ. თბილისის მოსახლეობისათვის მისაყიდად III კვარტალში განკუთვნილი სასურსათო საქონლის ფონდები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის ბაღჩეული კულტურების (საზამთროს, ნესვის, გოგრის დამზადებისა 1944 წლის III კვარტალისათვის

(ტონობით)

რაიონები	ს ულ	თბილხილბოსტნეულის ბაზრობა	ცენტრალური	საქკოოპერატივი	ა/ტ რკინიგზის მეურნეობის მომარაგების სამმართველო	ა/ტ ფლოტის სამხედრო ბაზრობა
გურჯაანის	300	—	300	—	—	—
თელავის	100	—	—	—	100	—
ყვარლის	250	—	—	—	—	250
ლაგოდეხის	200	—	100	—	100	—
ყარაიის	300	300	—	—	—	—
ბორჩალოს	200	—	200	—	—	—
ბოლნისის	200	—	—	—	—	200
საგარეჯოს	200	—	200	—	—	—
ქუთაისის	25	—	—	25	—	—
წყალტუბოს	25	—	—	25	—	—
ს უ ლ	1800	300	800	50	200	450

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1944 წლის მოსავლის გარეული ხილისა და კენკროვანის დამზადებისა 1944 წ. III კვარტალში

(ტონობით)

რაიონები	III კვარტალის გეგმა	თბილისბაზისტაბ-ვაჭრობა	ცეკავშირი	საქკონსერტრესტი	თბილსაბჭოს აღმ. მრეწვ. განყ.	საქვაჭრობა	საქართველოს ლიტმასალების ტრესტი
ახალციხის რაიონი	25	15	—	—	—	10	—
ადიგენის „	20	20	—	—	—	—	—
ასპინძის „	25	25	—	—	—	—	—
ვანის „	10	10	—	—	—	—	—
თბილისის „	10	10	—	—	—	—	—
ყარაიის „	20	20	—	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	120	—	90	30	—	—	—
ამბროლაურის რაიონი	60	—	60	—	—	—	—
ბაშქირეთის „	5	—	5	—	—	—	—
ბორჯომის „	30	—	10	—	—	10	10
ბოლნისისი „	20	—	15	—	—	—	5
გურჯაანის „	15	—	5	—	—	10	—
დუშეთის „	100	—	15	—	30	10	45
თეთრიწყაროს „	80	—	80	—	—	—	—
თელავის „	25	—	10	—	—	15	—
ლაგოდეხის „	65	—	30	—	30	—	5
ორჯონიკიძის „	60	—	60	—	—	—	—
საჩხერის „	20	—	20	—	—	—	—
ხაშურის „	20	—	10	—	—	10	—
ცხაკაიას „	5	—	—	—	—	5	—
ქუთაისის „	30	—	—	30	—	—	—
წყალტუბოს „	10	—	—	10	—	—	—
ჩოხატაურის „	30	—	—	30	—	—	—
ტყიბულის „	240	—	—	240	—	—	—
მახარაძის „	50	—	—	50	—	—	—
ზუგდიდის „	40	—	—	40	—	—	—
აჭარის ასსრ „	20	—	—	20	—	—	—
სამხრეთ-ოსეთის ა/ო	20	—	—	20	—	—	—
მცხეთის რაიონი	5	—	—	—	—	—	5
ს უ ლ	1180	100	410	470	60	70	70

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწილება

1944 წ. მოსავლის 1944 წ. III კვარტალში დამზადებული ბაღჩეული კულტურებისა ორგანიზაციების მიხედვით

(ტონობით)

	ჯ/ნ	მათ შორის დამზადებიდან			
		თბილხბირლბოსტანვაჭრობა	ცესკავშირი	საკონსერვტრესტი	საკუთარი დამზადება
საცალო ვაჭრობა თბილხბირლბოსტანვაჭრობისა	550	300	250	—	—
თბილვაჭრობა	100	—	100	—	—
თბილსაკვებტრესტი	100	—	100	—	—
აქ ფრონტის სამხვაჭრობა	450	—	—	—	450
სპეცვაჭრობა	40	—	40	—	—
სახვაჭრობის ჭუთაისის განყოფილება	10	—	—	10	—
აქ რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველო	200	—	—	—	200
მუშათა მომარაგ. განყ. № 31 ქარხნისა	50	—	50	—	—
„ ტყიბულის ქვანახშირისა	15	—	—	15	—
„ ტყვარჩელქვანახშირისა	15	—	—	15	—
„ ზესტაფონის ფეროქარხნ.	10	—	—	10	—
საცალო ვაჭრობა საქკონსერვტრესტისა	50	—	50	—	—
საც. ვაჭრობა ლიმმანტრესტისა	50	—	50	—	—
„ საქჩაისა	20	—	20	—	—
საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის ფონდი	140	—	140	—	—
ს უ ლ	1800	300	800	50	650

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

ვარეული ხილისა და მწვანილის 1944 წლის III კვარტალის დამზადების განაწილებისა ორგანიზაციების მიხედვით

	ს უ ლ	თბილხილბოსტანეულობა	ცეკავშირი	საქკოოპსერვტრესტი	თბილისის ადგ. მრეწვ. განყოფილება	საქვაჭრობა	ლუდ-ლიმონათის ტრესტი
თბილხილბოსტანეულობა	110	80	30	—	—	—	—
ცეკავშირი	50	—	50	—	—	—	—
საქკოოპსერვტრესტი .	470	—	—	470	—	—	—
თბილისის ადგ. მრეწვ. განყ.	60	—	—	—	60	—	—
საქვაჭრობა	70	—	—	—	—	70	—
ლუდ-ლიმონათის ტრესტი	70	—	—	—	—	—	70
თბილისაზკვების ტრესტი	120	20	100	—	—	—	—
შინსაბჭომის ჯარის მომარაგების საოლქო სამმართველო	50	—	50	—	—	—	—
ლიმმანტრესტი	20	—	20	—	—	—	—
ფარმაკოლოგიური ინსტიტუტი	10	—	10	—	—	—	—
საქ. ვაჭრობის საზ. კომისარიატის ფონდი . . .	150	—	150	—	—	—	—
ს უ ლ . . .	1180	100	410	470	60	70	70

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 914

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ოჩამჩირის ტუნგოს ქარხნისა და ტუნგოს სახმობების მშენებლობისათვის ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს—ამხ. ბუაჩიძეს მისცეს საქართველოს ჩაის ტრესტს ტუნგოს ქარხნის მშენებლობისათვის ოჩამჩირეში შემდეგი მასალები:

ა) 2000 კუბ. მეტრი საბალავრე ქვა მიმდინარე წლის III და IV კვარტალებში კვახჭირის კარიერიდან;

ბ) 300 ათასი ცალი სამშენებლო აგური, აქედან აგვისტოში 100 ათასი ცალი, სექტემბერში—100 ათასი ცალი და ოქტომბერში—100 ათასი ცალი;

გ) 200 ტონა კირი, აქედან აგვისტოში—100 ტონა და სექტემბერში—100 ტონა.

2. წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს გაითვალისწინოს კრამიტის განაწილების მიმდინარე წლის IV კვარტალის გეგმაში 20 ათასი ცალი კრამიტის გამოყოფა ტუნგოს ქარხნის მშენებლობისათვის;

ბ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. კეცხოველს გადასცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საბალავრე ქვის დასამზადებლად კვახჭირში 30 მუშა და საჭირო რაოდენობის ავტოტრანსპორტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 15 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 915

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

აფხაზეთის ასსრ-ში წყალდიდობის შედეგებას ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთის ასსრ-ში 1944 წლის 28 ივლისის წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს:

ა) ორი კვირის განმავლობაში დაამთავრონ ევგენის წყაროს აღდგენა მთავრობის კომისიის მიერ წარმოდგენილი კურორტ გაგრის დროებითი წყალმომარაგების სქემის შესაბამისად და უზრუნველჰყონ მიწოდებული წყლის ქლორირება;

ბ) ერთი დეკადის განმავლობაში მოამზადონ ძველი წყალსადენის მთელი ნაგებობანი ქლორირებული წყლის მისაღებად გაგრის ჰესის საწნეო აუზიდან და უზრუნველჰყონ კურორტის ზედა ზონის წყალმომარაგება;

გ) ერთი თვის განმავლობაში დაამთავრონ წყალსადენის ყველა ძირითადი მაგისტრალის აღდგენა მდინარე ჟოეკვარისა და გაგრიპშის ხეობის ტერიტორიაზე და გამოიყენონ დანგრეული წყალსადენი ქსელის არსებული მილები;

დ) შეუდგნენ ჰესის დროებითი ტიპის სათავო ნაგებობათა მშენებლობას მთავრობის კომისიის მიერ წარმოდგენილი სქემით და მოახდინონ ჰესის წყალმომყვანის გაწმენდა იმ ანგარიშით, რომ ჰიდროსადგური ამუშავებულ იქნას 2 კვირის განმავლობაში;

ე) შეუდგნენ დროებითს ნაპირსამაგრ ნაგებობათა მშენებლობას მდინარე ჟოეკვარსა და გაგრიპშზე 5.000 კუბ. მეტრის მოცულობით, აქედან ქვაფიჩხის ჯებირები — 2500 კუბ. მეტრი, ძელყორე — 1000 კუბ. მეტრი და ქვის სამაგრი კედელი—1.500 კუბ. მეტრი;

ვ) ორი კვირის განმავლობაში დაამთავრონ ქუჩების, ზედა თხრილების, ეზოებისა და სხვა ადგილების გაწმენდა ნარიყებისაგან და აგრეთვე ააგონ დროებითი ხიდები და შეაკეთონ სამაგისტრალო ქუჩები ქ. გაგრაში.

გაგრის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. აბლოტიამ და საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის მდივანმა ამხ. კუპავამ მოახდინონ ამ მიზნისათვის საჭირო რაოდენობის მუშახელის მობილიზაცია ქალაქ გაგრის შრომისუნარიანი მოსახლეობიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. ბერაძეს, აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოსთან ერთად, ორი თვის განმავლობაში შეადგინოს და დაამტკიცოს ევგენისა და № 3 წყაროების მუდმივ წყალმიმღებ ნაგებობათა აღდგენის, გაგრაში ჰიდროელექტროსადგურების სათავო ნაგებობათა და მდინარე ჟოეკვარისა და გაგრიპშის მუდმივნაპირსამაგრ ნაგებობათა აღდგენის პროექტი, იმ ანგარიშით, რომ მუშაობა დაწყებულ იქნას 1944 წლის IV კვარტალში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და კომბანკის საქკანტორის მმართველს ამხ. კვიცარიძეს მისცენ 300 ათასი მანეთის რაოდენობის გრძელვადიანი კრედიტი ქ. გაგრაში წყალდიდობით დაზარალებულ ინდივიდუალურ მენაშენეებს 1944 წლის გაუფორმებელი კრედიტების ხარჯზე.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს და სხვა იმ უწყებათა ხელმძღვანელებს, რომელთა შენობებიც დაზარალდნენ წყალდიდობისაგან ქალ. გაგრაში, სასწრაფოდ შეუდგენ ნაწილობრივ დაზიანებული სახლების აღდგენას და მაქსიმალურად გამოიყენონ ამისათვის დანგრეულ და ასაღებ შენობათა სამშენებლო მასალები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. ბერაძეს ერთი კვირის განმავლობაში ჩააბაროს თავის სისტემიდან თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას გაგრის საკურორტო სამმართველოსათვის ერთი ტონანახევრიანი ავტომანქანა, ხოლო საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა შეაკეთოს აღნიშნული მანქანა 1944 წლის 25 აგვისტომდე.

6. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს აკრძალოს ყოველგვარი შენობის აგება მდინარე ჟოეკვარისა და გაგრიპშის ხეობებში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს ნება დართოს აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უსასყიდლოდ მოსჭრას აფხაზე-

თის ასსრ ტყეებში ძელყორეებისათვის ფიჩხი—5.000 კუბ. მეტრი და სარი—5.000 კუბ. მეტრის (24.000 ცალის) რაოდენობით და საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს: ფიჩხი—2.000 კუბ. მეტრისა და მაქნისი მერქანი—400 კუბ. მეტრის რაოდენობით და დაიცვას საკურორტო სატყეო მეურნეობის წარმოების წესები.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს კაპიტალურ სამუშაოთა 1944 წლის IV კვარტალის გეგმაში ევგენისა და № 3 წყაროების მუდმივ წყალსაკრებ ნაგებობათა და გაგრის ჰიდროელექტროსადგურის სათავო ნაგებობათა აღდგენა.

9. წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მიეცეს 1944 წლის III კვარტალში აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს:

ა) კურორტ გაგრის აღდგენითი სამუშაოებისათვის 700 ათასი მანეთი, აქედან წყალსადენის აღდგენის დროებითი სამუშაოებისათვის—20 ათასი მანეთი, წყალსადენისა და ჰესის დროებითი სათავო ნაგებობებისათვის—30 ათასი მანეთი, მდინარე ჟოეკვარსა და გაგრიშზე დროებითი ნაპირსამაგრი ნაგებობისათვის—390 ათასი მანეთი, ნარიყებისაგან კურორტის გაწმენდისა, ხიდების აღდგენისა და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის—100 ათასი მანეთი, წყალსადენის მუდმივ წყალსაკრებ ნაგებობათა პროექტირებისათვის—30 ათასი მანეთი, ჰესისათვის—30 ათასი მანეთი და მდინარე ჟოეკვარისა და გაგრიშის მუდმივი ნაპირსამაგრი ნაგებობების საპროექტო-საკვლევო სამუშაოებისათვის—100 ათასი მანეთი;

ბ) ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის გაგრის, სოხუმის, გულრიფშისა და გალის რაიონებში—98,5 ათასი მანეთი;

გ) გზების დასაცავი ჯებირების აგებისათვის—70 ათასი მანეთი.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს ზემოაღნიშნული თანხები 868,5 ათასი მანეთის რაოდენობით მისცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის პირველი ნახევრის შემდეგი ობიექტების მშენებლობის აუთვისებელი ლიმიტების ხარჯზე:

1-ლი საქალაქო საავადმყოფოს თერაპიული განყოფილება	150	ათასი მან.
კეხვის არხი	100	„ „
სკრა—ქარელის არხი	100	„ „
რიონვარდნილ-ჭალადიდ—შავიზღვის გზატკეცილის რეკონსტრუქცია	100	„ „
ნატანებ—ქობულეთის გზის მშენებლობა	100	„ „
მდ. დაბახანის ხიდის პროექტება	50	„ „
მდ. ლიახვის ხიდი	168,5	„ „
სპეცმშენებლობანი გორში	100	„ „

10. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს ჩაატარონ 1944 წლის 15 დეკემბრამდე დამატებითი ნაპირსამაგრი სამუშაოები აფხაზეთის ასსრ-ში 9.850 კუბ. მეტრის მოცულობითა და 295,5 ათასი მანეთის საერთო ღირებულებით, აქედან 197,0 ათასი მანეთი—მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, რაც განაწილდეს რაიონებსა და ობიექტებს შორის, № 1 დანართის თანახმად.

11. დაევალოს რაიკომების მდივნებს: გაგრისა—ამხ. კუჭავას, სოხუმისა—ამხ. ზარანდიას, გულრიპშისა—ამხ. გეთიას, გალისა—ამხ. ჩეჟიას და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს: გაგრისა—ამხ აბლოტიას, სოხუმისა—ამხ. კობახიას, გულრიპშისა—ამხ. ჯალაღანიას და გალისა—ამხ. ხვიტიას უზრუნველჰყონ წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები საკოლმეურნეო მუშახელითა და ჭაპანზიდვის ტრასპორტით იმ რაოდენობითა და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია № 2 დანართით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს ამხ. რობიტაშვილს:

ა) 1944 წლის 25 აგვისტომდე აღადგინოს მოქვის ხიდის წალეკილი მალები—სიგრძით 33 მეტრი და 15 დეკემბრამდე დაამთავროს 30 მეტრიანი სიგრძის ხიდის მშენებლობა მდინარე მოქვის მარჯვენა შენაკადზე, აღადგინოს 30 მეტრზე ყრილი ხიდებს შორის და დაამთავროს ძელყორის ჯებირების აგება მდინარე მოქვის მარჯვენა ნაპირზე 7 ადგილას, 230 მეტრის საერთო სიგრძითა და 1685 კუბ. მეტრის მოცულობით;

ბ) 1944 წლის 25 დეკემბრამდე ჩაატაროს ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე კელასურზე, რისთვისაც ააგოს მუდმივი ჯებირები ყორე-ბეტონის მასივებისაგან და ქვა-მიწის ჯებირები და მოაპირკეთოს რკინა-ბეტონის ლეიბებით შავი ზღვის გზატკეცილის ლითონის ხიდის, შავი ზღვის რკინიგზის ლითონის ხიდისა და მათი მისადგომი ყრილების დასაცავად.

13. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას გამოუყოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს ტყესაკაფი ფონდი გუდავის აგარაკში 100 კუბ. მეტრი თელის მერქანი და ოჩამჩირის რაისატყეო მეურნეობიდან 500 კუბ. მეტრი თხმელა ძელყორის ჯებირებისათვის.

14. დაევალოს გალის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ხვიტიას, საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანს ამხ. ჩეჟიას, ოჩამჩირის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ტარბას და საქართველოს კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანს ამხ. ქაჯაიას

ერთი თვის განმავლობაში გამოუზიდონ საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს სამას-სამასი კუბ. მეტრი ხე-ტყე საავტომობილო გზამდე.

15. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. კიკნაძეს:

ა) 1944 წლის 25 დეკემბრამდე გაამაგროს მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირი რკინიგზის ხიდისა და მასთან მისადგომი ყრილების დასაცავად;

ბ) 1944 წლის 15 ოქტომბრამდე მიუზიდოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს კელასურში თავისი კარიერებიდან 1000 კუბ. მეტრი ყორქვა.

ყორქვის დამზადებას, დატვირთვასა და გადმოტვირთვას აწარმოებს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველო თავისი მუშახელით.

16. ეთხოვოს გზათა სახალხო კომისარს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩს წყალდიდობით დანგრეული მდინარე კოდორის ჯებირებისა და სხვა საცავი ნაგებობების აღსადგენად და ასაგებად მისცეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს 150 ტონა ცემენტი, 1,0 ტონა ლურსმანი, 1,5 ტონა საარმატურო რკინა, 1,0 ტონა საქსოვი მავთული და 270,0 ათასი მანეთი.

17. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. მგელაძეს და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მირცხულავას:

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი წარსული წყალდიდობით დანგრეული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების აღსადგენად;

ბ) წყლით წალეკილ თამბაქოს პლანტაციებში, სადაც ადგილი აქვს თამბაქოს ღეროების ლპობას, მოაწყონ თამბაქოს ფოთლების მთლიანი შეტეხა, მათი აცმა და გაშრობა და შეტეხისთანავე ჩაატარონ თამბაქოს ღეროების შეჭრა დაზიანებული ადგილის ქვემოთ, ნიადაგის შემდგომი გაფხვიერება და მცენარეთათვის მიწის შემოყრა თამბაქოს განმეორებული მოსავლის მისაღებად;

გ) წყლის მოვარდნითა და წყალდიდობით დაზიანებული ციტრუსები, ვენახი და ხილის სხვა ნარგავები (წაქცეული, წახრილი და წალეკილი) გაასწორონ, გაამაგრონ, მიწა შემოაყარონ და დააწესონ მათი ყოველდღიური მეთვალყურეობა;

დ) კოკისპირული წვიმითა და წყალდიდობით დაზიანებულ სიმინდის ნათესებში ჩაატარონ ნიადაგის გაფხვიერება და მიწის შემოყრა;

ე) ოჩამჩირის რაიონის აძიუბჟინის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის 34 მეურნეობა მდ. კოდორის ადიდების

შედეგად შექმნილ კუნძულიდან გადაასახლონ ოჩამჩირის რაიონში არსებულ გადასახლებულთა ჩაუსახლებელ საკოლმეურნეო სახლებში.

18. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ზამბახიძეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 ივლისის № 15231-გ განკარგულებით გამოყოფილ მასალებიდან გადასცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს გაგრის რაიონში წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის 800 კილოგრამი ლურსმანი, 2 ტონა მავთული და 20 ტონა ცემენტი.

19. დაევალოს საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს მისცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს 0,5 ტონა სელის ზეთი, 100 კილოგრამი ტყვია, 20 ცალი ძალაყინი, 15 ცალი სანგი, 250 მეტრი ბრეზენტი, 0,5 ტონა 7—8-მილიმეტრიანი ფურცლოვანი რკინა და 100 კილოგრამი ფოლადის მავთული.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 16 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 16/VIII № 915 დად-
გენილების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ ჩასატარებელ ნაპირსამაგრი სამუშაოებისა აფხაზეთის ასსრ რაიონებში

მდინარეთა დასახელება	რაიონისა და პუნქტის დასახელება	სამუშაოთა სახეები	მოცულობა კუბ. მეტრობით	ღირებულება ათას მანეთობით	აქედან მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა ათას მანეთობით
ფ ს ო უ	გაგრის რაიონი ს. ლესელიძე	ქვაფიჩხა	1400	42,0	28,0
ხაშუფსკე	„ „ ს. განთიადი	ღობურა ქვაყრილით	1100	33,0	22,0
გუმისტა	სოხუმის ს. გუმისტა	ქვაჩიფხა	640	19,2	12,8
კელასური (მარჯვ. ნაპირი)	„ ს. კელასური	„	1410	42,3	28,2
„ (მარცხ. ნაპირი)	გულრიპშის რ. „	„	1500	45,0	30,0
კოდორი	„ კოდორის ხე-ტყის ქარხანა	„	2500	75,0	50,0
ო კ უ მ ი	გალის რაიონი ს. ოკუმი	ღობურა ქვაყრილით	1300	39,0	26,0
		ს უ ლ . . .	9850	295,5	197,0

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 16|VIII № 915
დადგენილების დანართი № 2

წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა ჩატარებისათვის საჭირო მუშახელისა და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის რაოდენობა

რაიონების დასახელება	მუშახელის რაოდენობა დღეში (კაცი)	ჰაპანზიდვის ტრანსპორტის რაოდენობა დღეში (ურემი)	რა ვადით
1. გაგრის რაიონი	32	42	15/VIII—31/VIII
2. სოხუმის „	13	23	15/VIII—10/IX
3. გულრიპშის „	21	35	15/VIII—15/IX
4. გალის „	14	24	15/VIII—1/IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 916

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მასალების, მზა ნაწარმის, ნედლეულისა და სათბობის გადმოგზავნის საკითხებზე სახალხო კომისარიატების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენელთა მივლინების შეზღუდვის შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 21 ივლისის № 6234 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს თავის წარმომადგენელთა გაგზავნა (დადგენილი წესით დამტკიცებულ მუდმივ ტექნიკურ მიმღებთა გარდა) ჩამბარებელთა ბაზებსა, საწარმოებსა და გამსაღებელ კანტორებში მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და სათბობის გადმოგზავნის საკითხთა გამო.

2. ნება დაერთოს სახალხო კომისრებს ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში (როდესაც ჩამბარებელ საწარმოს მიერ გადმოგზავნის ვადების დარღვევის გამო იფუშება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან სასწრაფო დავალების შესრულება) გაგზავნონ ჩამბარებელ სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან შეთანხმებით სახალხო კომისარიატის ან მომხმარებელი საწარმოს პასუხისმგებელი მუშაკები (დირექტორი ან მისი მოადგილე ვომარაგების დარგში) ჩამბარებელ ქარხანაში.

ასეთი მივლინების ნებართვა უნდა ეცნობოს მომხმარებელ ქარხანას და ჩამბარებელ ქარხანას შესაბამის სახალხო კომისართა მიერ ხელმოწერილი საერთო დეპეშით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ დაწესებულებებსა და საწარმოებს განახორციელონ ჩამბარებელ საწარმოთა მიერ ჩაბარების გეგმების შესრულების კონ-

ტროლი თავის მომარაგების კანტორებისა და ადგილობრივი სააგენტოების საშუალებით მათი მოქმედების რაიონებში.

4. დაევალოს საწარმოთა დირექტორებს, ბაზებისა და გამსაღებელი კანტორების ხელმძღვანელებს „დამჭარებელ“ წარმომადგენლების მათთან გამოცხადებისას საქონლის, მასალებისა და ნედლეულის გადმოსაგზავნად, ამ დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტებში გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, აცნობონ ამის შესახებ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს წარმომადგენელთა არაკანონიერ გაგზავნაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად და ფულადი დანარიცხების გადახდის დასაკისრებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 17 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 917

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის „ზის—101“ მარკის ორი მსუბუქი ავტომანქანის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქ. სსრ საავტომობილო ტრასპორტის სახალხო კომისარს ამხ. რთველაძეს გადასცეს სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქგუმბრინის სამადნო სამმართველოსა და საქმავნენტიტის სამმართველოს საჭიროებისათვის, „ზის—101“ მარკის 2 მსუბუქი მანქანა, დარჩენილი ყოფილი მსუბუქი ტაქსების რიცხვიდან, რომლებიც კაპიტალურ-აღდგენითს რემონტს მოითხოვენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 918

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობიდან ამხ. გ. ე. ალავიძე, ვ. ი. მარგველაშვილი, ა. გ. ქურდიანი და მ. ი. გულუა, მათი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

2. შეყვანილ იქნან საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში ამხანაგები:

ბ. ს. ბუკია—სახალხო კომისარი (თავმჯდომარე),
ი. ვ. ჩაჩანიძე—ტრესტ „საქკომუნპროექტის“ მმართველი,
მ. ნ. ანანიევი—მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კომუნალური განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 919

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ბ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. ბეჟან ალექსანდრეს-ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 920

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ბ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ბეჟან ალექსანდრეს-ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 922

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოთა მომზადების შესახებ

„1944 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მოსამზადებლად დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 ივლისის № 919—244-ს დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მირცხულავას, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. მგელაძეს, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ბეშვაიას, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გალავანოვს, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ცხოვრებაშვილს, აბაშის, ამბროლაურის, ბორჩალოს, ბოლნისის, ვანის, გორის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ყვარლის, ქუთაისის, ქარელის, ლაგოდეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ცხაკაიას, ორჯონიკიძის, საჩხერის, თელავის, ტყიბულის, ხაშურის, ხობის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ც გერის, წულუკიძის, წითელწყაროს, ჩხარის, ჩოხატაურის, ჭიათურისა და ჩხოროწყუს რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს:

ა) უზრუნველჰყონ შაქრის ჭარხლის, ხილეულის, ბოსტნეულის, ზეთიული მცენარეების (სოია, მზესუმზირა, ტუნგო), თესლის თამ-

ბაქოს, გერახისა და ყურძნის თავის დროზე აღება-მოკრეფა და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ქარხნებში მიზიდვა; ამისათვის მიიმაგრონ მუშახელისა და გამწევი ძალის საჭირო რაოდენობა მოსავლის აღების დაწყებიდან და არ მოაცდინონ ხანი სხვა სამუშაოებისათვის მოსავლის აღებისა და გამოზიდვის დამთავრებამდე;

ბ) უზრუნველჰყონ მოსავლის გულდასმით დაცვა კოლმეურნეობებში, არ დაუშვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა განიავება და დატაცება და ომიანობის დროის კანონების მთელი სისასტიკით დასჯონ დატაცებასა და განიავებაში დამნაშავე პირნი.

2. საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა ამხ. ჯაშმა მისცეს მითითება რაისამხედრო კომისარიატებს გაათავისუფლონ წითელ არმიაში მობილიზაციისაგან 1944 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების მთელი სეზონის განმავლობაში ინჟინერ-ტექნიკური, აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინარული პერსონალი და კვალიფიციური მუშები, დაწყებული IV თანრიგით, დაბანდებულნი შაქრის, კონსერვის, ხილბოსტნეულის, ზეთსახდელი, სპირტის, სახამებელ-ბადაგის და თამბაქოს საფერმენტაციო მრეწველობის ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების და დამხმარე სამრეწველო საწარმოთა აღდგენასა და ექსპლოატაციაზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს 1944 წლის IV კვარტალში ქ. ქუთაისში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის მინატარის ქარხნის ბაზაზე მოაწყოს სახელოსნო სასწავლებელი 200 მოსწავლისათვის მინატარის წარმოების სპეციალისტთა მოსამზადებლად.

4. დაევალოთ საქენერგოს მმართველს ამხ. დევიძეს და ბათუმის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ჯიქიას უზრუნველჰყონ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში 1944 წლის III და IV კვარტალებში ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება ქუთაისის კონსერვის ქარხნისა და ბათუმის ციტრუსების კომბინატისათვის.

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ადგილობრივი სამშენებლო მასალების (ბაგურის, კრამიტის, კირის) განაწილებისას 1944 წლის IV კვარტალში შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს აგარის შაქრის ქარხნის, საქკონსერვტრესტის კონსერვის ქარხნების, „საქთამბაქნედლეულის“ თამბაქოს საწარმოების, „სამტრესტის“ და „შამპანკომბინატის“ მეღვინეობის საწარმოთა და ტრესტ „საქეთერზეთის“ ეთერზეთის ქარხ-

ნების მოთხოვნილება სამეურნეო სადგომთა ქარხნის კაპიტალური რემონტის საწარმოებლად.

6. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას:

ა) დაამთავროს აგარის შაქრის ქარხნის მომზადება და უზრუნველჰყოს მისი საექსპლოატაციოდ ამუშავება 1944 წლის 25 სექტემბრიდან;

ბ) დაამთავროს 1944 წლის 25 აგვისტოსათვის სარემონტო, სამშენებლო სამუშაოები ჰარხლის დამამზადებელ პუნქტებში და მოამზადოს ისინი შაქრის ჰარხლის მისაღებად, შესანახად და გასაგზავნად.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბუგოლის“ „ზაკსნაბუგოლის“ მმართველს ამხ. შარიას უზრუნველჰყოს აგარის შაქრის ქარხნისათვის აგვისტოსა და სექტემბერში დამატებითი ფონდიდან ტყიბულის 500 ტონა ქვანახშირის გაგზავნა.

8. მობილიზებულ იქნას ქალაქისა და სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობიდან აგარის შაქრის ქარხნისა და ჰარხლის დამამზადებელი პუნქტებისათვის 550 კაცი, აქედან:

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში	50
ხაშურის რაიონში	120
ქარელის რაიონში	140
გორის რაიონში	80
კასპის რაიონში	100
ბორჩალოს რაიონში	60

შაქრის ქარხნის დირექტორმა ამხ. ხოფერიამ მობილიზებულთა საერთო რიცხვიდან—550 კაციდან გამოიყენოს 200 კაცი უშუალოდ ქარხანაში სამუშაოდ, ხოლო 350 კაცი დამამზადებელ პუნქტებში სამუშაოდ.

დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გალავანოვს და საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ცხოვრებაშვილს, რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს: ხაშურისა—ამხ. გელაშვილსა და ფოფხაძეს, ქარელისა—ამხ. მიქაძესა და დევიძეს, გორისა—ამხ. ბუჯიაშვილსა და მიხანაშვილს, კასპისა—ამხ. გორჯოლაძესა და ქველიძეს და ბორჩალოსი—ამხ. გულიევსა და კოჯლაძეს შაქრის ქარხნისათვის და ჰარხლის დასამზადებლად მუშახელის მობილიზაცია ჩაატარონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 13 აპრილის დადგენილების სრული შესაბამისობით.

დაევალოს შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას:

ა) გაგზავნოს რაიონებში, სადაც მობილიზაცია ტარდება, თავისი წარმომადგენლები მობილიზებულთა მისაღებად და მუშაობის ადგილზე გასაგზავნად;

ბ) უზრუნველჰყოს მობილიზებულთა მიღების თავის დროზე მომზადება (საცხოვრებელი სახლები, საერთო საცხოვრებლები, კვება და სხვ.) და მოაწყოს მობილიზებულთა სათანადოდ გამოყენება და სამუშაოზე მიმაგრება.

10. დაევალოს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს:

ა) უზრუნველჰყოს ბოსტნეული და ხილეული ნედლეულის თავის დროზე მიღება, მიტანა და გადამუშავება, დამზადების დაწესებული გეგმის შესაბამისად, მიმღებ პუნქტებში, გზაში და გადამუშავების პროცესში უდანაკარგოდ;

ბ) გამოიმუშაოს წითელი არმიის უზრუნველსაყოფად 1944 წლის მოსავლის ბოსტნეულიდან კონსერვის ქარხნებში:

ტომატი-პასტა და პიურე . . .	3500 ტ. პირობითი ქილა
ხმელი ბოსტნეული და კარტოფილი	800 „
მჟავე კომბოსტო	1.200 „
კიტრისა და პამიდორის წნილი .	550 „

გ) დაამზადოს და გამოიმუშაოს წითელი არმიისათვის თესლოვანი ხილის 90 ტონა ჩირი;

დ) გახმობის, დამჟავებისა და დაწნილების დავალების შესასრულებლად შეუდგეს ბოსტნეულის გახმობას ქუთაისისა და სამტრედიის ქარხნებში დაუყოვნებლივ, ხოლო გორის სახმობ ქარხნებში არაუგვიანეს 15 აგვისტოსი.

11. დაევალოს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქკანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს კონსერვის ქარხნების ზონებში 1944 წლის მოსავლის ხილისა და ბოსტნეულის დამზადების გასაძლიერებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილი მარცვლეული ფონდი, 940 ტონის რაოდენობით, შემოზიდოს იმ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის მისაყიდად, რომლებიც წესიერად ასრულებენ სახელმწიფოსათვის ხილბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებებს, შემდეგ რაიონებში:

გორის	400 ტონა
ქუთაისის	120 „
წყალტუბოს	70 „
სამტრედიის	100 „
ტყიბულის	45 „
გურჯაანის	20 „
სიღნაღის	15 „
თელავის	10 „

ლაგოდეხის	5	ტონა
ყვარლის	5	„
აფხაზეთის ასსრ	75	„
სამხრეთ-ოსეთის ა/ო .	75	„

ქართული ბიბლიოთეკა

12. ხილის (მათ შორის ლეღვის) და ბოსტნეულის ჩამბარებელთათვის მარცვლის მიყიდვა დაეკისროს ყველგან სამომხმარებლო კოოპერაციას (ცეკავშირს).

მარცვალი მიეყიდოს მხოლოდ იმ ჩამბარებლებს, რომლებიც წესიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოსათვის ხილისა (მათ შორის ლეღვის) და ბოსტნეულის ჩაბარების დარგში, საქხილბოსტანტრესტის პუნქტების ქვითრების წარდგენის მიხედვით, და სათანადო რაიაღმასკომებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მიერ დამტკიცებული განაწილების სიებთან შეფარდებით.

13. დაევალოს იმ რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და რაიკომების მდივნებს, რომლებსაც გამოეყოფათ მარცვლეული ხილისა და ბოსტნეულის ჩამბარებელთათვის მისაყიდად, გაანაწილონ მარცვლეული იმ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის, რომლებსაც აქვთ მარცვლეული კულტურების განსაზღვრული ნათესები და რომლებიც წესიერად ასრულებენ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, ხილისა და ლეღვის ჩაბარების ვალდებულებებს.

14. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამხ. კვირკველიას:

ა) იმ საკონსერვო და ბოსტნეული კულტურების (ტკბილი წიწაკა, კორნიშონი, ბადრიჯანი, პატისონი და სხვ.) დასათესად დაკავებული ფართობი, რაც კონსერვის ქარხნებს გადასამუშავებლად ეძლევათ, გამორიცხოს სახნავი მიწიდან სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის ჩაბარების ვალდებულებათა გამოანგარიშებისას, როგორც დასაკონტრაქტებელი კულტურები;

ბ) 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, ჩაურიცხოს კონსერვის ქარხნების ზონების კოლმეურნეობებს მათ მიერ კონტრაქტაციით რძისებურ სიმწიფეში ჩაბარებული მწვანე ბარდა, სატაცური ლობიო, ცერცვი „ლიმა“ და მათი თესლი მარცვლის ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოთათვის მარცვლის ნატურსაზღაურის ვალდებულებათა ანგარიშში, შემდეგი ეკვივალენტით:

ერთი ცენტნერი მწვანე ბარდა, სატაცური ლობიო, ცერცვი „ლიმა“ ჰოტად—3 ცენტნერ ხორბალში ან 3,5 ცენტნერ ჭვავში ან 4 ცენტნერ სხვა მარცვლეულ კულტურებში;

ერთი ცენტნერი მწვანე ბარდის თესლი, სატაცური ლობიოს თესლი და „ლიმა“ ცერცვის თესლი—2 ცენტნერ ხორბალში ან 2,25

ცენტნერ ჰვავში ან 2,5 ცენტნერ სხვა მარცვლეულ კულტურებში.

15. დაწესდეს გეგმა 1944 წლის შემოდგომაზე მწვანე ბარდის თესვისა 100 ჰექტარის რაოდენობით, აქედან ქუთაისის რაიონში— 60 ჰექტარისა და წყალტუბოს რაიონში—40 ჰექტარის რაოდენობით.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების აღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს მწვანე ბარდის სამშემოდგომო თესვის გეგმები დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე და უზრუნველჰყონ ბარდის მაღალი მოსავლის მიღება.

16. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს ა/წ აგვისტო-ნოემბერში მინის ტარა, ყუთისა და კასრის კომპლექტები, ყუთები და კასრები, ხე-ტყის მასალა და მორები გადაგზავნოს დამამზადებელი კანტორების, საქკონსერვტრესტის ტარისა და კონსერვის ქარხნების მისამართით ტვირთის წარდგენისთანავე.

17. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონის საბჭოს აღმასკომს მობილიზაცია უყოს შრომისუნარიანი მოსახლეობიდან 100 კაცს გორის კონსერვის ქარხანაში სამუშაოდ. მობილიზაცია ჩატარდეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 თებერვლის ბრძანებულების სრული შესაბამისობით. მობილიზაცია დაიწყოს 15 აგვისტოდან და დამთავრდეს 1 სექტემბერს.

18. დაევალოს ტრესტ „საქთამბაქნედლეულის“ მმართველს ამხ. ვაშაკიძეს:

ა) დაამთავროს 15 სექტემბრისათვის ყველა საფერმენტაციო ქარხნის, საფერმენტაციო კამერის, სასაწყობო სადგომის, ელექტროსადგურის, მექანიკური სახელოსნოსა და ტრესტის სხვა დამხმარე საწარმოთა რემონტი;

ბ) უზრუნველჰყოს არსებული ავტოტრანსპორტის სრული გამოყენება, ამასთან არ დაუშვას მოცდენა და ზედმეტი ცარიელი გარბენა თამბაქოს ზიდვისას;

გ) მიაღწიოს იმას, რომ რეალიზებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1 მარტის № 4639-სგ განკარგულებით ირანსაბჭოთრანსის ამიერკავკასიის ბაზებიდან გამოყოფილი 30 ტონა ლურსმანი, 16 ტონა სახურავი რკინა და 12 ტონა ფურცლოვანი რკინა და ეს მასალები გამოიყენოს პირველ რიგში საფერმენტაციო ქარხნების სარემონტოდ.

19. დაევალოს სამტრესტის დირექტორს ამხ. აზარაშვილს, საბჭოთა შამპანურის წარმოების კომბინატის დირექტორს ამხ. არობელიძეს, რაისამრეწველო კომბინატების დირექტორებს, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ამბროლაურის, ცაგერის, ჩხარის, მახა-

რაძისა და ცხაკაიას რაიონების რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს:

ა) დაუყოვნებლივ დაიწყონ და ა/წ 30 აგვისტოსათვის დაამთავრონ დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე ყურძნის ჩამბარებელთა სიების დაზუსტება;

ბ) ა/წ აგვისტოს დამლევამდე შეადგინონ თვითეულ ქარხანასა, საბჭოთა მეურნეობასა და გადამმუშავებელ პუნქტში მიტანისა და გადამუშავების გრაფიკი და დაიყვანონ ეს გრაფიკი თვითეულ კოლმეურნეობამდე და საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთამდე;

გ) უზრუნველჰყონ ყურძნის კრეფა მიკრო-რაიონებსა და ნაკვეთებზე მისი ტექნიკური დამწიფების მიხედვით, დაიცვან დაწესებული კონდიცია (შაქრიანობა, ჯიშიანობა) და ყურძნის თავის დროზე და სათანადო სახით მიტანა, გადამმუშავებელ პუნქტებში;

დ) დააწესონ მუდმივი მეთვალყურეობა ჯიშების მიხედვით ყურძნის კრეფისა და დამუშავების წესების განხორციელებაზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ღვინის ქარხნებისა და გადამმუშავებელი პუნქტების სისუფთავესა და სანიტარულ პირობებს;

ე) გულდასმით გაუწიონ ინსტრუქტაჟი დამამზადებელი პუნქტების მუშაკებსა და იმ კოლმეურნეობათა წარმომადგენლებს, რომლებიც ყურძენს აბარებენ, ყურძნის მოკრეფის, გადამმუშავებელ პუნქტებში მიღებისა და გადამუშავების სწორი ორგანიზაციის საკითხებზე;

ვ) გამოჰყონ საბჭოთა მეურნეობებისა და ღვინის ქარხნებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა საჭირო რაოდენობა და უზრუნველჰყონ მოკრეფილი ყურძნის თავის დროზე, ხარისხოვნად და უდანაკარგოდ მიტანა გადამმუშავებელ პუნქტებში;

ზ) დააწესონ სისტემატური კონტროლი თვითეული კოლმეურნეობის, კოლმეურნისა და ერთპიროვნული მეურნეობის მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულებაზე;

თ) არ დაუშვან დავალიანება ჩაბარებულ ყურძენში;

ი) ყურძნის დამზადების პერიოდის დაწყებამდე ფართოდ გააცნონ ჩამბარებლებს ყურძნის დამზადების პირობები, დაწესებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 იანვრის დადგენილებით (ფასების გადიდება, სიმინდით მომარაგება, პრემია-დანამატი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და სხვ.);

კ) ღვინის მრეწველობის საწარმოებში და საბჭოთა მეურნეობებში ა/წ 30 აგვისტომდე დაამთავრონ რემონტი და სრულ წესრიგში მოყვანა ღვინომასალის ტარისა (კასრები, ბუტები, ჩანები ქვევრები), მეღვინეობის ინვენტარისა, სადგომებისა და მარნებისა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში თავის დროზე

დაამზადონ საჭირო რაოდენობით ყურძნის მოსაკრეფი და გადასაზიდი ტარა (კალათები, ტარპები) და სატრანსპორტო საშუალებები (ავტო და ჰიპანზიდვის ტრანსპორტი).

20. ყურძნის დამზადების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებით საბჭოთა მეურნეობებისა და ღვინის ქარხნების უზრუნველსაყოფად, ნება დაერთოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს ჩაის ფოთლის კრეფის დამთავრების შემდეგ ტრესტების „საქართველოს ჩაის“ და „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ავტოპარკიდან დროებით, ყურძნის დამზადების პერიოდისთვის, მიმაგროს სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებს 20 მანქანა.

21. დაევალოს ტრესტ „საქეთერზეთის“ მმართველს (ამხ. ცომაიას):

ა) უზრუნველჰყოს მწვანე გერანის შეუფერხებელი მიღება და ქარხნებში გადამუშავება;

ბ) ერთი დეკადის ვადაში შეამოწმოს ქარხნების სასასწორო მეურნეობა, აგრეთვე მწონავთა კონტინგენტი და შეარჩიოს ისინი შემოწმებულ მუშაკებიდან;

გ) უზრუნველჰყოს ქარხნებში ტექნოლოგიური პროცესების სასტიკად დაცვა, ზეთის მაღალი გამოსავლის მიღება, არ დაუშვას დანაკარგი და მიაღწიოს სათბობის მომჭირნეობით ხარჯვას.

22. წინადადება მიეცეს „სოიუზაგოტრანსის“ საქკანტორის მმართველს ამხ. კუპრავას გამოჰყოს ტრესტ „საქეთერზეთის“ განკარგულებაში, ვადით 1 ნოემბრამდე, 15 ავტომანქანა ქარხნებში საკოლმეურნეო მწვანე გერანის გადასაზიდად.

23. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამხ. კვირკველიას და სრულიად-საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქკანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს დაჯავშნონ საქართველოს სსრ ლუდის მრეწველობისათვის ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და დუშეთის რაიონების მოსავლის ჯიშიანი სალუდე ქერი, ამასთან უზრუნველჰყონ მისი ცალკე დაზვინვა და აკრძალონ ჯიშიანი სალუდე ქერის ხარჯვა სხვა მიზნებისათვის, გამოყოფილი ფონდების ფარგლებში საქართველოს სსრ ლუდის მრეწველობის საწარმოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე.

24. დაევალოს ტრესტ „საქართველოს ლუდ-ლიმონათის“ დირექტორს ამხ. ფაშაშვილს:

ა) ერთი დეკადის ვადაში მოამზადოს საწყობები 1944 წლის მოსავლის სალუდე ქერის შესანახად და რემონტი და დეზინფექცია გაუკეთოს საწყობებს;

ბ) დაამთავროს ა/წ 15 სექტემბრამდე საყუთე ალაოს ღუმელის მშენებლობა თბილისის № 4 ლუდქარხანაში.

25. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს და თბილისის ზეთსახდელი ქარხნის დირექტორს ამხ. ფილიპოვს:

ა) მოამზადონ თბილისის ზეთსახდელი ქარხანა და კაპიტალური რემონტი გაუკეთონ მას 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე;

ბ) ზეთის ქარხნის კაპიტალური რემონტის განმავლობაში მოახდინონ ზეთის თესლის შესანახი ყველა საწყობის დეზინფექცია, რემონტი და შეთეთრება;

გ) მოახდინონ ტომარტარის მთელი მარაგის რემონტი იმ ანგარიშით, რომ „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქკანტორის განრიგის თანახმად 1 სექტემბრამდე დაეგზავნოს ადგილებს მთელი ტომარტარა მზესუმზირასა და სოიას ცერცვის დასატარიანებლად.

26. დაევალოს სრულიად-საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქკანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს:

ა) 10 სექტემბრიდან გაგზავნოს დამამზადებელ პუნქტებიდან ნავთლულის სადგურში თანაბარ პარტიებად, ხოლო თბილისის ზეთის ქარხანამ ა/წ IV კვარტალის დამლევამდე მიიღოს 1.800 ტონა მზესუმზირას თესლი და 1000 ტონა სოიას ცერცვი;

ბ) დამამზადებელ პუნქტებში ნედლეულის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, 1945 წლის 1 ივნისამდე დაამთავროს 1944 წლის მოსავლის სოიას ცერცვის და მზესუმზირას თესლის გაგზავნა ზეთის ქარხნისათვის საჭირო რაოდენობით.

27. 1944 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის თავის დროზე გადატანისა და უდანაკარგოდ გადამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, ეთხოვოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ვ. პ. ზოტოვს:

ა) კოლმეურნეობათა მიერ 1944 წლის შემოდგომაზე 100 ჰექტარი ბარდის დათესვის უზრუნველსაყოფად დაავალოს ქუთაისის საცდელ-სასელექციო სადგურს გადასცეს საქკონსერვტრესტს მწვანე ბარდის 1944 წელს გამოყვანილი თესლის მთელი მარაგი;

ბ) გამოჰყოს საქკონსერვტრესტის საწარმოებისათვის:

თუნუქის ქილებისა და მინატარის სახურავთა გამოსამუშავებლად ა/წ IV კვარტალში 250 ტონა თუნუქი;

პროდუქციის დასატარიანებლად ა/წ სექტემბერსა და ოქტომბერში—კასრების კომპლექტები 40.000 კასრცენტნერისათვის;

ბაქოს მინატარის ქარხნიდან სექტემბერში—60 ვაგონი 3-ლიტრიანი ბალონები;

პირუტყვისა და ცხენების საკვებად—IV კვარტალში 60 ტონა კონცენტრირებული საკვები;

გ) თამბაქოს დაწნეხვის უზრუნველსაყოფად გამოჰყოს აგვისტოში ტრესტ „საქთამბაქნედლეულისათვის“ 12 ცალი ელექტრომოტორი 5,2 კილოვატ სიმძლავრისა; აქედან მუდმივი დენისა—8 ცალი და ბურთულსაკისარი (45×90 და 50×100 ზომისა) 50 ცალი;

დ) 1944 წლის მოსავლის ყურძნის დამზადებისა და პირველადი გადამუშავების ჩასატარებლად, დაწყებული სექტემბრიდან დეკემბრამდე, გამოჰყოს თვეში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტისათვის: 30 ტონა ბენზინი, 30 ტონა სამოტორო ნავთი, 12 ტონა ლიგროინი და შამპანკომბინატისათვის—30 ტონა ბენზინი, 150 ტონა მაზუთი.

28. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს გაუწიოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 923

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ყვარლის რაიონის ყოფილ სოფელ ხაშალხუტის დასახლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ყვარლის რაიონიდან დაღისტნის ასს რესპუბლიკაში ლეკების გადასახლებასთან დაკავშირებით, ლიკვიდირებულ იქნას ტივის სასოფლო საბჭო და სოფლები ტებელჯოხი და ტივი.

2. ნება დაერთოს ყვარლის რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომს:

ა) გადასცენ ლიკვიდირებული სოფლების მიწები:

ტებელჯოხისა — სოფ. ოქტომბრის ძნელაძის სახ. კოლმეურნეობას — 35 ჰექტ.,
სოფ. ჭიკაანის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობას — 37 ჰექტ.,

ტივისა — სოფ. ახალსოფლის კუიბიშევის სახ. კოლ-ბას — 150 ჰექტ.,
სოფ. ჭიკაანის ბერიას სახ. კოლმეურნეობას — 102 ჰექტ.

ბ) სოფ. ტივში არსებული თავისუფალი სახლები გადაეცეს მეზობელ კოლმეურნეობებს ფასად, ამ სახლების დაშლისა და სამშენებლო მასალის გამოყენების უფლების მინიჭებით.

დაევალოს სათანადო კოლმეურნეობებს, რომლებსაც ეძლევათ სახლები ან დაშლილი სახლების მასალა, გადაიხადონ მათი ღირებულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კომისიის მიერ დაწესებული შეფასების მიხედვით და შეიტანონ იგი ბიუჯეტის შემოსავალში.

3. გამოეცვალოს სახელი ხაშალხუტის სასოფლო საბჭოს და

დაერქვას მთისძირის სასოფლო საბჭო და სოფელ ხაშალხუტს—სოფელი მთისძირი.

შეტანილ იქნას ეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

4. მიღებულ იქნას ყვარლის რაიაღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის წინადადება იმის შესახებ, რომ სოფ. მთისძირში დასახლებულ იქნას კოლმეურნეთა 180 მეურნეობა ყვარლის რაიონის შემდეგი სოფლებიდან:

სოფ.	ახალსოფლიდან	46 მეურნეობა
„	ბალგოჯიანიდან	16 „
„	ჰიკაანიდან	19 „
„	სანავარდოდან	12 „
„	გავაზიდან	1 „
„	შილდიდან	5 „
„	ყვარლიდან	5 „
ხუტორ	ქორიანის ლიკვიდაციის წესით .	9 „
მოსამსახურე		5 „

5. დაკმაყოფილებულ იქნას ლაგოდეხის რაიონის სოფ. რუსთავის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების შუამდგომლობა და ნება დაერთოს მათ მთლიანად, 52 კომლის რაოდენობით, მთელი თავიანთი პირადი მეურნეობით და საკოლმეურნეო მეურნეობით, გადასახლდნენ ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირში.

ნება დაერთოს ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს, რომლებიც ყვარლის რაიონში სახლდებიან, გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ სახლები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი, რაც მათ ეკუთვნით ლაგოდეხის რაიონის სოფ. რუსთავში.

ამასთან დაკავშირებით, ლიკვიდირებულ იქნას ლაგოდეხის რაიონის სოფ. რუსთავი.

6. დაევალოს ყვარლის რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომს:

ა) სოფ. მთისძირში მეურნეობათა დასახლება დაამთავრონ ერთი თვის ვადაში, იმ ანგარიშით, რომ დასახლებულმა მეურნეობებმა უზრუნველჰყონ საშემოდგომო თესვის ჩატარება ახალ საცხოვრებელ ადგილას;

ბ) ახლადდასახლებულ მეურნეობებს მიეცეს თავისუფალი სახლები იმ პირობით, რომ მათი ღირებულება გადაიხადონ საბალანსო ან სადაზღვევო შეფასების მიხედვით, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 ივლისის № 818 დადგენილებით გამოყოფილი კომისიის მიერ;

გ) ნება დაერთოს დასახლებულ კოლმეურნეებს მათთვის გადაცემული სახლების ღირებულება გადაიხადონ ნაწილნაწილ 5 წლის განმავლობაში;

დ) ახლადდასახლებულ მეურნეობათაგან მოწყობილ კოლმეურნეობას უსასყიდლოდ გადასცენ თავისუფალი სახლები საზოგადოებრივი სარგებლობისათვის (კანტორა, საწყობები, ბაკი და სხვ.). ამასთან ჩარიცხონ გადაცემულ ნაგებობათა ღირებულება კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდში;

ე) სახლების ღირებულება, რომლებიც გამოყენებული იქნება სასოფლო საბჭოსა, სკოლებისა, სამედიცინო პუნქტისა, ზოოვეტუბნისა და აფთიაქისათვის, და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი მიღებულ იქნას სასოფლო საბჭოს ბალანსზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კომისიის მიერ დაწესებული სადაზღვევო ღირებულებით;

ვ) მიამაგრონ ახლადმოწყობილ კოლმეურნეობას სოფ. მთისძირის ყველა მიწა.

ნება დაერთოს ყვარლის რაიაღმასკომს გამოჰყოს ახლადმოწყობილი კოლმეურნეობის კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთები 0,50-დან 0,75-მდე ჰექტარის ფარგლებში თვითეულ საკოლმეურნეო მეურნეობაზე.

7. იმ მიზნით, რომ სოფ. მთისძირში ახლადმოწყობილი კოლმეურნეობა ღზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, მუშა და პროდუქტიული საქონლით, დაევალოს ყვარლის რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომს:

ა) განსაზღვრონ თვითეული კოლმეურნეობისათვის ცალკე გამოყოფილი ფონდის ოდენობა, რაც მოდის კოლმეურნეობებიდან ახლადგადასახლებულთა წილად და გადასცენ იგი სოფელ მთისძირში ახლად დასახლებულთა კოლმეურნეობას;

ბ) მიმდინარე წლის დამლევამდე მოაწყონ სოფელ მთისძირის კოლმეურნეობასთან მეცხოველეობის ფერმები, დააკომპლექტონ ისინი პროდუქტიული საქონლის სულადობით, აგრეთვე გამოჰყონ და მიჰყიდონ კოლმეურნეობას მუშასაქონლის შესაძლო რაოდენობა, რაიონის შიდარესურსების ხარჯზე.

8. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ჯანაშიას მისცეს ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირში ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობას საჭირო კრედიტი პროდუქტიული და მუშასაქონლის შესაძენად, აგრეთვე კრედიტი სამეურნეო მოწყობისათვის და ახლადგადასახლებულ კოლმეურნეთა შორის უძროხოობის სალიკვიდაციოდ.

9. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 მაისის № 546 დადგენილების (პუნ. 8) შესაბამისად, განთავისუფლებულ იქნან სოფ.

მთისძირში ახლადგადასახლებულთა კოლმეურნეობა და კოლმეურნენი 1944 და 1945 წლებში სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისა და ფულადი გადასახადისა და გამოსაღების გადახდისაგან.

10. გადასახლების ჩატარებაში რაიონისათვის დახმარების გაწევად:

ა) მიმაგრებულ იქნან ყვარლის რაიონზე საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული საგადასახლებო სამმართველოდან ამხ. ვასაძე და ინსპექტორი ჭანიშვილი;

ბ) დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. კ. ციმაკურიძეს მიავლინოს ყვარლის რაიონში პასუხისმგებელი მუშაკები ახლადგადასახლებულთა კოლმეურნეობისა და კოლმეურნეებისათვის სახლების გადაცემის გასაფორმებლად;

გ) დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ს. ხოშტარიას მიავლინოს ყვარლის რაიონში მიწათმომწყობი ს. მთისძირში ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობაზე მიწების მისამაგრებლად და კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოსაყოფად, აგრეთვე ლიკვიდირებული სოფლების—ტებელჯოხისა და ტივის მიწების კოლმეურნეობათა შორის განაწილება.

11. წინადადება მიეცეს საქსოფლმეურნმომარაგების მმართველს ამხ. ივიტხანოვს მისცეს სოფ. რუსთავში ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობას 15 სახნისი.

12. დაევალოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. გ. ზამბახიძეს ორი თვის ვადაში ჩაატაროს სასმელი წყლით სოფ. რუსთავის უზრუნველყოფის გამოკვლევა და თავისი წინადადებანი წყალსადენის მშენებლობის შესახებ წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

13. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს და ყვარლის რაიალმასკომს უზრუნველჰყონ ბიუჯეტის შემოსავალში იმ სახლების ღირებულების თავის დროზე შეტანა, რაც ეძლევათ სოფ. მთისძირის კოლმეურნეობებს, ამ დადგენილების 2 და 6 პუნქტების თანახმად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 17 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 926

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

№ 2460 ევაკოჰოსპიტლის მიერ ავარიული მდგომარეობის გამო ყოფ. 78-ე სომხური საშუალო სკოლის შენობის (ლენინის ქ. № 53) განთავისუფლების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ ყოფილი 78-ე სომხური საშუალო სკოლის შენობა (ლენინის ქ. № 53), რომელიც № 2460 ევაკოჰოსპიტალს უკავია, ავარიულ მდგომარეობაშია და შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლებელია ყოველ დროს დაინგრეს და უბედური შემთხვევები გამოიწვიოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს სამი დღის განმავლობაში გაანთავისუფლოს მთლიანად ყოფილი 78-ე სომხური საშუალო სკოლის შენობა (ლენინის ქ. № 53), რომელიც ჰოსპიტლად არის გამოყენებული და დაჭრილები და ავადმყოფები 105 კაცის რაოდენობით მოათავსოს № 2460 ევაკოჰოსპიტლის ძირითად კორპუსში.

2. წინადადება მიეცეს თბილისის საქალაქო აღმასკომს (ამხ. გოჩაშვილს) და ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს აღმასკომს (ამხ. თოდრიას) მიიღონ ყოფილი 78-ე სომხური საშუალო სკოლის შენობა საქართველოს სსრ ჯანსახკომისაგან და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საავარიო-აღდგენით სამუშაოებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 927

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისათვის 300 კუბ. მეტრი წიწვიანი მორის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკუთრობრივ და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს მისცეს მომდინარე წლის 20 სექტემბრამდე ახალციხეში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას 300 კუბ. მეტრი წიწვიანი მორი, აქედან 100 კუბ. მეტრი—რეზერვის ხარჯზე და 200 კუბ. მეტრი – აგარის შაქრის ქარხნისათვის ხე-ტყის მასალების მიცემის წლიური გეგმის 100 კუბ. მეტრით და საქართველოს სსრ მიწსახკომისათვის—100 კუბ. მეტრით შემცირების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 928

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ცხვრის სულადობის საზაფხულო საძოვრებიდან ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე გადარეკის შესახებ

იმ მიზნით, რომ ცხვრის სულადობა თავის დროზე და ორგანიზებულად იქნას გადარეკილი საზაფხულო საძოვრებიდან ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანს, დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს ერთი დეკადის ვადაში გაგზავნონ მუშახელისა და ტრანსპორტის საჭირო რაოდენობა ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე თიბვის მოსაწყობად იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს თვითეული კოლმეურნეობის მიერ საკვების დაგროვების გეგმის შესრულებას, აგრეთვე საქონლის სადგომთა შესაკეთებლად და საქონლის საზამთროდ დაბინავების ადგილებზე თივის მისაზიდად.

საქონლის სადგომთა რემონტისა და თივის მიზიდვის სამუშაოები დამთავრდეს 1944 წლის 15 ოქტომბრისათვის.

2. განისაზღვროს 1944—1945 წლის ზამთრისათვის ჩრდილო-კავკასიის საძოვრებზე ცხვრის გადარეკის გეგმა 360 ათასი სულის რაოდენობით, აქედან: სამხრეთ-ოსეთის ა/ო კოლმეურნეობებიდან —120 ათასი სული,

დუშეთის	რაიონის	კოლ-ბებიდან	120	ათასი	სული
ყაზბეგის	„	„	99	„	„
თიანეთის	„	„	30	„	„

3. დაწესდეს საზამთრო საძოვრებზე ცხვრის სულადობის გადარეკის დაწყების შემდეგი ვადები:

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებისათვის—1944 წ. 10 ოქტომბერი
დუშეთის „ „ —1944 წ. 10—12 „
თიანეთის „ „ —1944 წ. 12—13 „
სამხრეთ-ოსეთის ა/ო „ —1944 წ. 13—15 „

საქონლის გადარეკა ჩატარდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წ. 14 დეკემბრის დადგენილებით დაწესებული საქონელგადასარეკი გზებით.

4. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების აღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) სექტემბრის დამლევამდე დაამთავრონ ყველა ფარის დაკომპლექტება მწყემსებით.

უზრუნველჰყონ ყველა მწყემსი და ცხვრის სულადობის მომსახურე სხვა პერსონალი პასპორტებითა და სხვა პერსონალური დოკუმენტებით;

ბ) გამოჰყონ ზამთრის საძოვრებზე საქონლის გადამრეკ ყველა კოლმეურნეობაში საჭირო ტრანსპორტი გზაში და საზამთრო საძოვრებზე საქონლის მომსახურებისათვის;

გ) გამოჰყონ და გაგზავნონ ზოოვეტპერსონალი ფარის გასაყოლებლად გზაში, აგრეთვე საზამთრო საძოვრებზე მომსახურების გასაწევად და უზრუნველჰყონ ისინი საჭირო მედიკამენტებით;

დ) უზრუნველჰყონ საზამთრო საძოვრებზე რაიონული გაზეთის რუგულარული გზავნა;

ე) გამოჰყონ საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის ბიუროს ერთი წევრი საქონლის გადარეკისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად და გზაში გასაყოლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს:

ა) ა/წ 1 ოქტომბრამდე დაამთავროს საზამთრო საძოვრებზე გადასარეკი საქონლის ვეტდამუშავება და მოამარაგოს კოლმეურნეობანი სათანადო ვეტმოწმობებით;

ბ) გამოჰყოს საჭირო მედიკამენტები საზამთრო საძოვრებზე გადასარეკი საქონლისათვის.

6. დაევალოს საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს (ამხ. ი. კალანდაძეს) შეამოწმოს ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე ექვსი არტეზიული ჭის მდგომარეობა და 1944 წ. 15 ნოემბრამდე უზრუნველჰყოს მათი აღდგენა და რემონტი.

ჰების აღდგენისა და რემონტის ხარჯთაღრიცხვა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ხელიძემ გააუმჯობესოს ჩერნი რინოკის საავადმყოფოს მუშაობა, აიყვანოს ექიმთა რაოდენობა სამამდე, უზრუნველჰყოს საავადმყოფო საჭირო მედიკამენტებით, აგრეთვე მოამარაგოს ბინებიც საკოლმეურნეო აფთიაქებით.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. გიორგაძემ და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნარსიამ განიხილონ საკითხი, თუ რა წესით უნდა იქნან მომარაგებული მწყემსები და ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე ცხვრის სულადობის მომსახურე პერსონალი პურით, თამბაქოთი და საბნით და უზრუნველჰყონ მათი შეუფერხებელი მიწოდება.

9. დაევალოს „ზაგოტჟივსირიოს“ საქართველოს კანტორას—ამხ. აფხაზავას ა/წ ნოემბერში მიიტანოს ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე 500 ნაბადი დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების მწყემსებისათვის მისაყიდად საქართველოს სსრ მიწსახკომის განაწილების მიხედვით.

10. წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს ა/წ 1 ნოემბრამდე დაამზადოს არტელ „საქნაბადში“ 200 ნაბადი და მისცეს ცეკავშირს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მწყემსებისათვის მისაყიდად, რომლებიც მიემგზავრებიან ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 929

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის აღებისა და დამზადების შესახებ

„1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად და მიმდინარე წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის თავის დროზე აღებისა და დამზადების ორგანიზაციის მიზნით, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინსახკომს:

ა) შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესების მდგომარეობა, ამასთან მიიღონ საჭირო ზომები მათ დასამუშავებლად (გათხნა, გამარგვლა, მორწყვა) და ნაკვეთების ფხვიერ და სარეველა მცენარეებისაგან სუფთა მდგომარეობაში შესანახად;

ბ) მოაწყონ დამწიფების მიხედვით კარტოფილისა და ბოსტნეულის შერჩევითი აღება და არ დაუშვან მათი ძირზე გადამწიფება; ერთ დღეს ამოთხრილი კარტოფილი და აღებული ბოსტნეული იმავე დღეს გაიტანონ მინდვრიდან. კარტოფილის აღების შემდეგ ჩაატარონ აღებული ნაკვეთების ფარცხვა და, როგორც წესი, შემდგომი ხელახალი ხვნა, ამასთან აკრიფონ დარჩენილი ტუბერები;

გ) დააკისრონ ბრიგადირებს პირადად მიიღონ მერგოლურებისა და კოლმეურნეებისაგან ნაკვეთები, რომლებზედაც აღებულია კარტოფილი და ბოსტნეული, ხოლო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს — მიიღონ ეს ნაკვეთები ბრიგადირებისაგან აღების დამთავრების 2-3 დღეზე არაუგვიანეს;

დ) ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის აღება საქა-

რთველოს ყველა რაიონში დაამთავრონ პირველი ყინვების დადგომამდე;

ე) მოაწყონ კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის საგულდაგულო აღრიცხვა; შემოიღონ კარტოფილისა და ბოსტნეულის აწონვა მინდვრად ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით; კარტოფილი და ბოსტნეული დამამზადებელ პუნქტებსა და კოლმეურნეობათა საწყობებში გაგზავნონ წონით, ზედნადების თანდართვით (ზედნადების ეგზემპლარი პროდუქციის მიღების ხელწერილთან ერთად გადაეცეს კოლმეურნეობის მოანგარიშეს არაუგვიანეს მეორე დღისა);

ვ) თვითეულ კოლმეურნეობაში გამოჰყონ კოლმეურნენი გაფუჭებისა და დატაცებისაგან კარტოფილისა და ბოსტნეულის დასაცავად;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სათესლე ნაკვეთთა ნათესების გულდასმით მოვლას; ჩაატარონ ბოსტნეულის სათესლე ნაკვეთებზე ღეროების შერჩევითი მოჭრა და მათი მთლიანად გახმობა საჩიხებსა და ფარდულებში; არ დაუშვან თესლის დანაკარგი გადაზიდვისას;

ბოსტნეული კულტურების თესლის აღება, გახმობა, გალეწვა და გაწმენდა და „სორტსემოვოშჩისათვის“ მათი ჩაბარება დაამთავრონ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში;

თ) ერთი თვის ვადაში დაწესონ თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის თესლის გამოყოფის გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ ა/წ ფაქტიური ნათესების 20%-ით გადიდება და უზრუნველჰყონ ამ გეგმის უცილობლად შესრულება. გამოყოფილი თესლის მეკუთნავეებისათვის ჩაბარება შესანახად გააფორმონ სათანადო აქტით.

2. დაევალოთ არამთესლეობის კოლმეურნეობებს, რომლებსაც ბოსტნეულის ნათესები აქვთ, უზრუნველჰყონ თავიანთი თავი ბოსტნეული კულტურების თესლით 1945 წელს დასათესად და აღების შემდეგ დარგონ ორწლოვანი ბოსტნეული კულტურების დედა-თესვები 1945 წლის გაზაფხულზე გადასარგავად.

3. მიკარტოფილეობის ყველა რაიონისათვის კარტოფილის სათესლე ნაკვეთების ოდენობა განისაზღვროს 1944 წლის ფაქტიური თესვის ფართობის 18%-ით.

4. დაწესდეს კარტოფილის სათესლე ნაკვეთებიდან მოსავლის გამოყენების შემდეგი წესი:

ა) აეკრძალოთ კოლმეურნეობებს სათესლე ფონდების მთლიანად გამოყოფამდე დახარჯონ სათესლე ნაკვეთების კარტოფილის მოსავალი რაიმე სხვა მიზნებისათვის, გარდა სათესლე მიზნებისა. სათესლე ნაკვეთების მოსავლის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში დამნაშავენი მიეცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში;

ბ) ნება დაერთოთ კოლმეურნეობებს სათესლე ფონდების მთლიანად გამოყოფის შემდეგ სათესლე ნაკვეთების მოსავლის ნაჭარბი გამოიყენონ სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესასრულებლად და მხოლოდ ამის შემდეგ—სხვა საჭიროებათათვის.

5. აეკრძალოთ საბოსტნე მეთესლეობის კოლმეურნეობებს გამოიყენონ დაკონტრაქტებულ ფართობიდან სათესლე ნაკვეთები სხვა მიზნებისათვის, გარდა სათესლე მიზნებისა, ორწლიანი კულტურათა სათესლე ნაკვეთების დათესვის გეგმის შესრულებამდე ახ ერთწლოვანი კულტურების (პომიდორი, კიტრი და სხვ.) თესლის ჩაბარებამდე.

6. დაევალოთ სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სს რესპუბლიკაში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს:

ა) უზრუნველჰყონ კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების გეგმის უცილობელი შესრულება მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში; ამავე მიზნით დასამზადებელ პუნქტებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მისაზიდად ყველა კოლმეურნეობაში გამოჰყონ ტრანსპორტი, ამასთან აკრძალონ მისი გამოყენება სხვა მიზნებისათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების გეგმათა შესრულებამდე;

ბ) განუმარტონ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ კარტოფილის პირველი პარტიებიდან, რასაც კოლმეურნეობანი სახელმწიფოს აბარებენ, პირველ რიგში დაიფარება კოლმეურნეობათა გასული წლების დავალიანება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოს ნატურსაზღაურის დარგში. ამის შემდეგ კარტოფილის თვითეულ პარტიიდან, რასაც კოლმეურნეობანი აბარებენ, ნახევარი ჩაირიცხება სავალდებულო ჩაბარებათა ანგარიშში და მეორე ნახევარი—მტს-ების სამუშაოს ნატურსაზღაურის ანგარიშში;

გ) სისტემატურად შეამოწმონ დამამზადებელი პუნქტების მუშაობა კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების დარგში, ამასთან უზრუნველჰყონ სავალდებულო ჩაბარებით კარტოფილისა და ბოსტნეულის თავის დროზე მიღება და ფონდისმქონე ბელთათვის ჩაბარება;

დ) აგვისტოს განმავლობაში ჩაატარონ მთლიანი შემოწმება, თუ როგორ სრულდება სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებანი თვითეულ კოლმეურნეობაში, ხოლო კარტოფილისა—სექტემბერში—თვითეულ კოლმეურნეობისა, საკოლმეურნეო კომლისა და ერთპიროვნული მეურნეობის მიხედვით;

ე) განუმარტონ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ ის კოლმეურნეობანი, რომლებიც არაწესიერად ასრულებენ თვეების მიხედვით ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებებს, შემდგომ თვეებში, სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა მთლიანად შესრულებამდე, კარგავენ ბოსტნეულის კერძოდ გაყიდვის უფლებას.

7. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სს რესპუბლიკაში,—კარტოფილისა და ბოსტნეულის დამწიფების მიხე-

დვით დაუწესოს თვითეულ რაიონს, ხოლო რაიონებში — თვითეულ კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის ამ კულტურების ჩაბარების ხუთდღიური კალენდარული დავალებანი; ჩააბაროს კოლმეურნეობებს დავალებანი და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონწმუნებულთა აგენტების მეშვეობით მიაწოდოს თვითეული კოლმეურნეობის მიერ მისთვის დაწესებული ხუთდღიური დავალების შესრულებას.

8. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაურიცხოს მეთესლეობის კოლმეურნეობებს:

ა) მთელი ბოსტნეული თესლი, რასაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა წესით „სორტსემოვოშს“ აბარებენ, სახელმწიფოსათვის ყველა ბოსტნეული კულტურისა და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში, ამასთან დაუშვას ერთი სახეობისტნე კულტურების შეცვლა სხვა არაერთსახელიანი კულტურების თესლით;

ბ) მთელი თესლი საკვებ ძირხვენა მცენარეებისა და ბაღჩეული კულტურებისა, რასაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა წესით „სორტსემენოვოშს“ აბარებენ სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და თივის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში დაწესებული ეკვივალენტების მიხედვით.

9. წინადადება მიეცეთ მიწსახკომს და მტს-ების დირექტორებს არაუგვიანეს ხუთი დღისა მას შემდეგ, რაც საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსაგან მიიღებენ კოლმეურნეობათა დამტკიცებულ სიებს მოსავლიანობის თანრიგებზე მიკუთვნების შესახებ, ჩააბარონ კოლმეურნეობებს მტს-ების სამუშაო ატურსაზღაურში კარტოფილის ჩაბარების ანგარიშები; პასუხისმგებლობა ანგარიშების თავის დროზე ჩაბარებისათვის და ჩაბარებული ანგარიშების მიხედვით კოლმეურნეობათა მიერ კარტოფილის ჩაბარების კონტროლი დაეკისროთ პირადად მტს-ების დირექტორებს.

10. დაევალოთ დამამზადებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს: ცეკავშირისა—ამხ. ნარსიას, საქკონსერვტრესტისა—ამხ. წიკლაურს, თბილხილბოსტანვაჭრობისა—ამხ. ჭყონიას, ახალციხის რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას—ამხ. ასლანოვს:

ა) 10 დღის განმავლობაში მთლიანად დაამთავრონ დამამზადებელ-ტექნიკური ბაზის მომზადება 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მისაღებად; უზრუნველჰყონ დამამზადებელი პუნქტები საჭირო რაოდენობის ტარით—კალათებით, ტომრებით, სასწორებით, ნიჩბებით, ფარნებით და სხვა სამუშაო და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, მიღების ქვითრებით, სტანდარტული და სხვა ბლანკებით, რაც კი საჭიროა კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გასაფორმებლად; მოაწყონ ყველა დამამზადებელ პუნქტში კარტოფილისა და ბოსტნეულის მთელი სადღეღამისო მიღება და არ დაუშვან ჩამბარებლებთან ანგარიშის გასწორების გაჭიანურება;

ბ) უზრუნველჰყონ დამამზადებელ პუნქტებიდან კარტოფილისა და ბოსტნეულის თავის დროზე გაზიდვა და არ დაუშვან მათი გაფუჭება, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ დამამზადებლებს რჩილონ და დააწნილონ ბოსტნეული;

გ) სავაჭროდ და საზოგადოებრივი კვებისათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის იმ გეგმის რეალიზაციის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ, მიამაგრონ მუშათა მომარაგების განყოფილებანი, მოვაჭრე და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროდუქტებს სახელმწიფო გეგმებით იღებენ, უშუალოდ დამამზადებელ პუნქტებს პროდუქციის თავიანთი ტრანსპორტით გამოსაზიდად;

დ) შეუდგნენ კარტოფილის დაგროვებისათვის მოსამზადებელ მუშაობას, ჩაატარონ რაიონებში ამ მიზნით ვარგის ფართობთა მომზადება, დაამზადონ ჩალა და დასაგროვებლად საჭირო სხვა მასალები;

ე) გაგზავნონ რაიონული დამამზადებელი კანტორების დასახმარებლად ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

11. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. კვირკველიას სისტემატურად შეამოწმოს კარტოფილისა და ბოსტნეულის ხარისხოვანი მიღებისა და ჩამბარებლებთან ანგარიშის გასწორების სისწორე.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 930

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღებისა და დამზადების შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, ზეთოვანი კულტურების მთესავი რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და აგრეთვე საქართველოს სსრ მიწსახკომს:

ა) შეამოწმონ ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და ყოველ კოლმეურნეობაში სალეწი მანქანების, მოსავლის ასაღები ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებათა რემონტის მომდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები, რათა მოიყვანონ ისინი სრულ მზადყოფნაში ათი დღით ადრე ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღების დაწყებამდე.

ამავე ვადისათვის დაამთავრონ მუშაობა კომბაინების მოსაწყობად მზისუმზირას მოსავლის აღებისათვის;

ბ) დააწესონ ყოველი კოლმეურნეობისათვის ხუთდღიანი დავალებანი ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღებისა და გალეწვისათვის;

გ) ორი კვირის განმავლობაში შეადგინონ ყოველი კოლმეურნეობისა და მტს-ისათვის მზისუმზირასა და სოიას მოსავლის აღების, გალეწვისა და დამამზადებელ პუნქტებსა და საკოლმეურნეო ბეღლებში გადაზიდვის გეგმა და გაითვალისწინონ ამასთანავე, რომ მოსავლის აღება საჭიროა დამთავრდეს შემჭიდროებულ ვადებში.

გეგმებში გაითვალისწინონ აგრეთვე მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების გადატანა ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში საკოლმეურნეობათაშორისო ურთიერთდახმარების წესით;

დ) შეადგინონ სალეწი მანქანებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების მოძრაობის მარშრუტი, დაიყვანონ ეს გრაფიკი კალკეულ კოლმეურნეობებამდე და უზრუნველჰყონ მისი შესრულება;

ე) ხუთი დღით ადრე მოსავლის აღების დაწყებამდე დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობაში ზეთოვანი კულტურების მოსავლის შესანახად განკუთვნილი სასაწყობო სადგომებისა და ბეღლების რემონტი, გაწმენდა და დეზინსექცია;

ვ) მოაწყონ ზეთოვანი კულტურების მოსავლის გულმოდგინე აღრიცხვა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამასთანავე დანაკარგების თავიდან აცილებას მოსავლის აღების, გალეწვისა და ტრანსპორტირების დროს.

2. ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღების ხარისხობრივად და თავის დროზე ჩატარების მიზნით, დაევალოს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, რაიმიწგანებსა და ზეთოვანი კულტურების ნათესების მქონე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

მზისუმზირის დარგში:

ა) მზისუმზირის მოსავლის აღება აწარმოონ თესლის სრული სამეურნეო სიმწიფის სტადიაში თავის ქვედა ნაწილში ღეროს გაწაბლისფერებისა და შეხმობის დროს;

ბ) დანაკარგებისა და გადამწიფების თავიდან აცილებისათვის მოსავლის აღება აწარმოონ შერჩევით, თავის დამწიფების დაუღლონდელად მთელს მასივზე;

გ) აღებული ნაკვეთები მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებმა მიიღონ ყოველდღიურად, ხოლო ბრიგადირებისაგან — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ხუთ დღეში ერთხელ. კომბაინებით მოსავლის აღების დროს ნაკვეთები მიიღონ პირადად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და მტს-ების დირექტორებმა.

მინდორი აღებულად ჩაითვალოს მხოლოდ მიღებისა და მიღების სათანადო აქტის შედგენის შემდეგ;

დ) გალეწვის შემდეგ მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში თესლის გაწმენდა და დახარისხება გამნიავებლებსა და დამხარისხებლებზე განიავების საშუალებით;

ე) უზრუნველჰყონ მოსავლის გულმოდგინედ დაცვა როგორც მინდორსა და კალოებზე, ისე დამამზადებელ პუნქტებსა და საკოლმეურნეო საწყობებში გადაზიდვის დროს და გამოჰყონ ამისათვის საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები;

ვ) კატეგორიულად აუკრძალონ კოლმეურნეობებს სათესლე ნაკვეთების მოსავლის ხარჯვა სხვა მიზნებისათვის, გარდა სათესლე მიზნებისა. სათესლე ნაკვეთების მოსავლის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში დამნაშავე პირნი მისცენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

ა) მოსავლის აღების დროს მოსავლის დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, სოიას ბუჩქები მოჭრან მხოლოდდამხოლოდ ნამგლებით და აკრძალონ მათი მოჭრა თოხებითა და სხვა ინვენტარით;

ბ) სოიას აღებული ბუჩქები დასტოვონ გასაშრობად მინდვრად 3-4 დღის განმავლობაში მოსავლის აღების შემდეგ; არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში და აგრეთვე დაჭაობებულ ნაკვეთებზე აღებული სოია დაუყოვნებლივ გამოზიდონ მინდვრებიდან სპეციალურად მოწყობილ კალოებზე გასაშრობად.

გამშრალი ბუჩქები დააწყონ ძნებად, დააშორონ მიწას ნახევარი მეტრით მაინც და ძნის შუაში დასტოვონ სავენტილაციო ხარვეზი;

გ) დადგენილ იქნას, რომ აღებულ ნაკვეთებს იღებენ ბრიგადირები ყოველდღიურად, ხოლო ბრიგადირისაგან — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხუთ დღეში ერთხელ;

დ) სოიას გალეწვა სალეწ მანქანებით აწარმოონ სახურავქვეშ, რისთვისაც გამოიყენონ ფარდულები, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობს, მოაწყონ უმარტივესი ფარდულები ადგილობრივი მასალისაგან;

ე) სოიას თესლის გახმობა და შენახვა აწარმოონ დახურულ სადგომებში და აკრძალონ მათი შენახვა ღია კალოებზე;

ვ) აკრძალონ სათესლე ნაკვეთების მოსავლის გამოყენება სათესლე ფონდების სრულად გამოყოფამდე სხვა რაიმე მიზნებისათვის, გარდა სათესლე მიზნისა.

ზეთოვანი კულტურების თესლის გამოყოფის დარგში:

3. დაევალოს ზეთოვანი კულტურების მთესავი რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს:

ა) მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დააწესონ ყოველი კოლმეურნეობისათვის ცალცალკე მზისუმზირასა და სოიას თესლის გამოყოფის გეგმა და გაითვალისწინონ ამავე დროს, რომ საჭიროა 1945 წლის თესვის გეგმის სრული უზრუნველყოფა საკუთარი სათესლე მასალით;

ბ) სათესლე მასალა გამოჰყონ მზისუმზირასა და სოიას სათესლე ნაკვეთების მოსავლიდან და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ იქნება უზრუნველყოფილი მზისუმზირათი და სოიათი თესლის სრული მოთხოვნილება, თესლის გამოყოფა აწარმოონ სამეურნეო ნათესების ხარჯზე;

გ) განემარტოს ზეთოვანი კულტურების ნათესების მჭონე კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ მზისუმზირას სათესლე ნაკვეთების ოდენობა კოლმეურნეობებში არ უნდა აღემატებოდეს ამ კულტურის ფაქტიური ნათესი ფართობის 5% და სოიასი — 10%.

4. დაევალოს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, ზეთოვანი კულტურების დამზადების დამტკიცებული გეგმის მიხედვით, დააწესონ ყოველი კოლმეურნეობისათვის ცალცალკე ხუთდღიური დავალებანი სახელმწიფოსათვის მზისუმზირასა და სოიას ჩაბარების დარგში და თვალყური ადევნონ მათს უცილობელ შესრულებას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომსა და მტს-ების დირექტორებს უზრუნველჰყონ მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშების ჩაბარება კოლმეურნეობათათვის ხუთდღიანი ვადის არაუგვიანეს მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის ცნობა მოსავლიანობის თანრიგებზე კოლმეურნეობათა მიკუთვნების შესახებ, ხოლო მოსავლის კომბაინით აღების, თიბვის, გალეწვისა და მარცვალგაწმენდისათვის — არაუგვიანეს 10 დღისა მტს-ების მიერ ამ სამუშაოთა შესრულების დღიდან.

6. სოიას მიღება დაეკისროს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, ხოლო იმ რაიონებში, სადაც „ზაგოტზერნოს“ პუნქტები არ მოეპოვება, — ცეკავშირის სისტემას „ზაგოტზერნოსთან“ ხელშეკრულებათა დადების საფუძველზე.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 931

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ლელვისა და ბროწეულის დამზადებისა და გადამუშავებისათვის მომზადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქკონსერვტრესტს ჯერ კიდევ არ დაუთავრებია ლელვისა და ბროწეულის დამზადებისა და გადამუშავებისათვის მომზადება. დამამზადებელი პუნქტი გურჯაანში ჯერ კიდევ არ არის აგებული. ყვარელში დაწყებული დამამზადებელი პუნქტის მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი ადგილობრივ საჭირო მასალებით. თელავსა და ზოგიერთ რაიონში იჯარით აღებული სადგომები შეკეთებას მოითხოვენ. სახმობები არც ერთ პუნქტში არ არის სავსებით მზად. დამამზადებელი პუნქტები არაა უზრუნველყოფილი სასწორებით, ყუთებით, სახმობთათვის საჭირო შეშით, მხიური ხმობისათვის საჭირო ბადეებითა და სხვ. ლელვისა და მასალების გადასაზიდად გამოყოფილი ავტოტრანსპორტი საკმარისი არ არის.

ლელვის კონტრაქტაცია თელავის რაიონში ჯერაც არ დამთავრებულა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს საქკონსერვტრესტს:

ა) ააგოს გურჯაანსა და ყვარელში სასაწყობო სადგომები ლელვის მისაღებად, ხოლო დანარჩენ რაიონებში შეაკეთოს და ჯეროვან მდგომარეობაში მოიყვანოს იჯარით აღებული სადგომები;

ბ) ლელვის სახმობები დამამზადებელ პუნქტებთან ააგოს გურჯაანში—„ესტონკის“ ტიპის ორი სახმობი და „ბენო-შილდის“ ტიპის ერთი საორთქლე სახმობი, წნორში—„ესტონკის“ ტიპის ორი სახმობი, თელავსა, ყვარელსა და ლაგოდეხში—„გაზენჰეიმის“ ტიპის

ორ-ორი სახმობი, სამტრედიასა და გულრიპშში—„ესტონკის“ ტიპის თითო სახმობი. დანარჩენ რაიონებში დამზადებული ლეღვის გახმობა აწარმოოს ქუთაისის საკონსერვო ქარხნის, ბათუმის, რუსკომბინატის, ზუგდიდის საკონსერვო ქარხნისა და საქკონსერვტრესტის აფხაზეთის დამამზადებელი კანტორის არსებულ სახმობებში.

2. დაევალოს საქკონსერვტრესტს (ამხ. წიკლაურს):

ა) მთელი მუშაობა სასაწყობო სადგომებისა და სახმობების მშენებლობისათვის, აგრეთვე იჯარით აღებული სადგომების რემონტისათვის დაამთავროს არაუგვიანეს 1944 წლის 25 აგვისტოსი;

ბ) მიმდინარე წლის 25 აგვისტომდე დაამთავროს ბადეების დამზადება მზიური ხმობისათვის და მათი დადგმა დამამზადებელ პუნქტებში;

გ) არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 აგვისტოსი დაამთავროს სულ ცოტა 4 ათასი ცალი სამუშაო ყუთის შეკვრა და დამამზადებელ პუნქტებში დაგზავნა ლეღვის მიღებისა და გადაზიდვისათვის;

დ) უზრუნველჰყოს ლეღვის გახმობისათვის საჭირო რაოდენობის შეშის თავის დროზე მიზიდვა სახმობებთან;

ე) დაუყოვნებლივ უზრუნველჰყოს ლეღვისა და ბროწეულის მიმღები ყველა დამამზადებელი პუნქტი სასწორებით, სტანდარტებით, მისაღები ქვითრებითა და სხვ.;

ვ) გამოუყოს გურჯაანის საკონსერვო ქარხანას დამატებით სამი სატვირთო ავტომანქანა და უზრუნველჰყოს ლეღვის გადაზიდვაში ჩაბმული ავტოტრანსპორტის ნორმალური მუშაობა;

ზ) ჩაატაროს მიმდინარე წლის 25 აგვისტომდე ლეღვის დამამზადებელი და მიმღებ-სახმობი პუნქტების მუშაკთა გულმოდგინე ინსტრუქტაჟი;

თ) უზრუნველჰყოს ლეღვის დამზადებასა და გახმობაზე მომუშავე მუშათა ნორმალური კვება, ამასთან გამოჰყოს თავის რესურსებიდან კვების პროდუქტები;

ი) მიამაგროს ქარხნებსა და დამამზადებელ პუნქტებს ტრესტის პასუხისმგებელი მუშაკები ლეღვის დამზადებისა და გახმობის მთელი პერიოდისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს (ამხ. ბუაჩიძეს) დამატებით გამოუყოს საქკონსერვტრესტს გურჯაანში 1944 წლის 5 სექტემბრამდე 10 ათასი ცალი კრამიტი.

4. წინადადება მიეცეს სიღნაღის რაიაღმასკომს (ამხ. მათიაშვილს) გამოუყოს საქკონსერვტრესტს სახმობის მშენებლობისათვის წნორში 7 ათასი ცალი აგური.

5. წინადადება მიეცეს გურჯაანის რაიაღმასკომს (ამხ. გელდიაშვილს) სასწრაფოდ გამოუყოს გურჯაანის საკონსერვო ქარხანას სამშენებლო სამუშაოთა დასამთავრებლად 5 დურგალი, 5 კალატოზი და 15 მუშა 15 დღის ვადით.

6. წინადადება მიეცეს თელავისა და ყვარლის რაიაღმასკომებს (ამხ. უთიაშვილსა და ავაზაშვილს) გამოჰყონ ადგილობრივ ლეღვის გასახმობად ას-ასი კუბ. მეტრი შეშა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან.

7. წინადადება მიეცეს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს დახმარება აღმოუჩინონ საქკონსერვტრესტს ლეღვის მზიური გახმობისათვის ბამბუკის თამასების შეძენისა და გურჯაანში გადაგზავნის საქმეში.

8. ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. კიკნაძემ მისცეს მიმდინარე წლის აგვისტოში ერთი ვაგონი სადგურ ქსნიდან სადგურ გურჯაანში ცემენტის გადასაზიდად, ერთი ვაგონი სადგურ სურამიდან სადგურ გურჯაანში კირის გადასაზიდად და ორი ვაგონი სადგურ ბათუმიდან და ჩაქვიდან სადგურ გურჯაანში ბამბუკის თამასების გადასაზიდად.

9. ნება დაერთოს საქკონსერვტრესტს გახსნას დამზადების პერიოდისათვის 25 ქვეპუნქტი ლეღვის მისაღებად, აქედან გურჯაანის რაიონში—10, ლაგოდეხის რაიონში—4, თელავისა და ყვარლის რაიონებში—სამ-სამი და დასავლეთ საქართველოს რაიონებში 5 ქვეპუნქტი.

10. დაევალოს თელავის რაიაღმასკომსა და პარტიის რაიკომს (ამხ. უთიაშვილსა და სეხნიაშვილს) დაუყოვნებლივ დაამთავრონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება ლეღვის ჩაბარებაზე რაიონისათვის დაწესებული დამზადების გეგმის ფარგლებში.

11. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს უზრუნველჰყონ ლეღვისა და ბროწეულის დამზადების გეგმის უცილობელი შესრულება და აღმოუჩინონ საჭირო დახმარება საქკონსერვტრესტის ქარხნებს, დამამზადებელ კანტორებსა და დამამზადებელ პუნქტებს.

საქართველოს ასსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარქვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 932

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ზოგიერთი ევაკოჰოსპიტლის მსუბუქი მანქანების სხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

საწვავის ლიმიტის განსაზღვრისა და ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო, ჩამოერთვას ქვემოდასახელებულ ევაკოჰოსპიტლებს მსუბუქი ავტომანქანები და გადაეცეს ისინი შემდეგ ორგანიზაციებს:

1. ავტომანქანები ევაკოჰოსპიტლებისა 2460 (ფორდი—8), 2462 (მ—1) და 2461 (პიკაპი)—საქართველოს სსრ ჯანსახკომს.

2. მანქანა ე/გ 1458 (მ—1)—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

3. მანქანა ე/გ 1568 (მ—1)—საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომს.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაჟრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ქ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 933

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების, გადამუშავებისა და გამოზიდვისათვის მომზადების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 ივლისის № 894 დადგენილების შესაბამისად და 1944 წლის მოსავლის ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების, გადამუშავებისა და გამოზიდვისათვის თავის დროზე მომზადების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 ივლისის დადგენილებით გამოყოფილი ციტრუსოვანთა ტარა, საფუთავი და საათბუნებელი მასალები და საწვავი მიზიდონ III კვარტალში და IV კვარტალის ოქტომბრის განმავლობაში საფუთავ ქარხნებსა და დამამზადებელ პუნქტებში, № 1, 2 და 3 დანართების თანახმად;

ბ) დაამთავრონ დამამზადებელი პუნქტებისა და საფუთავი პავილიონების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი № 4 და 5 დანართებით გათვალისწინებულ ვადებში;

გ) უზრუნველჰყონ ხე-ტყის მასალების დახერხვა და როგორც სამუშაო ტარის, ისე გასაგზავნი სატარე კომპლექტების შეკვრა ყველა დამამზადებელ პუნქტსა და საკუთარ პავილიონში არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა.

2. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს წინასწარ აცნობოს საქკონსერვტრესტსა და ცეკავშირს ციტრუსოვანთა ტარით სავსე მარშრუტების მოსვლის შესახებ, რათა თავის დროზე მოემზადონ ისინი მიღებისა და გადმოტვირთვისათვის.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს

ციტრუსოვანთა ტარის გაძლიერებულ შემოზიდვასთან დაკავშირებით მოახდინონ მუშახელის მობილიზაცია ადგილობრივი მოსახლეობიდან და უზრუნველჰყონ ვაგონების თავის დროზე გადმოტვირთვა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას და „გლავსნაბლესის“ საქართველოს სამმართველოს—ამხ. კვიციარიძეს:

ა) III კვარტალის განმავლობაში დაამზადონ ლატნები 500 კუბ. მეტრის რაოდენობით (შეშის ანგარიშში) და გადაუგზავნონ საქკონსერვტრესტს—300 კუბ. მეტრი და ცეკავშირს—200 კუბ. მეტრი იმ ვაგონების მოსაწყობათ, რომლებითაც იგზავნება ციტრუსები ჩრდილოეთში;

ბ) დაამზადონ მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე ბათუმის საფირფიცრო ქარხანაში მაღალხარისხოვანი 4-მილიმეტრიანი ფირფიცარი ყალიბებისათვის და ჩააბარონ 350 ფურცელი საქკონსერვტრესტს და 150 ფურცელი—ცეკავშირს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს ჩაის ტრესტის დირექტორს ამხ. სარჯველაძეს გაანთავისუფლოს მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევამდე ჩაით დაკავებული საფუთავი პავილიონები ჩაქვში, მახინჯაურში, ახალშენში, მერიაში, ნატანებსა და სხვა ადგილებში.

6. დაევალოს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს დადგას მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე ლიმმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობის საფუთავ პავილიონში საყალიბო მანქანა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ საბჭოთა მეურნეობის მოსავლის ნაყოფთა გადამუშავება ადგილობრივ.

7. დადგენილ იქნას, რომ საქართველოს სსრ მიწსახკომის ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქეთერზეთის ტრესტის საბჭოთა მეურნეობები თავის ნაყოფებს აბარებენ დამამზადებელ ორგანიზაციებს საფუთავ ქარხნებსა და პავილიონებში; ამასთან საქკონსერვტრესტსა და ცეკავშირს ნაყოფს აბარებენ სამუშაო ტარით, გადაუმუშავებლად, ჯგუფების მიხედვით. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი თავის საბჭოთა მეურნეობების პროდუქციას აბარებს გადამუშავებული სახით.

წინადადება მიეცეს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველს ამხ. ჯიქიას დაუყოვნებლივ შეუდგეს საფუთავი პავილიონების წესრიგში მოყვანას, სამუშაო ტარის შეკეთებასა და გამბუკის ახალი სამუშაო ტარის დამზადებას.

8. დაევალოს მიწსახკომის ლიმმანტრესტის დირექტორს ამხ. ბერიძეს:

ა) 1 ოქტომბრამდე შეაკეთოს ყველა საფუთავი სადგომი და მექანიზმები საბჭოთა მეურნეობებში, მოაყვანოს ისინი სრულ მზადყოფნაში და გადასცეს საბჭოთა მეურნეობების ნაყოფთა გადასამუშავებლად სათანადო დამამზადებელ ორგანიზაციებს;

ბ) საბჭოთა მეურნეობების მუშახელის ციტრუსოვან ნაყოფთა

კრეფისაგან განთავისუფლების მიხედვით დახმარება აღმოუჩინოს საქკონსერვტრესტსა და ცეკავშირს მათთვის მუშათა გამოყოფით ციტრუსოვან ნაყოფთა გადამუშავებისათვის.

9. დაევალოს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს:

ა) მისცეს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებიდ ტრესტს საჭირო რაოდენობის გადასაგზავნი ტარა და მასალები საბჭოთა მეურნეობების მოსავლის ციტრუსოვან ნაყოფთა ლიკვიდურ მდგომარეობაში მოსაყვანად;

ბ) ციტრუსოვანთა შემოზიდულ ტარიდან 2.000 კუბ. მეტრი გადასცეს ცეკავშირს გარღვევის დასაფარავად გასაგზავნი ტარის ხაზით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს 1944 წლის IV კვარტალის გეგმაში და გამოუყოს ცეკავშირს საფუთავი პავილიონების რემონტისათვის:

კრამიტი (ოქტომბერში)	—5000 ცალი
ელვათურები	— 500 „
პარანიტი	— 20 კგ
ფურცლოვანი აზბესტი	— 10 „
ზონროვანი აზბესტი	— 5 „
საიზოლაციო ლენტი	— 2 „
83 %-იანი ბაბიტი	— 30 „

11. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას ცეკავშირის ქობულეთის წვენ-სიროფის წარმოების საკუთარი ჭის წყლით უზრუნველსაყოფად მისცეს ცეკავშირს ქლორატორი.

12. წინადადება მიეცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას დაუბრუნოს ლანჩხუთის რაიონულ საწარმოო-სამშენებლო კავშირს საფუთავ პუნქტში დასადგამად 22-ძალიანი ძრავი გენერატორით, რომელიც ამჟამად სოფ. ჩოჩხათის კოლმეურნეობაშია.

13. ეთხოვოს:

ა) სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ზოტოვს) დამატებით გამოუყოს საქკონსერვხილტრესტს და გადმოუგზავნოს სექტემბრის დამლევამდე: 10 ტონა მავთული, 50 ტონა სხვადასხვა ხარისხის თხელი ჭაღალდი, 60 ტონა სახვევი ქაღალდი და 80 ტონა თექა;

ბ) „ცენტროსოიუზს“ (ამხ. სიდოროვს) დამატებით გამოუყოს ცეკავშირს და გადმოუგზავნოს სექტემბრის დამლევამდე: 10 ტონა მავთული, 25 ტონა ლურსმანი, 50 ტონა სხვადასხვა ხარისხის თხელი ქაღალდი, 100 ტონა სახვევი ქაღალდი, 70 ტონა თექა და IV კვარტალში 30 ტონა ბენზინი.

14. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას უზრუნველჰყოს მიღებული დახერხილი ხე-ტყის მასალების გადამუშავება 5.000 კუბ. მეტრის რაოდენობით ოქტომბრის დამლევამდე ცეკავშირის კუთვნილ ხე-ტყის სახერხ ქარხნებში, აქედან: ბათუმში—600 კუბ. მეტრი, ქობულეთში—

600 კუბ. მეტრი, სამტრედიაში—1200 კუბ. მეტრი, ხოლო სულ 2400 კუბ. მეტრი; ქ. ბათუმში არსებული სხვა ორგანიზაციების კუთვნილ ხე-ტყის სახერხ ქარხნებში: № 2 შრომა-გასწორებით საწარმოო კოლონიაში—1500 კუბ. მეტრი, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ავეჯეულობის ფაბრიკაში—600 კუბ. მეტრი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამმუშავებელ ცენტრალურ ქარხანაში—500 კუბ. მეტრი და სულ კი 2600 კუბ. მეტრი.

დაევალოს ზემოაღნიშნულ საწარმოთა დირექტორებს დასდონ ხელშეკრულებები ცეკავშირთან დახერხილი მასალების გადამუშავებაზე და აგრეთვე საქკონსერვხილტრესტთან, რომელიც საჭიროებისამებრ ამუშავებს მასალებს.

15. ეთხოვოს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს გაანთავისუფლოს მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე სამხედრო ნაწილების მიერ დაკავებული საფუთავი პავილიონები, რომლებიც ქალ. ქობულეთის, სუფსისა და გუდაუთის სამომხმარებლო კოოპერაციას ეკუთვნის, ციტრუსოვანთა დამზადებისა და გადამუშავების ჩატარებისათვის.

16. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს:

ა) უზრუნველჰყოს მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში საჭირო რაოდენობის ვაგონების მიწოდება საქკონსერვტრესტისა და ცეკავშირისათვის ციტრუსოვან ნაყოფთათვის განკუთვნილი ტარისა და სატარე მასალების გადასაზიდად;

ბ) მიმდინარე წლის ოქტომბრის დამლევამდე შეაკეთოს ყველა არსებული პლატფორმა და ფარდული ციტრუსოვან ნაყოფთა გადამგზავნ ყველა სადგურში;

გ) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები და ღუმელებით უზრუნველჰყოს ლიმონითა და ფორთოხლით დატვირთული ის ვაგონები, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ იგზავნებიან.

17. აეკრძალოს ციტრუსოვან ნაყოფთა მკრეფ ყველა მეურნეობას და აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციებს ციტრუსოვან ნაყოფთა დაყრა რგოლებად და გროვებად როგორც პლანტაციებში, ისე საფუთავ პავილიონებსა და დამამზადებელ პუნქტებში.

18. დამამზადებელმა ორგანიზაციებმა — საქკონსერვხილტრესტმა (ამხ. წიკლაურმა) და ცეკავშირმა (ამხ. ნარსიამ):

ა) ციტრუსოვან ნაყოფთა გადაგზავნა აწარმოონ მხოლოდდამხოლოდ ტარით, ამასთან ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთ გაგზავნ ნაყოფთა შეფუთვა აწარმოონ დაწესებული ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) გადასცენ გადასამუშავებლად საქკონსერვტრესტის, ცეკავშირისა და სხვა ორგანიზაციების ქარხნებს მხოლოდდამხოლოდ არასტანდარტული, არატრანსპორტაბელური და წვრილი (310 და 216) ნაყოფები, რომლებიც უვარგისი არიან შორეულ მანძილზე გადაგზავნისათვის;

გ) საქკონსერვხილტრესტმა ციტრუსოვან ნაყოფთა მიზიდვა

ქარხნების სანედლეულო მოედნებზე აწარმოოს გრაფიკის მიხედვით და არ დაუშვას ნაყოფთა დაგროვება და გაფუჭება;

დ) ადრეული კრეფის ციტრუსოვანი ნაყოფები პირველ რიგში დატვირთონ გადასაზიდად იმ ანგარიშით, რომ შორეულ მანძილზე გადაგზავნა დამთავრდეს ძირითადად მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე.

19. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, საქართველოს სსრ მიწსახკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და დამამზადებელ ორგანიზაციებს:

ა) მანდარინის კრეფა ყველა მეურნეობაში აწარმოონ შერჩევით გრაფიკის მიხედვით, როდესაც ის მოსაკრეფი სიმწიფის გახდება, და არ დაუშვან მწიფე და უმწიფარ ნაყოფთა ერთიანი მოკრეფა;

ბ) ლიმონის კრეფა აწარმოონ მაშინ, როცა მას მწვანე ფერი მსუბუქად შეუყვითლდება და როდესაც იგი სათანადო ზომამდე გაიზრდება.

აღმოიფხვრას პრაქტიკა ლიმონის კრეფის გაჭიანურებისა მანდარინის კრეფის და გადამუშავების დამთავრებამდე.

დაევალოს საქკონსერვხილტრესტს (ამხ. წიკლაურს) და ცეკავშირს (ამხ. ნარსიას) ლიმონის გადამუშავება-გადაგზავნა აწარმოონ შეუფერხებლივ ლიმონის მიღების მიხედვით.

20. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტების მდივნებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს და უზრუნველჰყონ ამ დადგენილებით დასახული მიმდინარე წლის მოსავლის ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების, გადამუშავებისა და გადაგზავნისათვის მომზადების ყველა ღონისძიების უტყუარი განხორციელება.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.	მდივანი ქ. ჩარკვიანი.

1944 წლის 19 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 19|VIII № 933 დადგენილების დანართი № 1

გ ე გ მ ა

ციტრუსოვანთა სამუშაო და გადასაგზავნი (უნივერსალური) ტარის მიზიდვისა საფუთავ ქარხნებსა და დამამზადებელ პუნქტებში ტარის მარაგის აღრიცხვით ადგილებზე

(კომპლექტობით)

ორგანიზაციები, საფუთავი ქარხნები	სამუშაო ტარა	გადასაგზავნი (უნივერსალური) ტარა
საქკონსერვხილტრესტი		
1. ბათუმის საფუთავი ქარხანა . . .	55100	196800
2. ორთა ბათუმი „ . . .	19000	66600
3. ჩაქვის „ . . .	53200	188600
4. ქობულეთის „ . . .	52250	184500
5. დაგვის „ . . .	19000	82000
სულ აჭარის ასსრ-ში . .	198550	717500
6. სოხუმის საფუთავი ქარხანა	29450	106600
7. გაგრის „	19950	73800
8. „ილიჩი“ (საბჭოთა მეურნ.)	7600	32800
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	57000	213200
9. მახარაძის რაიონი	5700	20500
10. მერიის	12350	45100
11. ნატანების	29450	106600
სულ მახარაძის რაიონში .	47500	172200
12. ფოთის	45	200
13. ზუგდიდის	430	1850
14. ჩონატაურის	475	2050
ს უ ლ	950	4100
სულ საქკონსერვტრესტში . .	304000	1107000
ც ე კ ა ვ შ ი რ ი		
1. ბათუმის საფუთავი ქარხანა	23800	91300
2. მახინჯაურის	26600	106600

ორგანიზაციები, საფუთავი ქარხნები	სამუშაო ტარა	გადასაგზავნი (უნივერსალური) ტარა
3. ხუცუბნის	25650	102900
4. ქობულეთის	23750	95100
სულ აჭარის ასსრ-ში . .	98800	395900
5. გუდაუთის	2850	11400
6. ფსირცხის სამომ. საზ. კავშირი . . .	4465	17900
7. ფსირცხა—საბჭ. მეურნეობა	8550	34300
8. ოჩამჩირის ბაზა	285	1100
9. გალის	11400	45700
სულ აფხაზეთის ასსრ-ში .	27550	110400
10. ლანჩხუთის საფუთავი ქარხანა . . .	1425	5700
11. სუფსის „ „ . .	4750	19000
12. ჯუმათის „ „ . . .	475	2000
სულ ლანჩხუთის რაიონში	6650	26700
სულ ცეკავშირის ბაზით	133000	533000
სულ საქართველოს სსრ-ში	437000	1640000

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წ. 19/VIII № 933 დადგენილების დანართი № 2

გ ე გ მ ა

საფუთავი და სათბუნებელი მასალების შეზიდვისა ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების რაიონებში

(ტონობით)

დამამზადებელი ორგანიზაციები და დამამზადებელი კანტორები	საფუთავი მასალა			სათბუნებელი მასალა	
	ლურსმანი	მავთული სამუშაო ყუთისათვის	ვერძეს ქაღალდი	სახვევი ქაღალდი	თ ე ქ ა
საქკონსერვხილტრესტი					
1. აჭარის ასსრ	65,0	6,5	57,5	64,0	64,0
2. აფხაზეთის ასსრ	19,0	1,9	22,0	24,0	24,0
3. მახარაძის რაიონი	15,0	1,5	10,0	11,0	11,0
4. ჩოხატაურის „	0,4	0,04	0,2	0,4	0,4
5. ზუგდიდის „	0,4	0,02	0,2	0,4	0,4
6. ფოთის „	0,2	0,04	0,1	0,2	0,2
ს უ ლ	100,0	10,0	90,0	100,0	100,0
ც ე კ ა ვ შ ი რ ი					
7. აჭარის ასსრ	15,0	—	25,0	—	22,5
8. აფხაზეთის ასსრ	4,0	—	8,0	—	6,0
9. ლანჩხუთის რაიონი	1,0	—	2,0	—	1,5
ს უ ლ	20,0	—	35,0	—	30,0
სულ საქართველოს სსრ-ში	120,0	10,0	125,0	100,0	130,0

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი

საწვავის შეზიდვისა ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების რაიონებში 1944 წლის IV კვარტალში დამამზადებელ ორგანიზაციათა მიხედვით

(ტონობით)

დამამზადებელი ორგანიზაციები და რაიონები	ბენზინი	მოტორის ნავთობი	ნავთი	სატრაქტორო ზეთი
საქკონსერვხილტრესტი				
1. აჭარის ასსრ	80	40	12	4
2. აფხაზეთის ასსრ	40	15	6	2
3. მახარაძის რაიონი	30	15	7	2
ს უ ლ	150	70	25	8
ც ე კ ა ვ შ ი რ ი				
1. აჭარის ასსრ	38	22	7	1,5
2. აფხაზეთის ასსრ	10	6	2	0,3
3. ლანჩხუთის რაიონი	2	2	1	0,2
ს უ ლ	50	30	10	2
სულ საქართველოს სსრ-ში	200	100	35	10

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 19/VIII № 933 დადგენილების დანართი № 4

გ ე გ მ ა

საქკონსერვხილტრესტის ციტრუსოვანთა დამამზადებელი პუნქტებისა და საფუთავი პავილიონების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა 1944 წლის სეზონისათვის

დამამზადებელი კანტორებისა და საფუთავი ქარხნების დასახელება	რემონტის ობიექტები	სარემონტო სამუშაოთა ნუსხა	რემონტის დამთავრების ვადა
აჭარის დამამზადებელი კანტორა			
ბათუმის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	სახურავის რემონტი და შეღებვა, შეთეთრება, სხვენის სატარე საწყობის მოწყობა, გზის ძოასფალტება 300 კვ. მეტრის მოცულობით	1|X
გონიოს დამამზადებელი პუნქტი	დამამზადებელი პუნქტი	სახურავის გადახურვა ყავრით 60%, თიხატკეპნილი იატაკის მოწყობა. სატარე ფარდულის მიშენება 20×10 კვ. მ. ერთი საყალიბო მანქანის დადგმა, გენერატორისა და ელმოტორის დადგმა, ელქსელის გაყვანა	15|X
ორთა-ბათუმის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	სახურავის რემონტი, შეღებვა, 2 საყალიბო მანქანის რემონტი . .	15|IX
	საერთო საცხოვრებელი	სახურავის რემონტი, ეტერნიტის გამოცვლა 30%, შეთეთრება, შეღებვა	15|IX
ჩაქვის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	მიმღები და გადმოსატვირთი საამქროების მიმდინარე რემონტი, კარების გამოცვლა, მინების ჩასმა, შელესვა, შეთეთრება, სახურა-	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამამზადებელი კანტორებისა და საფუთავი ქარხნების დასახელება	რემონტის ობიექტები	სარემონტო სამუშაოთა ნუსხა	რემონტის დამთავრების ვადა
		ვის შეღებვა. საკიდი ტრანსპორტერის კაპიტალური რემონტი. საწვავ მასალათა საწყობის აგება	15|IX
ხ ა ლ ა	დამამზადებელი პუნქტი	ყავრის სახურავის რემონტი, იატაკის რემონტი. სატარე ფარდულისა და 3-ოთახიანი ხის საერთო საცხოვრებლის მიშენება .	15|IX
	საცხოვრებელი სახლები	ეტერნიტის სახურავების რემონტი, შეთეთრება, შენობათა შიდა-შეღებვა	15|IX
ჭობულეთის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	სახურავის შეღებვა, შელესვა, შეთეთრება, მინების ჩასმა. ტრანსპორტერის რემონტი, საწვავი მასალის საწყობის აგება, ძველი პავილიონის რემონტი, ყავრის გამოცვლა, შეთეთრება, მინების ჩასმა	15|IX
	საერთო საცხოვრებელი	ყავრის სახურავის რემონტი, შიდაშეთეთრება	1|IX
	დამამზადებელი პუნქტები	ყავრის სახურავებისა და ხის იატაკების რემონტი	1|IX
დაგვის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	სახურავის რემონტი და შეღებვა, 3-ოთახიანი კანტორის აგება .	15|IX
	საერთო საცხოვრებელი	სახურავის რემონტი და შეღებვა, შეთეთრება	1|IX
აფხაზეთის დამამზადებელი კანტორა			
სოხუმის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	ყავრის სახურავის რემონტი. საყალიბო მანქანების მიმდინარე რემონტი	15|IX
გაგრის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხნის იატაკის გუდრონირება, რკინის სახურავის მიმდინარე რემონტი, საყალიბო მანქანების რემონტი	15|IX
მახარაძის დამამზადებელი კანტორა			
ნატახების საფუთავი ქარხ.	საფუთავი ქარხანა	საყალიბო მანქანის, ელექტრომოტორის, კონვეიერის, ცემენტის იატაკისა და რკინის სახურავის მიმდინარე რემონტი, შეღებვა, შეთეთრება	1|X

დამამზადებელი კანტორებისა და საფუთავი ქარხნების დასახელება	რემონტის ობიექტები	სარემონტო სამუშაოთა ნუსხა	რემონტის დაწყების ვადა
მერიის საფუთავი ქარხანა	საერთო საცხოვრებელი	რკინის სახურავის რემონტი, ოთახების შელესვა, შეთეთრება . . .	1|X
	საფუთავი ქარხანა	2 საყალიბო მანქანის რემონტი და მოტორის გამოცვლა, რკინის სახურავის რემონტი და შელებვა, საფუთავი ქარხნის იატაკის გუდრონირება	1|X
მახარაძის საფუთავი ქარხ.	კანტორა	რკინის სახურავისა და ხის იატაკის რემონტი	5|IX
	საფუთავი ქარხანა	საყალიბო მანქანის რემონტი, ყავრის სახურავის გადახურვა . . .	15|IX
	სატარე ფარდული	სატარე ფარდულის გადაკეთება 200 კვ. მეტრის მოცულობით . .	1|IX
	კანტორა	ყავრის სახურავის რემონტი	15|IX
	სასადილო	ყავრის სახურავის რემონტი	

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 19/VIII № 933 დადგენილების დანართი № 5

გ ე გ მ ა

ცეკავშირის ციტრუსოვანთა დამამზადებელი პუნქტებისა და საფუთავი პავილიონების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი 1944 წლის სეზონისათვის

დამამზადებელი კანტორებისა და საფუთავი ქარხნების დასახელება	რემონტის ობიექტები	სარემონტო სამუშაოთა ნუსხა	რემონტის დამთავრების გადა
აჭარის დამამზადებელი კანტორა			
ბათუმის საფუთავი ქარხანა	ბათუმის საფუთავი ქარხანა	საწარმოო კორპუსის რემონტი (სახურავი, კარები, შეთეთრება, ფანჯრები, შელესვა)	15/XIII
		იატაკისა და ეზოს მოასფალტება	1/IX
მახინჯაურის საფუთავი ქარხანა	საფუთავი ქარხანა	საწარმოო კორპუსის რემონტი (სახურავის გამოცვლა, იატაკის მოასფალტება, ფანჯრების, კარებისა და ტიხრის რემონტი, შელესვა, შეთეთრება)	1/IX
		25-ძალიანი დიზელის რემონტი და მონტაჟი	1/IX
		საყალიბო მანქანების რემონტი	15/X
ხუცუბნის საფუთავი ქარხანა	„	წყალსადენის მოწყობა	15/VIII
		ფარდულების მოწყობა საწარმოო კორპუსის გასაცემი და მიმღები საამქროების წინ	1/IX
		მზა პროდუქციის საამქროს ამოვსება და თიხატკეპნილი იატაკის მოწყობა	15/IX
		ქარხნის ტერიტორიის შემოღობვა	1/X
			15/IX

დამამზადებელი კანტორებისა და საფუთავი ჭარხნების დასახელება	რემონტის ობიექტები	სარემონტო სამუშაოთა ნუსხა	დამთავრების ვადა
აჭარის დამამზადებელი კანტორა			
სოფ. ქობულეთის საფუთავი ჭარხანა	საფუთავი ჭარხანა	სატარე საწყობის რემონტი (სახურავი, ფანჯრები, კარები)	1/IX
		ელექტროსადგურისა და 18 და 25-ძალიანი ძრავების შენობის რემონტი (ცემენტის იატაკის მოწყობა, კედლების შელესვა, ფანჯრებისა და კარების რემონტი)	15/X
		საყალიბო მანქანების რემონტი	15/IX
		საცხოვრებელი ბარაკებისა და საერთო საცხოვრებლების რემონტი (სახურავი, კედლები, იატაკები, შელესვა და შეთეთრება) . . .	1/X
ჭალ. ქობულეთის ხილგადამმუშავებელი წარმოება	ხილგადამმუშავებელი წარმოება	საცხოვრებელი ბარაკების რემონტი (სახურავი, იატაკი)	1/X
		25-ძალიანი ძრავის რემონტი	15/X
		საყალიბო მანქანების რემონტი	15/X
		ნედლეულისა და მზა პროდუქციის საწყობის მშენებლობის დამთავრება	15/X
აფხაზეთის დამამზადებელი კანტორა			
ოჩამჩირის პუნქტი	დამამზადებელი პუნქტი	საწარმოო კორპუსის რემონტი (სახურავი)	15/VIII
გალის პუნქტი	"	საწარმოო კორპუსის რემონტი (სახურავი, იატაკი)	25/VIII
		ფარდულის მოწყობა საწარმოო კორპუსის შესაერთებლად სატარე საწყობთან	15/IX
		ეზოს კეთილმოწყობა (ხრეშის მოყრა, ეზოს შიდაგზების მოწყობა და სხვ.)	1/X
		საყალიბო მანქანის რემონტი	1/X

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამამზადებელი კანტორებისა და საფუთავი ჯარხნების დასაბელება	რემონტის ობიექტები	სარემონტო სამუშაოთა ნუსხა	რემონტის დამთავრების ვადა
ლანჩხუთის რაიონული სამომხმარებლო კავშირი			
ლანჩხუთის პუნქტი	დამამზადებელი პუნქტი	ჩოხატაურის 22-ძალიანი ძრავის დაშლა, რემონტი, მონტაჟი და ლანჩხუთის პუნქტში დადგმა	15/X
		საყალიბო მანქანის რემონტი	1/X
სუფსის პუნქტი	,,	სატარე საწყობების რემონტი (სახურავი, იატაკი)	15/IX
		საწარმოო კორპუსის რემონტი (სახურავი, იატაკი)	15/IX
		სატარე საწყობის რემონტი (სახურავი, იატაკი)	1/X
		საყალიბო მანქანის რემონტი	1/X

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 934

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

„ახალი — 1944-45 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლების მომზადების შესახებ" საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე

აღინიშნოს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მოშზადების საქმეში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების და სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეულია ძნიშვნელოვანი მუშაობა.

ზესტაფონის, აბაშის, ხაშურის, მცხეთის, ლანჩხუთის, გურჯაანის, მახარაძის და სხვ. რაიონები კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის. დამთავრებულია სასკოლო შენობათა და ინვენტარის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. შესრულებულია ნახმარ სახელმძღვანელოთა შესყიდვის გეგმა.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში — ბოლნისის, ყაზბეგის, ყარაიის, ხობის, სამტრედიის, თბილისის, გუდაუთის, სოხუმის რაიონებში, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო შენობათა და ინვენტარის რემონტი. ყაზბეგის რაიონში 15 სასკოლო შენობიდან რემონტი არც ერთში არ არის დამთავრებული. თბილისის რაიონში 42 სკოლიდან რემონტი დამთავრებულია მხოლოდ 8 სკოლაში, ყარაიის რაიონში 15 სკოლიდან — მხოლოდ 5 სკოლაში.

არადამაკმაყოფილებლად არის ჩატარებული სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ყვარლის, სტალინირისა და ქარელის რაიონებში.

ნახმარ სახელმძღვანელოთა შესყიდვის გეგმა შესრულებული არ არის წალენჯიხის, თეთრიწყაროს და ახალციხის რაიონებში. 1944-45 სასწავლო წლის ზამთრის პერიოდისათვის საბობით სკოლების უზრუნველსაყოფად ზომები არ არის მიღებული ბორჩალოს, ყარაიის, ლასპისა და ცხაკაიას რაიონებში.

ტრესტ „საქმომარაგებას". საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ქუ-

თაისის საქალაქო საბჭოს, სარეწაო კავშირს, სახელგამს, საქტყემრეწკავშირს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასკოლო-საწერი ნივთების წარმოებისა და სასკოლო შენობათა და ინვენტარის სარემონტოდ მასალების დამზადების შესახებ. მაგალითად, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქმინწყალი და ქუთაისის საქალაქო საბჭო ჯერ კიდევ არ შესდგომიან სამელნეების გამოშვებას. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს II კვარტალში უნდა გაეცა 500 ათასი აგური, გამოჰყო კი მხოლოდ 195 ათასი აგური, საქტყემრეწკავშირმა II და III კვარტალებში 375 ათასი კალმისტარის ნაცვლად დაამზადა 190.000 კალმისტარი, 300.000 სახაზავის ნაცვლად — 24.000.

ჩეგმით გათვალისწინებული 12 ტონა ოლიფას ნაცვლად, „საქმომარაგებამ“ 15 აგვისტოსათვის რაიონებს მისცა მხოლოდ 7 ტონა. „ბუმსბიტს“ II და III კვარტალებში უნდა შემოეტანა 137 ტონა სარეეულო ქაღალდი, 15 აგვისტოსათვის შემოტანილია მხოლოდ 58 ტონა. სახელგამსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასკოლო-საწერი ნივთების ფაბრიკას უნდა გამოეშვათ 4,5 მილიონი რვეული, 15 აგვისტოსათვის გამოშვებულია მხოლოდ 1.340 ათასი რვეული. სახელგამმა, 120 ათასი ლიტრი მელნის ნაცვლად, გამოუშვა 5.000 ლიტრი, სარეწაო კავშირმა, 50.000 ლიტრის ნაცვლად, გამოუშვა 17.000 ლიტრი მელანი.

ყველა სკოლა როდია დაკომპლექტებული პედაგოგიური კადრებით. ქართულ სკოლებში გვაკლია 235 პედაგოგი, რუსულ სკოლებში — 51, აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში — 120 პედაგოგი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს:

ა) ერთი კვირის ვადაში შეამოწმონ თუ რამდენად არის თვითეული სკოლა მომზადებული ახალი სასწავლო წლისათვის, და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ აუცილებლად დამთავრდეს სასკოლო შენობათა და სასკოლო ინვენტარის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;

ბ) დაუყოვნებლივ მოაწყონ შეშის დამზადება და მიზიდვა და 1944 წლის 1 დეკემბერზე არაუგვიანეს მთლიანად უზრუნველჰყონ სკოლები სათბობით იმ ვადებში და იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 1 სექტემბრის დადგენილებით;

გ) მიიღონ ზომები არასპეციალობის მიხედვით მომუშავე პედაგოგთა გამოვლინებისათვის თავიანთი რაიონის სკოლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;

დ) მუდმივი კონტროლი გაუწიონ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების დირექტორების მუშაობას საყოველთაო სამხედრო სწავლების კანონის განხორციელებაში, ამასთან სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ მათ სასწავლებელთა მიერ სასკოლო ასაკის ბავშვთა მთლიანად მოცვის საქმეში.

2. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ბუაჩიძემ, ტრესტ „საქმომარაგების“ მმართველმა ამხ. კვანტალიანმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. კეცხოველმა, სარეწაო კავშირმა — ამხ. აბაიშვილმა, საქტყემრეწველკავშირმა — ამხ. ჯაბაშვილმა „გლავბუმსბიტის“ საქართველოს კანტორამ — ამხ. ჩხარტიშვილმა, ჭუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა — ამხ. ლომიძემ, სახელგამმა — ამხ. ნ. კიკნაძემ სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველჰყონ მათთვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 მაისის დადგენილებით მიცემულ დავალებათა შესრულება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს — ამხ. ვ. კუპრაძეს:

ა) ახალი სასწავლო წლისათვის მთლიანად დააკომპლექტოს სკოლები პედაგოგიური კადრებით;

ბ) მიავლინოს განსახკომის აპარატის მუშაკები განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებაში სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად.

4. ცეკავშირმა — ამხ. ნარსიამ და სახელგამმა — ამხ. ნ. კიკნაძემ უზრუნველჰყონ სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების შეტანა რაიონებში საქართველოს სსრ განსახკომის განაწილების მიხედვით.

5. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს 1944 წლის 1 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის ანგარიში.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 935

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სსრ კავშირის შინსახკომის ა. კ. მეტალურგმშენისათვის დროებითს სარგებლობაში სამი ქვასახერხი ჩარხის გადაცემის შესახებ

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს) გადასცეს სსრკ შინსახკომის ა. კ. მეტალურგმშენის სამმართველოს დროებითს სარგებლობაში 3 ცალი გამოუყენებელი ქვასახერხი ჩარხი, რაც მოიპოვება საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში.

2. სსრ კავშირის შინსახკომის ა. კ. მეტალურგმშენის სამმართველოს უფროსმა (ამხ. ვოლინსკიმ):

ა) მოახდინოს გადასაცემი ჩარხების დემონტირება სარემონტო მექანიკურ ქარხანაში და გაიტანოს ისინი შენობის დაუზიანებლად;

ბ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ქვასახერხი ჩარხების დაბრუნებამდე დაამონტაჟოს ისინი სადგომში საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მითითებით;

ჩარხების მიღება-ჩაბარება გაფორმდეს სათანადო აქტების შედგენით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 936

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

კლუხორის რაიონის საკითხები

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ქემოკლიძეს და საქართველოს კ. პ. (ბ) კლუხორის რაიკომის მდივანს ამხ. იმნაძეს:

ა) ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები იმ ანგარიშით, რომ 1945 წლის გაზაფხულზე განახორციელონ ქ. კლუხორში საბჭოს სახლის მოედნის, ორჯონიკიძის სახელობის პროსპექტისა და საბჭოთა ქუჩის გამწვანება, მოკირწყვლა და მოასფალტება;

ბ) 3 თვის ვადაში დაამთავრონ კლუხორში არსებული საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობის სამუშაოები;

გ) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს კლუხორის ჰიდროტექნიკური ნაგებობის, ელექტროსადგურის შენობისა და ენერგომოწყობილობის დეფექტური აქტი და მათი აღდგენის ხარჯთაღრიცხვა;

დ) მოაწყონ ახლადშეკეთებული შენობა 50-საწოლიან სასტუმროდ და დაიწყონ მისი ექსპლოატაცია 1944 წლის სექტემბერში;

ე) ორი კვირის ვადაში გამოჰყონ ქ. კლუხორში საქართველოს სსრ განსახკომისათვის სათანადო სადგომები 1.500 ბავშვისათვის საბავშვო სახლების მოსაწყობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ხელიძეს:

ა) ა. წ. აგვისტოს დამლევამდე გახსნას სოფელ მადნისხევში 10-საწოლიანი საავადმყოფო და დააკომპლექტოს იგი მომსახურე პერსონალით;

ბ) 1944 წლის დამლევამდე გაგზავნოს კლუხორის რაიონში პოლიკლინიკის დირექტორი და სხვადასხვა სპეციალობის 6 ექიმი;

გ) გამოჰყოს საჭირო სახსრები თებერდის და მადნისხევის საექიმო უბნებისათვის ცხენის ტრანსპორტის შესაძენად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს — ამხ. კუპრაძეს:

ა) 1944-45 სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით გახსნას კლუხორის რაიონში 6 სკოლა, აქედან: ქ. კლუხორში—ერთი ქართული საშუალო სკოლა, სოფ. თებერდაში და სოფ. მზიაში—თითო არაქართული საშუალო სკოლა, სოფ. ბაღნისხევში—ორი დაწყებითი ქართული სკოლა და სოფ. ზედვაკეში—ერთი ქართული დაწყებითი სკოლა, დაკომპლექტოს ისინი პედაგოგიური პერსონალით და უზრუნველჰყოს სასწავლო სახელმძღვანელოებითა და მოწყობილობით;

ბ) ა. წ. 15 ოქტომბრამდე გადაიყვანოს კოჯრის საბავშვო სახლებიდან ქალაქ კლუხორში 1.000 ბავშვი მთელი ინვენტარითა და ლოგინის მოწყობილობით და ამ მიზნით მოამზადონ კლუხორის რაიონული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სადგომები;

გ) ა. წ. 1 სექტემბრამდე გახსნას სოფ. მადნისხევში ერთი ქორ-სამკითხველო და დაკომპლექტოს იგი სათანადო ლიტერატურით.

5. დაევალოთ კლუხორის რაიონის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ქემოკლიძეს და რაიკომის პირველ მდივანს ამხ. იმნაძეს, საქართველოს სსრ განსახკომთან ერთად, შეაკეთონ, მოაწყონ და ყოველმხრივ მოამზადონ ქ. კლუხორში საბავშვო სახლებისათვის გამოყოფილი სადგომები იმ ანგარიშით, რომ ა-წ. 15 ოქტომბრისათვის უზრუნველჰყონ კოჯრის საბავშვო სახლებიდან გასაგზავნი 1.000 აღსაზრდელი ბავშვის მიღება, მოთავსება და ნორმალური შენახვა.

6. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს არ შეუსრულებია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 6 მარტის № 187 დადგენილების მე-6 პუნქტი.

დაევალოს ამხ. ეგაძეს:

ა) ერთი კვირის ვადაში გამოჰყოს კლუხორის რაიონისათვის ბიუსტები ლენინისა და სტალინისა, აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთა პორტრეტები;

ბ) ა. წ. IV კვარტალის დამლევამდე დადგას ქალაქ კლუხორში ამხანაგ სტალინის სკულპტურა და ლენინის ძეგლი;

გ) ორი თვის ვადაში შეადგინოს და დაამტკიცოს ქალაქ კლუხორში შენებადი კინოს სადგომის დრამატიული თეატრის შენობად გამოყენების პროექტი, ამავე სადგომში კინოსურათების დემონსტრაციის გათვალისწინებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს ამხ. გოგუას 1944 წლის დამლევამდე შეაკეთოს და გადასცეს კლუხორის რაიონს ერთი კინომოძრავი აპარატი.

8. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. მონიავას:

ა) 1944 წლის დამლევამდე დადგას დამატებით 20 სატელეფონო აპარატი და მთლიანად აითვისოს ქ. კლუხორში არსებული 100 ნომრიანი სატელეფონო სადგური;

ბ) 1944 წლის დამლევამდე მისცეს კლუხორის რაიონს 30 რეპროდუქტორი რადიო-სატრანსლაციო ქსელის გასაფართოებლად.

9. დაევალოთ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამხ. მონიავას და საქ. სსრ შინსახკომის ავტომატური ქსელის უფროსს ამხ. ოდიშარიას ორი კვირის ვადაში დაამუშაონ და სახკომსაბჭოს და ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინონ წინადადებანი სოხუმიდან ქ. კლუხორამდე უღელტეხილით მუდმივი კავშირგაბმულობის ხაზის გაყვანის შესახებ.

10. გადაეცეს ტრესტ „საქსოფლელექტროს“ მადნისხევის (ყოფ. უჩკულანის) ჰიდროელექტროსადგური 250 კილოვატ სიმძლავრისა მთელი მაღალვოლტიანი და დაბალვოლტიანი ქსელით, რაც წინათ „სევკავსელელექტროს“ ეკუთვნოდა.

11. დაევალოს ტრესტ „საქსოფლელექტროს“ მმართველს ამხ. ტევოსიანს:

ა) ერთი თვის ვადაში მიიღოს თავის ბალანსზე მადნისხევის ჰიდროელექტროსადგური მაღალვოლტიანი და დაბალვოლტიანი ქსელითურთ, აგრეთვე მოქმედი და უმოქმედო მოწყობილობით, ბასალებითა და ინვენტარით;

ბ) ჩაატაროს საჭირო ღონისძიებანი ჰიდროსადგურებისა და ელექტროქსელების აღსადგენად და წესრიგში მოსაყვანად იმ ანგარიშით, რომ მათი ნორმალური ექსპლოატაცია დაიწყოს 1944 წლის 1 ნოემბრიდან.

12. დაევალოს საქვაჭრობას—ამხ. ხუნწარიას:

ა) შეიტანოს კლუხორის რაიონში ა. წ. 1 ოქტომბრამდე 1944 წლის III კვარტალის ფონდებიდან საცალო ფასებით 200 ათასი მანეთის საშრეწველო საქონელი, ატედან:

ბამბეული	25	ათასი მანეთისა
შალეული	40	„ „
აბრეშუმეული	2	„ „
ბამბის ძაფი	2	„ „
სამკერვალო ნაწარმი	30	„ „
ტრიკოტაჟი	20	„ „
მაღალ და დაბალყელიანი წინდები	20	„ „
ტყავის ფეხსაცმელი	3	„ „
სამეურნეო საპონი	20	„ „
თამბაქოს ნაწარმი	48	„ „
ასანთი	10	„ „

ბ) შეიტანოს კლუხორის რაიონში ლამპის შუშა—1.000 ცალი, ლამპის პატრუქი—300 მეტრი და 3 ტონა ბამბა.

13. წინადადება მიეცეს „გლავსოლის“ საქკანტორას — ამხ. ხუციშვილს გაუგზავნოს ა. წ. სექტემბერში კლუხორის რაიონს საქვაჭრობის მისამართით 1 ვაგონი მარილი.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალ-

ხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს გაუგზავნოს კლუხორის რაიონს 1944 წლის III და IV კვარტალებში თითო ვაგონი ღვინოარაყის ნაწარმი.

15. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს:

ა) ჯანსახკომთან, განსახკომთან, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან ერთად, უზრუნველჰყოს ბიუჯეტის შესრულების წესით 1944 წლის III და IV კვარტალებში იმ ღონისძიებათა დაფინანსება, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტებით;

ბ) საღგურ ჩერკესკიდან დასახლების ადგილებამდე კოლმეურნეთა გადაყვანის ხარჯები—76.639 მანეთი—გაუნაღდოს კლუხორის რაიონის ორგკომიტეტს სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდის ანგარიშზე.

16. წინადადება მიეცეთ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. რუხაძეს, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. როგაჭიძეს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბერიშვილს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას, „გლავნეფტესნაბის“ საქართველოს სამმართველოს უფროსს ამხ. ჯორჯიკიას, „გლავნეფტესბიტის“ ბათუმის სამმართველოს—ამხ. ნიკოგოსიანს, თბილისის კანტორების მმართველებს: „გლაველექტროსბიტისა“ — ამხ. ბირიუკოვს, „გლავრეზინოსბიტისა“—ამხ. შიხმანს, ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას და ტრესტ „საქმომარაგების“ მმართველს ამხ. კვანტალიანს მისცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კლუხორის რაიონის ორგკომიტეტს ქ. კლუხორის კომუნალურ საწარმოთა საჭიროებისათვის და ქ. კლუხორის კეთილმოსაწყობად მასალები, ინსტრუმენტები და ნაწარმი, დანართის თანახმად.

17. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას მიიღოს კლუხორის რაიონში დასახლებული გლეხი სვანებისაგან ზემო-სვანეთში დარჩენილი 1944 წლის მათი კუთვნილი მარცლეულით კულტურების მოსავალი, ხოლო დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამხ. კვირკველიამ აუნაზღაუროს მათ მარცლეულის საათანადო რაოდენობა ცეკავშირის მეშვეობით ცეკავშირის კუთვნილი ფონდების ანგარიშში.

18. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს:

ა) დაარქვას ყოფილ აულებსა და ხუტორებს:

1. აულ ვერხნაია ტებერდას — სოფ. თებერდა
2. „ ნიჟნაია ტებერდას — სოფ. მზისა
3. „ კამენომოსტს — სოფ. ახალშენი
4. „ უჩკულანს — მაღნისხევი
5. „ კარდიჟურტს — მთისძირი

6. „ ხურზუკს — ზედვაკე
7. ხუტორებს: ლასტოჩკას
მელნიჩნის
ბოინიას
} სოფ. ხიდისკარი

№ 1, 2, 3 თებერდას

ბ) შეჰქმნას სასოფლო საბჭოები:

1. კლუხორის რაიონის თებერდის სასოფლო საბჭო
2. „ „ მაისის „ „
3. „ „ ახალშენის „ „
4. „ „ „მადნისხევის „ „
5. კურორტი—თებერდის სადაბო საბჭო

19. ეთხოვოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატს—ამხ. სერგეიჩუკს გამოჰყოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში 32 ტონა 5 მმ ხაზოვანი მავთული, 0,5 ტონა სახვევი მავთული, 4 ათასი ცალი 18 მმ კაუჭი, ტფ—1 იზოლატორი 4.400 ცალი და 350 ათასი მანეთი ქ. სოხუმსა და კლუხორს შორის კლუხორის უღელტეხილზე სატელეფონო კავშირგაბმულობის ხაზის მშენებლობის საჭიროებისათვის.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 19 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წ. 19/VIII № 936 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

მასალებისა, ინსტრუმენტებისა და ნაწარმისა, რაც უნდა გამოყოფილ იქნას კლუხორის რაიონის კომუნალ საწარმოთა საჭიროებისა და ქ. კლუხორის კეთილმოწყობისათვის 1944 წლის აგვისტოში

მასალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	საიდან გამოიყო
ბიტუმი № 5	ტონა	30,0 *)	„გლავნეფტესნაბის“ ბათუმის სამმართველო
სპეცფეხსაცმელი . . .	წყვილი	20	საქ. სსრ კომუნ. მეურნ. სახ. კომისარიატი
დარეზინებული ღვედი . .	მეტრი	40	„ „
სატურბინე ზეთი	ტონა	0,2	„ „
საბანი	ცალი	50	საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი
ფეხსაფენი	მეტრი	100	საქ. სსრ საფეიქრო მრეწვ. სახ. კომისარიატი
გრაფინი	ცალი	100	საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი
ჭ ი ქ ა	„	200	„ „
სატრანსფორმატორო ზეთი	ტონა	0,5 **)	„გლავნეფტესნაბის“ საქ. სამმართველო
სამანქანო ზეთი	„	0,3 ***)	„ „
ბენზინი	„	0,1 ***)	„ „
ტაოტი	„	0,1***)	„ „
ელექტროლამპა 220 ვ . .	ცალი	300	„გლაველექტროს“ თბილკანტორა
რეზინის ჩუნი	წყვილი	100	„გლავრეზინოსბიტის“ თბილკანტორა
რეზინის ხელთათმანი . .	„	3	„ „
წ ე ბ ო	კგ	0,3	საქ. სსრ ხორცისა და რძის მრეწვ. სახ. კომისარიატი
ნიჩაბი	ცალი	150	ცეკავშირი
სპეცტანისამოსი	კომპ.	20	ტოესტი საქმომარაგება
ჯუბაჩა	ცალი	10	„ „
ბრეზენტის ლაბადა . . .	„	10	„ „

*) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს III კვარტალის რეზერვის ანგარიშში.

**) საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის III კვარტალის ფონდის ანგარიშში.

***) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. III კვარტალის ფონდების ანგარიშში.

მასალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	საიდან გამოიყო	
იზოლენტი	კგ	5	ტრესტი	საქმომარაგება
ელექტროსადენი 2,5-დე კვ.მ.	მეტრი	1500	"	"
მილსაკრელი . .	ცალი	2	"	"
ოლიფა	ტონა	0,4	"	"
თ ე თ რ ა	"	0,4	"	"
საღებავი	"	1,0	"	"
კოლოფონი	კგ	20	"	"
ფიტინგი, მუფთა, კუთხის კარადა, სამკეცა, ჯვარედი	ცალი	150	"	"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 939

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი დროშების ხარჯების დასაფარავი სახსრების გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ფინსახკომს მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას 15.180 მანეთი სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დამზადების ხარჯებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 940

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ახალხევის რაიონის დასახლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოთ დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. პაპაშვილს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ღუდუშაურს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალხევის რაიონის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ჯანიკაშვილს და საქართველოს კ. პ. (ბ) ახალხევის რაკომის პირველ მდივანს ამხ. ბაქრაძეს მოაწყონ დუშეთის რაიონის მთიანი ნაწილის მცირემიწიანი კოლმეურნეობებიდან ახალხევის რაიონში (სოფ. უშკალოიში და ნაწილობრივ სოფ. ახალხევში) იმ კოლმეურნეთა ასი მეურნეობის (330 სულამდე) გადასახლება, რომლებმაც გადასახლების სურვილი გამოსთქვეს.

გადასახლება ჩატარდეს ა/წ 10 სექტემბერს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს გამოჰყოს ავტომანქანების საჭირო რაოდენობა და უზრუნველჰყოს დუშეთის რაიონიდან ახალხევის რაიონში დასასახლებლად მიმავალ კოლმეურნეთა გადაყვანა მათი პირადი ქონებიანად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მისცეს დასასახლებლად მიმავალთ საგზაოდ 2 კილოგრამი გამომცხვარი პური სულზე.

4. დუშეთის რაიონიდან ახალხევის რაიონში დასასახლებლად მიმავალთა გადაყვანის სატრანსპორტო ხარჯები მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ბიუჯეტის ხარჯზე.

5. დაევალოთ საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანს ამხ. ღუდუშაურს და საქართველოს კ. პ. (ბ) ახალხევის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ბაქრაძეს პირადად გაყვენ დასასახლებლად მიმავალთ ახალი დასახლების ადგილამდე.

6. დაევალოთ ამხ. თარგამაძეს და ნარსიას, ამხ. ღუდუშაურთან და ბაქრაძესთან შეთანხმებით, გამოჰყონ საჭირო რაოდენობით ტანისამოსი და ფეხსაცმელი (ნაწილობრივ უფასოდ საჩუ-

ქრების ხარჯზე) ახალხევის რაიონში დასასახლებლად მიმავალ კოლმეურნე მამაკაცთა და ქალთათვის.

7. ნება დაერთოთ დუშეთის რაიონიდან ახალხევის რაიონში დასასახლებლად მიმავალ კოლმეურნეებს თან წაიღონ მთელი პირადად კუთვნილი ქონება, მათ შორის წაიყვანონ საქონელიც.

8. ახალხევის რაიონში ახლად მოსაწყობ კოლმეურნეობათა განმტკიცების მიზნით, დაევალოთ დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. პაპაშვილს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ღუდუშაურს გამოჰყონ დუშეთის რაიონის მთის კოლმეურნეობებიდან 50 ძროხა და გადასცენ ახალხევის რაიონის ახლად მოსაწყობ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმების დასაკომპლექტებლად.

9. წინასწარ გადაწყდეს საკითხი, რომ 1945 წელს გამოიყოს დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებიდან ახალხევის რაიონში ახლად მოსაწყობ კოლმეურნეობათათვის 2 ათასამდე სული ცხვარი მეცხვარეობის ფერმების მოსაწყობად.

10. დაევალოთ საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანს ამხ. ღუდუშაურს და საქართველოს კ. პ. (ბ) ახალხევის რაიკომის მდივანს ამხ. ბაქრაძეს მოაწყონ ა/წ სექტემბერში დუშეთის რაიონიდან ახალხევის რაიონში დასასახლებლად მიმავალ კოლმეურნეთა პირადად კუთვნილი პირუტყვის, აგრეთვე დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებიდან ახალხევის რაიონის კოლმეურნეობებისათვის გამოყოფილი ძროხების გადარეკა.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ახალხევის რაიონის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ჯანიკაშვილს და საქართველოს კ. პ. (ბ) ახალხევის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ბაქრაძეს:

ა) გადასცენ დასახლებულთა ახლად მოსაწყობ კოლმეურნეობებს ახალხევის რაიონის პირუტყვის რაოდენობიდან 228 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი (აქედან 140 სული საქ. სსრ შინსახკომის კუთვნილი პირუტყვიდან), 180 სული თხა (აქედან 40 სული საქართველოს სსრ შინსახკომის თხის სულადობიდან) და 100 ვირი;

ბ) მისცენ კოლმეურნის თვითეულ მეურნეობას ცალკეული საცხოვრებელი სახლი საჭირო სამეურნეო ნაგებობებიანად ახალი დასახლების ადგილებში და გამოუყონ მათ საკარმიდამო ნაკვეთები 0,25-დან 0,50-მდე ჰექტარის ოდენობით;

გ) ადგილზე დარჩენილ საოჯახო ინვენტარიდან მისცენ ახლად დასახლებულთ საოჯახო საგნების შესაძლო რაოდენობა;

დ) მოაწყონ ახლად დასახლებული კოლმეურნეებისაგან ორი კოლმეურნეობა და გამოუყონ ამ კოლმეურნეობებს სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწების სათანადო რაოდენობა;

ე) გასწიონ სათანადო მოსამზადებელი მუშაობა და უზრუნველჰყონ შემოდგომისა და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარება. კერძოდ, 1945 წლის გაზაფხულზე დარგან სხვადასხვა ხეხილი კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და საკოლმეურნეო მიწებზე;

ვ) არსებულ მარაგიდან გადასცენ ახლადმოწყობილ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საჭირო რაოდენობა.

12. დაწესდეს, რომ ახალხევის რაიონში ახლადდასახლებული კოლმეურნის თვითეულ მეურნეობას იმ შემთხვევაში, თუ ამ მეურნეობას არ ჰყავდა პირადად კუთვნილი პირუტყვი წინანდელ საცხოვრებელ ადგილას, კოლმეურნეობისაგან ეძლევა ახალი დასახლების ადგილას ერთი ძროხა და ერთი ვირი ან 1943-1944 წწ. მოგებული ერთი დეკეული და ერთი ვირი.

13. იმის გამო, რომ ახალხევის რაიონში დასასახლებელთა მეურნეობებს სრულიად არა აქვთ სასურსათო პური, დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალხევის რაიონის ორგკომიტეტს და საქართველოს კ. პ. (ბ) ახალხევის რაიკომს მისცენ ახალხევის რაიონში ახლად დასახლებულთა თვითეულ კოლმეურნეობას არსებულ მარაგიდან ნორმალურ ფასად 20-დან 50-მდე ფუთი სიმინდი (ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით), აგრეთვე ლობიო შესაძლო რაოდენობით.

14. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაარქვას ახალხევის რაიონის სოფელ უშკალოის სოფელი არგუნი და ნება დართოს მოწყობილ იქნას არგუნის სასოფლო საბჭო.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს გაგზავნოს ახალხევის რაიონში ერთი მიწათმომწყობი ამ დადგენილების თანახმად, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიწათსარგებლობის განსასაზღვრავად, აგრეთვე ერთი ვეტექიმი და ერთი ზოოტექნიკოსი რაიმიწგანში სამუშაოდ.

16. დაევალოთ:

ა) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ხელიძეს ერთი თვის ვადაში მოაწყოს სასოფლო საექიმო უბანი ახალხევის რაიონის სოფ. არგუნში და დააკომპლექტოს იგი სათანადო კადრებითა და მედიკამენტებით;

ბ) განსახკომს—ამხ. კუპრაძეს ა/წ 1 ოქტომბრამდე მოაწყოს ახალხევის რაიონის სოფელ არგუნში ერთი არასრული საშუალო ქართული სკოლა და უზრუნველჰყოს ეს სკოლა პედაგოგთა კადრებით, სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 943

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემის თეატრებისა და სასწავლებლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის სახსრების დამატებით გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დახარჯოს დამატებით 1944 წლის III კვარტალში 742 ათასი მანეთი შემდეგი თეატრებისა და სასწავლებლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის:

ოპერისა და ბალეტის თეატრისა	170	ათ. მანეთი
მუსიკალური კომედიის თეატრისა	70	,, ,,
მოზარდი მაყურებლის ქართული თეატრისა	32	,, ,,
ვ ლისციხის თეატრისა	50	,, ,,
თელავის თეატრისა	30	,, ,,
ცხაკაიას თეატრისა	30	,, ,,
ქუთაისის თეატრისა	80	,, ,,
ბათუმის თეატრისა	30	,, ,,
გორის თეატრისა	50	,, ,,
ჩოხატაურის თეატრისა	25	,, ,,
სტალინირის თეატრისა	30	,, ,,
წულუკიძის თეატრისა	50	,, ,,
სახელმწიფო კონსერვატორიისა	55	,, ,,
სამხატვრო აკადემიისა	40	,, ,,

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს ამ დადგენილების 1 პუნქტის თანახმად მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს III კვარტალში კაპი-

ტალური რემონტისათვის 742 ათასი მანეთი იმ აუთვისებელი სახსრების ხარჯზე, რაც გათვალისწინებული იყო 1944 წლის პირველი სამი კვარტალის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმით: სოხუმის თეატრის აღსადგენად — 400 ათასი მანეთი, ქ. თბილისში საბჭოთა ქუჩაზე სკოლის მშენებლობისათვის — 192 ათასი მანეთი და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დეკორაციათა საწყობის მშენებლობისათვის — 150 ათასი მანეთი.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ (ამხ. ეგაძემ) და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა (ამხ. კილაძემ) დაუშვეს საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევა, შეუდგნენ რა ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის გადაკეთებისა და კაპიტალური რემონტის დამატებითს სამუშაოებს მაშინ, როცა საჭირო სახსრები 1944 წლის ბიუჯეტით არ ყოფილა გათვალისწინებული.

დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ეგაძეს შემდეგში არ დაუშვას ამგვარი ფაქტების გამეორება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 24 აგვისტო.

დადგენილება № 944

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის მოსავლის საბოსტნე ჯიშების ლობიოს შესყიდვის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას 1944 წლის მოსავლის საბოსტნე ჯიშების ლობიოს შესყიდვის გეგმა 450 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს დამამზადებელ ორგანიზაციათა და დამზადების რაიონებს შორის, დანართის თანახმად.

2. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას და თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭყონიას დაუყოვნებლივ გამალონ მუშაობა სამეურნეო ხელშეკრულებათა დასადებად, შეუდგნენ დამზადებას და მიიღონ საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ დამზადებათა გეგმების სავსებით შესრულებას.

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თავმჯდომარეს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონწმუნებულებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს ლობიოს დამზადების გეგმათა სავსებით შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ.
23|VIII № 944 დადგენილების
დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი

1944 წლის მოსავლის ლობიოს დამზადებისა საქართველოს სსრ-ში

(ტონობით)

რაიონები	ლობიო		
	ცეკავშირი	თბილხილ-ბოსტანვაჭ-რობა	სულ
1. აჭარის ასსრ	5	—	5
2. აფხაზეთის ასსრ	10	—	10
3. ამბროლაურის რაიონი	50	—	50
4. აბაშის „	10	—	10
5. ვანის „	—	3	3
6. გორის „	25	—	25
7. დუშეთის „	10	—	10
8. ქარელის „	20	—	20
9. ყვარლის „	3	—	3
10. კასპის „	5	—	5
11. ლანჩხუთის „	10	—	10
12. ონის „	20	—	20
13. ორჯონიკიძის „	10	—	10
14. სამტრედიის „	10	—	10
15. საჩხერის „	15	—	15
16. სიღნაღის „	8	—	8
17. თიანეთის „	3	—	3
18. თეთრიწყაროს „	15	—	15
19. თელავის „	10	—	10
20. ხაშურის „	50	—	50
21. ცაგერის „	35	—	35
22. ჭიათურის „	35	—	35
23. სამხრეთ-ოსეთის აო	20	—	20
24. ხულტაფონის რაიონი	2	—	2
25. მახარაძის „	3	—	3
26. ქუთაისის „	5	—	5
27. წალენჯიხის „	3	—	3
28. ჩხარის „	3	—	3
29. ჩოხატაურის „	5	—	5
30. ახალციხის „	—	20	20
31. ადიგენის „	—	20	20
32. მცხეთის „	—	5	5
33. ყარაიის „	—	2	2
სულ	400	50	450

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 945

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

არამეთესლეობის კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობებში 1944 წლის მოსავლის ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების თესლის გამოყოფისა და სათესლეების გაშენების გეგმის შესახებ

მებოსტნეობის ადგილობრივი სათესლე ბაზის შემდგომი განვითარებისა და 1945 წელს ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების ნათესლის სათესლე მასალით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1944 წლის მოსავლის ძირითადი ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების თესლის გამოყოფისა და სათესლეების გაშენების შემდეგი დავალებანი:

ა) თესლის გამოყოფა არამეთესლეობის კოლმეურნეობებში— 46.247 კგ, საბჭოთა მეურნეობებში — 4.054 კგ და დამხმარე მეურნეობებში — 2.110 კგ;

ბ) სათესლეთა გაშენება არამეთესლეობის კოლმეურნეობებში — 177,15 ჰექტ., საბჭოთა მეურნეობებში — 9,46 ჰექტ. და დამხმარე მეურნეობებში — 9,31 ჰექტ.

2. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის ორწლიანი ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების თესლის გამოყოფისა და სათესლე ფესვების გაშენების გეგმის განაწილება არამეთესლეობის კოლმეურნეობებში ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა და რაიონებს შორის № 1 და 2 დანართების თანახმად, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური ორგანიზაციების ტრესტებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებს შორის — № 3 და 4 დანართების თანახმად.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) დაუყოვნებლივ გაანაწილონ და დაიყვანონ არამეთესლეო–

ბის კოლმეურნეობებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე და დამხმარე მეურნეობებამდე 1944 წლის მოსავლის ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების თესლის გამოყოფისა და სათესლეების გაშენების გეგმები;

ბ) უზრუნველჰყონ ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების მოსავლის აღების, გალეწვის, თესლის გახმობისა და გაწმენდის ჩატარება მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე და ამ კულტურების სათესლე ფესვების შესანახად გამოყოფა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა; ამ მიზნით ჩაატარონ გამოყოფილი სადგომების წინასწარი შემოწმება მათი გამოყენებისათვის ზამთრის პერიოდში სათესლეთა შესანახად;

გ) გამოჰყონ ბოსტნეული კულტურების მეთესლეობისათვის შესაფერი მიწის ნაკვეთები და უზრუნველჰყონ მზრალად ხვნა.

4. დადგენილ იქნას, რომ ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების სათესლე ფონდების გამოყოფა და სათესლეების გაშენება არამეთესლეობის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებში შეიძლება ჩატარდეს არა მარტო სათესლე ნაკვეთების სპეციალური გამოყოფით ამ მიზნებისათვის, არამედ სამეურნეო ნათესების მცენარეთა და ნაყოფთა საუკეთესო ეგზემპლარების თესლად და სათესლეებად შერჩევითა და დადგენითაც.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომსა და რაიაღმასკომებს აღმოუჩინონ არამეთესლეობის კოლმეურნეობებს საჭირო აგრონომიული დახმარება ბოსტნეული კულტურების სამეთესლეო სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის საქმეში და სისტემატურად შეამოწმონ ადგილობრივ სათესლე ფესვების საზამთრო შენახვის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის ძირითადი ბოსტნეული კულტურების თესლის გამოყოფისა საქართველოს სსრ არამეთესლეობის კოლმეურნეობებში

(კილოგრამობით)

რაიონები	კომბოსტო	კიტრი	პომიდორი	სტაფილო	სუფრის ჭარხალი	ხახვი	საკვები ჭარხალი	სახამთრო	ს ე ე ბ ი
აფხაზეთის ასსრ	200	300	150	200	350	400	—	300	1900
აჭარის ასსრ	40	120	30	20	80	100	—	80	470
აბაშის რაიონი	12	200	40	20	30	300	—	120	722
ცხაკაიას „	5	80	15	5	20	60	—	70	255
გეგეჭკორის „	2	50	10	5	15	60	—	—	142
ზუგდიდის „	3	30	10	5	15	50	—	—	113
მახარაძის „	3	20	15	—	—	50	—	—	88
ლანჩხუთის „	2	20	8	—	—	60	—	—	90
ჩოხატაურის „	2	10	5	—	—	20	—	—	37
ფოთის „	3	25	8	—	—	30	—	—	66
ქუთაისის „	100	400	300	150	300	400	—	120	1770
წყალტუბოს „	—	400	300	—	—	—	—	200	900
სამტრედიის „	150	250	300	75	250	750	—	80	1855
წულუკიძის „	50	60	70	20	20	200	—	80	500
ვანის „	4	60	20	10	60	2000	—	70	2224
მაიაკოვსკის „	8	20	10	—	—	100	—	—	138
ზესტაფონის „	3	15	10	—	—	50	—	30	108
ჩხარის „	—	40	8	—	—	200	—	50	298
ჭიათურის „	15	50	15	—	150	120	—	—	350
საჩხერის „	30	40	20	—	50	250	—	60	450
ორჯონიკიძის „	2	10	2	—	—	10	—	—	24
ტყიბულის „	8	10	12	—	25	50	—	—	105
ონის „	4	15	4	—	30	40	—	—	93
ამბროლაურის „	10	15	7	—	30	150	—	—	212
ცაგერის „	6	—	4	—	—	80	—	—	90
სამხრეთ-ოსეთის ა/ო	100	120	50	100	250	300	300	—	1220
ახალქალაქის რაიონი	120	15	3	150	250	170	200	—	908
ბოგდანოვკის „	15	—	—	60	150	—	—	—	225
ახალციხის „	60	100	25	60	150	650	500	—	1545
ადიგენის „	30	30	5	20	40	200	100	—	425
ასპინძის „	15	30	5	—	—	70	—	—	120
ხაშურის „	45	60	20	50	150	250	—	—	575
ქარელის „	100	40	20	100	600	300	—	—	1160
გორის „	160	400	130	250	600	450	—	—	1990
კასპის „	60	120	35	45	200	360	—	—	820
ბორჯომის „	20	40	15	20	75	100	—	—	270
წალკის „	120	—	—	80	250	—	200	—	650
დუშეთის „	20	150	15	—	—	150	—	—	335

რაიონები	კომბოსტო	კიტრი	პომიდორი	სტაფილო	სუფრის ჭარხალი	ხახვი	საკვები ჭარხალი	სახამთრო	ს უ ლ
თეთრიწყაროს რაიონი . .	40	120	30	12	75	250	100	—	627
თიანეთის „ . . .	5	10	2	6	20	—	—	—	43
გურჯაანის „	15	40	10	—	—	350	300	1500	2215
სიღნაღის „	8	25	10	—	—	300	—	200	543
წითელწყაროს „	4	30	10	—	—	120	—	100	264
თელავის „	14	25	15	10	60	250	200	600	1174
ყვარლის „	10	40	5	—	—	150	—	800	1005
ლაგოდეხის „	8	20	5	—	—	50	—	200	283
თბილისის „	80	300	150	300	1500	500	—	150	2980
მცხეთის „	100	400	100	50	450	400	—	50	1550
ყარაიის „	150	300	100	300	900	3000	200	1000	5950
ბორჩალოს „	10	120	20	20	60	900	—	600	1730
ბოლნისის „	20	150	15	10	30	700	—	900	1825
საგარეჯოს „	50	75	20	20	150	350	1000	1000	2665
ბაშქირეთის „	15	30	—	5	60	40	—	—	150
ს უ ლ . . .	2056	5030	2188	2178	7445	15890	3100	8360	46247

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 23/VII
№ 945 დადგენილების დანართი № 2

ცნობა

1944 წლის მოსავლის ორწლიანი ბოსტნეული კულტურების და საკვები ძირხვენების სათესლე ფესვების გამოყოფისა საქართველოს სსრ არამთესლეობის კოლმეურნეობებში

(ჰექტარობით)

რაიონები	კომბოსტო	ხახვი	სტაფილო	სფერის ჭარხალი	საკვები ჭარხალი	ჯამი
აფხაზეთის ასსრ	3	2	2	1,5	—	8,5
აჭარის ასსრ	0,5	0,5	0,5	0,25	—	1,75
აბაშის რაიონი	—	1	0,25	0,5	—	1.75
ცხაკაიას „	—	0,25	—	—	—	0,25
ქუთაისის „	1,5	2	2	2	—	7,5
სამტრედიის „	3	3	2	2	—	10,0
წულუკიძის „	1	1	0,5	0,25	—	2,75
ვანის „	—	10	0,15	0,15	—	10.3
მაიაკოვსკის „	—	0,25	—	—	—	0,25
ჭიათურის „	0,25	0,5	—	—	—	0.75
საჩხერის „	0,5	1	—	—	—	1,5
ჩხარის „	—	0,25	—	—	—	0,25
ამბროლაურის „	0,15	0,5	—	—	—	0.65
სამხრეთ-ოსეთის ა/ო.	1	2	1	1	1	6
ახალციხის რაიონი	1	2	0,5	1	1	5,5
ახალქალაქის „	1	1	1.5	1,5	2	7
ადიგენის „	0,5	1	0,15	0.15	—	1,8
ასპინძის „	0,25	0,15	—	—	—	0,4
ხაშურის „	1	1,5	0,15	1,5	—	4,15
ქარელის „	1	1,5	0,5	1,5	—	4,5
გორის „	2	1,5	0,5	1,5	—	5,5
კასპის „	0,5	1,5	0,15	1	—	3,15
ბორჯომის „	0.25	0,5	0.15	0,5	—	1.4
წალკის „	1,5	—	0,5	0,5	2	4,5
დუშეთის „	0,25	0,5	0,15	0,15	1	2,05
თეთრიწყაროს „	1	1	0,5	1	2	5,5
გურჯაანის „	—	2	—	—	3	5
სიღნაღის „	—	1	—	—	2	3
წითელწყაროს „	—	0,25	—	—	0,5	0,75
თელავის „	0,15	1	0,5	0,5	2	4,15
ყვარლის „	—	0,5	—	—	—	0,5
თბილისის „	1,5	3	4	3	2	13,5
მცხეთის „	1,5	2	1	1	1	6,5
ყარაიის „	2	15	3	3	2	25
ბორჩალოს „	0.15	5	0,15	0,15	1	6.45
ბოლნისის „	0,15	3	0,5	0,5	2	6.15
საგარეჯოს „	0,5	2	0,5	0,5	5	8,5
ს უ ლ	27,1	71,15	22,8	26,6	29,5	177,15

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის ბოსტნეული კულტურების თესლის გამოყოფისა საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებში

(კილოგრამობით)

მეურნეობათა სისტემა	კომბოსტო	სუფრის სტაფილო	სუფრის ჭარხალი	ხახვი	პომიდორი	კიტრი	თოვლის ბოლოკი	სახამთრო	ნესვი	სხვადასხვა მწვანილი (ისპანახის ჩათვლით)	დანარჩენი ბოსტნეული და საკვები ჭარხალი	ს უ ლ
ა. საბჭოთა მეურნეობები												
საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	12	9	10	10	20	45	20	15	5	80	20	246
სამტრესტი	53	10	250	55	16	7,5	4	10	—	5,5	—	411
საქკონსერვბილტრესტი	20	2000	—	200	120	—	—	—	—	—	500	2840
საქეთერზეთი (ჭარხნების ჩათვლით) . .	8,1	11,4	126,5	36	7,2	12,5	11,5	32,8	6,7	4,8	112,5	370
საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	7	5,5	22	13	7	17	9	22	7	10	5,5	125
ლიმმანტრესტი	—	—	—	—	17	12,5	4	—	—	—	28,5	62
ს უ ლ	100,1	2035,9	408,5	314	187,2	94,5	48,5	79,8	18,7	100,3	666,5	4054

მეურნეობათა სისტემა	კომბოსტო	სუფრის სტაფილო	სუფრის პარბალი	ხახვი	პომიდორი	კიტრი	თვის ბოლოკი	სამამთრო	ნესვი	სხვადასხვა მწვანილი (ისპანახის ჩათვლით)	დანარჩენი ბოსტნეულები და საკვები პარბალი	ს უ ლ
ბ. დამხმარე მეურნეობანი												
საქ. სსრ საფეიქრო მრეწვ. სახ. კომისარ.	8,2	10,5	56,2	14,2	5,7	12,6	19	6	6	38,2	47,4	224
საქ. სსრ სატყეო მრეწვ სახ. კომისარ. .	—	—	20	9	10	22	—	21	—	—	10	92
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარ.	3	—	4	1,5	9	18	3	8	5	6,5	3	61
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწვ.სახ. კომ.	—	—	6	—	5	—	—	—	—	40	—	51
საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარ. .	10	8	40	25	20	80	—	15	6	100	10	314
საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომის.	—	—	—	—	2,5	4	15	3	3	6,5	61	95
საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი .	11	11	70	33	55	21	150	7	6	167	—	531
საქ. სსრ ჯანსახკომი	—	—	—	—	20	20	—	6	6	75	6	133
საქ. სსრ განსახკომი	2,5	3	20	—	4	4	1,5	1	0,5	10,5	24	71
საქ. სსრ სოციუზრუნველყოფის სახ. კომ.	—	—	4	—	1	1	—	—	—	5	3	14
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	3	3	12	6	5	12	—	5	—	6	52	104
ცეკავშირი	8	60	180	90	10	60	—	15	7	12	16	458
თბილისის საქალაქო საბჭო (თავისი სისტემით)	6	5	60	10	15	20	125	3	1	295	22	562
ს უ ლ	51,7	100,5	472,2	188,7	162,2	274,6	318,5	90	40,5	76,7	254,4	2710

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 23/VIII
№ 945 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა

1944 წლის მოსავლის ორწლიანი ბოსტნეული კულტურების საოესლე ფესვების გაშენებისა საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებში

(ჰექტარობით)

მეურნეობათა სისტემა	ს უ ლ	აქედან: კომბოსტო	სუფრის სტაფილო	სუფრის ჭარხალი	ხახვი	საკვები ჭარხალი
ა. საბჭოთა მეურნეობები						
საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	0,6	0,1	0,1	0,1	0,3	—
სამტრესტი	1,6	0,4	0,1	0,8	0,3	—
საქკონსერვხილტრესტი	4	—	2	1	1	—
საქეთერზეთი (ქარხნების ჩათვლით)	0,34	0,07	0,06	0,12	0,09	—
საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	2,32	0,07	0,04	0,11	0,1	2
ლიმანტრესტი	0,6	0,3	—	0,3	—	—
ს უ ლ	9,46	0,94	2,3	2,43	1,79	2
ბ. დამხმარე მეურნეობები						
საქ. სსრ საფეიქრო მრეწვ. სახ. კომისარიატი	1,3	0,55	0,18	0,29	0,14	0,14
საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი	0,25	—	0,02	0,02	0,21	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი	0,28	0,03	—	0,15	0,1	—
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი	0,12	0,02	—	0,1	—	—
საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი	1,07	0,05	0,07	0,2	0,25	0,5
საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი	0,25	0,02	0,01	0,05	0,02	0,15
საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი	0,09	0,01	0,01	0,01	0,03	0,03
საქ. სსრ ჯანსაკომი	1,13	0,03	0,1	0,6	0,4	—
საქ. სსრ განსაკომი	0,48	0,03	0,02	0,2	0,08	0,15
საქ. სსრ სოცუზრუნ. სახ. კომ.	0,41	0,01	—	0,15	0,1	0,15

მეურნეობათა სისტემა	სულ	აქედან: კომბისტრ	სუფრის სტაფილო	სუფრის ჭარხალი	ხახვი	საკვები ჭარხალი
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	0,2	0,02	0,01	0,04	0,03	0,01
ცეკავშირი	3,13	0,03	0,3	0,8	1,0	1,0
თბილისის საქალაქო საბჭო (თავისი სისტემით)	0,6	0,05	0,05	0,3	0,1	0,1
ს უ ლ	9,31	0,85	0,77	2,91	2,46	2,32

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 946

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ზოგიერთ რაიონში მელასა და სინდიოფალაზე ნადირობის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნინდვრის თაგვების გავრცელებასთან დაკავშირებით, აიკრძალოს დროებით 1944—1945 წლის სეზონში მელასა და სინდიოფალაზე ნადირობა წითელწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანისა და თბილისის რაიონების მთელს ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 948

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944-45 სასწავლო წელს მეცადინეობის დაწყების ვადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს დაიწყოს მეცადინეობა დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების I-IV კლასებში—1944 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო V-X კლასებში—1944 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 949

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944/45 სასწავლო წლისათვის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ქსელის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ქსელი 1944/45 სასწავლო წლისათვის, დანართის თანახმად.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, ფოთის საქალაქო საბჭოს და ყველა რაიაღმასკომს მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე განიხილონ და დაამტკიცონ სოფლის ახალგაზრდობის თვითეული საღამოს სკოლის ხარჯთაღრიცხვა და უზრუნველჰყონ მათი დაფინანსება.

ფინსახკომმა და განსახკომმა თვალყური ადევნონ ზემოაღნიშნული სკოლების სწორ და შეუფერხებელ დაფინანსებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, ყველა რაიაღმასკომს და სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებს უზრუნველჰყონ იმ ბავშვთა მთელი კონტინგენტის ჩაბმა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, რომლებიც ამ სკოლებში უნდა სწავლობდნენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების რიცხვი და კლასების რაოდენობა 1944-45 სასწავლო წლისათვის

	დაწყებითი		შვიდწლიანი		კლასები მასობრივ სკოლებიდან	სულ	
	სკოლები	კლასები	სკოლები	კლასები		სკოლები	კლასები
1	2	3	4	5	6	7	8
1. აფხაზეთის ასსრ	1	4	30	150	20	31	174
2. აჭარის ასსრ	5	18	30	87	48	35	153
3. სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	1	3	3	15	50	4	68
სულ	7	25	63	252	118	70	395
1. ქალ. თბილისი	—	—	—	—	—	—	—
2. ქალ. ქუთაისი	—	—	—	—	—	—	—
3. ქალ. ფოთი	—	—	1	4	2	1	6
4. ქალ. ბათუმი	—	—	—	—	—	—	—
სულ დამოუკიდ. ქალაქებში	—	—	1	4	2	1	6
1. აბაშის რაიონი	—	—	2	6	8	2	14
2. ადიგენის „	1	3	6	35	18	7	56
3. ამბროლაურის „	—	—	4	24	36	4	60
4. ასპინძის „	—	—	5	32	9	5	41
5. ახალქალაქის „	5	20	6	42	—	11	62
6. ახალციხის „	3	12	14	84	30	17	126
7. ბაშქირეთის „	2	8	14	77	28	16	113
8. ბოგდანოვკის „	3	12	5	35	4	8	51
9. ბორჯომის „	—	—	5	23	9	5	32
10. ბორჩალოს „	5	26	15	110	18	20	154
11. ბოლნისის „	—	—	2	9	—	2	9
12. ვანის „	—	—	14	70	30	14	100
13. გეგეჭკორის „	1	4	9	56	16	10	76
14. გორის „	—	—	22	110	36	22	146
15. გურჯაანის „	—	—	7	42	4	7	46
16. დუშეთის „	1	4	2	9	45	3	58
17. ზემო-სვანეთის „	2	8	10	70	4	12	82
18. ზესტაფონის „	—	—	2	10	20	2	30
19. ზუგდიდის „	—	—	5	29	22	5	51
20. ყაზბეგის „	2	8	2	14	4	4	26

1		დაწყებითი		შვიდწლიანი		მასთან არსებული სკოლებში	სულ	
		სკოლები	კლასები	სკოლები	კლასები	კლასები	სკოლები	კლასები
		2	3	4	5	6	7	8
21. ყარაიის	რაიონი	2	8	2	14	4	4	26
22. ქარელის	„	1	4	6	33	42	7	79
23. კასპის	„	—	—	5	31	20	5	51
24. ყვარლის	„	—	—	5	42	22	5	64
25. ქვემო-სვანეთის	„	—	—	3	12	16	3	28
26. კლუხორის	„	—	—	2	14	—	2	14
27. ქუთაისის	„	—	—	16	103	6	16	109
28. ლაგოდეხის	„	—	—	4	29	—	4	29
29. ლანჩხუთის	„	—	—	4	18	16	4	34
30. მახარაძის	„	—	—	1	3	3	1	6
31. მაიაკოვსკის	„	—	—	11	70	13	11	83
32. მცხეთის	„	—	—	6	22	33	6	55
33. ონის	„	—	—	3	14	15	3	29
34. ორჯონიკიძის	„	—	—	6	32	14	6	46
35. საგარეჯოს	„	—	—	6	30	8	6	38
36. სამტრედიის	„	—	—	8	46	9	8	35
37. საჩხერის	„	—	—	14	110	2	14	112
38. სიღნაღის	„	—	—	11	81	3	11	84
39. თბილისის	„	—	—	11	66	9	11	70
40. თელავის	„	1	2	16	118	—	17	120
41 თეთრიწყაროს	„	—	—	11	57	6	11	63
42. თიანეთის	„	2	8	6	42	18	18	68
43. ტყიბულის	„	1	4	5	28	12	6	44
44. ხაშურის	„	1	4	14	106	4	15	114
45. ხობის	„	—	—	7	39	38	7	77
46. ცაგერის	„	—	—	4	26	16	4	42
47. წალენჯიხის	„	—	—	6	33	24	6	57
48. წალკის	„	—	—	15	105	18	15	123
49. წითელწყაროს	„	—	—	8	49	8	8	57
50. წყალტუბოს	„	—	—	8	27	2	8	29
51. ცხაკაიას	„	—	—	6	24	13	6	37
52. წულუკიძის	„	—	—	2	11	22	2	33
53. ჭიათურის	„	—	—	5	22	17	5	39
54. ჩოხატაურის	„	—	—	7	38	19	7	57
55. ჩხარის	„	—	—	7	32	15	7	47
56. ჩხოროწყუს	„	—	—	7	42	17	7	59
სულ რაიონებში		33	135	410	2460	827	443	3422
სულ რესპუბლიკაში		40	160	473	2712	945	513	3817

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 950

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის პირველი ნახევრის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდების რეალიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი საგამოსულებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, ჩამბარებელ ქარხნებთან და თავის მთავარ სამმართველოებთან კავშირის უქონლობისა და აგრეთვე მასალების, ნედლეულის, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის შემოზიდვისათვის საჭირო ზომების მიუღებლობის შედეგად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსათვის გამოყოფილი 1944 წლის პირველი ნახევრის ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი რეალიზებული არ იყო.

სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლაველექტროსბიტის“ თბილისის კანტორას ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სრულიადაც არ უმუშავნია საკმარისი ნაწარმთა შემოსიდვაზე. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორას სრულიად არ შემოუზიდავს კალცინირებული სოდა, რის გამოც რესპუბლიკის პირველი ნახევარი წლის ფონდი—32 ტონა კალცინირებული სოდა რეალიზებული არ იყო, ხოლო 30 ტონა მარილმჟავადან რეალიზებულია სულ მხოლოდ 2,5 ტონა. მოუგვარებელი აქვს ლითონების ჩვეულებრივი ნაგლინის შემოზიდვის საქმე სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის „გლავმეტალსბიტის“ თბილისის კანტორას. სსრ კავშირის ცელულოიდ-ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავბუმსბიტის“ საქკანტორამ კი 124 ტონა რვეულის ქაღალდიდან მოახდინა 58,6 ტონის რეალიზაცია, 5 ტონა გარეკანის ქაღალდის ფონდის ნაცვლად რეალიზებულია 1,8 ტონა. სახელგამს სრულიადაც არ მოუხდენია პირველი ნახევარი წლის ფონდის—6,7 ტონა სარტატორო ქაღალდის რეალიზაცია. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის „სოიუზპრომმეტისზბიტის“ თბილისის კანტორამ პირველი ნახევარი წლის გან-

მავლობაში 10 ტონა რკინის მავთულიდან მოახდინა მხოლოდ 5,3 ტონის რეალიზაცია და 6 ტონა ჭანჭიკიდან—3,7 ტონის რეალიზაცია. საქმომარაგების ტრესტმა მოახდინა 640 მეტრი ბამბის ღვედის რეალიზაცია, მაშინ როდესაც პირველი ნახევარი წლის ფონდით სარეალიზაციოდ გათვალისწინებული იყო 2.000 მეტრი, 200 ცალ ცეცხლმქრობიდან არ შემოუტანია არც ერთი. II კვარტალის ფონდით 11 ტონა ფორმალინი რეალიზებული სრულიად არ არის, 4.000 კვ. მეტრ მინიდან რეალიზებულია 2.000 კვ. მეტრი, ფიქალის, ტოლისა და ფეთქებადი მასალების ფონდები რეალიზებული სრულიად არაა.

საგამსაღებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები საკმაოდ ვერ აფასებენ რესპუბლიკის მატერიალური რესურსების ბალანსის არაფონდირებული და არაკონდიციური მასალებითა და ნედლეულით შევსების მნიშვნელობას და სრულიადაც არ ზრუნავენ არაფონდირებული და არაკონდიციური მასალების შემოზიდვისა და თავის ბაზებში მარაგის შექმნის საკითხზე.

დაუშვებელი მდგომარეობა შეიქმნა ბამბის ნართის რესპუბლიკური ფონდების რეალიზაციის მხრივ. პირველი ნახევარი წლის განმავლობაში სომხეთის სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან გამოყოფილი 100 ტონა ნართის ფონდიდან დასაქონლებულია 28,3 ტონა, აზერბაიჯანის სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან 65 ტონიდან გამოგზავნილია მხოლოდ 20,8 ტონა. „გლავტექსტილსბიტის“ საქკანტორამ მიმდინარე წლის II კვარტალის განმავლობაში 2.364 ათასი მანეთის ბამბის ქსოვილის შემოზიდვის განრიგთა წინააღმდეგ, ფაქტიურად რეალიზაცია უყო 109 ათასი მანეთის ქსოვილს. გეგმით გათვალისწინებული 788 ათასი მანეთის შალის ქსოვილიდან სრულიად არაფერია შემოზიდული.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსნაბსბიტის“ მიერ პირველი ნახევარი წლის განმავლობაში 1915 ათასი მანეთის ბამბის ქსოვილების შემოზიდვის განრიგთა წინააღმდეგ, ფაქტიურად შემოზიდულია 221 ათასი მანეთის ქსოვილი; განრიგით გათვალისწინებული 350 ათასი მანეთის შალის ქსოვილების ნაცვლად, შემოზიდულია 90 ათასი მანეთის შალის ქსოვილი.

საგამსაღებლო ორგანიზაციების შემდგომ მუშაობაში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილისის კანტორების მმართველებს: „გლავმეტალოსბიტის“ — ამხ. მემარნოშვილს, „გლავხიმსბიტისა“ — ამხ. რუსიას, „გლავცვეტმეტსბიტისა“ — ამხ. ხაინდრავას, „გლავტორცვეტმეტისა“ — ამხ. შესტაკოვს, „სოიუზპრომმეტიზსბიტისა“—ამხ. მამალაძეს, „რეზინოსბიტისა“—ამხ. შიხმანს, „გლავავტოტრაქტოროსბიტისა“ — ამხ. ბელქანიას, „გლავბუმსბიტისა“ —ამხ. ჩხარტიშვილს, „გლავტექსტილსბიტისა“ — ამხ. მელიქოვს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ საქკანტორის მმართველს ამხ. ჯორჯიკიას, „ზაკსნაბუგოლის“ საქ-

კანტორის მმართველს ამხ. შარიას და საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს:

ა) მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები საკმაო რაოდენობის მასალების, ნედლეულის, საწვავის, ნავთსათბობის, მოწყობილობის, ინსტრუმენტების, ქსოვილებისა და ნაწარმების შემოზიდვისათვის თავის ბაზებში 1944 წლის III და IV კვარტალების განმავლობაში და უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდების სრული და დროული რეალიზაცია;

ბ) გარდაქმნან თავისი მუშაობა ჩამბარებელ ქარხნებთან და თავის მთავარ სამმართველოებთან კავშირის გაძლიერების მიმართულებით;

გ) ყოველთვიურად, არაუგვიანეს შემდგომი თვის 5 რიცხვისა, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ცნობები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ფონდების რეალიზაციის მიმდინარეობისა და აგრეთვე თავის ბაზებში მასალების, ნედლეულის, მოწყობილობის, ინსტრუმენტების, ქსოვილებისა და სხვა ნაწარმების არსებული მარაგის შესახებ;

დ) საგამსაღებლო ორგანიზაციების მმართველები, შესაბამის საკავშირო სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, კვარტალში ერთხელ გაემგზავრონ თავის მთავარ სამმართველოებში საქართველოს სსრ-ში მასალების შემოზიდვის საკითხთა ოპერატიული გადაჭრისათვის;

ე) თავის დროზე გაუგზავნონ თავის მთავარ სამმართველოებსა და ჩამბარებელ ქარხნებს რესპუბლიკაში მასალების შემოზიდვის სპეციფიკაციები თვიური და კვარტალური გეგმების მიხედვით;

ვ) შემოზიდონ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის არაფონდირებული და არაკონდიციური მასალები და ნედლეული.

2. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატსა და რესპუბლიკური ქვემდებარეობის უწყებას 35 დღით ადრე კვარტალის დაწყებამდე წარუდგინონ საგამსაღებლო ორგანიზაციებს საჭირო მასალების სპეციფიკაციები.

3. დაევალოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. რობაქიძეს, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს —ამხ. რუხაძეს, თბილისის ტრიკოტაჟკომბინატის დირექტორს ამხ. თუშიშვილს, საქტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ღლონტს და ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ალავიძეს ყოველთვიურად, არაუგვიანეს 10 რიცხვისა, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ცნობები თავის საწარმოებსა და ბაზებში გამოუყენებელი საფეიქრო-ტრიკოტაჟული და ტყავის ნარჩენების, წუნდებული დეტალების, ნახევარფაბრიკატებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის ვარგისი ფართო მოხმარების ნაწარმისა და მასალების რაოდენობის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სა-

ხალხო კომისარიატს—ამხ. რუხაძეს გასცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ფონდებით სრულფასიანი შალის ნართი, კადური-რულოების ნაცვლად.

5. გაფრთხილებულ იქნან ამ დადგენილების პირველ პუნქტში დასახელებული ყველა საგამაღებლო ორგანიზაციის მმართველები და უფროსები და განსაკუთრებით კი თბილისის კანტორების მმართველები: „გლაველექტროსბიტისა"—ამხ. ბირიუკოვი, „სოიუზპრომმეტიზსბიტისა" — ამხ. მამალაძე და საქმომარაგების ტრესტისა—ამხ. კვანტალიანი, რომ ისინი, უკეთუ ძირფესვიანად არ გარდაქმნიან თავისი კანტორების მუშაობას და არ მოახდენენ რესპუბლიკის ფონდების სრულ და დროულ რეალიზაციას, სასტიკად დაისჯებიან.

6. ეცნობოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატების მიერ საქართველოს სსრ-ის ბამბის ნართით მომარაგების სისტემატური ჩაშლის შესახებ და ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისცეს მითითება სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რათა გამოჰყოს ნართი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ფონდებში ისეთ ჩამბარებელთაგან, რომლებიც უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეპყრობიან ხელმძღვანელ ორგანოთა დავალების შესრულებას და საქმით უზრუნველჰყოფენ ნართის გადმოგზავნას, გეგმის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 951

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სარეწაო კავშირის ძაფსართავი ფაბრიკის მშენებლობისა და მონტაჟის მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ სარეწაო კავშირის სისტემის თბილისის ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკის მშენებლობაზე უკვე დახარჯულია 2.473 ათასი მანეთი და ფაბრიკა ნაწილობრივ ამუშავებულია 1943 წლის 1 ოქტომბრიდან, სამონტაჟო და ზოგიერთი სამშენებლო სამუშაო ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

მოწყობილობით დაუკომპლექტაობისა და მთელ რიგ საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შეუსრულებლობის შედეგად, ფაბრიკა, საპროექტო სიმძლავრის დღე-ღამეში 500 კილოგრამ ნართის ნაცვლად, ამზადებს 200 კილოგრამამდე ნართს.

კაპიტალურ სამუშაოთა 1944 წლის გეგმა, დამტკიცებული 452,4 ათასი მანეთის რაოდენობით, ა. წ. 1 აგვისტოსათვის შესრულებულია 270 ათასი მანეთის მოცულობით, ამასთან სახსრები ათვისებულია 175-მდე ათასი მანეთის ფარგლებში.

მშენებლობის მთელი რიგი ობიექტები, რომელთა ამუშავება ა.-წ. მესამე კვარტალში გათვალისწინებული იყო კაპიტალურ სამუშაოთა გეგმით, ჯერ კიდევ არ დაწყებულა (მექანიკური სახელოსნოსა და სამჭედლოს მშენებლობა, სათბობის წყლის სისტემის საორთქლე სისტემად რეკონსტრუქცია), სრულიად არასაკმაოდ არის გაშლილი ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სანათი ძალქსელის მონტაჟის სამუშაოები.

არსებულ 12 საჩეჩ მანქანიდან მუშაობს მხოლოდ 6, დანარჩენები კი მონტირებული არ არის და უმოქმედოდაა.

ფაბრიკის დირექცია და სარეწაო კავშირი საკმაო ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ მთლიანად დააკომპლექტონ ფაბრიკა კადრებით, კერძოდ წამყვანი პროფესიების კვალიფიციური მუშების კადრებით.

დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს რა სარეწაო კავშირის თბილისის ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკის სრული სიმძლავრის (2.300

თითისტარი, 160 ტონა ნართი წელიწადში) ათვისებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს და ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკის დირექტორს ამხ. ფანჯავიძეს ნართის გამომუშავება ბამბის ძაფ-სართავ ფაბრიკაში აიყვანონ 500 კილოგრამამდე დღეღამეში 1944 წლის 1 ოქტომბრიდან, რისთვისაც:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაში არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობის ა.-წ. III კვარტალში ამუშავების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, დაამთავრონ 11 საჩეჩი მანქანის მონტაჟი და უზრუნველჰყონ მათი შეუფერხებელი მუშაობა;

ბ) მიამაგრონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების პერიოდისათვის ბამბის ძაფ-სართავ ფაბრიკაზე ინჟინერ-მშენებელი სარეწაო კავშირის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებიდან;

გ) ერთი თვის ვადაში მთლიანად დაკომპლექტონ ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა საჭირო კადრებით, კერძოდ კვალიფიციური მუშებით სარეწაო კავშირის სხვა წვრილ და დაუტვირთავ სარწმოთა ხარჯზე;

დ) ერთი დეკადის ვადაში გაგზავნონ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში 21 მუშა იმისათვის, რომ მათ ინდივიდუალურად შეისწავლონ შემდეგი პროფესიები: მევატერე ქალი—7, მთილავი ქალი—2, მელენტე ქალი—2, მძახველი ქალი—4, კარდსაჩეჩი მანქანების მუშა — 4 და სპენტი საამქროს აგრეგატებისათვის — 2 მუშა;

ე) ორი დეკადის ვადაში დაამზადონ სარეწაო კავშირის სისტემის არტელებში ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკისათვის 300 მეტრი სავატერო ზონარი და 10 მ² ტექნიკური მაუდი, აგრეთვე მისცენ ფაბრიკას არსებულ მარაგიდან 100 კგ ოლიფა, 75 კგ თეთრა და 10 კილოგრამი თეთრი ფქვილი.

2. დაევალოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორს ამხ. თუშიშვილს მოამზადოს სარეწაო კავშირის ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკისათვის ინდივიდუალური სწავლების გზით 21 მუშა ზემოაღნიშნულ პროფესიებში.

3. დაევალოს სარეწაო კავშირის ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკის დირექტორს ამხ. ფანჯავიძეს თავის უშუალო გამგებლობაში აიღოს ფაბრიკის მუშების სასადილო.

დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს სარეწაო კავშირის ბამბის ძაფ-სართავი ფაბრიკისათვის კვების პროდუქტების შეუფერხებელი გამოყოფა მუშა-მოსამსახურეთა მთელი კონტინგენტის დასაკმაყოფილებლად ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

4. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისა-

რიატს—ამხ. გორდეზიანს არსებულ ფიბრიდან ა.-წ. 1 ოქტომბრამდე დაამზადოს და სარეწაო კავშირის ბამბის ძაფ-სართავ ფაბრიკას გადასცეს 150 ფიბრის ტაშტი.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას მისცეს ორი კვირის ვადაში სარეწაო კავშირის ბამბის ძაფ-სართავ ფაბრიკას 8 კუბ. მეტრი წიფლის მორები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. რობაქიძეს მისცეს სარეწაო კავშირის ბამბის ძაფ-სართავ ფაბრიკას 2.500 კვ. დეციმეტრი თალათინის ტყავი სარეწაო კავშირის ა.-წ. III კვარტალის საპირე ტყავეულის ფონდის ანგარიშში.

7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ყოველთვიურად გაითვალისწინოს გეგმაში 100 კილოგრამი ბენზინის გამოყოფა სარეწაო კავშირის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკისათვის.

8. დაევალოს „გლავნეფტესნაბის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს ამხ. ჯორჯაძეს მისცეს სარეწაო კავშირის ბამბის ძაფსართავ ფაბრიკას 1,5 ტონა სატრანსფორმატორო ზეთი რესპუბლიკის ა.-წ. III კვარტალის ანგარიშში.

9. დაევალოს თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეს ამხ. გალუსტოვს მისცეს ა.-წ. 15 სექტემბრამდე სარეწაო კავშირს ბამბის ძაფსართავი ფაბრიკისათვის 10,0 ათასი ცალი აგური ლრმაღელის ქარხნიდან და 6,0 ათასი ცალი კრამიტი—ჭსნის ქარხნიდან.

10. წინადადება მიეცეს ტრესტ საქმომარაგების მმართველს ამხ. კვანტალიანს მისცეს სარეწაო კავშირს ბამბის ძაფსართავი ფაბრიკისათვის მასალები № 1 დანართის თანახმად.

11.-დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს და ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის დირექტორს ამხ. ფანჯავიძეს დაუყოვნებლივ გაატარონ საჭირო ღონისძიებანი და მიაღწიონ გამოსამუშავებელი ნართის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრად შემცირებას.

12. იმ მიზნით, რომ სრულად დაკომპლექტდეს სარეწაო კავშირის თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა დანაკლისი მოწყობილობით, ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გამოჰყოს აღნიშნული ფაბრიკისათვის მოწყობილობა, მასალები და სალაბორატორიო ხელსაწყოები № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 23/VIII
№ 951 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

მასალებისა, რომლებიც უნდა გადაეცეს სარეწაო კავშირს ბამბის ძაფსართავი ფაბრიკისათვის ტრესტ საქმომარაგებიდან

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	საზომი ერთეული	რაოდენობა
ლურსმანი	კგ	50
მ ი ნ ა	კვ. მტ.	50
ცემენტი	ტონა	5
ფოლადის მილები	სიგრძ. მტ.	600
კ ა რ ბ ი დ ი	დოლი	1
სახანძრო შლანგი	სიგრძ. მტ.	150
ბ უ რ ღ ი	ცალი	75
გამწრანები	კომპლ.	5
საკიდევი	ცალი	20
ქ ლ ი ბ ი	ცალი	35
ტყავის ღვედი 50 მმ	სიგრძ. მტ.	25
კოლოფონი	კგ	25
ზემფარის ლენტი	სიგრძ. მტ.	75

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

იმ მოწყობილობისა და მასალებისა, რომლებიც გამოთხოვილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოდან სარეწაო კავშირის სისტემის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკისათვის

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	საზომი ერთეული	რაოდენობა
I. მოწყობილობა		
ლენტური მანქანა 2 აპარატი	კომპლ.	1,0
მსხვილი საფთილავი	ცალი	1
გადასაღები საფთილავი	„	1
მღარავი ჩარხი (კბილსაპრელი, უნივერსალური ტიპისა)	„	1
სალესი ლილვაკები და მორბედები საჩეჩი მანქანების დოლებისა და სათელი მანქანების სალესად	„	1
ჩარხი საჩეჩი მანქანის საბურავის სალესად	„	1
ჯვარედინსახვევი მანქანა	„	1
II. მასალები და სამარაგო ნაწილები		
კარდლენტი საჩეჩი მანქანების დოლებისათვის № 100	გორგალი	5
კარდლენტი საჩეჩი მანქანებისათვის 10×110 № 110	ცალი	1.100
გარნეტი მიმღები სათელისათვის № 22, 1 მმ სისქის წიბოიანი	კგ	100
კოჭები საფთილავებისათვის 10 დუიმი სიგრძისა	ცალი	500
მორბედები ვატერებისათვის № № 1-დან 6-მდე	კოლოფი	5
მასრები 7 დუიმ. ვატერებისათვის	ცალი	15000
III. სალაბორატორიო ხელსაწყოები		
საკონდიციო აპარატი	„	1
ჯარა ფთილისათვის	„	1
ტორსული სასწორი	„	1
ნართის № განსასაზღვრავი კვადრატი	„	1
ფთილის № განმსაზღვრავი კვადრატი	„	1
ჯარა ნართისათვის	„	1
დინამომეტრი პასმისათვის	„	1
დინამომეტრი ცალკეული ძაფისათვის	„	1
გრეჩილმზომი	„	1
კარდლენტი საჩეჩი მანქანების სათელებისათვის № 110	გორგალი	5

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 952

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ყაზბეგის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკების 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების ყაზბეგის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონაბჭოების აღმასკომების შუამდგომლობანი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე, განთავისუფლდნენ 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანისაგან, წარმოდგენილი სიების მიხედვით, შემდეგ ხელმძღვანელ მუშაკთა მეურნეობანი:

ყაზბეგის რაიონში

1. სანდრო მიგრიაულისა
2. ნიკოლოზ სათურიძისა
3. მამუკა ფიცხელაურისა
4. ვარლამ მელიასი
5. სოლომონ აბაევისა
6. გიორგი ახალაშვილისა
7. არჩილ შადურისა
8. შალვა ღუდუშაურისა
9. ევგენი ჭონიაშვილისა
10. პელაგია ქავთარაშვილისა
11. ვასილ დავითაშვილისა
12. სალომე ქუშაშვილისა
13. გიორგი ცოტაძისა
14. ანდრო ქავთარაძისა
15. ვლადიმერ ხეთაგურისა
16. არჩილ ჩოფიკაშვილისა
17. ვასილ ჯანუკაშვილისა
18. ვიქტორ დავითაშვილისა
19. არჩილ ბადაშვილისა
20. გიორგი ქცოევისა
21. ალექსანდრე კასაევისა
22. კონსტანტინე ჩოფიკაშვილისა
23. ნიკოლოზ ბიბილაიშვილისა
24. ნატაშა ხეთაგურისა
25. აბელ ოსეფაშვილისა
26. სტეფანე ქუშაშვილისა
27. ნიკოლოზ წამალაიძისა
28. ვასილ ზურიკაშვილისა
29. შალვა ოდიშვილისა
30. პავლე ჩქარეულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩხერის რაიონში

1. ვალერიან ზურაბის-ძე სამხარაძისა
2. ვარლამ გიორგის-ძე ენუქიძისა
3. სიმონ ერმინეს-ძე აბჟანდაძისა
4. ბორის პავლეს-ძე კიპაროიძისა
5. კარპე მალაქიას-ძე კომლაძისა
6. გიორგი გერასიმეს-ძე ხარშილაძისა
7. ალექსანდრე დავითის-ძე იაკობიძისა
8. ტიტე ამბაკოს-ძე ჩაჩანიძისა
9. პლატონ ვასილის-ძე ნოზაძისა
10. პროკოფი კონსტანტინეს-ძე რატიანისა
11. სერგო გერასიმეს-ძე აბრაამშვილისა
12. აკაკი ანტონის-ძე ლომიძისა
13. შურა ვლადიმერის-ასულ კაციტაძისა
14. ბარნაბ ავქსენტის-ძე კაპანაძისა
15. ვალერიან ივანეს-ძე მეგრელისა

წალენჯიხის რაიონში

1. სევერიანე გიორგის-ძე კალანდიანი
2. იასონ იაკობის-ძე გულუასი
3. შალვა გუჩუასი
4. ისაკ კუკავასი
5. შალვა სახოკიასი
6. ვარლამ კვარაცხელიასი
7. მოსე კვარაცხელიასი
8. ლავრენტი კონჯარიასი
9. გრიშა ნესტორის-ძე შეროზიასი
10. კოტე მორგოშიასი
11. იაკინთე ჭანტურიძისა
12. ერმინე კანკიასი
13. ვარლამ ბელქაიასი
14. ლაუ კალანდიასი
15. ვიქტორ ქუთათელაძისა
16. ბუხური დარასელიასი
17. აკაკი დარსანიასი
18. ვანო კაკაჩიასი
19. ბოჩო მიქავასი
20. გუდა შანავასი
21. კოლია ქარდავასი
22. ილარიონ კოკაიასი
23. მიშა ცომინტიასი
24. ავთა ფიფიასი
25. იასონ შონიასი
26. გრიშა ლუკავასი
27. ანდრონიკ ჭანტურიასი
28. შალვა ქობალიასი
29. გერასიმე ლუკავასი
30. გრიგოლ შანავასი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 953

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

უსინათლოთა საზოგადოების სისტემის საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

ნედლეული რესურსების სიმცირისა და ჯაგრის, პირუტყვის ბეწვის, საქურქე ტყავპუხისა და თეჭის არასაკმაო ფონდების გამოყოფის გამო, საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოების სამრეწველო საწარმოები დატვირთული არაა და ხშირად მოცდენილია. ამასთან დაკავშირებით, უსინათლოთა კონტინგენტი, რომელსაც შესწავლილი აქვს ჯაგრულის, ქურქისა და ქეჩის ნაწარმების წარმოება და თოკის დამზადება, გაცდენილია, მაშინ როდესაც ამ დარგებისათვის რესპუბლიკაში არსებული ნედლეულის მარაგი ძირითადად საზოგადოების საწარმოებში მათი კონცენტრაციისას შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ უსინათლოები სამუშაოთი და ჩავაბათ ამ წარმოებაში სამამულო ომის ინვალიდთა დამატებითი კონტინგენტი.

ჯაგრულის, ქურქ-ბეწვეულისა და ქეჩის ნაწარმთა წარმოებასა და თოკის დამზადებაში უსინათლოთა მაქსიმალური გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ცეკავშირს—ამხ. ნარსიას:

ა) დაამზადოს მომდინარე წლის III და IV კვარტალებში საქართველოს სსრ-ში 2 ტონა ჯაგარი და 1 ტონა ცხენის ბეწვი;

ბ) დამზადებული ჯაგრისა და ცხენის ბეწვის მთელი რაოდენობა ჩააბაროს „ზაგოტჟივსირიოს“ საშუალებით უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებს ჯაგრულ ნაწარმთა წარმოებისათვის;

გ) არ დუშვას შემდეგში დამზადებული ჯაგრისა და ცხენის ბეწვის გამოყენება ცეკავშირის სისტემაში ან მათი გადაცემა სხვა ორგანიზაციებისათვის;

დ) მიიღოს საჭირო ზომები და უზრუნველჰყოს რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ჯაგრისა და ცხენის ბეწვის დამზადება უსინათლოთა საზოგადოების საწარმოთათვის და მხედველობაში მიიღოს, რომ უსინათლოთა საზოგადოების საწარმოთა მიერ დამ-

ზადებულ ჯაგრულ ნაწარმთა მეტი ნაწილი გადაეცემა ცეკავშირს რეალიზაციისათვის.

2. დაევალოს სრულიად-საკავშირო გაერთიანება „კოოპერირი-ობრაბოტკის“ რწმუნებულს ამიერკავკასიაში ამხ. აბრამიშვილს:

ა) საქართველოს სსრ-ში დამზადებული გაფანტული ჯაგრისა და ცხენის ბეწვის მთელი მარაგი და მიღებული რაოდენობა ჩაბაროს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოებას ჯაგრული წარმოებისათვის;

ბ) მისცეს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოებას მიმდინარე წლის III და IV კვარტალებში თანაბარ პარტიებად I და II ხარისხის 100 ათასი ცალი საქურქე ტყაპუჭი წვრილი ტყავნედლეულის ფონდების ანგარიშში.

3. დაევალოს თბილისის ტრიკოტაჟკომბინატის დირექტორს ამხ. თუშიშვილს მისცეს მიმდინარე წლის III კვარტალში საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოებას 30 ტონა ფთილა თოკის წარმოებისათვის.

4. დაევალოს „გლავვაიონსბანის“, „სნაბელექტროს“, „სნაბტეხნეფტის“, „მინომეტსნაბისა“ და „გლავსნაბბოვარიპასიის“ თბილისის კანტორებს მიღებული თექის ფონდები გადასცენ საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებს თექის ნაწარმებად გადამუშავებისათვის.

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს მიმდინარე წლის IV კვარტალის გეგმაში ჯაგრულისა და ქუდქის ნაწარმთა წარმოების სათანადო გადიდება საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო-კომისარიატის სისტემაში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას 1945 წლის გაზაფხულზე გაამეწნოს 40 ჰექტარი კულტურული ტირიფი, აქედან 20 ჰექტარი — აღმოსავლეთ საქართველოში და 20 ჰექტარი—დასავლეთ საქართველოში კალათების საწნავი სათანადო ნედლეულის მისაღებად.

7. დაევალოს თბილსაზკვებტრესტს — ამხ. ჩარკვიანს, საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოებასთან შეთანხმებით, გახსნას ერთი სასადილო უსინათლოთა საზოგადოების საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთათვის 400-მდე კაცის კონტინგენტით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. გიორგაძემ უზრუნველჰყოს აღნიშნული სასადილოს მომარაგება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშათა და მოსამსახურეთათვის დაწესებული ნორმებით.

8. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოებში დამზადებული ფართო მოხმარების საქონლის გამოყე-

ნების გეგმების საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში დასამტკიცებლად წარმოდგენის დროს გაითვალისწინოს უსინათლოთა საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კერძოდ, საწარმოო საცხოვრებლების მოწყობა, სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის მიცემა და აგრეთვე საჭირო საქონლის გამოყოფა უსინათლოთა საზოგადოების საცალო ქსელისათვის მისი წარმოებიდან ამ საზოგადოების წევრთა მოსამარაგებლად.

9. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს გამონახოს 26 კომისრის სახელობის რაიონში ან კიროვის სახელობის რაიონში ისეთი სადგომი, რომელიც კაპიტალურ რემონტს ან დაშენებას მოითხოვს, და გადასცეს მას შენობა უსინათლოთა საზოგადოებას საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად.

10. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისცეს მითითება სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატს, რათა საქართველოს სსრ-ში დამზადებული ჯაგრისა და ცხენის ბეწვის მთელი რაოდენობა ჩააბაროს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოებას ჯაგრულ ნაწარმთა საწარმოებლად და აგრეთვე მისცეს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის უსინათლოთა საზოგადოებას ქურქ-ბეწვეულის წარმოებისათვის მიმდინარე წლის III და IV კვარტალებში I და II ხარისხის 100 ათასი ცალი საქურქე ტყაპუჭი რესპუბლიკის წვრილი ტყავნედლეულის ანგარიშში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 954

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ ჩხარისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების გურჯაანისა და ჩხარის რაისაბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე მიენიჭოს 1944 წელს შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადში სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ გურჯაანის რაიონის 1.484 მეურნეობას 1.136.464 მან. 38 კაპ. და ჩხარის რაიონის 228 მეურნეობას 158.400 მან. რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 955

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურისათვის საკარმიდამო მიწის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის 1944 წლის 21 ივლისის № 175 დადგენილება სოფ. დიღმის ლენინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურისათვის 4,5 ჰექტარი საკარმიდამო მიწის უკომპენსაციოდ გამოყოფის შესახებ.

2. მიწის გადაცემა წარმოებულ იქნას 1944 წლის მოსავლის აღების შემდეგ.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ეს დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 956

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმქარხნისათვის საბრუნავი სახსრების გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1944 წლისათვის მიღებული საწარმოო პროგრამის შესაბამისად განისაზღვროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმქარხნის საბრუნავი სახსრების ნორმატივი 553 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ფინსახკომს მისცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმქარხანას მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან 139 ათასი მანეთი საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შესავსებად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 957

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოსათვის ყარაიის რაიონის სოფ. ახალშენის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მიწების გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ყარაიის რაიონის აღმასკომის 1944 წლის 8 აგვისტოს № 167 დადგენილება სოფ. ახალშენის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ და ამ კოლმეურნეობის მიწის ნაკვეთები ჩაირიცხოს სახელმწიფო მიწის ფონდში.

2. სოფ. ახალშენის ტელმანის სახელობის ლიკვიდირებული კოლმეურნეობის მიწებიდან გადაეცეს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას:

ა) ყველა მიწა—281,47 ჰექტარი ფართობი		
ა ქ ე დ ა ნ:	სახნავი	—151,04 ჰექტ.
	სათიბი	— 27,88 „
	სოფლისპირა საბალახოები	— 27,14 „
	ხეხილის ბაღი	— 9,49 „
	ვენახი	— 12,75 „
	სხვა სავარგულები	— 53,17 „
ბ) პროდუქტიული საქონელი:		
მსხვილფეხა რქიანი საქონელი		— 35 სული
ა ქ ე დ ა ნ:	ჯიშიანი ბუღა	— 2 „
	ძროხა	— 16 „
	მოზარდეული	— 17 „
ღ ო რ ი		— 8 „

ა ქ ე დ ა ნ: დედაღორი	—	6 სული
და კერატი	—	2 „
ცხვარი	—	450 „
ა ქ ე დ ა ნ: დედაცხვარი	—	200 „
მწარმოებელი და აზმანი	—	250 „
გ) საცხოვრებელი სახლები	—	48
საწარმოო ნაგებობანი	—	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კოლმეურნეობის კარმიდამო და ხუტორი საცხოვრებელ ნაგებობებიანად და მრავალწლოვან ნარგავებიანად (ახლადგაშენებული ვენახი) გადაეცეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას საბალანსო ღირებულებით, ამორტიზაციის გათვალისწინებით.

4. 11 ცხენი გადაეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს.

5. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაადასტუროს ეს დადგენილება.

6. პროდუქტიული და მუშასაქონელი (9 ძროხა, 8 ხარი, 23 მოზარდეული, 503 ცხვარი), ფრინველი, მანქანები, ინვენტარი, მოწყობილობა, საკვები, თესლი, შესაწამლი მასალები და განუყოფელი ფონდის სხვა საშუალებანი პირველ რიგში გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ჩაბარების დარგში სახელმწიფოს წინაშე ტელმანის სახელობის ყოფილი კოლმეურნეობის ვალდებულებათა შესასრულებლად და ფინსახკომისა და ბანკებისადმი დავალიანების დასაფარავად, განუყოფელი ფონდის საშუალებათა დარჩენილი ნაწილი გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების ყარაიის რაისაბჭოს აღმასკომს რაიონის მცირეშეძლებულ კოლმეურნეობათათვის გადასაცემად.

7. დაევალოს ყარაიის რაიაღმასკომს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის სალიკვიდაციო კომისიის მუშაობას და უზრუნველჰყოს პირველ რიგში სახელმწიფოსათვის ჩაბარებათა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის ყველა ვალდებულებათა შესრულება კოლმეურნეობათა მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ გაანაწილოს მიმდინარე წლის შემოსავალი კოლმეურნეთა შორის შრომადღეების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 958

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საავტომობილო გზების მომიჯნავე სატყეო მასივებში საცავი ზოლების გამოყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 14 ივლისის № 14587-გ განკარგულების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ჯაბუას, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს, სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს ამხ. კანდელაკს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და ყველა რაიაღმასკომს გამოჰყონ საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული მნიშვნელობის საავტომობილო გზების მომიჯნავე სატყეო მასივებში საცავი ზოლები გზების ორივე მხარეს; ზოლის სიგანე გზის ყოველ მხარეს უნდა უდრიდეს 250 მეტრს, გზის ღერძიდან გაანგარიშებით.

2. საცავი ზოლები საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ მიეკუთვნოს პირველი ჯგუფის ტყეებს და სრულიად აიკრძალოს მათში ხე-ტყის მთლიანი ჩეხა.

3. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ჯაბუას, საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს, ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებსა და რაიაღ-

მასკომების თავმჯდომარეებს ერთი თვის განმავლობაში დაამთავრონ მუშაობა სატყეო მასივებში საცავი ზოლების ნატურით გამოყოფისათვის, ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის თანახმად, და საქმით უზრუნველჰყონ ტყის ჩეხის შეწყვეტა საცავ ზოლებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 959

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დაწესებულებათა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა უმრავლესობის ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1936 წლის 15 აპრილს „დაწესებულებათა, საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და მშენებლობათა შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის შესახებ“ მიღებული № 708 დადგენილების შესრულებას, რომლის თანახმადაც სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი მოვალენი არიან წელიწადში ერთხელ მაინც ჩაატარონ მათდამი დაქვემდებარებული ყველა დაწესებულების, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციისა და მშენებლობის დოკუმენტალური რევიზია.

საქართველოს სსრ განსახკომს, 1941 წლიდან დაწყებული, არ ჩაუტარებია მისდამი დაქვემდებარებულ საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა დოკუმენტალური რევიზია.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ უზრუნველჰყო ერთადერთი რევიზორ-ინსპექტორის შტატის შევსება და 1942-43 წლების განმავლობაში არ ჩაატარა დოკუმენტალური რევიზია არც ერთ საწარმოში იმ 30 საწარმოდან, რომლებიც მას ექვემდებარებიან.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ჯანსახკომის, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის, მიწსახკომის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, ცეკავშირის, სა-

რეწოო კავშირის, სხვა სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხაზითაც.

იმ გარემოებამ, რომ სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი სისტემატურ ფინანსიურ კონტროლს ვერ უწევდნენ სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვას მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმოებში და მთელი რიგი წლების მანძილზე არ ატარებდნენ დოკუმენტალურ რევიზიებს, მთელ რიგ შემთხვევებში ის შედეგი მოჰყვა, რომ დაუსჯელად ხდებოდა გაფლანგვა, მტაცებლობა და საფინანსო-სამეურნეო დისციპლინის დარღვევა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დავალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებსა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით:

ა) დაუყოვნებლივ აღმოფხვრან დოკუმენტალური რევიზიების შეუფასებლობა და ყველა შემთხვევაში უზრუნველჰყონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1936 წლის 15 აპრილს „დაწესებულებათა, საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და მშენებლობათა შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის შესახებ“ მიღებული № 708 დადგენილების მტკიცედ დაცვა, გააძლიერონ საფინანსო კონტროლი და წელიწადში ერთხელ მაინც მოახდინონ მათდამი დაქვემდებარებული ყველა დაწესებულების, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციისა და მშენებლობის დოკუმენტალური რევიზია;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩატარებული რევიზიების ხარისხს, რათა, სარევიზიო ობიექტის ყველა საკითხის ყოველმხრივ და ღრმად განხილვის შედეგად, მთლიანად იქნას გამოვლინებული ბოროტმოქმედებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევის ყველა ფაქტი;

გ) გაფლანგვებისა და მტაცებლობის გამოვლინების უკლებლივ ყველა შემთხვევაში გადასცენ მასალები დამნაშავეთა შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს და თვალყური ადევნონ სასამართლო ორგანოებში ამ საქმეთა მსვლელობას და სოციალისტური საკუთრების გამფლანგველთა ფაქტიურად დასჯას;

დ) დაუყოვნებლივ დააკომპლექტონ კონტროლიორ-რევიზორთა შტატები კვალიფიციური მუშაკებით როგორც სახალხო კომისარიატების აპარატებში, ისე დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

2. დაწესდეს, რომ შინასაუწყებო კონტროლს უნდა ხელმძღვანელობდნენ პირადად სახალხო კომისრები და საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში საფინანსო კონტროლის საქმის დაყენებისა და დოკუმენტალური რევიზიების ჩატარებისათვის.

3. დავალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ მიმდინარე 1944 წელს დო-

კომენტალური რევიზიების ჩატარება მათდამი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სარლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიების ჩატარების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საფინანსო კონტროლის ყოველმხრივ გაძლიერებას.

5. ვინაიდან საფინანსო კონტროლს დიდი მნიშვნელობა აქვს გაფლანგვებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მატერიალურ ღირებულებათა აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის საქმეში, ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) ნება დაგვრთოს გავადიდოთ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა აპარატის შტატი 40 კონტროლიორ-რევიზორით;

ბ) ნება დაგვრთოს გავუდიდოთ ხელფასის განაკვეთები საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა შინასაუწყებო კონტროლის რევიზორებს თვეში 1.000 მანეთამდე და უფროს რევიზორებს — 1.200 მანეთამდე;

გ) ნება დაგვრთოს მივცეთ ლიტერული მომარაგება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების და ცენტრალურ დაწესებულებათა კონტროლიორ-რევიზორებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 960

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში 1944 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 10.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაცვლად მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოსათვის იყო 10.600 სული ანუ გეგმის 103,9%, აქედან ძროხა და ფურ-კამეჩი — 101,8%, ხარი და ფურკამეჩი 84,5%.

ცხვარი და თხა ითვლებოდა 396 სული, ნაცვლად 525 სულისა ანუ გეგმის 75,4%, აქედან დედა-ცხვარი და თხა 69,6%, ღორი 1984 სული, ნაცვლად 1.450 სულისა, ანუ გეგმის 136,8%, მათ შორის დედა-ღორი 83,3%, ცხენი — 477 სული, ნაცვლად 445 სულისა ანუ გეგმის 107,2%, ფრინველი 4.334 ფრთა, ნაცვლად 3.750 ფრთისა ანუ გეგმის 115,6%, ფუტკარი 1824 ოჯახი, ნაცვლად 2.100 ოჯახისა ანუ გეგმის 86,8%.

1944 წლის 1 აგვისტოსათვის 2.087 სული ძროხისგან და უშობელისგან მიღებული და შენარჩუნებულია მხოლოდ 1.283 სული ხბო, 162 სული ფაშატისაგან — 62 კვიცი, 458 სული დედა-ღორისგან — 1.738 გოჭი, ანუ ყოველ ერთ დედა-ღორზე 3,7 სული გოჭი.

არადამაკმაყოფილებელია მეღორეობის განვითარების მდგომარეობა. რაიონის 44 კოლმეურნეობიდან დედა-ღორის სულადობის გეგმა არ აქვთ შესრულებული 29 კოლმეურნეობას, ხოლო საერთო სულადობის გეგმა—10 კოლმეურნეობას.

მოუგვარებელია ცხენის მოვლა-პატრონობის საქმე. ცხენები ფორმალურად გაპირონებული არიან მომვლელებზე, მაგრამ ფაქტიურად მეტწილად იმყოფებიან საძოვრებზე ყოველგვარი პატრონობის გარეშე.

ცუდი მდგომარეობაა პირუტყვის დაგრილების საქმეში. მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოსათვის დაგრილებულია ძროხისა და ფურ-კამეჩის მხოლოდ 34%, დედა-ღორის 42,3% და დედა-ცხენის 30,2%.

მეტად დაბალია ძროხის წველადობა. ა. წ. 1 აგვისტოსათვის საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიღებულია 161 ლიტრი რძე, ანუ გეგმის 30,4%.

მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობის შედეგად, წასაწველი ორი წლის მანძილზე რაიონის 44 კოლმეურნეობიდან ვერც ერთმა ვერ გაანაწილა შრომა-დღეებზე მეცხოველეობის პროდუქტები.

რაიონის კოლმეურნეობებში გავრცელებულია დაუშვებელი პრაქტიკა ფერმის მუშაკებისათვის ყოველდღიურად 2 ლიტრი რძის, ანდა 200 გრამი ყველის მიცემის სახით, რაც მთელ რიგ კოლმეურნეობებში რძის მთლიანი შემოსავლის თითქმის ნახევარს შეადგენს; გაცემული პროდუქცია არ ეთვლებათ შრომა-დღეების ანგარიშში.

არ ექცევა ყურადღება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, მაღალპროდუქტიული პირუტყვის შერჩევას, მისი ნამრავლით ჯოგის დაკომპლექტებას და წუნდების საქმეს.

მოუწესრიგებელია ჯიშიანი მწარმოებლებით დედაპირუტყვის დაგრილება, მეტისური თაობის აღრიცხვა და მისი მოვლა-გამოზრდა.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ მეფრინველეობის განვითარების საქმეს; ამ დარგისათვის არაა შექმნილი საკვები ბაზა, რის გამოც ძალზე დაბალია მეფრინველეობის პროდუქტიულობა. რაიონის 44 კოლმეურნეობიდან 200 ფრთა ფრინველი და მეტი ჰყავს მხოლოდ 4 კოლმეურნეობას, 11 კოლმეურნეობას სრულიად არ მოეპოვება ფრინველი. მოუგვარებელია კვერცხის გამოსავლიანობისა და მისი აღრიცხვის საქმე. ყველა ამის შედეგად მთელი რიგი კოლმეურნეობები კვერცხის სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებას ასრულებენ საბაზრო ფასებში კვერცხის შესყიდვით; ამავე დროს 1943 წელს ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაბარეს სახელმწიფოს კვერცხის ანგარიშში 34 სული და 1944 წელს 13 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

უყურადღებოდ არის დატოვებული მეფუტკრეობის განვითარების საქმე. რაიმეწვანში არ მოიპოვება არავითარი მასალები მეფუტკრეობის პროდუქტიულობაზე; შემოწმებულ კოლმეურნეობებში ძალზე უმნიშვნელოა თაფლის გამოსავლიანობა.

არ ექცევა სათანადო ყურადღება კოლმეურნეობათა პირადი სარგებლობის პირუტყვის მომრავლებას და უძროხობის ლიკვიდაციას. 1944 წლის 1 ივლისისათვის 7.167 საკოლმეურნეო კომლიდან არა ჰყავდა ძროხა 1.013 კომლს.

მეცხოველეობის ფერმების პირუტყვის საკვებს წარმოადგენს მხოლოდ უხეში საკვები—ჩალა და თივა. საკოლმეურნეო საქონელი არ არის უზრუნველყოფილი სათიბ-საძოვრებით. მივიწყებულია პროდუქტიული პირუტყვის წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის საქმე.

ლანჩხუთის რაიონის 12 კოლმეურნეობას ვანის რაიონში მათ-

ზე დამაგრებულ საზაფხულო საძოვრებზე სრულიად უკანონოდ ახდევინებდნენ ოჯარას ვანის რაიონის მილიციის წარმომადგენლები (ლ. საღარაძე, მომთაბარე ვეტფერშალი ტყეშელაშვილი). ეგრეთწოდებულ საძოვრების დაცვის მუშაკთა შესანახად ამ წლისით 1943 წლის განმავლობაში გადახდილი აქვთ კოლმეურნეობებს 48.804 მანეთი, რაც მთლიანად განაწილებულია მთის დაცვის ჯგუფის მუშაკთა შორის. ამავე დროს აღნიშნულ პირებს ვანის რაიონის კოლმეურნეობებში ეწერებოდათ შრომადღეები.

ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეობების ფერმებში შრომის ორგანიზაცია. ფერმის ყველა მუშაკს შრომადღეებს უწერენ გათანაბრებით, ადგილი აქვს სანარდო სისტემის გატარების უგულებელყოფას, მოუგვარებელია სოციალისტური შეჯიბრების საქმე.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ქაოსური მდგომარეობაა აღრიცხვა-ანგარიშწარმოების დარგში; არ აწარმოებენ პირუტყვის სულადობის მოძრაობის ჩანაწერებს; არ იცავენ წუნდების არსებულ წესებს; პირუტყვის დაღუპვაზე ადგენენ აქტებს ბრიგადირები, მწყემსები და ცალკეული პირები ზოოვეტერინარული პერსონალის გარეშე; ადგილი აქვს ყალბი აქტების შედგენასა და პირუტყვის განიავების ცალკეულ შემთხვევებს.

სოფ. ლესის ამხ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. დ. გოგიჩაიშვილი) არეულია პროდუქციის რეალიზაციისა და ფულადი შემოსავლის აღრიცხვა, განიავებულია 17 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 15 სული ღორი და 6.376 ლიტრი რძე.

სოფ. აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში განიავებულია 17 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 13 თხა.

სოფ. ორმეთის ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობაში დაუდეგრობის შედეგად დაიწვა ერთი ბოსელი და დაიღუპა 18 სული მუშასაქონელი.

სუფსის ვეტექიმმა ხორგაუნმა მიითვისა სოფ. ტაბანათის ძერჟინსკის სახ. კოლმეურნეობის ძროხა; ამავე დროს იგი ადგენს პირუტყვის დახოცვის ყალბ აქტებს, რითაც ხელს უწყობს საკოლმეურნეო საზოგადოებრივი პირუტყვის განიავებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას და რაიმიწგანის გამგეს ამხ. ლომაძეს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების საქმეში, გააძლიერონ საბოსფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, ფერმების გამგეების, ბრიგადირებისა და მწყემსების პასუხისმგებლობა პირუტყვის მოვლა-შენარჩუნებისა, დაგრილებისა, ნამატის მიღება-გამოზრდისა და პროდუქტიულობის გეგმის შესრულებისათვის.

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ცალკეულ ფერმებსა და ბრიგადებში მეცხოველეობის განვითარების სანელმწიფო გეგმის შესრულება, პირუტყვის მოვლა-პატრონობის მდგომარეობა და და-

სახონ კონკრეტული ღონისძიება ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მისცენ პასუხისგებაში ის პირნი, რომელთა დანაშაულებრივი მოქმედებით დაიხოცა და განიავდა პირუტყვი;

გ) შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში დედაპირუტყვის დაგრილების მდგომარეობა; გაბერწების მიზეზები, შედეგები მოისმინონ რაიაღმასკომის სხდომაზე და უზრუნველჰყონ დედაპირუტყვის მთელი სულადობის დაგრილება;

დ) უზრუნველჰყონ მეცხოველეობისაგან მიღებული პროდუქტების გადამუშავებისა და გამოყენების ზუსტი აღრიცხვა;

ე) აუკრძალონ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და ფერმის გამგეებს საკოლმეურნეო პირუტყვის გაყიდვა, დაკვლა, გაცვლა ზოოვეტკომისიების წუნდაუდებლად და რაიმიწგანის ნებართვის გარეშე;

ვ) კატეგორიულად აუკრძალონ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და ფერმის გამგეებს საკოლმეურნეო საზოგადოებრივ ფერმებიდან პირუტყვის გამოყვანა და დარიგება კოლწევრებზე პირად სარგებლობისათვის; გაცემული პირუტყვი დაუყოვნებლივ დაუბრუნონ კოლმეურნეობებს;

ზ) შეისწავლონ ყველა კოლმეურნეობაში ცალკეული ფერმების პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობის მიზეზები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი პროდუქტიულობის ზრდისათვის;

თ) მიიღონ საჭირო ზომები პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მაღალპროდუქტიული პირუტყვის შერჩევას, მისი ნამრავლით ჯოგის დაკომპლექტებას და წუნდების საქმეს;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვითეულ დედაღორიდან გეგმით დასახული ნამატის მიღებას და როგორც ძირითადი სულადობის, ისე ნამატის მთლიანად შენარჩუნებას;

კ) შეამოწმონ ცალკეულ კოლმეურნეობებში ცხენის სულადობის დახოცვის, ფაშატის გაბერწების მიზეზები.

უზრუნველჰყონ შესრულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 მაისის დადგენილებისა ცხენის გაპიროვნებისა და მისი მოვლის შესახებ;

ლ) ყურადღება მიაქციონ იხვისა და ბატის მომრავლებას, უზრუნველჰყონ ფრინველის სათანადო მოვლა და მიაღწიონ კვერცხის გამოსავლიანობის გადიდებას; აკრძალონ საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მეფრინველეობის ფერმებში პირადი სარგებლობის ფრინველის ყოლა;

მ) განახორციელონ ღონისძიებანი პროდუქტიული პირუტყვისათვის საკვები ბაზის შესაქმნელად, კერძოდ, საკვები ჭარხლის, გოგრისა და სხვ. კულტურების არანაკლებ 2-3 ჰექტარ ფართობ-

ზე დასათესად და ფერმის მუშაკთა ძალებით დასამუშავებლად.

ნ) განუმარტონ მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 14 ივნისის დადგენილება ამ ნაკვეთებზე მიღებული მოსავლის გამოყენების წესის შესახებ;

ო) უზრუნველჰყონ თვითეულ კოლმეურნეობაში უხეში საკვების დაგროვების 1944 წლის გეგმის შესრულება, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თივისა და ჩალის თავის დროზე აღებას, სათიბ-საძოვრების ფართობების გაუმჯობესებას, ჭაობების დაშრობის, მდინარეების წაპირების გამაგრების, ბუჩქნარებისაგან გაწმენდისა და სხვა ღონისძიებათა გატარებით;

პ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკოლმერნეო ფერმებში შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის საქმის მოწესრიგებას, გაატარონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ;

ჟ) ორი დეკადის ვადაში რაიაღმასკომის სხდომაზე დაამტკიცონ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობისა და შეკეთების 1944 წლის გეგმები;

2. ნება დაერთოს ლანჩხუთის რაიონის იმ კოლმეურნეობებს, სადაც არ მოიპოვება მუთხეობის ფერმებისათვის სათანადო პირობები, ნაცვლად მუთხეობის ფერმებისა მოაწყონ მეღორეობის ფერმები.

3. წინადადება მიეცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას და რაიმიწგანის გამგეს ამხ. ლომაძეს დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ფერმის მუშაკებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების გაცემის არასწორი პრაქტიკა და უზრუნველჰყონ, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, მეცხოველეობის პროდუქტების მთელი რაოდენობის შრომადღეებზე განაწილება.

4. დაევალოს რაიაღმსკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას განიხილოს ცალკეულ კოლმეურნეობებში საკითხი კოლწევრთა პირადი სარგებლობის პირუტყვის მომრავლების შესახებ 1944 წ. 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით და მიიღოს საჭირო ზომები კოლწევრთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის მომრავლებისა და უძროხობის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს რაიონული საექსკავატორო სადგურის დირექტორს ამხ. მარკეევიჩს დაუყოვნებლივ მოიყვანოს წესრიგში მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე არსებული ექსკავატორი და უზრუნველჰყოს 1945 წლის 1 თებერვლისათვის ლანჩხუთის რაიონში მდ. რიონის მარცხენა დამბის მშენებლობის დამთავრება 2,5 კილომეტრ სიგრძეზე.

კოლხიდმშენის უფროსმა ამხ. ლალიძემ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დააყენოს ეს სამუშაოები და მის შესას-

რულებლად ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს რაიონულ საექსკავატორო სადგურს.

წინადადება მიეცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას საჭირო რაოდენობის მუშახელი გაუყვანოს მდ. რიონის მარცხენა ნაპირის დაბების მშენებლობაზე მიწის სათანადო სამუშაოების შესასრულებლად, გამოჰყოს ტრანსპორტი და უზრუნველჰყოს სადგურ ლანჩხუთიდან საწვავი მასალის გადატანა ექსკავატორის შეუფერხებელი მუშაობისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. გომელაურს გამოუყოს ლანჩხუთის რაიაღმასკომს რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყიდან ტყესაკაფი 200 კუბ. მეტრი მერქნის დასამზადებლად საკოლმეურნეო მეცხოველეობის ბინების მშენებლობისა და შეკეთების საჭიროებისათვის.

7. დაევალოს ლანჩხუთის რაიაღმასკომს განიხილოს სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და მიიღოს საჭირო ზომები კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

8. ვანის რაიმიწგანის გამგეს ვ. გოგორიშვილს გამოეცხადოს საყვედური იმისათვის, რომ მან იცოდა საზაფხულო საძოვრების დაცვის ჯგუფის უფროსი საღარაძე და მომთაბარე ვეტფერშალი პ. ტყეშელაშვილი უკანონოდ ახდევინებდნენ როგორც ლანჩხუთის, ისე სხვა რაიონის მესაქონლეობის საკოლმეურნეო ფერმებს დიდ თანხებს, რასაც მან არა თუ ბოლო მოუღო, არამედ ხელიც კი შეუწყო უკანონოდ თანხების აკრეფას.

9. წინადადება მიეცეს ლანჩხუთისა და ვანის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ამხ. მანწკავას და ღვინიანიძეს დაუყოვნებლივ აკრძალონ საზაფხულო საძოვრების დაცვისათვის კოლმეურნეობების ფერმებიდან ფულის აღების დაუშვებელი პრაქტიკა და უზრუნველჰყონ 1944 წელს აღებული ფულის დაბრუნება.

10. წინადადება მიეცეს ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ღვინიანიძეს განიხილოს საკითხი ვეტფერშალ პ. ტყეშელაშვილის შესახებ, რომელიც ხელს უწყობდა საზაფხულო საძოვრების დაცვის ჯგუფის არასწორ მოქმედებას და თვითონაც უკანონოდ იღებდა თანხებს კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის ფერმებიდან.

11. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მოადგილეს მილიციის დარგში ამხ. ნაჭყებიას გამოიკვლიოს ვანის საზაფხულო საძოვრების დაცვის ჯგუფის უფროსის საღარაძის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი, მოხსნას იგი სამუშაოდან და მისცეს პასუხისგებაში.

12. დაევალოს ლანჩხუთის რაიაღმასკომს მოხსნას სამუშაოდან სუფსის უბნის ვეტექიმი ხორგუანი უბანში ვეტმომსახურეობის ჩაშლისა და ბოროტმოქმედების ჩადენისათვის.

13. წინადადება მიეცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას 1944 წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წერილობითი ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 961

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის თამბაქოს საფაბრიკო სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ

საქთამბაქოს ტრესტის თბილისის თამბაქოს საფაბრიკო სამმართველო აერთიანებს ტერიტორიულად განცალკევებულ თამბაქოს ორ საწარმოს. მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ასეთი სტრუქტურა საშუალებას უსპობს ტრესტს უშუალოდ უხელმძღვანელოს დამოუკიდებელ საწარმოებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის—ამხ. კეცხოველისა და საქთამბაქოს ტრესტის—ამხ. ავაქოვის წინადადება თამბაქოს საფაბრიკო სამმართველოს ლიკვიდაციისა და ქ. თბილისში ორი დამოუკიდებელი თამბაქოს ფაბრიკის № 1 (ჩელუსკინელთა ქ. № 18) და № 2 (კლარა ცეტკინის ქ. № 125) ორგანიზაციის შესახებ.

2. თბილისის № 1 და 2 თამბაქოს ფაბრიკების შტატი წარედგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას.

რეორგანიზაცია ჩატარდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საშტატო კომისიის დადასტურების მიღების შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 962

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წყალტუბოს რაიონში კოლმეურნეობათა და კოლწევრთა შორის ფულადი სახსრებისა და პროდუქტების უკანონოდ შეგროვების შესახებ

აღინიშნოს, რომ წყალტუბოს რაიონში ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარებასთან ერთად ადგილი ჰქონდა ფულადი სახსრებისა და პროდუქტების შეგროვების საქმეში მთელ რიგ სერიოზულ დამახინჯებებს.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად ნებადართულ პირველ და მეორე კვირაობას გარდა, წყალტუბოს რაიაღმასკომი სისტემატურად ატარებდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დასახმარებლად ფულადი სახსრებისა და პროდუქტების შეგროვებას.

1943 წელს ფულადი სახსრებისა და პროდუქტების შეგროვება ჩატარდა 5-ჯერ, ხოლო 1944 წელს—3 ჯერ. შეგროვილ იქნა: ფულად 890.000 მანეთი, 680 ფრთა ფრინველი, 27 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, 8500 ცალი კვერცხი, 40 ტონამდე ყველი, კვერცხი და სხვა პროდუქტები.

ფულსა და პროდუქტებს აგროვებდნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები კოლმეურნეობათა ბრიგადირების საშუალებით.

კოლმეურნეობების ბრიგადირები ღებულობდნენ დავალებას გარკვეული რაოდენობით ფულისა და პროდუქტების შეგროვების შესახებ, რასაც ანაწილებდნენ კოლწევრებზე და ახდევინებდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ისეთ ოჯახებსაც კი, რომლებსაც, პირიქით, ესაჭიროებოდათ დახმარების გაწევა.

ხშირად გაწერილი ფულისა და პროდუქტების შეგროვება ატარებდა სავალდებულო ხასიათს და როდესაც ესა თუ ის ოჯახი მიცემულ ვადაში ვერ შეიტანდა ფულს ან პროდუქტს, მას იძულებით ახდევინებდნენ.

მაგალითად, სამამულო ომში დაღუპულ რ. კუხიანიძის ოჯახს, რომელიც სოფ. მუხიანში ცხოვრობს, ცოლისა და ხუთი მცირეწლოვანი ბავშვისაგან შესდგება, ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად დააკისრეს 250 მანეთისა და ერთი ლიტრი ღვინის გადაადგილება; რადგან აღნიშნულმა ოჯახმა ვერ გადაიხადა შეწერილი თანხა, კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. კუხიანიძემ გაუყიდა მას ჭიშკრის ბოძი, რამდენიმე მორი, სარები და უღელი.

სამხედრო მოსამსახურე ქ. ქუთათელაძის ხელმოკლე ოჯახს, რომელიც სოფ. ჩუნეში ცხოვრობს და რომელსაც 4 მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, 1943 წელს გადაახდევინეს ფულად 150 მანეთი, ხოლო 1944 წელს 100 მანეთი, სიმინდი 1,5 კგ, 4 ლიტრი ღვინო და 4 ცალი კვერცხი.

სოფ. წყალტუბოში მცხოვრებ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს: ტ. ფირცხალავას, ს. ფირცხალავას, ვ. კუჭავას და სხვებს 1943 და 1944 წლებში გადაახდევინეს როგორც ფული, ისე სხვადასხვა-სამეურნეო პროდუქტები.

ფულადი სახსრებისა და პროდუქტების შეგროვება სწარმოებდა სათანადო აღრიცხვა-ანგარიშიანობის გარეშე. რაიაღმასკომს 1943 და 1944 წლების განმავლობაში პროდუქტების შეგროვებისა და გაცემის სისწორე არ შეუმოწმებია.

ადგილი ჰქონდა შეგროვილი პროდუქტებისა და ფულადი სახსრების არასწორად გაცემის ცალკეულ ფაქტებს.

ფულითა და პროდუქტებით ზოგჯერ დახმარებას უწევდნენ საკმაოდ უზრუნველყოფილ ოჯახებს.

შეგროვილ თანხებიდან დახარჯულია არადანიშნულებისამებრ 50.000 მანეთი, აქედან 10.000 მანეთი სასკოლო შენობის შესაკეთებლად და 40.000 მანეთი საცხოვრებელი სახლის შესაძენად, რომელიც დღემდე გამოუყენებელია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. კოლმეურნეობათა და კოლწევრთა შორის პროდუქტებისა და ფულადი სახსრების იძულებითი შეგროვების დაშვებისათვის წყალტუბოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბიბილეიშვილს გამოეცხადოს საყვედური, ხოლო მის მოადგილეს—სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახ. უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილების გამგეს ამხ. იოსელიანს — სასტიკი საყვედური.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ პროდუქტებისა და ფულადი სახსრების შეგროვება წყალტუბოს რაიონში უკვე შეწყვეტილია და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახ. უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებასთან მოსახლეობაში შეგროვილი პროდუქტების შესანახი სპეციალური საწყობი ლიკვიდირებულია, ხოლო საწყობში დარჩენილი პროდუქტები მიეცა სამხედრო მოსამსახურეთა ხელმოკლე ოჯახებს;

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ გამოიძიოს და მისცეს პასუხისგებაში სოფ. მუხიანის ამხ. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. კუხიანიძე სამხედრო მოსამსახურის ქ. კუხიანიძის ოჯახისათვის სარგებისა, ბოძებისა და მორგებით იძულებით ჩამორთმევისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 963

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის მოსამზადებელი მუშების ტანისამოსით, ფეხსაცმლითა და ლოგინის მოწყობილობით უზრუნველყოფის შესახებ, თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 21 ივლისის № 815-ს დადგენილებისა

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ მოსამზადებელი მუშების ტანისამოსით, ფეხსაცმლითა და ლოგინის მოწყობილობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. გორდეზიანს, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს — ამხ. ჭოხონელიძეს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ჯაბუას, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ბუკიას, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს, თბილისის საცივარკომბინატის დირექტორს ამხ. რისმანს უზრუნველჰყონ, რათა თვითეულ გაწვეულ მუშას, რომელიც სწავლას გადის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის, მიეცეს 1 ხელი სპეცტანისამოსი, 1 ხელი ტანისამოსი, 1 ხელი სპეცფეხსაცმელი, 2 ხელი შიდასაცვალი, 2 წყვილი წინდა, 2 პირსახოცი, ხოლო საერთო საცხოვრებლებში თვითეული მუშისათვის—2 ზეწარი, 2 ბალიშისპირი და ლოგინის მოწყობილობის კომპლექტი (ლეიბი, საბანი, ბალიში).

2. წინადადება მიეცეთ:

ა) სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს—ამხ. აბაიშვილს სარეწაო კავშირის სისტემის მიერ გამომუშავებული ქსოვილისაგან 1944 წლის 1 ნოემბრამდე შეკეროს და გადასცეს სახალხო კომისარიატებს, № 1 დანართის თანახმად, საზამთრო ტანისამოსი მუშე-

ბისათვის, რომლებიც სწავლას გადიან, — 773 საზამთრო ნახევარპალტო, 773 კომპლექტი შალნარევი გიმნასტურა და შარვალი და 773 ქუდი;

ბ) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — ამხ. რობაჭიძემ მისცეს 1944 წლის 1 სექტემბრამდე ამ დადგენილების № 1 დანართში ჩამოთვლილი სახალხო კომისარიატებს 773 წყვილი სამუშაო ფეხსაცმელი, აქედან 300 წყვილი — სპეცფეხსაცმლის III კვარტალის ფონდების ხარჯზე და 473 წყვილი — ა/წ 27 აგვისტოს და 17 სექტემბრის გამოსასვლელ დღეებში ფეხსაცმლის გამოშვების დავალების გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე;

გ) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — ამხ. რობაჭიძემ, „ტექსტილსბიტის“ საქკანტორამ — ამხ. მელიქოვმა, ტრესტ „საქმომარაგებამ“ — ამხ. კვანტალიანმა, შინსახკომის შრომაგასწორების კოლონიების სამმართველომ — ამხ. ოყუროშიძემ, სარეწაო კავშირმა — ამხ. აბაიშვილმა, საქინკოოპკავშირმა — ამხ. შაფაქიძემ, „რეზინოსბიტის“ საქკანტორამ — ამხ. შიხმანმა მისცენ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის მოსამზადებელი კადრების ნივთეული კმაყოფით უზრუნველსაყოფად საქონელი და მასალები № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველჰყონ გამოყოფილი საქონლისა და მასალების პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება და მიიღონ საჭირო ზომები საწარმოო ორგანიზაციების მეშვეობით სატანისამოსო ქსოვილის სათეთრეულო ქსოვილით შესაცვლელად.

3. დაევალოს „ტექსტილსბიტის“ საქკანტორას — ამხ. მელიქოვს ა/წ III კვარტალის ფონდების მიხედვით შემოსული ქსოვილიდან პირველ რიგში გასცეს კუთვნილი ბამბეული ქსოვილი იმ მუშების საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მზადდებიან ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, რომლებსაც უნდა მიეცეს საზამთრო ტანისამოსი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის მოსამზადებელი კადრების საჭიროების დასაკმაყოფილებლად

ორგანიზაციების დასახელება	კონტინგენტი
საქართველოს სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი	410
თბილისის საბჭო	99
ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი	80
საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატი	74
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	50
საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატი	60
ს უ ლ	773

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

გ ა ნ ა წ ი

მასალებისა და საქონლისა, რაც ეძლევათ საქართველოს სხრ სა-მუშაოების ნივთეული კმაყო

ორგანიზაციების დასახელება	ბ ა მ ბ ე უ ლ ი				მამაკაცის თეთრეუ
	სულ/ ჩასაბარებელია	ა ქ ე დ ა ნ			სულ/ ჩასაბარებელია
		საქმიანობაება	საქ. შინსაქმის ტრამა-გასწორ. კოლონია № 2	„ტექსტილსაბი-ტის“ საქ. კან-ტორა	
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატი	7380	—	3648	3732	820
თბილისის საბჭო	1782	1585	—	197	198
საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი	1440	—	1000	440	160
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენ. მასალათა მრეწვ. მთავარი სამმართველო	900	—	900	—	100
საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატი	1332	—	1000	332	148
საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი	1080	—	1080	—	120
თბილისის საცავარი	—	—	—	—	—
ს უ ლ	13914	1585 [1]	7628 [2]	4701 [3]	1546

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 24/VIII
№ 963 დადგენილების დანართი № 2

ᲓᲔᲑᲐ

ხალხო კომისარიატებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფის უზრუნველსაყოფად

ტრიკოტაჟის ლი (წყვილი)			მამაკაცის წინდები (წყვილი)			„რეზინოსტრის“ საქ. ანტორის (წყვილი)	საბნები საქ. სსრ მეფუძული მრეწვ. სახ. კომისარიატის (ცალი)	საბურნელი საბნის საქმარაზების საწუალებით (ქგ)	ბამბეული ძაფი საქმობა-რაების საწუალებით (ქილო)	ბრეზენტი საქმობარაგების საწუალებით (მეტრი)
აქედან				აქედან						
სარეწაო კავშირი	ინდოკავშირი	საქმობარაგება	სულ ჩასაბარებელია	სარეწაო კავშირი	კოოპინკავშირი					
500	180	140	820	394	426	820	—	410	861	1230
—	198	—	198	198	—	198	99	99	208	297
—	—	160	160	160	—	160	80	80	168	240
—	—	100	100	100	—	100	50	50	105	150
—	148	—	148	148	—	148	74	74	155	222
—	120	—	120	—	120	120	60	60	126	180
—	—	—	—	—	—	—	8	—	—	—
500	646	400	1546	1000	546	1546	371	773	1623	2319

[1] აქედან 53 ბალიშისპირი, 14 ზეწარი, 33 საბნის ზეწარი, 4 კომბინეზონი და 3 კომპლექტი კოსტუმი ბამბეულისა.

[2] საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გასაცემი რესურსების ხარჯზე.

[3] აქედან: 2000 მეტრი მარაგიდან III კვარტალის ფონდების ანგარიშში საქართველოს სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატისათვის განაცემის ჩარიცხვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 964

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს უფროსის ამხ. პ. გ. გელბახიანისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაენიშნოს 1944 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს უფროსს ამხ. პ. გ. გელბახიანს ხელფასის პერსონალური განაკვეთი 1.200 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როხტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 965

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთავსების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს უშუალო გამგებლობაში ქ. თბილისში, მახარაძის ქუჩაზე მდებარე სახლი № 14.

დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. კიკნაძეს მიიღოს აღნიშნული სახლი, შეაკეთოს იგი და მოათავსოს მასში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აპარატი.

2. დაევალოს თბილმშენის ტრესტის მმართველს ამხ. მორეტის დაუყოვნებლივ დასდოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან ხელშეკრულება მახარაძის ქუჩაზე მდებარე № 14 სახლის რემონტის შესახებ და შეუდგეს რემონტს იმ ანგარიშით, რომ მთელი სამუშაო დამთავრებულ იქნას 1944 წლის 10 ოქტომბრამდე.

3. დაევალოს:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. გორდეზიანს ერთი კვირის განმავლობაში გადმოგზავნოს საქტყემომარაგების ტრესტის სადგურ წნორის-წყალში არსებულ მარაგიდან ერთი ვაგონი დახერხილი მუხის მასალა საქმომარაგების ტრესტის მისამართით;

ბ) საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს ერთი თვის განმავლობაში დაამზადოს პარკეტის ქარხანაში 600 კვ. მეტრი მუხის პარკეტი და ჩააბაროს იგი თბილმშენის ტრესტს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სადგომის შესაკეთებლად;

გ) სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს ერთი კვირის განმავლობაში დაამზადოს არსებულ სელის ზეთიდან 600 კგ ნატურალური ოლიფა და 130 კილოგრამი მაღალხარისხოვანი სრესილი საღებავები და ჩააბაროს ისინი თბილმშენის ტრესტს;

დ) საქსოფლელექტროტრესტის მმართველს ამხ. თევოსიანს

დაამზადოს და ჩააბაროს მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე თბილმშენის ტრესტს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობის შესაკეთებლად 1.400 მეტრი საშუალო ზონარი.

4. ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. კიკნაძემ გამოჰყოს მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სადგომის რემონტისათვის საჭირო მასალების გადმოსაგზავნად 4 ვაგონი, აქედან 2 ვაგონი გამოუყოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მიაწოდოს 1 ვაგონი — სადგურ წნორისწყალზე ხე-ტყის მასალის გადმოსაგზავნად და 1 ვაგონი — სადგურ ხარაგოულში კირის გადმოსაგზავნად, ხოლო 2 ვაგონი გამოუყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს და მიაწოდოს სადგურ ცაიში ცარცის გადმოსაგზავნად.

5. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. გორდეზიანს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატს — ამხ. გიორგაძეს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს, თბილისის კანტორების მმართველებს: „გლავმეტალოსბიტისა“ — ამხ. მემარნიშვილს, „გლავხიმსბიტისა“ — ამხ. რუსიას, „გლაველექტროსბიტისა“ — ამხ. ბირიუკოვს, „გლავტექტილსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. მელიქოვს და საქმოთარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს დაუყოვნებლივ მისცენ თბილმშენის ტრესტს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობის რემონტის ჩასატარებლად მასალები და ნაწარმები, დანართის თანახმად.

6. როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს თბილმშენის ტრესტს შეიძინოს ნაღდ ანგარიშზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობის შესაკეთებლად მაღალხარისხოვანი საღებავები 10 ათასამდე მანეთის ღირებულებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

მასალებისა და საკაბელო ნაწარმისა, რაც გამოიყოფა ტრესტ „თბილმშენისათვის“ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობის სარემონტოდ

მასალებისა და საკაბელო ნაწარმის დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	დასახელება ორგანიზაციებისა, რომელთა მარაგიდან გამოიყოფა მასალები
დახერხილი ხე-ტყე . . .	კუბ. მ.	50	საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი, შემოზიდული ხე-ტყის მარაგიდან
სახურავი და მოთუთიებული რკინა	ტონა	1	„გლავმეტალოსბიტის“ თბ. კანტორა, საქ. სსრ ა/წ. IV კვ. ფონდის ანგარიშში
მილები გაზსადენი 2“ . .	სიგრძ. მეტ.	75	„ „
მილები გაზსადენი 1|2“ .	„	70	„ „
მილები თუჯისა 2“ . . .	„	100	„ „
ლიტოპონის ფხვნ. თეთრა კირი	კგ	850	„გლავბიმსბიტის“ თბ. კანტ.
	ვაგ.	1	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომის. ხარაგაულიდან
ცარცი	„	2	საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არს. სამშენ. მასალათა მრეწვ. მთავ. სამმართველო, ცაიშიდან
ბამბის ქსოვილი	მეტ.	300	„გლავტექსტილსბიტის“ საქართ. კანტ.
მ ი ნ ა	კვ. მ.	150	ტრესტი „საქმომარაგება“ საქ. სსრ სახკომსაბჭოს სარეზერვო ხარჯზე
მშრალი წებო	კგ	45	ტრესტი „საქმომარაგება“
მშრალი საღებავი	„	85	„ „
იზოლირებული სადენი კვეთ 95 კვ. მმ.	მტ.	110	„ „
„ კვეთ. 10 კვ. მმ .	„	220	„ „
„ „ 6 კვ. მმ	„	80	„ „
„ „ 4 კვ. მმ .	„	250	„ „
„ „ 2,5 კვ. მმ .	„	600	„ „
„ „ 1,5 კვ. მმ .	„	1200	„ „
ნახევარმჭრელი ბურთულ.	ცალი	15	„ „
მინიანი ლუკეტები . . .	„	41	„ „
სანათი საკიდები	„	10	„ „
პლაფონები	„	9	„გლაველექტროსბიტის“ თბ. კანტორა
გარე განათების არმატურა	„	4	„ „

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 966

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის მოსავლის საკვები ბალახების თესლის შესყიდვის გეგმის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

იმისათვის, რომ ნაწილობრივ შეცვლილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 26 ივლისის № 831 დადგენილება „1944 წლის მოსავლის საკვები ბალახების თესლის შესყიდვის გეგმის შესახებ“, გამოირიცხოს 1944 წლის მოსავლის საკვები ბალახების თესლის შესყიდვის გეგმიდან ბარდის თესლის შესყიდვა 800 ცენტნერის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 967

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 11 აგვისტოს № 1066 დადგენილება „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებსა და შესაბამის რაიაღმასკომებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 11 აგვისტოს დადგენილება და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანება „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ“ და აგრეთვე დამხმარე მეურნეობების მუშაკთა ნატურით წახალისების წესი დაუყოვნებლივ დაყვანილ იქნას საბჭოთა მეურნეობებამდე და დამხმარე მეურნეობებამდე, განხილულ იქნას ისინი ფართო საწარმოო თათბირებზე, ბრიგადებისა და რგოლების სხდომებზე და უზრუნველყოფილ იქნას დადგენილი წესის სწორი გამოყენება.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს—ამხ. ვ. მოლოტოვს ნება დაგვრთოს გავავრცელოთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 11 აგვისტოს № 1066 დადგენილება „სსრ კავშირის კვების

მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს სსრ მიწსახკომის ლიტონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობებზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

დადგენილება № 1066

1944 წლის 11 აგვისტო. მოსკოვი, კრემლი.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ბრძანება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ.

2. ნება დაერთოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს აწარმოოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კუთვნილი მარცვლის გაყიდვა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სხვა საბჭოთა მეურნეობების მიერ დამზადებათა სახალხო კომისარიატისათვის გასაცვლელ ფონდში მარცვლის ჩაბარების ხარჯზე.

დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს სიმინდის თავის დროზე მიცემა ჩაის საბჭოთა მეურნეობებისათვის გასაცვლელი ფონდის ხარჯზე.

3. გავრცელდეს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა დამხმარე მეურნეობებზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 ივნისის № 791 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის დამხმარე მეურნეობათა მუშაკების ნატურით წახალისების წესი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მოლოტოვი**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის
11 აგვისტოს № 1066 დადგენილებით

ბრძანება

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი

№ . . .

„ „ . . . . 1944 წელი ქალ. მოსკოვი

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში, მეცხოველეობის პროდუქტიულობის მატებასა და ზეგეგმური პროდუქციის მიღებაში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი მატერიალური დაინტერესების შექმნის მიზნით, ვბრძანებ:

ნება დაერთოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებს გამოიყენონ დაწესებული გეგმის გადაჭარბებით მიღებული პროდუქციის ერთი ნაწილი საბჭოთა მეურნეობების იმ მუდმივ და სეზონურ მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთათვის მისაყიდად წახალისების სახით, რომლებმაც მიაღწიეს გეგმის გადამეტებით შესრულებას.

კარტოფილი, ბოსტნეული და ვარდკაჭაჭა

2. კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს ზეგეგმური პროდუქციის გაცემა წახალისების სახით მუშათათვის მისაყიდად:

ა) კარტოფილისათვის —კარტოფილის ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი;

ბ) ბოსტნეული კულტურებისა, საკვები ძირხვენებისა და ვარდკაჭაჭასათვის:

ღია და დახურული გრუნტის ბოსტნეულის, საკვები ძირხვენებისა და ვარდკაჭაჭასათვის — ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი, ხოლო სატაცურის, სასალათე ნიახურის, რევანდის, კორნიშონების, პარკოსნებისა (მწვანე ბარდა, სატაცურაინი ლობიო, პარკოსნები—ლიმა) და შაქროვანი სიმინდისათვის—ზეგეგმური მოსავლის ნახევარი; ამასთან კუთვნილი რაოდენობა გაცემულ იქნას ბოსტნეულის ან კარტოფილის სახით, ხოლო ბოსტნეული სატაცური და სასალათე ნიახური გაიყიდოს ორმაგი რაოდენობით.

დახურული გრუნტის იმ მუშათათვის, რომლებმაც მიაღწიეს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, ღია გრუნტის ბოსტნეული მიეყიდოს ორმაგი რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ბოსტნეული კულტურების, საკვები ძირხვენებისა და ვარდკაჭაჭას სათესლეებისათვის:

კომბოსტოს თესლის ყოველი ზეგეგმური კილოგრამისათვის— 20 კილოგრამი ბოსტნეული;

სუფრისა და საკვები ჭარხლის, ვარდკაჭაჭას, სტაფილოს, თვის ბოლოკის, ბოლოკის, თალგამის, თალგამურის, სალათისა და საფოჩე ხახვის თესლის ყოველი ზეგეგმური კილოგრამისათვის — 5 კილოგრამი ბოსტნეული;

კიტრისა და პომიდორის თესლის ყოველი ზეგეგმური კილოგრამისათვის — 10 კილოგრამი ბოსტნეული;

კვიშუა ხახვის ყოველი ზეგეგმური ცენტნერისათვის—45 კილოგრამი ბოსტნეული.

ხილისა და კენკრის კულტურები

3. ხილ-კენკრის კულტურების მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს, რომ ზეგეგმური პროდუქცია წასახალისებლად მიეყიდება ხილისა და კენკრის ნარგავების მოვლაზე დასაქმებულ მუშებს შემდეგი ოდენობით:

ა) **მსხმოიარე ბაღისა** — ხილის ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი;

ბ) **საკენკრისა** — კენკრის ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი;

გ) **არამსხმოიარე ბაღისა და საკენკრისა** — აგროტექნიკით დაწესებული ყველა საგეგმო სამუშაოს თავის დროზე და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და ნარგავების მთლიანად შენარჩუნებისათვის — თვითეულ ჰექტარ არამსხმოიარე ბაღსა და საკენკრეში მიეყიდოთ 15 კგ ხილი და კენკრა;

დ) **ციტრუსოვანი კულტურებისა** — ციტრუსოვანთა ნაყოფის ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი;

ე) **სუბტროპიკული კულტურებისა** (ლეღვი, ზეთისხილი, ბროწეული, ხურმა და სხვ.) — ზეგეგმური მოსავლის მესამედი ნაწილი, ამასთან კუთვნილი რაოდენობა მიეცემათ სხვა კულტურების ხილით სამმაგი ოდენობით;

ვ) **სანერგეებისა** — თვითეულ ზეგეგმურ ათას სტანდარტულ საძირეში: არანაყგუთი — 15 კგ ხილი, ხოლო ნაყგუთი — 30 კგ ხილი;

თვითეულ ზეგეგმურ ათას გახარებულ ნამყნობში, რომელიც მიღებულია გვიანი შემოდგომის რევიზიის აქტით 100 კგ ხილი;

ერთწლოვანი თვითეულ ზეგეგმურ ათას სტანდარტული ხი-

ლის ნერგში — 120 კგ ხილი და ორწლოვან ნერგში — 200 კგ ხილი:

თვითეულ ზეგეგმურ ათას სტანდარტულ ერთწლოვან ნერგს მოცხარსა და ხურტკმელაში — 50 კგ კენკრა ან ხილი, ხოლო ორწლოვან ნერგში — 75 კგ.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ხილისა და კენკრის მიყიდვა შესცვალონ ბოსტნეულით, კარტოფილით ან ხილ-კენკრის ღვინით შემდეგი ანგარიშით: 1 კგ ხილი და კენკრა, 4 კგ ბოსტნეული ან კარტოფილი ან 0,5 ლიტრი ხილ-კენკრის ღვინო.

მევენახეობა

4. ყურძნის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს, რომ ზეგეგმური ყურძენი წასახალისებლად მიეყიდება მევენახეობაში დასაქმებულ მუშებს შემდეგი ოდენობით:

ა) **საექსპლოატაციო ვენახისა** — ზეგეგმური მოსავლის ერთი მეოთხედი ნაწილი;

ბ) **კვალსათბურის სანერგისა** — გეგმის ზევით მოყვანილ თვითეულ ათას ერთწლოვან ნერგში მუშებს მიეყიდოთ 40 კგ ყურძენი;

გ) **ნამყენი სანერგისა**—გეგმის ზევით მიღებულ თვითეულ ათას ნამყენ ერთწლოვან ნერგში მიეყიდოთ 30 კგ ყურძენი;

დ) **საკუთარფესვიანი სანერგისა** — გეგმის ზევით მიღებულ თვითეულ ათას ერთწლოვან საკუთარფესვიან ნერგში მიეყიდოთ 15 კგ ყურძენი; გეგმის ზევით მიღებულ თვითეულ ათას ორწლოვან საკუთარფესვიან ნერგში მიეყიდოთ 25 კილოგრამი ყურძენი.

საბჭოთა მეურნეობების ვენახებში დამზადებულ და აქტით მაღალი შეფასებით ჩაბარებულ პინოფრანის, შარდონის, ტრამინერის, სოვინიონის, მუსკატის ჯიშების ყურძნის თვითეულ ათას კალამში—მიეყიდოთ 1,5 კგ ყურძენი;

ე) **არამსხმოიარე ვენახისა**—აგროტექნიკით დაწესებული ყველა საგეგმო სამუშაოს თავის დროზე და კეთილხარისხოვნად შესრულებისათვის თვითეულ ჰექტარ არამსხმოიარე ვენახში მიეყიდოთ 30 კგ ყურძენი საბჭოთა მეურნეობის ზეგეგმურ მოსავლიდან, ხოლო იმ ვენახიდან, რომელიც მსხმოიარე ხდება, 50 კგ თვითეულ ჰექტარში ზეგეგმურ მოსავლიდან.

უფლება მიეცეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ყურძნის მიყიდვა შესცვალოს ბოსტნეულით, კარტოფილით ანუ ნატურალური ღვინით შემდეგი ანგარიშით: 1 კგ ყურძენი, 4 კგ ბოსტნეული ან კარტოფილი ან 0,6 ლიტრი ყურძნის ღვინო.

5. ჩაის კულტურისა და ტუნგოს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის წასახალისებლად მიეყიდოთ სიმინდი ჩაის კულტურისა და ტუნგოს დამუშავებაზე დასაქმებულ მუშებს შემდეგი ოდენობით

(კილოგრამობით)

	მუშას	გაწყვეტილების ადგილობრივ მეპენსიოს, ბუხჰალტერს	სამკითხა მეურნეობის დირექტორს, მთავარ აგრონომს, მთავარ ბუხჰალტერს, უფროს მექანიკოსს
ჩ ა ი			
თვითეულ ზეგეგმურ ცენტნერ მწვანე ჩაის ფოთოლში			
I ხარისხისა	100	3,0	0,6
II „	75	2,5	0,4
III „	20	0,6	0,1
ჩაის თვითეულ ჰექტარ დამუშავებულ ნორჩ ფოთლებდაუკრეფავ პლანტაციაში, როცა მოვლის ყველა სამუშაო თავის დროზე და ხარისხოვნად არის ჩატარებული და მცენარე მთლიანად არის შენარჩუნებული	50	2,0	1,0
ტ უ ნ გ ო			
ზეგეგმური მოსავლიანობის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ ტუნგოს ნაყოფში	50	1,5	0,3
ტუნგოს თვითეულ ჰექტარ კეთილხარისხოვან და თავის დროზე დამუშავებულ ნორჩ არამსხმოიარე პლანტაციაში	35	1,0	1,5

სვია

6. სვიის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და ახალი არამსხმოიარე სვიის პოსტნების დროული და ხარისხობრივი დამუშავებისათვის დაწესდეს, რომ წასახალისებლად მიეყიდება მესვიეობაში დასაქმებულ მუშებს მარცვალი საბჭოთა მეურნეობის პროდუქციიდან შემდეგი ოდენობით:

ა) მსხმოიარე პლანტაციებში სვიის გაშენების მეორე წლიდან გეგმის გადაჭარბებით მიღებული ხმელი სვიის ყოველ ცენტნერში—6 ცენტნერი მარცვალი;

ბ) სვიის ახალი არამსხმოიარე პლანტაციების ერთი ჰექტარის

დროულ და ხარისხობრივ გაშენებასა და დამუშავებაში (შემოდგომისათვის შენარჩუნებულ ყოველ 4 ათას ცალ კალმში) — 6 ცენტნერი მარცვალი;

გ) სვიის ბოსტნის ჰექტარზე შპალერის მოწყობაში (ბოძების დამზადების, მიზიდვის, მათი დასობისა და მავთულის გადაჭიმვის გათვალისწინებით)—4 ცენტნერი მარცვალი.

უფლება მიეცეს სვიის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მარცვლის გაყიდვა შესცვალონ საბჭოთა მეურნეობის გეგმის ზევით მიღებული სხვა სახის პროდუქციით (ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილით).

თამბაქო და წეკო

7. თამბაქოს, წეკოსა და წეკოს თესლის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს, რომ წასახალისებლად მიეყიდება თამბაქოსა და წეკოზე დასაქმებულ მუშებს თამბაქო—წეკოს ფაბრიკული ნაწარმი, ბოსტნეული და კარტოფილი შემდეგი ოდენობით:

ა) გეგმის გადაჭარბებით აღებული და საბჭოთა მეურნეობის საწყობებში ჩაბარებული თამბაქოს თვითეულ ცენტნერში—10 კილოგრამი ფაბრიკული თამბაქო და 140 კილოგრამი ბოსტნეული ან კარტოფილი;

ბ) გეგმის გადაჭარბებით აღებულ და საბჭოთა მეურნეობის საწყობებში ჩაბარებულ წეკოს ყოველ ცენტნერში—10 კილოგრამი ფაბრიკული წეკო და 65 კილოგრამი ბოსტნეული ან კარტოფილი;

გ) გეგმის გადაჭარბებით აღებულ და საბჭოთა მეურნეობის საწყობებში ჩაბარებულ კონდიციურ წეკოს თესლის ყოველ ცენტნერში—15 კილოგრამი ფაბრიკული წეკო და 110 კილოგრამი ბოსტნეული ან კარტოფილი.

ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ბოსტნეულის ან კარტოფილის ნაკლებობის შემთხვევაში მათი მიყიდვა მუშებისათვის შესცვალოს მარცვლით შემდეგი ანგარიშით: 1 კილოგრამი მარცვალი 4 კილოგრამ ბოსტნეულში თუ კარტოფილში.

ეთერ-ზეთოვანი კულტურები

8. ეთერ-ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს, რომ მარცვალი მიეყიდება მუშებს საბჭოთა მეურნეობის პროდუქციიდან შემდეგი ოდენობით:

ა) **დამასკოს ვარდი** — ვარდის ფურცლის ყოველ ზეგეგმურ ცენტნერში—150 კილოგრამი მარცვალი;

ბ) **ლავანდ-ვერა**—ყვავილედის ყოველ ზეგეგმურ ცენტნერში—75 კილოგრამი მარცვალი;

გ) **ჭინძი, კვლიავი, ანისული და პიტნა**—თესლის ყოველ ზეგეგმურ ცენტნერში—75 კილოგრამი მარცვალი;

დ) **ჯავზის სალაბი, საიუბილეო რეჰანი და ვარდისფერი გერა-**

ნიუმი — ყვავილედისა (სალაბისა) და დანარჩენი მწვანედ ჩაბარებული კულტურების ყოველ ზეგეგმურ ცენტნერში—50 კილოგრამი მარცვალი;

ე) ზაფრანა—ნედლი ზაფრანის ყოველ ზეგეგმურ კილოგრამში 1 ცენტნერი მარცვალი;

ვ) ნერგები—დაწესებულ ვადებში გეგმის გადაჭარბებით მიღებულ სტანდარტული ხარისხის ეთერ-ზეთოვანი კულტურების ყოველ ათას მაჭის ნერგში:

გერანიუმი	— 6	კილოგრამი მარცვალი
რეჰანი	— 2	" "
ვარდი	—12	" "
ლავანდი	— 4	" "

მარცვლოვანი, ზეთოვანი და საკვები კულტურები

9. მარცვლოვანი, ზეთოვანი და საკვები კულტურების მოსავლიანობის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს, რომ ზეგეგმური პროდუქცია წასახალისებლად მიეყიდება მემინდვრეობაში დასაქმებულ მუშებს შემდეგი ოდენობით:

ა) **მარცვლოვანი კულტურები და ბრინჯი**—მარცვლის ზეგეგმური მოსავლის ერთი მეოთხედი ნაწილი;

ბ) **ლუდსახდელი ქერი**—ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი ქერის შეცვლით ჩვეულებრივი მარცვლით;

გ) **ზეთოვანი კულტურები**—თესლის ზეგეგმური მოსავლის ერთი მეხუთედი ნაწილი;

დ) საკვები კულტურები (ნათესი ბალახები, ბუნებრივი სათიბები)—ზეგეგმური მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი.

შაქრის ჭარხალი

10. შენარჩუნებულ იქნას მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობების მუშათა ხატურალური დაჯილდოების არსებული სისტემა:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 16 თებერვლის № 212 დადგენილებით დაწესებული შაქრის გაყიდვის ნორმები და პირობები;

ბ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 10 მაისის № 864 დადგენილებით დაწესებული სეზონურ მუშათათვის შარცვლის მიყიდვის ნორმები და პირობები.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს, რომ წასახალისებლად შაქარი მიეყიდება განყოფილებათა მმართველებს, აგრონომებსა და ბუხჰალტრებს. 10 გრამი შაქარი—გეგმის გადაჭარბებით მიღებული საფაბრიკო ჭარხლის ყოველ ცენტნერში, 15 გრამი შაქარი—გეგმის გადაჭარბებით კაგატებად დაწყობილი სადედე ჭარხლის ცენტნერში, 30 გრამი—გეგმის გადაჭარბებით მიღებული ჭარხლის თესლის ყოველ ცენტნერში, მაგრამ არაუმეტეს 20 კილოგრამი შაქრისა თვითეულს.

საბჭოთა მეურნეობების (შაქრის კომბინატების) დირექტორებს, მთავარ აგრონომებს, მეთესლე აგრონომებს, მთავარ მექანიკოსებს, მთავარ ბუხჰალტრებსა და ენტომოლოგებს—5 გრამი შაქარი შაქრის ქარხანაში გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებული ფაბრიკო ჭარხლის ყოველ ცენტნერში, 8 გრამი შაქარი—გეგმის გადაჭარბებით კაგატებად დაწყობილი სადედე ჭარხლის ყოველ ცენტნერში და 20 გრამი შაქარი—გეგმის გადაჭარბებით მიღებული ჭარხლის თესლის ყოველ ცენტნერში, მაგრამ არაუმეტეს 40 კილოგრამის შაქრისა დირექტორებსა და უფროს აგრონომებს და არაუმეტეს 30 კილოგრამისა—მეთესლე აგრონომებს, მთავარ მექანიკოსებს, მთავარ ბუხჰალტრებსა და ენტომოლოგებს.

11. წახალისების სახით გასაყიდად გამოყოფილი პროდუქციის განაწილება მუშათა შორის წარმოებულ იქნას მემინდვრეობაში, მებოსტნეობაში და მევენახეობაში, ეთერზეთოვანი, ჩაისა და სხვა კულტურების დარგში მუშაობისათვის დარიცხული ხელფასის პროპორციულად, მაგრამ არაუმეტეს 2 ცენტნერი მარცვლისა (ხოლო ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისათვის—არაუმეტეს 5 ცენტნერისა), 0,75 ცენტნერი ზეთოვანი კულტურებისა, 5 ცენტნერი კარტოფილისა, 3 ცენტნერი ბოსტნეული კულტურებისა, 1,2 ცენტნერი ხილისა, კენკრისა და ყურძნისა და 0,75 ცენტნერი ციტრუსოვანი ნაყოფებისა წელიწადში თვითეულისათვის.

12. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 19 აპრილის № 697, 1942 წლის 18 აგვისტოს № 1395 და 1942 წლის 22 სექტემბრის № 1570 დადგენილებებითა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 26 აპრილის № 8527-გ განკარგულებით დაწესებული ნატურალური წახალისების მიცემა მარცვლად ტრაქტორისტებისა, კომბაინერებისა და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებისათვის წარმოებულ იქნას ავანსის სახით, იმ ანგარიშით, რომ მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ დამატებით მიეყოდება ზეგეგმურ პროდუქციიდან ამ ბრძანების შესაბამისად.

13. დაწესდეს მემინდვრეობის, მებაღეობისა და მევენახეობის პროდუქციის მიყიდვა შემდეგი ოდენობით:

განყოფილებათა მმართველების, აგრონომებისა და ბუხჰალტრებისათვის — განყოფილების მიერ მიღებული ზეგეგმური მოსავლის 1%-ის რაოდენობით თვითეულს, მაგრამ არაუმეტეს 3 ცენტნერი მარცვლისა, 1 ცენტნერი ზეთოვანი კულტურებისა, 7 ცენტნერი კარტოფილისა, 4 ცენტნერი ბოსტნეულისა, 2 ცენტნერი ხილისა, კენკრისა და ყურძნისა და 1 ცენტნერი ციტრუსოვანი ნაყოფებისა წელიწადში თვითეულს.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, დირექტორთა მოადგილეების, უფროსი აგრონომების, მეთესლე აგრონომების, უფროსი მექანიკოსებისა და მთავარი ბუხჰალტრებისათვის—0,5% თვითეულს, მაგრამ არაუმეტეს 4 ცენტნერი მარცვლისა, 1,5 ცენტნერი ზეთოვანი კულტურებისა, 10 ცენტნერი კარტოფილისა, 6 ცენტნერი ბოსტნეულისა, 2,5 ცენტნერი ხილისა, კენკრისა და ყურძნისა და 1,5 ცენტნერი ციტრუსოვანი ნაყოფებისა წელიწადში.

14. დაწესდეს, რომ ზეგეგმური პროდუქცია წასახალისებლად მიეყიდება მეცხოველეობაში ჩაბმულ სპეციალისტთა და მეურნეობების სასუქი პუნქტების მუშებს, რომლებმაც მიაღწიეს გეგმების გადაჭარბებით შესრულებას მათზე მიმაგრებული პირუტყვის ჯგუფების ხაზით, შემდეგი ოდენობით:

ა) მწველელს მიეყიდოს დაწესებული თვიური გეგმის გადაჭარბებით მოწველილი რძის მეხუთედი ნაწილი, მეწველი ჯოგის მესაქონლეებს—მეათედი ნაწილი და ბრიგადირებს—მეოცედი ნაწილი. რძის მიყიდვა წარმოებულ იქნას მიმაგრებული სულადობის სრული შენახვა-შენარჩუნების პირობებში;

ბ) პროფილაქტორიის მეხბორეს მიეყიდოს სამ-სამი ლიტრი რძე პროფილაქტორიიდან ჩაბარებული ყოველი ხბოსათვის თვის განმავლობაში ხბოების სრული შენახვა-შენარჩუნების პირობებში, ხოლო ყველა ხბოს სრული შენახვა-შენარჩუნებისათვის წლის განმავლობაში 50 სულზე—20 კილოგრამი ხორცი და 100-ზე მეტ სულზე—40 კილოგრამი ხორცი;

გ) ძუძუს ხბოების მეხბორესა და მოზარდეულის მომვლელ მესაქონლეს ხორცი მიეყიდოს გეგმაზე გადაჭარბებით მიღებული ნამატის ერთი მეათედი ნაწილის რაოდენობით თვის განმავლობაში ყველა მიმაგრებული ხბოს სრული შენახვა-შენარჩუნების პირობებში, ხოლო ყველა ხბოს სრული შენახვა-შენარჩუნებისათვის წლის განმავლობაში—დამატებით 40 კილოგრამი ხორცი;

დ) იალაღებსა და ბაგაზე პირუტყვის გამსუქებელ მესაქონლეს ხორცი მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით მიღებული ნამატის ერთი მეათედი ნაწილის რაოდენობით, თვის განმავლობაში სულადობის სრული შენახვა-შენარჩუნების პირობებში. გარდა ამისა, სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტში ჩაბარებულ მეტად ნაპატიებ, ბაგაზე ან იალაღზე გასუქებულ ყოველ სულზე მიეყიდოს 2 კილოგრამი ხორცი, ხოლო საშუალო სიმსუქნის ყოველ სულზე—1 კილოგრამი ხორცი;

ე) მწარმოებელი ხარების მომვლელ მესაქონლეს მიეყიდოს სამ-სამი კილოგრამი ხორცი ყოველთვიურად ყოველ მწარმოებელზე მწარმოებელთა სრული შენახვა-შენარჩუნებისა და მათი სანაშენო სიმსუქნით შენახვის პირობებში;

ვ) გარდა ამისა, ძროხების დაგრილების დაწესებული გეგმის შესრულებისათვის ძროხების სულ ცოტა 90%-ის სიმაკის გამოვლინების დროს, მესაქონლეს მიეცეს 40 კილოგრამი ხორცი, თუ იგი უვლის რამდენიმე მწარმოებელს და 20 კილოგრამი, თუ უვლის 1 მწარმოებელს;

ზ) მოზარდეულის გამომზრდელ ბრიგადირს მიეყიდოს ყოველთვიურად 10 კილოგრამი ხორცი ფერმაში მოზარდეულის სრული შენახვა-შენარჩუნების პირობებში, ხოლო მოზარდეულის გამოზრდის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის წლის დამლევს მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით გამოზრდილ ყოველ ხბოზე ხუთ-ხუთი კილოგრამი ხორცი;

თ) ჩობანთა ბრიგადას მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით ნაპარ-

სი ფარის მატყლის 8-10% და ძუძუზე მოწყვეტის მომენტამდე ბატკნების გამოზრდის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით გამოზრდილი ყოველი მეოთხე ბატკანი;

გარდა ამისა მიეყიდოს სამ-სამი ცხვარი ბრიგადაზე მომაგრებული ყოველი ასეული ცხვრისათვის ფარაში წლის განმავლობაში ცხვრის შენახვა-შენარჩუნების პირობებში. სულადობის დანაკარგთა შემთხვევაში შესაბამისად შემცირდეს მისაყიდი ცხვრის რაოდენობა;

თ) ორი თვის ასაკამდე გოჭებიანი დედაღორების მომვლელ მეღორეს მიეყიდოს ყოველი მერვე გოჭი, ხოლო 4 თვის ასაკამდე გოჭებიანი დედაღორების მომვლელ მეღორეს—გეგმის გადაჭარბებით მიღებული და ჩაბარებული ყოველი მეხუთე გოჭი;

ი) კერატების მომვლელ მეღორეს მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით მეღორეობის ფერმაში მიღებული ყოველი ოცდამეათე გოჭი;

კ) ძუძუს მოწყვეტილი გოჭების მომვლელ მეღორეს მიეყიდოს რვა-რღვა კილოგრამი ხორცი ყოველთვიურად ზეგეგმური ნამატის ყოველ ცენტნერზე, ხოლო სასუქი ღორის სულადობის მომვლელ მეღორეს—ხუთ-ხუთი კილოგრამი ხორცი;

ლ) ორი თვის ასაკამდე გოჭებიანი დედაღორების მომვლელ ბებით მეღორეობის ფერმაში მიღებული ყოველი ოცდამეათე გოჭი. ხოლო ოთხი თვის ასაკამდე გოჭებიანი დედაღორების მომვლელ ბრიგადირს დაწესებული გეგმის გადაჭარბებით მიღებული ყოველი მეთხუთმეტე გოჭი;

მ) საბჭოთა მეურნეობების მეცხენეობის ფერმების სადედე ბრიგადის მეჯინიბეს მიეყიდოს ოც-ოცი კილოგრამი ხორცი გეგმის გადაჭარბებით გამოზრდილ ყოველ კვიცზე, ხოლო მეჯოგეს —ათ-ათი კილოგრამი ხორცი;

ნ) მოზარდეულის მომვლელ მეჯინიბეს მიეყიდოს ყოველთვიურად 0,2 კილოგრამი ხორცი ყოველ კვიცზე თვის განმავლობაში სულადობის სრული შენახვა-შენარჩუნების პირობებში;

ო) მწარმოებელ-ულაყთა მომსახურე მეჯინიბეს მიეყიდოს ყოველთვიურად ორ-ორი კილოგრამი ხორცი ყოველ მწარმოებელ ულაყზე, ყველა მწარმოებელი ულაყის სრული შენარჩუნებისა და მათი სანაშენო სიმსუქნით შენახვის პირობებში. გარდა ამისა, დაგრილებული დედაცხენების 80%-ის სიმაკის გამოვლინებისას მეჯინიბეს მიეცეს 20 კილოგრამი ხორცი.

პ) მეჯინიბე-ბრიგადირს მიეყიდოს სამ-სამი კილოგრამი ხორცი გეგმის გადაჭარბებით გამოზრდილ ყოველ კვიცზე, ხოლო მეჯოგე ბრიგადირს—ორ-ორი კილოგრამი ხორცი;

ჟ) მეჯინიბეებს ხორცი მიეყიდოს პირუტყვის ზეგეგმური სულადობის ხარჯზე;

რ) საბჭოთა მეურნეობის მეფრინველეს მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით მიღებული კვერცხის 5%, დირექტორს, უფროს ზოოტექნიკოსსა და უფროს ვეტექიმს—0,6%, გამოსავალი სულადობის გეგმის შესრულების პირობებში.

15. ჩუპახოვის, პივნენკოვის, შამრაევის, ხმელევიკის, რამონსკის, ანანიევის, ტროიცკის, ზემო-პოდოლიანსკის, პრავდის, „აკრა“, „პროგრესის“, ენგელსის სახელობისა და „უშაკის“ საკოლმეურნეოებში ნატურალური დაჯილდოების ოდენობა მსხვილფეხა რქიანი საკონტროლო პირუტყვის მოგლისათვის დიდდება 10%-ით.

16. მეცხოველეობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გასაყიდად გამოყოფილი პროდუქცია მუშათა შორის განაწილდეს ხელფასის პროპორციულად, მაგრამ არაუმეტეს 35 ლიტრი რძისა და 4 კილოგრამი ხორცისა თვეში, 2 გოჭისა 2 თვის ასაკამდე, 2 ბატკნისა, 1 ცხვრისა, 10 კილოგრამი მჭიდე მატყლისა და 300 კვერცხისა წელიწადში.

თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მეცხოველეობაში გასაყიდად კუთვნილი ზეგეგმური პროდუქციის 50% მიეცეს მეცხოველეობის მუშებს საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ, ხოლო დანარჩენი 50%—კვარტალის დამთავრების შემდეგ, კვარტალში წარმოებული მუშაობის შედეგების მიხედვით.

17. საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, უფროს ზოოტექნიკოსსა და უფროს ვეტექიმს წახალისების სახით მიეყიდოს თვიური გეგმის გადაჭარბებით მონაწველი რძის თითო პროცენტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოს-სელექციონერს, მთავარ ბუხჰალტერსა და უფროს აგრონომს—0,5% თვითეულს.

18. საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, უფროს ზოოტექნიკოსსა და უფროს ვეტექიმს მიეყიდოს ხორცის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულებისათვის, გამოსავალი სულადობის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში, თითო ცენტნერი ხორცი, ხოლო საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოს-სელექციონერს, მთავარ ბუხჰალტერსა და უფროს აგრონომს—60 კილოგრამი ხორცი თვითეულს.

19. საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, უფროს ზოოტექნიკოსსა და უფროს ვეტექიმს მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით ნაპარსის ორ-ორი პროცენტი მჭიდე მატყლი, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ზოოტექნიკოს-სელექციონერს, მთავარ ბუხჰალტერსა და აგრონომს—1% თვითეულს.

20. ფერმის მმართველს, ზოოტექნიკოსსა და ვეტტექნიკოსს მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით ნაწველი რძის ორ-ორი პროცენტი, ხოლო ფერმის ბუხჰალტერსა და აგრონომს—0,5% თვითეულს.

21. ფერმის მმართველს, ზოოტექნიკოსსა და ვეტტექნიკოსს წლის დამლევს მიეყიდოს 50 კილოგრამი ხორცი, ხოლო ფერმის ბუხჰალტერსა და აგროტექნიკოსს—30 კილოგრამი ხორცი თვითეულს ხორცის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულებისათვის, გამოსავალი სულადობის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში.

22. ფერმის მმართველს, ზოოტექნიკოსსა და ვეტტექნიკოსს მიეყიდოს გეგმის გადაჭარბებით ნაპარსის 2% მჭიდე მატყლი, ხოლო ფერმის ბუხჰალტერსა და აგრონომს—1% თვითეულს.

23. მეცხოველეობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათ-

ვის კუთვნილი პროდუქცია მიეყიდოს ფერმის მმართველს, ზოოტექნიკოსს, ვეტტექნიკოსს, აგროტექნიკოსსა (აგრონომსა) და ბუხჰალტერს არაუმეტეს 50 ლიტრი რძისა თვეში და არაუმეტეს 12 კილოგრამი მჭიხე მატყლისა წელიწადში, ხოლო საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, უფროს ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, მთავარ ბუხჰალტერსა და უფროს აგრონომს—არაუმეტეს 60 ლიტრი რძისა თვეში და არაუმეტეს 15 კილოგრამი მჭიხე მატყლისა წელიწადში.

24. ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალს თვიური გეგმის ვადაჭარბებით შესრულებისათვის მეცხოველეობაში კუთვნილი ზეგეგმური პროდუქციის 50% მიეყიდოს საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ, ხოლო დანარჩენი 50% მიეყიდოს წლის შედეგების მიხედვით, საბჭოთა მეურნეობაში, ფერმასა და განყოფილებაში (შესაბამისად) მეცხოველეობის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში. მემინდვრეობის პროდუქციის გაყიდვა წარმოებულ იქნას საბჭოთა მეურნეობაში, ფერმასა და განყოფილებაში (შესაბამისად) სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის შესრულებისა და თესლის გამოყოფის შემდეგ.

25. ფერმის განყოფილების მმართველს, სპეციალისტებსა და მუშებს კუთვნილი პროდუქცია მიეყიდოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორის განკარგულებით; საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, დირექტორის მოადგილესა და უფროს სპეციალისტებს—ტრესტის დირექტორის განკარგულებით, ხოლო არატრესტირებულ საბჭოთა მურნეობებში — რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ან სსრ კავშირის კვების სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოს უფროსის განკარგულებით.

26. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს საბჭოთა მეურნეობის მიერ მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმის შესრულების დროს შეჰქმნას ზეგეგმური პროდუქციის ხარჯზე სპეციალური ფონდი საბჭოთა მეურნეობისათვის დაწესებული გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პროდუქციის 10%-ის რაოდენობით, წახალისების სახით საბჭოთა მეურნეობის იმ დანარჩენ მუშაკთათვის მისაყიდათ, რომლებმაც უზრუნველჰყვეს პროდუქციის გამოსავლის გეგმების გადაჭარბებით შესრულება. პროდუქციის მიყიდვა ამ ფონდიდან ერთი მუშისათვის არ უნდა აღემატებოდეს იმ პროდუქციის სამ მეოთხედ ნაწილს, რაც მიეყიდა საშუალოდ საბჭოთა მეურნეობის სიაში აღნიშნულ თითო მუშას.

27. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებს მიჰყიდონ წახალისების სახით ხორცის ნაცვლად ცოცხალი პირუტყვი (ხბო, გოჭი, ბატკანი) და ფრინველი საბჭოთა მეურნეობების იმ მუშაკებს, რომელთაც არა ჰყავთ პირუტყვი და ფრინველი ანდა პირად სარგებლობაში ჰყავთ დაწესებულ ნორმაზე ნაკლები პირუტყვი და ფრინველი.

28. დადგენილ იქნას, რომ მუშების, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი შემადგენლობისათვის ზეგეგმური პროდუქციის დარიცხვისა და მიყიდვის სისწორისათვის პერსონალური პასუ-

ხისმგებლობა ეკისრება საბჭოთა მეურნეობის (სასუქი პუნქტის) დირექტორსა და მთავარ (უფროს) ბუხჰალტერს.

29. მემინდვრეობისა და მეცხოველეობის ზოგადმეურნეობრივი პროდუქცია მიეყიდოს მემინდვრეობისა და მეცხოველეობის ბრიგადებსა და რგოლების მუშებსა და ცალკეულ მუშებს (მათ შორის ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ბრიგადირს, მერგოლურს და აღმრიცხველს) მთელი ბრიგადის, რგოლის ან ცალკეულ მუშაზე მიმაგრებული უბნის მიხედვით გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში; განყოფილებების (ფერმების) მმართველსა და სპეციალისტებს—განყოფილების (ფერმის) გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში, ხოლო საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, დირექტორის მოადგილესა და უფროს სპეციალისტებს—მთელი საბჭოთა მეურნეობის გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში.

30. წება დაერთოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს შეაძცირონ რაოდენობა მატერიალური წახალისებისა ნატურით ან სრულიად მოუსპონ ეს წახალისება იმ ცალკეულ მუშებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მუშაობას.

31. ზოგადმეური პროდუქცია მიეყიდოს წასახალისებლად საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, სახელმწიფო (გასაყიდ) ფასებში.

32. იმ შემთხვევებში, როდესაც მუშებსა და ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალს რაიმე სახის პროდუქცია უფრო მეტი ეკუთვნის, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ ბრძანებით, ამ სახის პროდუქციის გაცემა შეიცვალოს დაწესებული გეგმის გადაჭარბებით საბჭოთა მეურნეობის მიერ მიღებული სხვა სახის პროდუქციით.

33. დადგენილ იქნას, რომ იმ პროდუქციის საერთო რაოდენობა, რომელიც უნდა მიეყიდოს წასახალისებლად საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, არ უნდა აღემატებოდეს მეურნეობის მთელი ზოგადმეური პროდუქციის 40%.

34. მოკავშირე რესპუბლიკების კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებმა, მთავარ სამმართველოთა უფროსებმა და ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა თავის დროზე დაადგინონ და დაიყვანონ გეგმები საბჭოთა მეურნეობამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა—ყოველ განყოფილებამდე (ფერმამდე), ბრიგადამდე, რგოლამდე და ცალკეულ მუშაკამდე.

35. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და სპეციალისტებმა განიხილონ ეს ბრძანება ფართო საწარმოო თათბირებზე საბჭოთა მეურნეობებში, განყოფილებებში (ფერმებში), ბრიგადებსა და რგოლებში და უზრუნველჰყონ ბრძანების სწორი გამოყენება.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის
სახალხო კომისარი **ზოტოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 968

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ჩაის ტრესტის დროებითს სარგებლობაში წყლის ქვაბის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ბოკუჩავას გადასცეს საქართველოს ჩაის ტრესტს დროებითი სარგებლობისათვის ტრესტის სამმართველოს შენებადი სახლის საქვაბის მოსაწყობად „რევაკატორის“ სისტემის ერთი წყლის ქვაბი 43 კვ. მეტრი ხურების ზედაპირით.

2. დაევალოს საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველს ამხ. სარჯველაძეს:

ა) ჩაატაროს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის თანახმად ტრესტისათვის გადასაცემი ქვაბის დემონტაჟი თავისი ძალებითა და სახსრებით;

ბ) დაუბრუნოს ბაქტერიოფაგის ინსტიტუტს ტოლფასიანი ქვაბი მისთვის განკუთვნილი 2 ქვაბის მიღებისთანავე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 969

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საქალაქო აღმასკომების საქალაქო განყოფილებათა და სამმართველოთა გამგეების (უფროსების) მოადგილეთა ხელფასის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 12 აგვისტოს № 1077 დადგენილებისა „საქალაქო აღმასკომების საქალაქო განყოფილებათა და სამმართველოთა გამგეების (უფროსების) მოადგილეთა ხელფასის შესახებ“, დაწესდეს 1944 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ საქალაქო აღმასკომების საქალაქო განყოფილებათა და სამმართველოთა გამგეების (უფროსების) მოადგილეთა ხელფასის განაკვეთები 15%-ით ნაკლები იმ განაკვეთებზე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 ივნისის № 908—149-ს დადგენილებით შესაბამის საქალაქო განყოფილებათა და სამმართველოთა გამგეებისათვის (უფროსებისათვის).

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მუშაკები ამ დადგენილებით გათვალისწინებულ განაკვეთზე მეტს იღებენ, ეს განაკვეთი ენახება მათ ამ დაწესებულებასა და ამ თანამდებობაზე მუშაობის მთელი დროის განმავლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 970

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისათვის გამომცემლობის შენობათა თბოფიკაციისათვის და პოლიგრაფიული საწარმოებისათვის მატრიცებისა და შრიფტების შესაძენად სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის კაპიტალურ დაბანდებათა აუთვისებელი სახსრების ხარჯზე მისცეს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 75 ათასი მანეთი გამომცემლობის შენობათა თბოფიკაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას კაპიტალურ დაბანდებათა 1944 წლის IV კვარტალის გეგმაში გაითვალისწინოს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის შენობათა თბოფიკაციის კაპიტალური სამუშაოები 75 ათასი მანეთის მოცულობით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას გამომცემლობის 1944 წლის ზეგეგმურ დაგროვებიდან დახარჯოს 125 ათასი მანეთი საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პოლიგრაფიული საწარმოებისათვის მატრიცებისა და შრიფტების შესაძენად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 971

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი მუშაკისათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ივლისის № 14977-გ განკარგულების შესაბამისად, დაუწესდეს 1944 წლის 15 აგვისტოდან პერსონალური განაკვეთები — 1.500 მანეთი თვეში:

1-ლი ტერიტორიული განყოფილების უფროსს ამხ. ნ. გ. ჩაჩანიძეს,

მე-2 ტერიტორიული განყოფილების უფროსს ამხ. ა. ი. ბაღათურიას,

მე-3 ტერიტორიული განყოფილების უფროსს ამხ. ვოინიჩ-შენოვენსკის,

მე-4 ტერიტორიული განყოფილების უფროსს ამხ. მ. მ. მენაღარიშვილს,

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსს ამხ. კ. ა. პაპელაშვილს.

2. დაუწესდეს პერსონალური განაკვეთები წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის განსაზღვრული რესპუბლიკური ლიმიტის ხარჯზე:

ტრესტ „ვოდოპროკატის“ მმართველს ამხ. ს. გ. ქობულიას — 1.400 მანეთი თვეში.

წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს ამხ. ა. ნ. იტრიევს 1.200 მანეთი თვეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 972

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ზოგიერთი რაიონისა და ქალაქისათვის ბაზრების შემოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის ღონისძიებათა გატარების ებართვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, აგრეთვე ქვემოჩამოთვლილ საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს დახარჯონ 1944 წელს საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოსაწყობად ერთდროული გამოსაღებიდან და ბაზრებზე მომსახურების საფასურიდან გეგმის ზევით შემოსულ სახსრების ხარჯზე 1.635 ათასი მანეთი, აქედან:

აჭარის ასსრ-ს	— 300 ათასი მან.		ზესტაფონის რ-ნს	— 100 ათასი მან.
ქალ. თბილისს	— 300 „ „		კლუხორის „	— 40 „
„ ფოთს	— 50 „ „		მახარაძის „	— 75 „
„ ჭიათურას	— 50 „ „		საგარეჯოს „	— 50 „
„ ქუთაისს	— 100 „ „		სამტრედიის „	— 35 „
ბაბუშის რ-ნს	— 25 „ „		სიღნაღის „	— 40 „
ახალქალაქის „	— 25 „ „		თეთრიწყაროს „	— 40 „
ახალციხის „	— 25 „ „		ტყიბულის „	— 30 „
ბორჯომის „	— 50 „ „		წითელწყაროს „	— 100 „
გურჯაანის „	— 120 „ „		ცხაკაიას „	— 80 „

2. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს და ამ დადგენილების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველჰყონ საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის ყველა გადაუდებელი სამუშაოს ჩატარება და გაცემული სახსრების პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 973

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

თბილისისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებში საადრეო ანეულის დამუშავების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ თბილისისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებმა ჩაშალეს საადრეო ანეულის ხვნის გეგმის შესრულება. 1 ივნისისათვის თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა მოხნეს 1302 ჰექტარი ფართობი ანეული ანუ მხოლოდ 24%, საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 312 ჰექტარი ფართობი ანუ 6,2%.

თბილისის რაიონის 54 კოლმეურნეობიდან 12 კოლმეურნეობას დაწესებულ ვადებში არ მოუხნავს არც ერთი ჰექტარი საადრეო ანეული, ხოლო 10 კოლმეურნეობამ გეგმა შეასრულა მხოლოდ 2—3%-ით.

საგარეჯოს რაიონის 27 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც აქვთ საადრეო ანეულის ხვნის გეგმა, 15 კოლმეურნეობა სულაც არ შესდგომია ამ მუშაობას.

1 ივლისისათვისაც კი, ე. ი. საადრეო ანეულის ხვნის ვადის ერთი თვის გასვლის შემდეგ, თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა მოხნეს მხოლოდ 3027 ჰექტარი, ნაცვლად 5400 ჰექტარისა, ხოლო საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 1.895 ჰექტარი, ნაცვლად 5000 ჰექტარისა.

აოშვისა და კულტივაციის ჩაუტარებლობის გამო საადრეო ანეულის მნიშვნელოვან ფართობს მოედო სარეველა მცენარეები. თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა აოშვა უზრუნველჰყვეს მხოლოდ 330 ჰექტარ ფართობზე, ანუ 3,3%.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისისა და საგარეჯოს რაიკომებს, რაიაღმასკომებს, რაიმიწგანებსა და მტს-ების დირექტორებს:

ა) განიხილონ საკითხი და მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საადრეო ანეულის 15 სექტემბრამდე დამუშავებასა და საადრეო ხვნას, ძალზე დასარევლიანებული ნაკვეთების აოშვას 10 სანტიმეტრ სიღრმეზე და დანარჩენი ნაკვეთების კულტივაციას;

ბ) გამოჰყონ გამწევი ძალა კოლმეურნეობებში და ტრაქტორები მტს-ებში საადრეო ანეულის დასამუშავებლად და საადრეო ხვნისათვის, შეადგინონ ხუთდღიური სამუშაო გეგმები და უზრუნველჰყონ მათი შესრულება;

გ) გაგზავნონ კოლმეურნეობებში რაიონის აგრონომები, აგროტექნიკოსები და პასუხისმგებელი მუშაკები საადრეო ანეულის დამუშავებისა და საადრეო ხვნის მოწყობაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარქვიანი.**

1944 წლის 24 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 974

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებისათვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კუპრაძეს:

ა) ა/წ 15 სექტემბრამდე მთლიანად დააკომპლექტოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლები კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით;

ბ) 1944/45 სასწავლო წლიდან ქ. სტალინირის სკოლებში შემოიღოს ვაჟებისა და გოგოების ცალ-ცალკე სწავლება;

გ) 1944 წლის დამლევამდე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საშუალებით მოაწყოს 3-თვიანი კურსები 300 კაცისათვის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს დახარჯოს ოსური სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების შესანახად 432 ათასი მანეთი 1944 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განათლების დარგში გაწეული მომჭირნეობის ხარჯზე.

3. გამოიყოს სამხრეთ-ოსეთისათვის ქაღალდის საჭირო რაოდენობა ოსურ ენაზე სახელმძღვანელოთა გამოსაცემად. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური სკოლების განყოფილებას პროგაგანდის განყოფილებასთან ერთად დააზუსტოს ამ მიზნით საჭირო ქაღალდის რაოდენობა.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომს და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს, ქუთაისის აღმასკომსა და საქალაქო კომიტეტს, ზესტაფონის, მახარაძის, ცხაკაიას, ზუგდიდის, სამტრედიის, თელავისა და აბაშის რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ა/წ 10

სექტემბრამდე გაგზავნონ საქართველოს სსრ განსახკომის განკარგულებაში სამხრეთ-ოსეთის სკოლებში გამოსაყენებლად ის პედაგოგები, რომლებიც არასპეციალობის მიხედვით მუშაობენ, აგრეთვე ის პედაგოგები, რომლებსაც გაკვეთილებით სრული დატვირთვა არა აქვთ, შემდეგი რაოდენობით:

თბილისი	50 კაცი
ქუთაისი	20 „
ზესტაფონი	10 „
ზუგდიდი	10 „
სამტრედია	10 „
ცხაკაია	10 „
მახარაძე	5 „
ა ბ ა შ ა	5 „
თელავი	5 „

5. საქართველოს სსრ განსახკომმა ინფორმაცია გაუკეთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 24 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 977

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სამდივნოს გამგის თანაშემწის ამხ. დ. ა. ჭურიძის განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. დ. ა. ჭურიძე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სამდივნოს გამგის თანაშემწის მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 28 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 978

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში დანიშნოს ამხ. დ. ა. ჭურიძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 987

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციას (ცეკავშირს) 1944 წლის პირველ ნახევარში მუშაობის შემდეგი მაჩვენებლები აქვს:

საცალო საქონელბრუნვის გეგმა საზკვებასთან ერთად შესრულებულია 113%-ით (აქედან საზკვება 83,4%); სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ბრუნვა შეადგენს გეგმის 146,2%; წლის პირველ ნახევარში ვადამდე შესრულდა დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა, გადაჭარბებით შესრულდა კვერცხის ჩაბარების, მატყლისა და მსხვილი ტყავის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები; საკუთარ საწარმოებში გამოშვებულია 11 მილიონ მანეთზე მეტის ფართო მოხმარების საქონელი (5,5 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1943 წლის სათანადო პერიოდში), პაის დაგროვების გეგმა შესრულებულია 145%-ით.

ამასთან ერთად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ზოგიერთ რაიონში (განსაკუთრებით აფხაზეთის ასსრ რაიონებში) სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს სოფლის ინტელიგენციის, სამამულო ომის ინვალიდებისა და სამხედრო მოსამსახურეთა შვილების მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

ცეკავშირმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ უზრუნველჰყვეს ქმედი კონტროლი საქონელგამტარი ქსელისა, ბაზებისა და საწყობებისადმი და ჯერაც ვერ მოახდინეს ნორმირებული საქონლის განაირვებისა და დატაცების ფაქტების ლიკვიდაცია.

სისტემის ფინანსიური მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, მთლიანად არ არის შესრულებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 აპრილის დადგენილება »ცეკავშირის სისტემის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ«: ზო-

გიერთ რაისამომხმარებლო კავშირსა და რაისამომხმარებლო საზოგადოებაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ბრუნვის ხარჯების გადახარჯვას. მაგალითად, „აბსოიუზის“ ხაზით ეს გადახარჯვა უდრის 1.119,0 ათას მანეთს (თავმჯდომარე ამხ. პაპავა), აჭარკოოპკავშირის ხაზით—446,0 ათას მანეთს (თავმჯდომარე ამხ. მელია), ჩხოროწყუს რაისამომხმარებლო კავშირში—107,0 ათას მანეთს (თავმჯდომარე ამხ. ჩიტაია) და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა ნორმალური ბუნებრივი დანაკლისის გადმოტებით საქონლის დანაკარგების ლიკვიდაციისათვის.

შესრულებული არ არის დაგროვების გეგმა—გეგმით დაწესებული 9.280 ათასი მანეთის მოგების ნაცვლად, ფაქტიურად 1944 წლის 1 ივლისისათვის მიღებულია 6.271 ათასი მანეთი ანუ 67,9%.

მიუხედავად იმისა, რომ წამგებიან ორგანიზაციათა რაოდენობა 133 ერთეულიდან 52 ერთეულამდე შემცირდა, არარენტაბელობა მაინც არ არის აღმოფხვრილი, 1944 წლის პირველ ნახევარში იზარალა 37 სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებამ, 4 რაისამომხმარებლო კავშირმა და 11 რაიდამხადკანტორამ.

1944 წლის პირველი ნახევარი დიდი ზარალით დაამთავრეს ბორჯომის რაისამომხმარებლო საზოგადოებამ—47,0 ათასი მანეთი (თავმჯდომარე კირთავა), ჩხოროწყუს რაისამომხმარებლო კავშირმა 61,0 ათასი მანეთი (თავმჯდომარე ჩიტაია), ცაგერის რაისამომხმარებლო კავშირმა—47,0 ათასი მანეთი (თავმჯდომარე ჩიქოვანი) და სხვ.

დახლის მუშაკთა სუსტად შერჩევისა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მუშაობისადმი არასაკმარ კონტროლის შედეგად, მთელ რიგ რაიონებში გაფლანგვა და მტაცებლობა წლის პირველ ნახევარში გამოვლინებულია 781,0 ათასი მანეთის რაოდენობით (გადახდევინებულია 789,0 ათასი მანეთი).

ცეკავშირის, „აბსოიუზის“, აჭარკოოპკავშირისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის პრეზიდიუმები, აგრეთვე რაისამომხმარებლო კავშირებისა და რაისამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობანი ძალიან სუსტ ზეგავლენას ახდენენ აღგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაზე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად სისტემაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი, 14 სამომხმარებლო კავშირს და რაისამომხმარებლო საზოგადოებას დღემდეც არ დაუწყიათ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ადგილობრივი ნედლეულისაგან.

ცეკავშირის სისტემის დამხმარე მეურნეობებში თესვის გეგმა შესრულებულია 88,5%-ით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ცეკავშირის, „აბსოიუზის“, აჭარკოოპკავშირის, სამხრეთ-ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის პრეზიდიუმებს, რაისამომხმარებლო კავშირებისა და რაისამომხმარებლო

საზოგადოებათა გამგეობებს მაქსიმალურად გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის გამოშვება ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენებისაგან, ამასთან უზრუნველყონ 1944 წლის მეორე ნახევრისათვის დამტკიცებული გეგმების უცილობლივ შესრულება.

დაწესდეს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა 1944 წლის IV კვარტალისათვის 7.500.0 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც განაწილდეს სამომხმარებლო კავშირებისა და რაისამომხმარებლო საზოგადოებათა მიხედვით, თანახმად № 1 დანართისა.

2. ნება დაერთოს ცეკავშირს 1944 წლის დამლევამდე მოაწყოს რაისამომხმარებლო კავშირებთან და რაისამომხმარებლო საზოგადოებებთან ფართო მოხმარების საქონლის წარმოების 15 რაიმრეწვკომბინატი, რაც განაწილდეს რაიონების მიხედვით, თანახმად № 2 დანართისა.

3. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმს:

ა) დააკომპლექტოს რაიმრეწვკომბინატები კადრებით და ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის ფართოდ გამოიყენოს შინ მომუშავეთა და განსაკუთრებით სამამულო ომის ინვალიდთა შრომა;

ბ) ერთი თვის ვადაში შეარჩიოს და დაამტკიცოს რაიმრეწვკომბინატების დირექტორები;

გ) უზრუნველჰყოს გეგმის შესრულება არა მარტო მთლიანად, არამედ დაწესებული ასორტიმენტითაც, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასარაჯო ნაწარმის, ავეჯის, სააღალო ნაწარმის, ხის საოჯახო საქონლის, სამეთუნეო ნაწარმის, საპნის, საპნის შემცვლელების, მარტივი სახის სასოფლო ინვენტარისა და სხვა ნაწარმის დამზადებას ადგილობრივი ნედლეულისაგან;

დ) 1944 წლის IV კვარტალში მოამზადოს საკუთარი საწარმოებისათვის ძირითადი პროფესიის 60 ოსტატი (მეკასრე, მეაღალე, სარაჯო, მეფეხსაცმელე, მესაპნე, მეთუნე), თანახმად № 3 დანართისა;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, რისთვისაც შემოიღოს საწარმოებში სასტიკი ბრაკერაჟი. კონტროლი გაუწიოს ნედლეულისა და სხვა დამხმარე მასალების ხარჯვას;

ვ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 20 იანვრის № 59 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დაერთოს ცეკავშირს იმ სამკერვალო ნაწარმთან ერთად, რომელსაც იგი „ცენტროსოიუზის“ მიერ სამკერვალო და საგალანტერიო ნაწარმისათვის გამოყოფილი ბრეზენტის ფონდიდან უშვებს, გამოიმუშაოს გალანტერია ისეთი ასორტიმენტით, რაც კოლმეურნე მოსახლეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

4. წინადადება მიეცეს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას:

ა) გადასინჯოს სისტემაში ჩაწოლილი და ძნელად გასასაღე-

ბელი საქონლის ასორტიმენტი და მიიღოს ზომები მისი რეალიზაციისათვის 1944 წლის 1 ოქტომბრამდე;

ბ) აკრძალოს შემოსული დაგეგმილი სამრეწველო საქონლის 15-20%-ზე მეტის მიყიდვა რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ მოსახლეობისათვის და სასტიკი კონტროლი გაუწიოს იმას, რომ დანარჩენი საქონელი პირველ რიგში მიეყიდოს სოფლის ინტელიგენციას, მუშებსა და მოსამსახურეებს, სამამულო ომის ინვალიდებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც წესიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე;

გ) სასტიკი კონტროლი გაუწიოს იმას, რომ საბავშვო სახლებმა და სამკურნალო დაწესებულებებმა თავის დროზე და სრულად მიიღონ გამოყოფილი პროდუქტები;

დ) საქონლის დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, აგრეთვე მომხმარებელთა ზომასა და წონაში მოტყუების შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, დაავალოს სამომხმარებლო კავშირებისა და რაისამომხმარებლო საზოგადოებათა თავმჯდომარეებს ყოველკვარტალურად ჩააბარონ ანგარიში რაიაღმასკომებს გაფლანგვების, საქონლის დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

ე) უზრუნველჰყოს ქმედი კონტროლი სამომხმარებლო კავშირების, რაისამომხმარებლო საზოგადოებათა და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა მუშაობისადმი გაფლანგვების, საქონლის დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში;

ვ) დაავალოს სისტემის ხელმძღვანელებს, მთავარ (უფროს) ბუხჰალტრებს, რევიზორებსა და ინსტრუქტორებს გაფლანგვის, საქონლის დატაცების, დანაკლისისა და განიავების, მომხმარებელთა ზომასა და წონაში მოტყუების შემთხვევის გამოვლინების მომენტიდან არაუგვიანეს 10 დღისა გადასცენ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს საქმეები დამნაშავეთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მათ წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის აღძვრით;

ზ) დაავალოს სამომხმარებლო კავშირებისა და რაისამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობების თავმჯდომარეებს დააწესონ თავიანთ რაიონში სამომხმარებლო კოოპერაციის ყოველ საწარმოსათვის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა და სისტემატურად შეამოწმონ ამ გეგმების შესრულება;

თ) მიიღოს გადამწყვეტი ზომები ყოველგვარი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების გეგმის შესასრულებლად;

ი) საკვების (თივის, ბოსტნეულის ნარჩენების, სილოსის) თავის დროზე დამზადებით უზრუნველჰყოს დამხმარე მეურნეობებში გამოსავალი ნაშთი 1945 წლის 1 იანვრისათვის: ღორისა—1.200 სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—360 სული, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—2.500 სული, შინაური ფრინველისა—800

ფრთა და ფუტკრის ოჯახისა—1.800, რაც განაწილდეს რაიონების მიხედვით, თანახმად № 4 დანართისა;

კ) მიაღწიოს სადებიტორო დავალიანების შემცირებას 1945 წლის 1 იანვრისათვის 7 მილიონ მანეთამდე, რისთვისაც განაწილოს სადებიტორო დავალიანების შემცირების დავალება ცალკეულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის და უზრუნველჰყოს ამ დავალების შესრულება, რისთვისაც გააძლიეროს სადებიტორო დავალიანების გადახდევინება სასამართლო ორგანოებისა და არბიტრაჟის მეშვეობით; არ დაუშვას სარჩელის ხანდაზმულობის ვადების გაშვება და პასუხისგებაში მისცეს ის მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან ამ ვადების გაშვებაში;

ლ) უზრუნველჰყოს უეცარი რევიზიების უცილობლივ ჩატარება თვეში ერთხელ მაინც უკლებლივ ყველა საცალო საწარმოსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და კვარტალში ერთხელ მაინც — საბითუმო საწყობებსა და ბაზებში;

მ) დანერგოს მკაცრი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დისციპლინა ცეკავშირის სისტემის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში და 1944 წლის მეორე ნახევარში დაფაროს 1944 წლის პირველი ნახევრის ბრუნვის ხარჯების გადახარჯვა; ამასთან ერთად სავსებით აღმოიფხვრას საქონლის დანაკარგები ბუნებრივი დანაკლისის ნორმების გადამეტებით;

ნ) კატეგორიულად აკრძალოს სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება დაწესებული ტარიფების გადამეტებით;

ო) მოაგვაროს ნავაჭრი თანხის ინკასაციის საკითხი და უზრუნველჰყოს ფულადი სახსრების დაწესებული ლიმიტების შესრულება;

პ) თავის დროზე მოემზადოს დამხმარე მეურნეობებში მოსავლის ასაღებად და უზრუნველჰყოს პროდუქციის მიღება უდანაკარგოდ და უდანაკლისოდ.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მირცხულავას და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს მოისმინონ სახკომსაბჭოს სხდომაზე აჭარკოოპკავშირისა და „აბსოიუზის“ პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა საანგარიშო მოხსენებანი, სასჯელი დაადონ იმ პირებს, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ბრუნვის ხარჯების გადახარჯვის დაშვებაში და გაატარონ ღონისძიებანი ბრუნვის ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის (დაწესებულ ნორმამდე).

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) ერთი თვის ვადაში განიხილონ, სამომხმარებლო კოოპერაციის 1944 წლის 8 თვის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და მიიღონ საჭირო ზომები მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) დახმარება გაუწიონ კოოპერატიულ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ გამოიყენონ საკოლმეურნეო ტრანსპორტი მომარაგე-

ბის საქონლისა და დამზადების პროდუქტების შემოსატანად და გადასაზიდად;

გ) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ რაისამომხმარებლო კავშირებს და სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებებს იმ სადეტექტორო დავალიანების გადახდევინების საქმეში, რაც საბჭოთა მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებზე ირიცხება;

დ) დახმარება გაუწიონ ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ გამოუყონ მათ სადგომები ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საწარმოებისათვის;

ე) აკრძალონ მიწის ნაკვეთების, აგრეთვე საცხოვრებელი, სასწავლო და სამეურნეო სადგომების ჩამორთმევა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებისათვის, თუ ამის შესახებ არ იქნა გამოტანილი სადირექტივო ორგანოების სათანადო დადგენილებანი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გიორგაძეს) გამოუყოს ქ. თბილისსა, ბათუმსა და სოხუმში მდებარე სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა მუშებს საჭირო რაოდენობის სამრეწველო და სასურსათო საქონელი იმ მუშების თანაბრად, რომლებიც ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში მუშაობენ.

8. დაევალოს „გლავრასჟირმასლოს“ საქართველოს გამსაღებელ კანტორას (ამხ. ეგიაზაროვს), „გლავსოლის“ საქართველოს კანტორას (ამხ. ხუციშვილს), „გლავტექსტილსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკურ ბაზას (ამხ. მელიქოვს), „გლავპარფიუმერიის“ საქართველოს კანტორას (ამხ. არაბაჯიანს), „სოიუზგლავლეგსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. საბაშვილს), საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის „გლავსნაბსბიტს“ (ამხ. ტერ-ოგანეზოვს), „სოიუზგლავსახარის“ საქართველოს კანტორას (ამხ. კირშტეინს), „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას (ამხ. სიხარულიძეს), „გლავრიბის“ საქართველოს კანტორას (ამხ. დარახველიძეს), „გლავკონდიტერის“ საქართველოს კანტორას (ამხ. თოფურიძეს), ტრესტ „საქთამბაქოს“ (ამხ. ავაქოვს), საქკონსერვხილტრესტის მმართველს (ამხ. წიკლაურს) და სამტრესტის დირექტორს (ამხ. აზარაშვილს) ზუსტად შეასრულონ სამომხმარებლო კოოპერაციასთან დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებანი საქონლის გაგზავნის შესახებ.

9. საქართველოს სსრ პროკურორმა დააჩქაროს კოოპერატიული საკუთრების გაფლანგვისა და დატაცების შესახებ აღძრული საქმეების გარჩევა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში და დახმარება გაუწიოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას გაფლანგვებისა და მტაცებლობის მხრივ არსებული დავალიანების გადახდევინების საქმეში.

10. მიღებულ იქნას ცნობად „ზოგოტტრანსის“ საქართველოს ტანტორის მმართველის ამხ. კუპრავას განცხადება, რომ სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში „ზაგოტტრანსი“ თავისი

ტრანსპორტით გამოიტანს შორეული რაიონებიდან 100 ტონა მატყლს და ასეთივე რაოდენობის ტყავნედლეულს, რაც დამზადებულია ცეკავშირის მიერ.

11. ეთხოვოს „ცენტროსოიუზის“ პრეზიდიუმს დაფნის ფრთილის, თამბაქოს, ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სხვა ტექნიკური კულტურების ჩამბარებლებისათვის საქონლის მისასყიდად გამოუყოს საქართველოს სს რესპუბლიკას 1944 წლის სექტემბერსა და IV კვარტალში გეგმის დამატებით 20,0 მილიონი მანეთის საქონელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებისა ცენტრალიზაციის სისტემა

ორგანიზაციების დასახელება	ავეჯი	საკალატო	ხის ჯოხები და საკასრია ნაწარმი	ლითონისა და სამეჯურები ნაწარმი	სამეთუნეო	კერტსაქონელი	ტყავის გამოძოწაგება	სასარეკელო	თოკი	სამკერავო	ტრიკოტაჟული	სხვადასხვა ფეხსაცმელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1. აბკავშირი	20	10	—	10	—	—	5	—	20	—	15	10
2. აჭარკოოპკავშირი	—	—	—	10	—	—	5	—	—	—	105	20
3. სამხრეთ-ოსეთი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	—
4. ადიგენის რაიონ. საწარმომწმ. კავშ.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	5
5. ამბროლაურის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6. ახალციხის „	15	—	—	5	—	10	—	—	5	—	5	—
7. ახალქალაქის „	—	—	—	—	—	—	—	—	15	—	5	—
8. ასპინძის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—
9. ბაზალეთის „	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	5
10. ბოგდანოვკის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15	—
11. ბოლნისის „	30	10	—	—	—	—	5	—	—	—	—	5
12. ბორჩალოს „	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	55	5
13. გეგეჭკორის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	—
14. გორის „	—	—	—	—	60	—	—	—	—	—	10	5
15. გურჯაანის „	—	—	5	10	15	—	—	—	—	—	10	—
16. დუშეთის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—
17. ვანის „	—	—	—	—	10	—	—	—	10	—	—	—
18. ზესტაფონის „	50	—	—	20	10	—	—	—	—	—	—	—
19. ზუგდიდის „	—	—	10	—	15	—	5	—	—	—	—	5
20. თბილისის „	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	5
21. თელავის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	—
22. კასპის „	—	—	—	—	20	—	—	—	—	—	10	—
23. ლაგოდეხის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—
24. ლანჩხუთის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15	—
25. მახარაძის „	—	—	10	15	—	—	—	—	—	—	10	—
26. ონის „	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	5	—
27. ორჯონიკიძის „	20	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—
28. საგარეჯოს „	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—
29. საჩხერეთის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
30. სიღნაღის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15	—
31. ხაშურის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	—
32. ჩოხატაურის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	—
33. ჩხოროწყუს „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—
34. წალკის „	—	—	—	—	—	—	—	—	10	—	—	—
35. წულუკიძის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	—
36. ქარელის „	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15	5
37. ქუთაისის „	25	—	—	—	—	—	5	—	—	—	10	5

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 30/VIII
№ 987 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ა

ში 1944 წლის IV კვარტალისათვის (საბითუმო-გასაცემ ფასებით)

(ათას მანეთობით)

საგალანტერეო	საშენებლო მასალები	საწვავი საპონი	ჩაი-ყავა, სასმელები.	თევზის გადამუშავება	ხილ-ბოსტნის დეპონი	ულვლეროლო სასმე-ლები	დანარჩენი სასურსა-თო საქონელი	დანარჩენი სამრეწვე-ლო საქონელი	სოფლისმეურნეო მიღ.	სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი	სამშენებლო	თევზის საქმე	ბეწვეულის ტყავი	კომბინატები	სულ
14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
—	—	—	—	—	—	25	—	—	5	5	—	—	—	—	125
—	—	—	—	20	—	—	—	—	5	5	—	—	—	—	170
—	—	—	—	—	—	15	—	—	5	—	—	—	—	—	40
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	40	—	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	55
—	—	—	—	—	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	50
—	—	—	—	—	—	8	—	—	—	—	—	—	—	—	22
—	—	—	—	—	—	8	—	—	—	—	—	—	—	—	13
—	—	—	—	—	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	18
—	—	—	—	—	—	15	—	—	—	10	—	—	—	—	17
—	—	—	—	—	—	15	—	—	4	—	—	—	—	—	75
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	84
—	—	—	—	—	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	20
—	—	—	—	—	—	20	—	—	—	—	—	—	—	—	90
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	15	—	—	2	—	—	—	—	—	20
—	30	—	—	—	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	97
—	—	—	—	—	—	10	—	—	3	—	—	—	—	—	80
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	23
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	20
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	40
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	20	—	—	—	—	—	—	—	—	25
—	—	—	—	—	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	25
—	—	—	—	—	—	20	—	—	3	—	—	—	—	—	20
—	—	—	—	—	—	10	—	—	5	—	—	—	—	—	23
—	—	—	—	800	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	825
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	8	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	18
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	12
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	45

ორგანიზაციების დასახელება	აფთიაქი	საავლადო	ხის კოშტები და სასაფრო ნაწარები	ლითონისა და სანეწრენი ნაწარები	სამეცნიერო	ქსელტასქონელი	ტყავის გამოშვება	სასარგებლო	თიხა	საშენმასალო	ტრიკოტაჟნაწარები	სხვადასხვა ფეხსაცმელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
38. ცაგერის რაიონ. სამომხ. კავშ.	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	5	—
39. ცხაკაიას " "	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	—
40. ყვარლის " "	—	—	—	—	—	—	—	—	10	—	—	—
41. აბაშის " "	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	5	5
42. ბორჯომის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
43. თიანეთის " "	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	10
44. თეთრიწყაროს " "	—	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—
45. მაიაკოვსკის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
46. მანგლისის " "	—	—	—	—	—	30	—	—	—	—	—	—
47. მცხეთის " "	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	5	—
48. საჩხერის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
49. ტყიბულის " "	—	—	—	—	20	—	5	—	—	—	5	—
50. ჩხარის " "	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—
51. ხობის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—
52. წალენჯიხის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
53. წითელწყაროს " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
54. წყალტუბოს " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
55. ჭიათურის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
56. ყარაიის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
57. ყაზბეგის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
58. ხსვანეთის " "	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	—
59. ქსვანეთის " "	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	5	5
60. ფოთის " "	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
61. საქვაბრძმენი ხე-ტყე	—	—	40	—	—	—	—	—	—	—	15	—
62. ღვინმრეწვი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
63 დამზადსამმართველო	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
64. საწარმოო კომბინატი	—	—	—	—	—	50	30	80	160	900	1100	200
65. სარემონტო კანტორა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	160	20	110	80	200	60	90	80	230	900	1575	300

საგაზაფხულო	საშემოდგომო მასალები	სარეცხი საპონი	ჩაი-ყავა სასმელები,	თევზის გადამუშავება	ხილ-ბოსტნის ღვინო	ფაფუკჯაჭვი სიმშე-ლეები	დაბანარჩენი სასუფრასა-თო საკონები	დაბანარჩენი საპრიმუშე-ლო საკონები	სუფრისაბოვრებლო მოდა-სპეციები	სასოდა-სამეურნეო ინვენტარი	სამკერდო	თოლის საცხი	ბეწვეულის ტყავი	კომბინატები	სულ
14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	25
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	10	—	—	5	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	25
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	10	—	—	3	—	—	—	—	—	28
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	15	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	40
—	—	—	—	—	—	8	—	—	2	—	—	—	—	—	20
—	—	—	10	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	25
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	10	—	—	2	—	—	—	—	—	37
—	—	—	—	—	—	—	—	25	—	—	—	—	—	—	35
—	—	—	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	30	—	—	—	—	—	—	—	5	—	5	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30
—	—	—	—	—	—	—	—	15	—	—	—	—	—	—	25
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	40
—	—	—	—	—	200	—	—	—	—	—	—	—	—	—	200
—	—	—	50	—	—	38	200	—	—	—	—	—	—	150	438
1330	—	20	—	—	—	—	—	—	—	—	—	40	80	—	400
—	—	—	—	—	—	—	—	40	—	—	—	—	—	—	40
1330	60	20	100	20	1000	510	200	80	60	30	15	40	80	150	7500

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 30/VIII
№ 987 დადგენილების დანართი № 2

გ ე გ მ ა

სამრეწველო კომბინატების ორგანიზაციისა 1944 წლისათვის

რომელ კოოპორგანიზაციასთან ეწყობა	რაოდენობა
1. აფკავშირი	1
2. აჭარკოოპკავშირი	1
3. სამხრეთ-ოსეთის საოლქო სამომხმ. კავშირი . . .	1
4. ზუგდიდის რაიონი სამომხმ. კავშირი	1
5. გორის „ „ „	1
6. ზესტაფონის „ „ „	1
7. ხაშურის „ „ „	1
8. ბორჩალოს „ „ „	1
9 ბოლნისის „ „ „	1
10. ცხაკაიას „ „ „	1
11. ქუთაისის „ „ „	1
12. მახარაძის „ „ „	1
13. გურჯაანის „ „ „	1
14. წულუკიძის „ „ „	1
15. სიღნაღის „ „ „	1

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ც ე ც მ ა

ძირითადი პროფესიების მუშათა მომზადებისა ცეკავშირის საწარმოთათვის

რა სპეციალობაში	სად მზადდებიან	რაოდენობა
1. მეკასრე	ცეკავშირის კოოპხილტარა	15
2. კერამიკოსი	გორის რაიონული სამომზმ. კავშირი	5
3. დურგლები, ხუროები და მეთვლეები	ბოლნისის „ „	10
4. მეტრიკოტაჟები	თბილისის სამრეწვ. კომბინატი	13
5. მეტყავეები	„ „ „	10
6. თოკის წარმოების სპეციალისტები	„ „ „	7
ს უ ლ		60

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 30/VIII
№ 987 დადგენილების დანართი № 4

საგამოსავლო ნაშთი 1945 წლის 1 იანვრისათვის

ცეკავშირის სისტემის კოოპორგანიზაციების მეცხოველეობასა, მეფრინველეობასა და მეფუტკრეობაში

ორგანიზაციების დასახელება	ღორი		მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		წვრილფეხა რქიანი პირუტყვი		შინაური ფრინველი	ფუტკრის ოჯახი
	სულ	აქედან დედაღორი	სულ	აქედან ძროხა	სულ	აქედან დედა პირუტყვი	სულ	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9
1. აფკავშირი	135	20	30	13	400	200	100	60
2. აჭარკოოპკავშირი	15	2	4	2	20	15	20	70
3. სამხრეთ-ოსეთის საოლქო სამომხ. კავშირი	35	10	11	5	70	30	50	4
4. ადიგენის რაიონული სამომხმარ. კავშირი	20	2	2	1	10	5	—	15
5. ამბროლაურის სამომხმარ. კავშირი	25	7	7	3	30	20	20	65
6. ახალციხის „	15	2	11	7	72	25	10	26
7. ახალქალაქის „	15	2	19	10	—	—	—	90
8. ასპინძის „	15	1	8	4	—	—	—	—
9. ბაშქირეთის „	—	—	—	—	185	100	—	25
10. ბოგდანოვკის „	—	—	18	8	—	—	—	100
11. ბოლნისის „	20	5	27	12	200	100	50	225
12. ბორჩალოს „	40	7	14	6	200	90	50	55
13. გეგეჭკორის „	6	1	—	—	20	10	—	—
14. გორის „	25	3	2	1	—	—	—	30
15. გურჯაანის „	63	15	5	2	400	200	30	15
16. დუშეთის „	25	5	—	—	60	30	20	25
17. ვანის „	15	3	7	4	15	5	20	30
18. ზესტაფონის „	25	5	4	2	—	—	10	40
19. ზუგდიდის „	50	8	7	3	80	30	40	70
20. თბილისის „	15	2	—	—	—	—	—	33
21. თელავის „	20	2	4	2	40	20	20	35
22. კასპის „	20	2	2	1	—	—	—	10
23. ლაგოდეხის „	25	4	1	2	—	—	25	75
24. ლანჩხუთის „	25	5	17	7	—	—	40	12
25. მახარაძის „	20	3	—	—	—	—	—	30
26. ონის „	10	1	—	—	15	10	10	100
27. ორჯონიკიძის „	15	2	—	—	—	—	—	—
28. საგარეჯოს „	20	8	—	—	50	40	20	11
29. სამტრედიის „	25	5	13	7	—	—	40	16
30. სიღნაღის „	30	4	17	10	—	—	25	—

ორგანიზაციების დასახელება	ღორი		მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		წვრილფეხა რქიანი პირუტყვი		ცხენები ფრინველები სულ	ფრინველი სულ
	სულ	აქედან დედალი	სულ	აქედან ძროხა	სულ	აქედან დედალი პირუტყვი		
1	2	3	4	5	6	7	8	9
31. ხაშურის რ-ნი სამომხმ. კავშ.	10	2	7	4	—	—	15	—
32. ჩოხატაურის „	10	2	—	—	20	15	—	—
33. ჩხოროწყუს „	10	2	—	—	30	20	10	54
34. წალკის „	30	5	18	9	77	50	—	30
35. წყალწყიძის „	15	2	—	—	25	15	10	60
36. ქარელის „	21	4	2	1	20	15	—	31
37. ქუთაისის „	15	2	4	2	—	—	10	42
38. ცაგერის „	16	2	—	—	—	—	—	40
39. ცხაკაიას „	15	3	2	1	30	20	20	—
40. ყვარლის „	80	15	15	7	40	20	20	68
41. აბაშის „	15	2	2	1	—	—	25	19
42. ბორჯომის „	15	2	8	5	60	30	—	—
43. თიანეთის „	15	2	—	—	60	30	25	—
44. თეთრიწყაროს „	15	2	—	—	50	20	—	10
45. მაიაკოვსკის „	10	1	—	—	40	30	—	42
46. მანგლისის „	10	2	—	—	20	10	—	—
47. მცხეთის „	—	—	—	—	50	25	—	—
48. საჩხერის „	10	1	—	—	—	—	—	—
49. ტყიბულის „	10	1	—	—	—	—	—	—
50. რხარის „	10	1	2	1	—	—	—	—
51. ხობის „	25	3	14	7	—	—	25	6
52. წალენჯიხის „	15	2	16	8	80	50	20	81
53. წითელწყაროს „	15	3	—	—	—	—	20	4
54. წყალტუბოს „	10	1	—	—	—	—	—	14
55. ჭიათურის „	—	—	2	1	30	20	—	24
56. ყარაიის „	15	2	12	6	—	—	20	—
57. ყაზბეგის „	10	1	—	—	—	—	—	—
58. ზემო-სვანეთის „	10	1	15	10	—	—	—	—
59. ქ/სვანეთის „	10	1	6	4	—	—	—	—
60. ფოთის „	10	1	2	1	—	—	—	—
ს უ ლ	1200	200	360	180	2500	1300	800	1800

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 988

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხედრო მოსამსახურეთა იმ ევაკუირებული ოჯახებისათვის ერთ-დროული დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელთაც სურთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე წასვლა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს 1944 წლის III და IV კვარტალებში, ბიუჯეტის შესრულების წესით, 100.000 მანეთი სამხედრო მოსამსახურეთა იმ ევაკუირებული ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად, რომელთაც სურთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე წასვლა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს უფროსს ამხ. თარგამაძეს, ამ დადგენილების 1 პუნქტის თანახმად გამოყოფილი სახსრები გასცეს მხოლოდდამხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა იმ ოჯახებისათვის რკინიგზის ბილეთების შესაძენად (არაუმეტეს 200 მანეთისა), რომლებიც ამას საჭიროებენ და რომელთაც მიიღეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გამგზავრების ნებართვები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 990

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

უსინათლოთა და ყრუმუნჯთა მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 11 აგვისტოს № 16480-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს —ამხ. კუპრაძეს:

ა) 1944 წლის 1-ლ დეკემბრიდან აღადგინოს თბილისის ყრუმუნჯთა სკოლის მუშაობა 160 ბავშვის კონტინგენტით და ამავე ვადისათვის მოაწყოს თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლასთან ინტერნატი 100 ბავშვისათვის;

ბ) უზრუნველჰყოს მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან ნორმალური მეცადინეობა თბილისის უსინათლოთა არასრული საშუალო სკოლის დაწყებითს კლასებში. აღნიშნული სკოლის ბავშვთა კონტინგენტი 1945/46 სასწავლო წლის დაწყებამდე აიყვანოს 100 კაცამდე;

გ) უზრუნველჰყოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა სკოლების მოსწავლეები საჭირო რაოდენობის სასწავლო წიგნებითა და სახელმძღვანელოებით;

დ) უზრუნველჰყოს ყრუმუნჯთა და უსინათლოთა სკოლების იმ პედაგოგიური პერსონალის ჩაბმა დაუსწრებელ სწავლებაში, რომელსაც არ აქვს სპეციალური სურდო და ტიფლოპედაგოგიური განათლება;

ე) 1945 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს სასწავლო წიგნები ქართულ და რუსულ ენებზე უსინათლოთა და ყრუმუნჯთა სკოლებისათვის;

ვ) მოაწყოს ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან სპეციალური განყოფილებანი უსინათლოთა მომსახურებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს — ამხ. ხელიძეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე გაანთავისუფლოს ყრუმუნჯთა

სკოლის სადგომი და ამ სადგომში მყოფი ავადმყოფები გადაიყვანოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის სხვა ჰოსპიტლებში.

3. გაადიდოს 1944 წლის 1 სექტემბრიდან უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესაბამის უწყებათა საერთო სტიპენდიო ფონდების ხარჯზე უსინათლო მოსწავლეთა სტიპენდიების ოდენობა 50%-ით, სტიპენდიების საერთო ნორმებთან შედარებით.

4. გავრცელდეს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წარმოებათა მასწავლებლებსა, დირექტორებსა და დირექტორების მოადგილეებზე (სასწავლო ნაწილში) ხელფასის გადიდება, რაც დაშტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 19 ოქტომბრის № 1145 დადგენილებით „ტექნიკუმების, საშუალო სამედიცინო და უფლებათა სკოლების, სამხატვრო, მუსიკალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და მუშფაკების მასწავლებელთა, დირექტორთა და დირექტორების მოადგილეთა (სასწავლო ნაწილში) ხელფასის გადიდების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. გიორგაძემ გავრცელოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოების სასწავლო და საწარმოო წარმოებათა მოსწავლეებზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 19 სექტემბრის № 18129-გ განკარგულება სახელოსნო სასწავლებლების, რაიონგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომს — ამხ. კარანაძეს ერთი თვის განმავლობაში დაუბრუნოს უსინათლოთა საზოგადოებას სრულ წესრიგში მოყვანილი ტრაქტორი „სტზ“, რომელიც მიცემული ჰქონდა მას დროებით სარგებლობაში 1943 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების თანახმად.

7. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე დაუბრუნოს უსინათლოთა საზოგადოებას ლანჩხუთში 4 ოთახისაგან შემდგარი სახლი.

8. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ფირუმოვს 1944 წლის დამლევამდე სრულიად გაანთავისუფლოს კერძო მობინადრეთაგან თბილისის უსინათლოთა სკოლის სადგომი.

9. დაევალოს რაიონული და საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეებს, სრულიად-საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას (ამხ. ძნელაძეს) და სრულიად-საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოებას (ამხ. დგებუაძეს) მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე ჩაატარონ რესპუბლიკაში უსინათლოთა და ყრუმუნჯთა აღრიცხვა (სკოლამდელი ასაკის უსინათლო და ყრუმუნჯ ბავშვთა გამოკლებით).

10. ეთხოვოს:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გამოჰყოს თბილისის უსინათლოთა სკოლისათვის პერფოკარტის ქაღალდი 3 ტონის რაოდე-

ნობით სასწავლო წიგნებისა და ლიტერატურის გამოსაცემად ბრაილის მიხედვით და 2,5 ტონა საწერი ქაღალდი სასწავლო წიგნებისა და სხვა მეთოდური მასალების გამოსაცემად ყრუმუნჯთა სკოლისათვის;

ბ) რსფსრ განსახკომს — ამხ. პოტიომკინს გამოუყოს სრულიად-საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას 500 ცალი ბრაილის დაფა და ფიზიკური, ბიოლოგიური, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო კაბინეტების თვალსაჩინო სახელმძღვანელოები.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ამხ. ელისაბედაშვილს პირადად და სისტემატურად იზრუნოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა მომსახურებისათვის საჭირო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

დადგენილება № 991

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების პოლიგრაფიულ სკოლაში მოსწავლეთა დამატებით მიღების შესახებ

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ასოთამწყობ მუშათა მწვავე ნაკლებობის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს დამატებით მიიღოს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების პოლიგრაფიულ სკოლაში ასოთამწყობთა მოსამზადებლად 100 მოსწავლე იმ ანგარიშით, რომ მეცადინეობა დაიწყოს ა/წ 15 ოქტომბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს ორი დეკადის განმავლობაში გაგზავნოს საბავშვო სახლებიდან ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში 40 მოზარდი არანაკლებ 15 წლის ასაკისა პოლიგრაფიული მრეწველობის სკოლაში სასწავლებლად.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურისა და ტყვარჩელის საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს, აგრეთვე ყაზბეგის, თელავის, მცხეთისა და წყალტუბოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ერთი თვის განმავლობაში შეარჩიონ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქ. თბილისის პოლიგრაფსკოლაში გაგზავნონ 20 ქალი და ვაჟი ხელით აწყობის შესასწავლად, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა.

განმარტებულ იქნას, რომ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფსკოლაში ხელით აწყობის შესასწავლად გაგზავნილი ქალები და ვაჟები სწავლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნებიან თავისივე რაიონების სტამბებში სამუშაოდ.

4. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს:

ა) საფაბრიკო-საქარხნო სწავლების პოლიგრაფსკოლის მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლად გამოიყენონ მოლოტოვის სახელობის ყოფილი ავეჯის ფაბრიკის სამმართველოს ორსართულიანი ფლიგელი, რომელიც შეაკეთოს მოლოტოვის სახელობის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის კაპიტალდაბანდებათა სახსრების ხარჯზე;

ბ) ჩაატაროს პოლიგრაფიული სკოლის მოწაფეთა ნებაყოფლობითი მიღება ხელით აწყობის სასწავლებლად 40 კაცის რაოდენობით.

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ—ამხ. ალავიძემ წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფსკოლას დამატებითი კონტინგენტი—100 კაცი უზრუნველყოფილ იქნას ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.

6. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს დამატებით მიღებული 100 მოსწავლე კვებით საფაბრიკო-საქარხნო სწავლების პოლიგრაფსკოლის სასადილოში 1944 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 30/VIII
№ 991 დადგენილების დანართი

განაწილება

ასოთამწყობთა ჯგუფისა რაიონებს შორის

1. სოხუმი	4
2. ბათუმი	2
3. ფოთი	2
4. ქუთაისი	3
5. სტალინირი	2
6. ჭიათურა	2
7. ტყვარჩელი	1
8. ყაზბეგი	1
9. თელავი	1
10. მცხეთა	1
11. წყალტუბო	1
	20

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 992

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

გეგეჭკორის, წყალტუბოსა და ზუგდიდის რაიონების იმ კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ, — რომლებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდნენ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების გეგეჭკორის, წყალტუბოსა და ზუგდიდის რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 26 მუხლის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათები მიენიჭოს 1944 წელს სტიქიური უბედურებით დაზარალებულ მეურნეობებს: გეგეჭკორის რაიონის 285 მეურნეობას 118.371 მან. და 06 კაპ. რაოდენობით, წყალტუბოს რაიონის 199 მეურნეობას 86.816 მან. და 70 კაპ. რაოდენობით, ზუგდიდის რაიონის 443 მეურნეობას და 24 ერთპიროვნულ მეურნეობას 164.823 მან. და 23 კაპ. რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 993

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თიანეთის, ვანისა და ონის რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების თიანეთის, ვანისა და ონის რაისაბჭოების აღმასკომების შუამდგომლობანი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე განთავისუფლდნენ 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანისაგან წარმოდგენილი სიების მიხედვით შემდეგ ხელმძღვანელ მუშაკთა მეურნეობანი:

თიანეთის რაიონში

1. ბუწუანკალური, ალექსანდრე მიხეილის-ძე
2. წიკლაური, დავით დიმიტრის-ძე
3. ცომაია, გიორგი ალექსანდრეს-ძე
4. ბეჟანიშვილი, ილია ვლადიმერის-ძე
5. აბრამიშვილი, ნინა ივანეს-ასული
6. თურქიაშვილი, ელენე ივანეს-ასული
7. ბენუკლიშვილი, ვახტანგ პავლეს-ძე
8. ჯანგირაშვილი, ივანე ალექსის-ძე
9. ქისტაური, ივანე გაგას-ძე
10. ანთაძე, მიხეილ გიორგის-ძე
11. ხუცურაული, შალვა პავლეს-ძე
12. ლომაშვილი, შალვა მიხას-ძე
13. აბრამიშვილი, მარგო იოსების-ასული
14. აბრამიშვილი, რუსუდან გიორგის-ასული

15. ქისტესაშვილი, ვასილ ალექსის-ძე
16. ქერაული, ვასილ პავლეს-ძე
17. კურცხალია, გერვასი იასონის-ძე
18. წიკლაური, არჩილ მიხეილის-ძე
19. პაპიაშვილი, გიორგი დიმიტრის-ძე
20. ჭინჭარაული, ვასილ პავლეს-ძე
21. კახოშვილი, ნინა ბაგრატის-ასული
22. ბაიაშვილი, იოსებ მიხეილის-ძე
23. ზვიადაური, აბრამ გიორგის-ძე
24. კენკიშვილი, ზაქარია ნიკოლოზის-ძე
25. ხიჩინაშვილი, ლევან ალექსის-ძე
26. წიკლაური, ნიკოლოზ იოსების-ძე
27. გაბიდაური, ივანე გიორგის-ძე

ვანის რაიონში

1. სიგუა, ერემია პავლეს-ძე
2. ადეიშვილი, მეთოდე ივანეს ძე
3. მიხელაშვილი, შამუელ მიხეილის-ძე
4. ეძგვერაძე, ვლასი ისმაილის-ძე
5. გოგორიშვილი, ვალერიან ალექსანდრეს-ძე
6. მესხი, ნიკოლოზ პარმენის-ძე
7. მჟავანაძე, ნორა პარმენის-ასული
8. ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯაბას-ძე
9. ნაფეტვარიძე, მიხეილ პოლიკარპეს-ძე
10. ნადირაძე, პეტრე სიმონის-ძე
11. გიორგაძე, კაპიტო კონსტანტინეს-ძე
12. აბრამიძე, გიორგი ტარასის-ძე
13. იობიძე, მინაგო ნესტორის-ძე
14. მინაშვილი, ივანე ისიდორეს-ძე
15. მაჭარაძე, ვალიკო ივანეს-ძე
16. მინაშვილი, ილია მიხეილის-ძე
17. კორძაძე, გიორგი ილიას-ძე
18. შალამბერიძე, არეთი გიორგის-ასული
19. ხვედელიძე, ვალერიან თეოფანეს-ძე
20. ნაფეტვარიძე, აბესალო სერაფიონის-ძე
21. იობიძე, ლავროსი ილიას-ძე
22. ახობაძე, დომენტი ივანეს-ძე
23. ლორთქიფანიძე, ნოე პიპინიას-ძე
24. სანიკიძე, მერი ლუკას-ასული
25. ცხვარაძე, აბიბო სერაფიონის-ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რეხვიაშვილი, შიო სარდიონის-ძე
2. ხარჭამაძე, ვასილ ლუკას-ძე
3. ჭელიძე, ალექსანდრე ლეონის-ძე
4. სირბილაძე, კოსტა ილიკოს-ძე
5. ჯაფარიძე, ნიკოლოზ ივანეს-ძე
6. ლობჯანიძე, ერმილე მალაქიას-ძე
7. ბერიშვილი, მარიამ ნიკოლოზის-ასული
8. ჭიჭინაძე, მარიამ ილიკოს ასული
9. ხიდეშელი, თამარ ერასტის-ასული
10. გუგემაშვილი, კალისტრატე სიმონის-ძე
11. ჩლაიძე, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე
12. დალაქიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე
13. ლობჯანიძე, ბესო გრიგოლის-ძე
14. ხარებაშვილი, გიორგი ვალერიანის-ძე
15. კობერიძე, ვიქტორ პავლეს-ძე
16. მაისურაძე, ლეონტი პეტრეს-ძე
17. გუგეშაშვილი, სედეკო მეთოდეს-ძე
18. ჩიკვილაძე, გიორგი ამბაკოს-ძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 994

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სეტყვისაგან დაზარალებულ წალკის რაიონის კოლმეურნეებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში და კოლმეურნეობებისათვის საშემოსავლო გადასახადში შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების წალკის რაიონული საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და დამტკიცდეს მის მიერ წარმოდგენილი სია 202 მეურნეობისა, რომლებიც სტიქიური უბედურებისაგან (სეტყვისაგან) დაზარალდნენ და რომელთაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 26 მუხლის თანახმად მიენიჭოს შეღავათები 148.013 მანეთის რაოდენობით.

2. კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის კანონის II მუხლის თანახმად, განთავისუფლებულ იქნას 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან 2 კოლმეურნეობა 75.598 მანეთის რაოდენობით, აქედან: სოფ. ახალიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა—53.233 მანეთის და სოფ. შიპიაკის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა—22.365 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 995

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისში (ავჭალაში) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კონიაკის ქარხნის მშენებლობის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 8 აპრილის № 7768-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს:

ა) აღადგინოს თბილისში (ავჭალაში) მშენებლობა კონიაკის ქარხნისა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 500 ათას დეკალიტრ მზა კონიაკს იმ ანგარიშით, რომ 1946 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცეს ქარხნის პირველი რიგი 200 ათასი დეკალიტრი კონიაკის სიმძლავრისა;

ბ) მოაწყოს ავჭალაში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის სისტემაში კონიაკის ქარხნის მშენებლობის მოედანი და ჩატაროს 1944 წელს მთელი მოსამზადებელი სამუშაოები იმ ანგარიშით, რომ 1945 წელს გაშალოს მშენებლობა სრული მოცულობით.

2. დაევალოს საქვებაპროექტს (ამხ. გველესიანს) მიმდინარე წლის დამლევამდე შეიტანოს ცვლილებანი კონიაკის ქარხნის იმ ტექნიკურ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ, ამასთან გაითვალისწინოს პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის შემცირება და სამუშაოთა ერთი ნაწილი გადაიტანოს მეორე და მესამე რიგებზე, აგრეთვე უზრუნველჰყოს კონიაკის ქარხნის პირველი რიგისათვის სიმძლავრე არაუმეტეს 200 ათასი დეკალიტრი კონიაკისა წელიწადში.

3. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონიაკის ქარხნის მშენებლობა თბილისში (ავჭალაში), ეთხოვოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ზოტოვს:

ა) 1944 წელს მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად გამოუყოს და გამოუგზავნოს საქართველოს სსრ კვების მრეწვე-

ლობის სახალხო კომისარიატს 1944 წლის IV კვარტალში კონიაკის ქარხნის მშენებლობის საჭიროებისათვის 500 კუბ. მეტრი დაზერხილი ხე-ტყე, 200 კუბ. მეტრი მორი, 50 ტონა ცემენტი, 200 კვ. მეტრი მინა, 2 ტონა ლურსმანი, 2 ტონა ხარისხოვანი რკინა, 3 ათასი კვ. მეტრი ტოლი, 61 ტონა სარკინიგზო რელსი პს ტიპისა, 4,4 ტონა ზესადები, 8 ტონა ქვესადები, 7 ტონა ყავარჯენი;

ბ) გათვალისწინებულ იქნას 1945 წლის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმით თბილისის (ავჭალის) კონიაკის ქარხნის მშენებლობის გასაშლელად ასიგნობანი და საჭირო ფონდირებული სამშენებლო ძალების გამოყოფა ამ მიზნისათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის განაცხადების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. რუსტიაშვილი.

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 996

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ფინსახკომთან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს მოწყობის, ავტონომიური რესპუბლიკების ფინსახკომებთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა შექმნისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის, აგრეთვე შეღავათების მინიჭების წესის შესახებ დამტკიცებული დებულების განხორციელების ზოგიერთ ღონისძიებათა თაობაზე

შესასრულებლად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 აგვისტოს № 1123 დადგენილებისა „სსრ კავშირის ფინსახკომთან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს მოწყობისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან სახელმწიფო დახმარების განყოფილებების შექმნის შესახებ“ და № 1122 დადგენილებისა „ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შეღავათების მინიჭების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მისაცემად მოეწყოს საქართველოს სსრ ფინსახკომთან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველო ასეთივე სახელწოდების განყოფილებებით აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ფინსახკომებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საფინანსო განყოფილებასთან, თბილისის საქალაქო საფინანსო განყოფილებასთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონებისა და იმ ქალაქების საბჭოე-

ბის აღმასრულებელ კომიტეტებთან, რომელთაც რაიონული დაყოფა არა აქვთ.

2. დაწესდეს, რომ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების საათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა გამგეობა ეკიპირება შეთავსებით რაიონული და საქალაქო საფინანსო განყოფილებათა გამგეებს, რომელთაც დამატებით მიეცემათ მათი ძირითადი განაკვეთის 25%.

3. შემოღებულ იქნას რაიონულ და საქალაქო საფინანსო განყოფილებებში რაიონული და საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობა.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ფინსახკომთან არსებული მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველო და ასეთივე სახელწოდების განყოფილებანი აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ფინსახკომებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საფინანსო განყოფილებასთან, თბილისის საქალაქო-საფინანსო განყოფილებასთან და შრომელთა დეპუტატების რაიონებისა და იმ ქალაქების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, რომელთაც რაიონული დაყოფა არა აქვთ, თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ „დებულებით სსრ კავშირის ფინსახკომთან არსებული მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს შესახებ“, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით (იხ. დებულება).

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს ამხ. ციმაკურიძეს:

ა) დაამტკიცოს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოსა და განყოფილებების სტრუქტურა, შტატები, მუშაკთა თანამდებობრივი დასახლებანი და თანამდებობრივი განაკვეთები სსრ კავშირის ფინსახკომთან შეთანხმებით;

ბ) ორი დეკადის ვადაში დააკომპლექტოს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველო და განყოფილებანი მუშაკთა სათანადო კადრებით;

გ) თავის დროზე უზრუნველჰყოს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებანი პირადი წიგნაკებითა და სხვა სახის დოკუმენტაციით მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების მისაცემად;

დ) ათი დღის ვადაში გამოსცეს ცალკე ბროშურად 5.000 ცალის რაოდენობით (4 ათასი ცალი ქართულ ენაზე და ათასი ცალი რუსულ ენაზე) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულება „ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“; სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 აგვისტოს № 1122 დადგენილება „ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილია-

ნი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შეღავათების მინიჭების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 აგვისტოს № 1123 დადგენილება „სსრ კავშირის ფინსახკომთან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს მოწყობისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა შექმნის შესახებ“.

6. დაევალოს „სოიუზბუმსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ჩხარტიშვილს ერთი კვირის განმავლობაში მისცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს ერთი ტონა გაზეთის ჩამონაჭრები იმისათვის, რომ ცალკეულ ბროშურად გამოიცეს მთავრობის ორგანოების დადგენილებანი ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების საკითხებზე.

7. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს ფართოდ მოაწყონ კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე დიასახლისთა შორის კითხვა და განმარტება „დებულებისა ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შეღავათების მინიჭების წესის შესახებ“.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები და უზრუნველჰყოს, რომ ქალაქებსა და მუშათა დაბებში მცხოვრებ ფეხმძიმე ქალებს, ორსულობის მეექვსე თვიდან დაწყებული, და ძუძუთა ბავშვებიან ქალებს, ძუძუსწოვის ოთხი თვის განმავლობაში, აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებათა ძიძებს და იმ ქალებს, რომლებიც თავიანთ რძეს აბარებენ კონსულტაციას, ჯანსახკომის ჩვილ ბავშვთა სახლებს და ბაგებს, ძუძუს წოვის მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველთვიური ულუფის ზომარაგების დაწესებული ნორმების დამატებით მიეცეთ 800 გრამი კარაქი, 600 გრამი შაქარი, 1.200 გრამი ბურღული და 12 ლიტრი ნატურალური რძე;

ბ) ყველა შემთხვევაში უზრუნველჰყოს ახალშობილთა თეთრეულის დაწესებული კომპლექტის მიყიდვა სამრეწველო საქონლის ბარათების გარეშე ქალაქებსა და მუშათა დაბებში მცხოვრებ დედებისათვის ორდერებით, რომლებსაც რაიონული და საქალაქო სავაჭრო განყოფილებანი გასცემენ საბარათო ბიუროს მეშვეობით, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე;

გ) გახსნას ჭელი სასურსათო მაღაზიებისა, რომლებიც გასცემენ დამატებითს ულუფას ამ მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, აგ-

რეთვე ქსელი სამრეწველო საქონლის მაღაზიებისა, რომლებიც თეთრეულის კომპლექტებს გასცემენ ახალშობილთათვის;

დ) უზრუნველჰყოს ყოველთვიური ასსურსათო ულუფის მიცემა სპეციალური ტალონების დროულად მიცემა ფეხმძიმე ქალებისა და ძუძუთა ბავშვებიანი დედებისათვის, აგრეთვე ორდერების გაცემა ახალშობილთათვის თეთრეულის კომპლექტების მისაღებად.

9. წინადადება მიეცეს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას, თავისი პირადი პასუხისმგებლობით, მიიღოს საჭირო ზომები და ყველა შემთხვევაში უზრუნველჰყოს სულ მცირე ათი მეტრი მანუფაქტურის მიყიდვა სასოფლო ადგილებში მცხოვრებ დედებისათვის ყოველ ახალშობილზე, სათანადო აამკურნალო დაწესებულების ცნობის თანახმად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს, ყველა ცენტრალური ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელებს, საწარმოთა დირექტორებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს და მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს პირადად გაუწიონ კონტროლი და უზრუნველჰყონ ზუსტად და დროულად შესრულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებისა „ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“ და „დებულებისა ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შედავათების მინიჭების წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით.

11. დაევალოს სახალხო კომისარიატების, უწყებების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, სათანადო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, დაამტკიცონ ფეხმძიმე ქალებისათვის და ძუძუთა ბავშვებიანი დედებისათვის საკვები პროდუქტების დამატებით მიცემის ნორმები დამხმარე მეურნეობათა ხარჯზე და საქმით უზრუნველჰყონ აჭირო რაოდენობის საკვები პროდუქტების გამოყოფა დამხმარე მეურნეობებიდან ფეხმძიმე ქალებისა და ძუძუთა ბავშვებიანი დედებისათვის დამატებით მისაცემად.

12. დაევალოს განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს ამხ. ხელეიძეს:

ა) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს წინადადებანი სააბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების შესახებ, ამ დაწესებულებებში მარტოხელა დედებისაგან ბავშვების მიღებასთან დაკავშირებით;

ბ) უზრუნველჰყონ, რათა დაუბრკოლებლივ იქნან მიღებულ-
საბავშვო დაწესებულებებში (ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო
სახლებში) მოსავლელად და აღსაზრდელად მთლიანად სახელმწი-
ფოს ხარჯზე ბავშვები მარტოხელა დედებისაგან (რომლებიც
დაქორწინებული არ არიან) ამ უკანასკნელთა სურვილით.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომა-
რის მოადგილეს ამხ. მ. ჯამს სისტემატურად ადევნოს თვალ-
ყური, რათა შესრულდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმის ბრძანებულება „ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვი-
ლიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების
გადიდების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების, „გმირი
დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა
და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“, აგრეთვე „დებუ-
ლება ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა
დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის
და შეღავათების მინიჭების წესის შესახებ“, რაც დამტკიცებულია
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 აგვის-
ტოს დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18/VIII № 1123 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

სსრ კავშირის ფინსახკომთან არსებული მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს შესახებ

1. სსრ კავშირის ფინსახკომთან არსებულ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ:

ა) დახმარების თავის დროზე და სწორად მიცემა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად;

ბ) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების ხარჯების წლიური და კვარტალური გეგმების პროექტების შედგენა;

გ) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემის წესის შესახებ ინსტრუქციებისა და მითითებების, აგრეთვე საბუხჰალტრო და სტატისტიკური ანგარიშის ფორმების დამუშავება ადგილობრივი ორგანოებისათვის;

დ) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემის საბუხჰალტრო ანგარიშის წარმოება;

ე) სტატისტიკურ ცნობათა შედგენა და დამუშავება იმ დედათა რიცხვისა, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ, და მათი ბავშვების რაოდენობის შესახებ;

ვ) იმის კონტროლის განხორციელება, თუ რამდენად კანონიერად იღებენ თანამდებობის პირნი სახსრებს დედებისათვის დახმარების მისაცემად და პირდაპირი დანიშნულებით იხარჯება თუ არა ეს სახსრები.

2. სსრ კავშირის ფინსახკომთან არსებულ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს აქვს შემდეგი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები:

ა) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოები მოკავშირე რესპუბლიკების ფინსახკომებთან;

ბ) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებანი ავტონომიური რესპუბლიკების ფინსახკომებთან, საოლქო (სამხარეო) საფინანსო განყოფილებებთან და საქალაქო საფინანსო განყოფილებებთან რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში;

გ) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებანი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან (იმ ქალაქებში, რომელთაც არა აქვთ რაიონული დაყოფა).

3. რესპუბლიკების ფინსახკომებთან და საოლქო (სამხარეო) საფინანსო განყოფილებებთან არსებულ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოებსა და განყოფილებებს ეკისრებათ:

ა) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონული და საქალაქო განყოფილებებისა და აგრეთვე იმ შემნახველი სალაროებისა და სასოფლო საბჭოების დოკუმენტალური რევიზია, რომელნიც სახელმწიფო დახმარებას იძლევიან;

გ) მასალებისა და დასკვნების მომზადება იმ საჩივართა გამო, რომლებიც მიღებულია მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისაგან რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებზე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის საკითხთა შესახებ.

4. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს ეკისრებათ:

ა) ყველა მასალის დამზადება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის საკითხებზე;

ბ) პირადი წიგნაკების მიცემა იმ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, რომელთაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დანიშნული აქვთ სახელმწიფო დახმარება;

გ) სახელმწიფო დახმარების მიცემა დედებისათვის;

დ) დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნასა და მიცემასთან დაკავშირებული მთელი საქმის წარმოება და პირადი საქმეებისა და ყველა დოკუმენტის შენახვა;

ე) საბუხჰალტრო და სტატისტიკური ანგარიშის შედგენა ზემდგომ ორგანოებში წარსადგენად;

ვ) იმ შემნახველი სალაროებისა და სასოფლო საბჭოების დოკუმენტალური რევიზიის წარმოება, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას აძლევენ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 997

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქოხ-სამკითხველოების, სასოფლო კლუბების გამგეებისათვის, კულტურის რაიონული სახლების დირექტორებისა, სამხატვრო ხელმძღვანელებისა და ინსტრუქტორებისათვის ხელფასის მომატების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 16 აგვისტოს № 1113 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1944 წლის 1 აგვისტოდან გაუდიდდეთ ხელფასი ქოხ-სამკითხველოების, სასოფლო კლუბების გამგეებს, კულტურის რაიონული სახლების დირექტორებს, სამხატვრო ხელმძღვანელებსა და ინსტრუქტორებს, ამასთან დაწესდეს მათთვის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში:

	ვისაც აქვს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სტაჟი:	
	5 წლამდე	5 წელზე მეტი
ქოხ-სამკითხველოების, სასოფლო-კლუბების გამგეები:		
I თანრიგი, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება	275	325
II თანრიგი, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება	250	300
კულტურის რაიონული სახლები:		
I ჯგუფი (ქალაქებსა და მუშათა დაბებში)		
1. კულტურის რაიონული სახლების დირექტორები	500	550
2. კულტურის რაიონული სახლების სამხატვრო ხელმძღვანელები	425	475

3. კულტურის რაიონული სახლების ინსტრუქტორები	375	425
II ჯგუფი (სასოფლო ადგილებში)		
1. კულტურის რაიონული სახლების დირექტორები	450	500
2. კულტურის რაიონული სახლების სამხატვრო ხელმძღვანელები	375	425
3. კულტურის რაიონული სახლების ინსტრუქტორები	325	375

2. ამ დადგენილების 1 მუხლში ჩამოთვლილი მუშაკებისათვის, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ, დაწესდეს ხელფასის განაკვეთები სათანადო განაკვეთებზე 10%-ით მეტი.

3. მასწავლებლებს, რომლებიც შეთავსებით მუშაობენ ქოხ-სამკითხველოებისა და სასოფლო კლუბების გამგეებად, მიეცეთ გასამრჯელო მასწავლებლების ხელფასის სათანადო განაკვეთის 50%-ის ოდენობით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ დადგენილების განხორციელებას, უზრუნველჰყონ ცენზისა და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის სტატის სწორად გამორკვევა და ხელფასის თავის დროზე მიცემა ახალი განაკვეთებით ქოხ-სამკითხველოების, სასოფლო კლუბების ყველა გამგისათვის, კულტურის რაიონული სახლების დირექტორებისა, სამხატვრო ხელმძღვანელებისა და ინსტრუქტორებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს განათლების სახალხო კომისართან ამხ. კუპრაძესთან ერთად ხუთი დღის ვადაში გამოარკვიოს ამ დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები და გამოძებნოს ამ ხარჯების დაფარვის წყაროები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 998

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებთან არსებული ბიბლიოთეკების, სახელმწიფო საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკთა ხელფასის განაკვეთების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 16 ავგისტოს № 1114 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადიდებულ იქნას 1944 წლის 1 ავგისტოდან მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების, აგრეთვე სამასწავლებლო ინსტიტუტებთან არსებული ბიბლიოთეკებისა და საშუალო სპეციალურ და ყველა სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულების კადრების მოსამზადებელ სხვა სასწავლებლებთან არსებული ბიბლიოთეკების მუშაკთა ხელფასი და დაწესდეს მათთვის ხელფასის შემდეგი თვიური განაკვეთები:

ბიბლიოთეკის მუშაკთა კატეგორიები	ქალაქები და მუშათა დაბები			სასოფლო ადგილები		
	საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი					
	5 წლამდე	5-დან 10წლამდე	10 წელზე მეტი	5 წლამდე	5-დან 10წლამდე	10 წელზე მეტი
1-ლი თანრიგი—ბიბლიოთეკრები, უმაღლესი განათლებით	450	500	550	400	450	500
მე-2 თანრიგი—ბიბლიოთეკრები, რომლებსაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება . . .	425	475	525	375	425	475
მე-3 თანრიგი—ბიბლიოთეკრები, საშუალო საბიბლიოთეკო განათლებით	350	400	450	325	375	425
მე-4 თანრიგი—ბიბლიოთეკრები, საერთო საშუალო განათლებით .	325	375	425	300	350	400

2. ბიბლიოთეკის გამგებლობისათვის დაწესდეს დამატებითი წანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) ბიბლიოთეკებში 1—3 კაცის შტატით—განაკვეთის 15%;

ბ) ბიბლიოთეკებში 4—7 კაცის შტატით—განაკვეთის 25%;

გ) ბიბლიოთეკებში 8 კაცისა და კიდევ მეტი შტატით—განაკვეთის 35%.

3. მასობრივი ბიბლიოთეკების განყოფილებათა გამგეებს დამატებით მიეცეს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით დაწესებული განაკვეთის 15%.

4. მოძრავი ბიბლიოთეკების მუშაკთათვის ხელფასის განაკვეთი დაწესდეს ბიბლიოთეკის მუშაკთა შესაბამისი განაკვეთის 10%-ით მეტი.

5. ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ ბიბლიოთეკის მუშაკთათვის, რომლებმაც უცხო ენები იციან და თავის მუშაობაში იყენებენ, დაწესდეს დამატებითი საზღაური განაკვეთის 15%-ის რაოდენობით.

6. ბიბლიოთეკის იმ მუშაკთათვის, რომელთაც არა აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება, ხელფასის განაკვეთები დაწესდეს საშუალო განათლების მქონე ბიბლიოთეკართა განაკვეთების 10%-ით ნაკლები.

7. ზოგადი საშუალო განათლებისა და 15 წელზე მეტი საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟის მქონე ბიბლიოთეკის მუშაკებს ხელფასი მიეცეთ მე-3 თანრიგის განაკვეთებით.

ბიბლიოთეკის იმ მუშაკებს, რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება, ხოლო საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი 15 წელზე მეტი აქვთ, ხელფასი მიეცეთ 1-ლი თანრიგის განაკვეთებით.

8. უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების მქონე ბიბლიოთეკის მუშაკთათვის ხელფასის განაკვეთი დაწესდეს 1-ლი თანრიგის განაკვეთზე 10%-ით მეტი.

9. გადიდდეს 1944 წლის 1 აგვისტოდან სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, დარგობრივი და საჯარო ბიბლიოთეკების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული ბიბლიოთეკების, ყველა სახალხო კომისარიატის, ცენტრალური დაწესებულებისა და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომების სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო მუშაკთა ხელფასი და დაწესდეს მათთვის ხელფასის შემდეგი თვიური განაკვეთები:

ა) ხელმძღვანელ მუშაკთათვის:

მუშაკთა კატეგორია	ბიბლიოთეკები		
	I კატეგორიისა	II კატეგორიისა	III კატეგორიისა
ბიბლიოთეკების დირექტორები	1800	1500	1200
დირექტორების მოადგილეები სამეცნიერო ნაწილში	1600	1300	1000
ფილიალების, განყოფილებებისა და ნაწილების გამგეები, მთავარი ბიბლიოგრაფები	1500	1200	900
სამკითხველო დარბაზების გამგეები სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკებში, სექტორებისა და კაბინეტების გამგეები	1300	1100	850
სწავლული მდივნები	1200	1000	800
ბიბლიოთეკების გამგეები სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებში ან უმაღლეს სასწავლებლებში (ბიბლიოთეკის მუშაობის მოცულობის მიხედვით)	—	—	800—1000

ბ) ბიბლიოთეკის მუშაკთათვის:

მუშაკთა კატეგორიები	I კატეგორიის ბიბლიოთეკები			II კატეგორიის ბიბლიოთეკები			III კატეგორიის ბიბლიოთეკები		
	სტაჟი 5 წლამდე	სტაჟი 5-დან 10 წლამდე	სტაჟი 10 წელზე მეტი	სტაჟი 5 წლამდე	სტაჟი 5-დან 10 წლამდე	სტაჟი 10 წელზე მეტი	სტაჟი 5 წლამდე	სტაჟი 5-დან 10 წლამდე	სტაჟი 10 წელზე მეტი
უფროსი რედაქტორები, რედაქტორ - სპეციალისტები	1000	1100	1200	900	1000	1100	800	900	1000
უფროსი ბიბლიოგრაფები, ბიბლიოგრაფ- რედაქტორ-მეთოდისტები	800	900	1000	750	800	900	700	750	800
უფროსი ბიბლიოთეკრები, ბიბლიოგრაფები, ინსტრუქტორები, ინსპექტორები	750	850	950	700	750	800	650	700	750
ბიბლიოთეკრები, მთარგმნელები	600	700	800	550	600	700	500	550	600
ბიბლიოთეკართა თანაშემწეები	325	375	425	325	375	425	325	375	425
ბიბლიოთეკის ტექნიკოსები	250	300	350	250	300	350	250	300	350

10. ხელმძღვანელ და სხვა საბიბლიოთეკო მუშაკთათვის, რომელთაც დოქტორის ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვთ, ხელფასის განაკვეთები დაწესდეს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ განაკვეთების 10%-ით მეტი.

11. 25 წლის საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟის მქონე ბიბლი-

ოთეკის მუშაკთათვის ხელფასის განაკვეთი დაწესდეს 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე მუშაკთა განაკვეთების 10%-ით მეტი.

12. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს — ამხ. კუპრაძეს და ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს:

ა) 10 დღის განმავლობაში დაამტკიცონ ბიბლიოთეკების სიები კატეგორიების მიხედვით;

ბ) დაუყოვნებლივ განახორციელონ ეს დადგენილება და უზრუნველჰყონ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენზისა და სტაჟის სწორი განსაზღვრა და ხელფასის თავის დროზე მიცემა ბიბლიოთეკის მუშაკთათვის ახალი განაკვეთებით.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს შესაბამის უწყებებთან საკითხის შეთანხმებით განსაზღვროს ამ დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები და ამ ხარჯების დასაფარავი წყაროები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 999

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ თბილისის ჩაისსაწონ ფაბრიკაში ფილაჩაის საწნეხი მოწყობილობის დამონტაჟებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კტცხოველს და ტრესტ „საქართველოს ჩაის“—ამხ. სარჯველაძეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ტრესტ „საქართველოს ჩაის“ თბილისის ჩაისსაწონ ფაბრიკაში ფილაჩაის საწნეხი თითო 500 ტონა სიმძლავრის 3 წნეხის დამონტაჟებას იმ ანგარიშით, რომ დამონტაჟება დამთავრდეს და ჩაისსაწნეხი საამქრო საექსპლოატაციოდ გადაეცეს არაუგვიანეს 1944 წლის 1 დეკემბრისა.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს დახარჯოს მიმდინარე წლის III და IV კვარტალებში თბილისის ჩაისსაწნეხი ფაბრიკის წნეხის დასამონტაჟებლად 80,0 ათას მანეთამდე ტრესტ „საქართველოს ჩაის“ 1944 წლის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ა/წ სექტემბრის დამლევამდე დაამტკიცოს თბილისის ჩაისსაწონ ფაბრიკაში ჩაის წნეხების დადგმის ხარჯთაღრიცხვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1000

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საკითხები

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და მისდამი დაქვემდებარებული თეატრებისა. და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა 1944 წლის 1 ნახევარში დაუშვეს გადახარჯვები საოპერაციო, სამეურნეო, სადასადგამო და სხვა ხარჯებში.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციამ პირველ ნახევარწლედში დახარჯა სამეურნეო საჭიროებაზე 128 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც წლიურად დანიშნული ჰქონდა 112 ათასი მანეთი; მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ფაქტიურად 6 თვის განმავლობაში დახარჯულია სამეურნეო საჭიროებაზე 93 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც წლიურად დანიშნული იყო 76 ათასი მანეთი.

თითქმის ყველა თეატრშია დაშვებული პიესების დადგმისათვის გათვალისწინებული სახსრების მნიშვნელოვანი გადახარჯვა, ზოგჯერ ეს გადახარჯვა დაუშვებელ ოდენობას აღწევს.

რუსთაველის სახელობის თეატრში მხოლოდ ერთი პიესის დადგმაზე დახარჯულია 329 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც მისი საშუალო საგეგმო ღირებულება 60 ათას მანეთს უდრიდა; თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში ფაქტიურად პირველი ნახევარწლედის განმავლობაში პიესების დადგმაზე დახარჯულია 82 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც წლიური დანიშნულება უდრიდა 48 ათას მანეთს.

მოზარდმაყურებელთა რუსულ თეატრში საოპერაციო სახსრები 6 თვის განმავლობაში დახარჯულია 63 ათასი მანეთის რაოდენობით, მაშინ როდესაც წლიურად დანიშნული ჰქონდა 46 ათასი მანე-

თი, ხოლო მუსიკალური კომედიის თეატრში დახარჯულია 78 ათასი მანეთი და წლიურად კი დანიშნული ჰქონდა 58 ათასი მანეთი.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაუშვა მთელი იმ თანხის დახარჯვა 6 თვის განმავლობაში, რაც გათვალისწინებული იყო წლიური ხარჯთაღრიცხვით ახალი პიესების დასაწერად და მხატვრული სურათების შესაძენად.

ხელოვნების საქმეთა სამმართველო ფართოდ არიგებს მნიშვნელოვან ავანსებს და თითქმის კონტროლსაც კი არ უწევს იმას, თუ რამდენად ასრულებენ დრამატურგები და მხატვრები დადებულ ხელშეკრულებებს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექცია დაადგა შტატების ზედმეტი გადიდების გზას და არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას თეატრის ყველა თანამშრომლისა და კერძოდ მსახიობთა შემადგენლობის სწორ და მაქსიმალურ გამოყენებას მუშაობაში.

ოპერის თეატრის მსახიობთა (სოლისტთა) უმეტესობა სრულიად არასაკმაოდაა დატვირთული და მოცდენილია ჯერ კიდევ სუსტია თეატრებში შრომის დისციპლინა და ხელოვნების საქმეთა სამმართველო კი არ აწარმოებს საჭირო ბრძოლას შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნულ მიზეზთა შედეგად და აგრეთვე ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ შტატების გადიდების გამო, ადგილი აქვს გარღვევებს მთელი რიგი თეატრების საფინანსო გეგმებში, რაც 1250 ათას მანეთს აღწევს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თეატრებისა და დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შეიტანოს თეატრების 1944 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსში შემდეგი ცვლილებები:

ა) გაადიდოს თეატრების ხარჯთაღრიცხვა 1897 ათასი მანეთით, აქედან გარღვევის დასაფარავად წლის დასაწყისისათვის — 394 ათასი მანეთი, ოპერისა და ბალეტის თეატრში, მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრსა და სომხური დრამის თეატრში შტატების გადიდებასთან დაკავშირებით—545 ათასი მანეთი, სამეურნეო ხარჯების გასადიდებლად—326 ათასი მანეთი, საოპერაციო ხარჯები—252 ათასი მანეთი და სადასადგამო ხარჯები—380 ათასი მანეთი;

ბ) გაადიდოს ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი თეატრების შემოსავალთა დაზუსტების ხარჯზე 641 ათასი მანეთით;

გ) გაადიდოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ცენტრალიზებული ხარჯები 300 ათასი მანეთით, აქედან სურათების შესაძენად—260 ათასი მანეთი და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის დაწერისათვის საჭირო წინასწარი ხარჯების გასაწევად—40 ათასი მანეთი.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს საფინანსო გარღვევის დასაფარავად წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხების გადამეტებით მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1556 ათასი მანეთი რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წესით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—ამხ. ეგაძეს ერთი თვის განმავლობაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საბოლოო ხარჯთაღრიცხვა მხატვრული სურათების—„ქართველი ხალხი დიდ სამამულო ომში"—გამოფენის მოსაწყობად.

4. დამტკიცდეს სომხური დრამის თბილისის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო-ხელმძღვანელი და სამხატვრო-ტექნიკური პერსონალის შტატი 113 ერთეულის რაოდენობითა და 55.050 მანეთის ხელფასის თვიური ფონდით, დანართის თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გაატაროს საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველჰყოს თეატრების თანამშრომელთა სწორი და სრული გამოყენება მუშაობაში, კერძოდ უზრუნველჰყოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა შემადგენლობის ჯეროვანი დატვირთვა.

6. გაფრთხილებულ იქნან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ეგაძე, მისი მოადგილე ამხ. კანდელაკი და თეატრების დირექტორები, რომ მომავალში, გადახარჯვის დაშვებისა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, ისინი სასტიკად დაისჯებიან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 30/VIII
№ 1000 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ტ ა ტ ი

თბილისის 26 კომისრის სახელობის სომხური დრამატიული თეატრის სამხატვრო-ხელმძღვანელი, სამხატვრო-ტექნიკური და სამხატვრო პერსონალის

თანამდებობათა დასახელება	სტატიკური ერთეულთა ოდენობა	თანამდებობრივი ხელფასი	ხელფასის თვიური ფონდი
ა. სამხატვრო-ხელმძღვანელი პერსონალი			
1. სამხატვრო-ხელმძღვანელი (მთავარი რეჟისორი)	1	1.500	1.500
2. რეჟისორ-დამდგმელი I კ ბ	1	1.000	1.000
3. რეჟისორ-ასისტენტი	1	600	600
4. მხატვარი—I კ. ა.	1	1.000	1.000
5. მხატვარი—II კ. ბ.	1	600	600
6. სცენის ინსპექტორი	1	500	500
7. რეჟისორის თანაშემწე	2	450	900
8. მოკარნახე	2	400	800
9. ჟუსიკალური ნაწილის გამგე, იგივე დირიჟორი	1	700	700
10. ლიტერატურული ნაწილის გამგე	1	600	600
ს უ ლ	12		8.200
ბ) სამხატვრო-ტექნიკური პერსონალი			
1. სადამგმელო ნაწილის გამგე	1	750	750
2. სცენის მემანქანე	2	700,500	1.200
3. გვერდების უფროსი მუშა (ბრიგადირი)—ა	1	400	400
4. გვერდების უფროსი მუშა (ბრიგადირი)—ბ.	1	350	350
5. სცენის მუშა—I კ. ა.	1	325	325
6. „ „ I კ ბ.	4	275	1.100
7. „ „ I კ. ა.	2	275	550
8. თეთრ ხეზე მომუშავე დურგალი—I კ. ა.	4	325	1.300
9. „ „ II კ. ბ.	—	—	—
10. წითელ ხეზე მომუშავე დურგალი—I კ. ა.	1	400	400
11. ელექტროგანათების საამქროს გამგე	1	700	700
12. უფროსი ელექტროგამნათებელი და ელექტრომონტიორი	1	450	450
13. ელექტროგამნათებელი და ელექტრომონტიორი—II კ. ბ.	1	225	225
14. საველჯო-სარეკვიზიტორო საამქროს გამგე	1	500	500
15. რეკვიზიტორი—II კ. ბ.	1	200	200
16. ბუტაფორი I კ. ა.	1	600	600
17. სატანსაცმელო საამქროს გამგე	1	700	700
18. გამომჭრელი (უფროსი მკერავი)	1	500	500
19. მკერავი—I კ. ა.	1	375	375
20. ჩამცმელი	1	200	200
21. მეწაღე—I კ. ბ.	1	300	300

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულთა რაოდენობა	თანამდებობრივი ხელფასი	ხელფასის თვიური ფონდი
22. მრეცხავი	1	175	175
23. საგრიმო-საპარიკმახერო სამჭროს გამგე (უფროსი ოსტატი)	1	700	700
24. პარიკმახერ-მეგრიმე—I კ. ა.	1	400	400
25. დეკორატიული სამჭროს გამგე-მხატვარი	1	800	800
26. მღებავი—I კ. ა.	1	350	350
27. ზეინკალი—I კ. ბ.	1	350	350
28. დამხმარე მუშები ყველა სამჭროში	5	150	750
ს უ ლ	41		15.050
გ) სამხატვრო პერსონალი			
1. უმაღლესი კატეგორიის მსახიობი—ა	2	1.200	2 400
2. „ „ „ —ბ	3	1.000	3.000
3. I კატეგორიის მსახიობი —ა	4	900	3.600
4. „ „ —ბ	4	750	3.000
5. „ „ —გ	4	650	2.600
6. II კატეგორიის მსახიობი —ა	7	600	4.200
7. „ „ —ბ	6	500	3.000
8. „ „ —გ	2	400	800
9. III კატეგორიის მსახიობი—ა	5	350	1.750
10. „ „ ბ.	1	300	300
11. დამხმარე შემადგენლობა	10	175	1.750
12. ორკესტრის მსახიობი —I კ. ა.	5	500	2.500
13. „ „ —I კ. ბ.	2	450	900
14. „ „ —II კ. ა.	5	400	2.000
ს უ ლ	60		31.800
მთლად	113		55.050

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1001

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის პერსონალური განაკვეთების ლიმიტის გადიდებისა და თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემის ზოგიერთი მუშაკისათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 გაუდიდდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს პერსონალური განაკვეთების ლიმიტი 10-დან 12-მდე, რისთვისაც შეუმცირდეს პერსონალური განაკვეთების ლიმიტი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 8-დან 6 ერთეულამდე.

2. დაენიშნოს 1944 წლის 1 აგვისტოდან ხელფასის პერსონალური განაკვეთები:

ა) მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტ „თბილმომარაგების“ მმართველს ამხ. მ. სანიკიძეს თვეში 1.200 მანეთის რაოდენობით;

ბ) თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწვანების ტრესტის მმართველს ამხ. ჯიქიძეს თვეში 1.300 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის აგვისტოს დადგენილებებისა

გვ.

846. დონბასის ქვანახშირის კომბინატებისათვის ახალი ხილის, ჩირისა და ღვინის გაგზავნის შესახებ 3

847. საიდუმლო

848. დიდი რუსი მხატვრის— ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ 5

849. ბორჯომ—ვალეს რკინიგზის მშენებლობის მდ. ფოცხოვის ხიდისათვის ლითონის მალიან ნაგებობათა დამზადების შესახებ 7

850. 1944 წლის II კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმის შესრულების შედეგებისა და მიმდინარე წლის III კვარტალის გეგმის შესახებ . . 9

851. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ 22

852. 1944 წლის მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ 24

853. საიდუმლო

854. საიდუმლო

855. დიდი რუსი პოეტ-იგავთმწერლის—ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ 30

856. საიდუმლო

957. საიდუმლო

858. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის განმეორებითი აღების ჩატარების შესახებ 31

859. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საქმეთა მიღებისა და ჩაბარების შესახებ 33

860. სახდამზღვევფონდისათვის გამოსაყოფი ჯიშიანი თესლის გაწმენდის ორგანიზაციის შესახებ 34

861. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს სამმართველო ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ 40

862. საიდუმლო

863. საიდუმლო

864. საიდუმლო

865. ამხ. თ. ბირკაძის შვებულების შესახებ 42

866. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1943 წლისა და 1944 წლის პირველი ნახევრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ 43
867. საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ინდივიდუალური მშენებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . 49
868. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ „მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებებზე“ 1944 წლის 31 მარტს გამოტანილი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 54
869. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილ საჩივართა შესახებ 58
870. 1944 წელს უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურაში მიღების გეგმის შესახებ 61
871. საიუბილეო
872. ჯანსახკომის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 63
873. „ინტურისტის“ საქართველოს განყოფილების სასტუმრო „ორიანტის“ შენობის რემონტის შესახებ 66
874. ქართული კონიაკის წარმოების გადიდების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ 68
875. გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის შესყიდული პურეულის ორგანიზაციის შესახებ 70
876. შეშის მომარაგებისა და შეშის გადასაზიდად საჭირო ვაგონების განაწილების 1944 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ 73
877. ქუთაისის საქალაქო საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის სახლის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ 113
878. თელავის, სიღნაღის, საჩხერის, მახარაძის, ვანის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, თბილისის, ამბროლაურის, ხობის, ონისა და ორჯონიკიძის რაიონების სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ კოლმეურნეობა და ერთპიროვნულ მეურნეთათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათების მინიჭების შესახებ 115
879. საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის შუამდგომლობა ზესტაფონის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატისათვის უპატრონო ავტომანქანის „ზის-5“ გადაცემის შესახებ 117
880. კოლმეურნეობათა იმ საჩივრების განხილვის შედეგებზე, რომელნიც შეეხება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ 1944 წლის მოსავლის ხაზით შესრულებულ სამუშაოთათვის ნატურასაზღაურის დასარიცხავად მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის თანრიგებზე არასწორად მიკუთვნებას 118
881. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აბალხევის სატყეო მეურნეობის მოწყობის შესახებ 123
882. სასწავლო მეურნეობის მოსაწყობად საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის მიწის გამოყოფის შესახებ 125
883. 1944 წლის მოსავლის თხილისა და კაკლის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ 126

884. მეთესლეობის ზოგიერთი რაიონული მეურნეობის შეცვლის შესახებ 128
885. თბილისის რაიონის სოფელ სოღანლუღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ 130
886. 1943 წელს მეცხენეობის დარგში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დასაჯილდოებლად გაღებული სახსრების განაწილების შესახებ 133
887. ყვარლის რაიონიდან დაღისტნის ასსრ რესპუბლიკაში გადასახლებულ დაღისტნელებისათვის ნაგებობათა ღირებულების ანაზღაურების შესახებ 135
888. ფართო მოხმარების ნაწარმის ფასების დამტკიცების შესახებ . . . 136
889. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ქ. მოსკოვს გამგზავრების შესახებ 141
890. საიდუმლო
891. საიდუმლო
892. მაიაკოვსკი—საირმე—წითელი მინდვრის გზის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ 142
893. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ ქვანახშირის ტრესტების დახმარებისა და 1944 წლის III კვარტალში ქვანახშირის მოპოვებისა და ახალი მაღაროების მშენებლობის საკითხებზე გამოტანილი დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ 145
894. მცხეთის, თბილისისა და სამტრედიის რაიონებში ბოსტნეული კულტურების დამზადების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ 154
895. 1944 წლის მოსავლის საფაბრიკო შაქრის ჭარხლის აღების, გამოზიდვისა და დამზადების და შაქრის ჭარხლის თესლის აღებისა და შენახვის შესახებ 157
896. კეთილშობილი დაფნის ნარგავთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ 165
897. საქართველოს სსრ პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლების ვადის გაგრძელების შესახებ 168
898. ბაშქირეთის რაიონში გამოუყენებელი სამთავრებიდან მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისაგან ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობათა განთავისუფლების შესახებ 170
899. ქობულეთი—ნატანების, ფოთი—სუფსისა და ფოთი – ცხაკაიას გზატკეცილების დაგუდრონების მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარების შესახებ 172
900. საიდუმლო
901. ქ. თბილისის მოსახლეობის სასურსათო საქონლით ნორმირებულ მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ 174
902. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჭყმომარაგების ტრესტისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყოფის შესახებ 178
903. ოქტომბრის სახ. მაუდის ფაბრიკიდან საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში ევაკუირებული მუშებისათვის მოსკოვის ოლქში დაბრუნების ნებართვის შესახებ 179
904. საიდუმლო
905. საიდუმლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

906. საიდუმლო
907. საიდუმლო
908. საქართველოს სსრ საწარმოების მიერ საბავშვო სახლებისა, საბავშვო მიმღებ-განმანაწილებლებისა, საბავშვო შრომით-აღმზრდელობითი კოლონიებისათვის და სკოლების მოსწავლეთათვის პროდუქციის გამოშუშავების შესახებ 181
909. საიდუმლო
910. საიდუმლო
911. მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის ჩასატარებლად ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობათათვის ხე-ტყის გამოყოფის შესახებ . . . 193
912. შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის 1944 წლის მეორე ნახევარში მეტალურგიული მოწყობილობის მიწოდებისა და მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატისა და მშენებლობის სახალხო კომისარიატისათვის მეტალურგიული და სამთამადნო მოწყობილობის წარმოების მძლავრი ბაზის განვითარების საქმეში დახმარების აღმოჩენის ღონისძიებათა შესახებ 195
913. 1944 წლის II კვარტალსა და ივლისში სასურსათო საქონლით საქართველოს სსრ მოსახლეობის მომარაგების გეგმის შესრულებისა, ა/წ III კვარტალის მომარაგების გეგმის უზრუნველყოფის და სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების სისტემატური კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ 197
914. ოჩამჩირის ტუნგოს ქარხნისა და ტუნგოს სახმობების მშენებლობისათვის ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყოფის შესახებ 208
915. აფხაზეთის ასსრ-ში წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ 210
916. მასალების, მზა ნაწარმის, ნედლეულისა და სათბობის გადმოგზავნის საკითხებზე სახალხო კომისარიატების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენელთა მივლინების შეზღუდვის შესახებ . . . 218
917. სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის „ზის-101“ მარკის ორი მსუბუქი ავტომანქანის გადაცემის შესახებ 220
918. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ 221
919. ამხ. ბ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ 222
920. ამხ. ბ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ 223
921. საიდუმლო
922. 1944 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოთა მომზადების შესახებ 224
923. ყვარლის რაიონის ყოფილ სოფელ ხაშალხუტის დასახლების შესახებ 234
924. საიდუმლო
925. საიდუმლო
926. № 2460 ევაკოჰოსპიტლის მიერ ავარიული მდგომარეობის გამო ყოფ. 78-ე სომხური საშუალო სკოლის შენობის (ლენინის ქ., № 53) განთავისუფლების შესახებ 238
927. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისათვის

300 კუბ. მეტრი წიწვიანი მორის მიცემის შესახებ 238
923. ცხვრის სულადობის საზაფხულო საძოვრებიდან ჩრდილო-კავკასიის საზამთრო საძოვრებზე გადარეკის შესახებ 239
929. 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის აღებისა და დამზადების შესახებ 240
930. 1944 წლის ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღებისა და დამზადების შესახებ 243
931. ლელვისა და ბროწეულის დამზადებისა და გადამუშავებისათვის მომზადების შესახებ 248
932. ზოგიერთი ევაკოჰოსპიტლის მსუბუქი მანქანების სხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ 252
933. 1944 წლის მოსავლის ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების, გადამუშავებისა და გამოზიდვისათვის მომზადების ღონისძიებათა შესახებ. 255
934. „ახალი—1944—1945 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლების მომზადების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე 256
935. სსრ კავშირის შინსახკომის ა. კ. მეტალურგშენისათვის დროებითს სარგებლობაში სამი ქვასახერხი ჩარხის გადაცემის შესახებ 271
936. კლუხორის რაიონის საკითხები 274
937. საიდუმლო 275
938. საიდუმლო
939. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი დროშების ხარჯების დასაფარავი სახსრების გამოყოფის შესახებ 282
940. ახალციხის რაიონის დასახლების ღონისძიებათა შესახებ 283
941. საიდუმლო
942. საიდუმლო
943. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემის თეატრებისა და სასწავლებლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის სახსრების დამატებით გაცემის შესახებ 286
944. 1944 წლის მოსავლის საბოსტნე ჯიშების ლობიოს შესყიდვის გეგმის შესახებ 288
945. არამეთესლეობის კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობებში 1944 წლის მოსავლის ბოსტნეული კულტურეების და საკვები ძირხვენების თესლის გამოყოფისა და სათესლეების გაშენების გეგმის შესახებ 290
946. ზოგიერთ რაიონში მელასა და სინდიოფალაზე ნადირობის აკრძალვის შესახებ 299
947. საიდუმლო
948. საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944—45 სასწავლო წელს მეცადინეობის დაწყების ვადების შესახებ 300
949. 1944/45 სასწავლო წლისათვის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ქსელის დამტკიცების შესახებ 301
950. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის პირველი ნახევრის მა-

ტერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდების რეალიზაციის შესახებ 304
951. სარეწაო კავშირის ძაფსართავი ფაბრიკის მშენებლობისა და მონტაჟის მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 308
952. ყაზბეგის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკების 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ 313
953. ფსიანათლოთა საზოგადოების სისტემის საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ 315
954. სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ ჩაარისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათების მინიჭების შესახებ 318
955. დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურისათვის საკარმიდამო მიწის გამოყოფის შესახებ 319
956. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმპარხნისათვის საბრუნავი სახსრების გამოყოფის შესახებ 320
957. სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოსათვის ყარაიის რაიონის სოფ. ახალშენის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მიწების გადაცემის შესახებ 321
958. საავტომობილო გზების მომიჯნავე სატყეო მასივებში საცავი ზოლების გამოყოფის შესახებ 323
959. დაწესებულებათა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა შინაგანაწყობო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის შესახებ 325
960. ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . 328
961. თბილისის თამბაქოს საფაბრიკო სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ 335
962. წყალტუბოს რაიონში კოლმეურნეობათა და კოლწევრთა შორის ფულადი სახსრებისა და პროდუქტების უკანონოდ შეგროვების შესახებ 336
963. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის მოსამზადებელი მუშების ტანისამოსით, ფეხსაცმლითა და ლოგინის მოწყობილობით უზრუნველყოფის შესახებ, თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 21 ივლისის № 815-ს დადგენილებისა 339
964. საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს უფროსის ამხ. პ. გ. გელბახიანისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ 344
965. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთავსების შესახებ 345
966. 1944 წლის მოსავლის საკვები ბალახების თესლის შესყიდვის გეგმის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ 348
967. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა ეურნეობე-

ბის მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ნატურალური დაჯილდოების შესახებ 349
968. საქართველოს ჩაის ტრესტის დროებითს სარგებლობაში წყლის ქვაბების გადაცემის შესახებ 364
969. საქართველოს სსრ საქალაქო აღმასკომების საქალაქო განყოფილებათა და სამმართველოთა გამგეების (უფროსების) მოადგილეთა ხელფასის შესახებ 365
970. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისათვის გამომცემლობის შენობათა თბოფიკაციისათვის და პოლიგრაფიული საწარმოებისათვის მატრიცებისა და შრიფტების შესაძენად სახსრების გაცემის შესახებ 366
971. წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი მუშაკისათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ 367
972. ზოგიერთი რაიონისა და ქალაქისათვის ბაზრების შემოსავლის გეგმის გადაბარებით შესრულების ხარჯზე საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის ღონისძიებათა გატარების ნებართვის შესახებ . . 368
973. თბილისისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებში საადრეო ანეულის დამუშავების მიმდინარეობის შესახებ 369
974. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებისათვის დახმარების გაწევის შესახებ 371
975. საიდუმლო
976. საიდუმლო
977. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სამდივნოს გამგის თანაშემწის ამხ. დ. ა. ქურციძის განთავისუფლების შესახებ 373
978. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის დანიშვნის შესახებ 374
979. საიდუმლო
980. საიდუმლო
981. საიდუმლო
982. საიდუმლო
983. საიდუმლო
984. საიდუმლო
985. საიდუმლო
986. საიდუმლო
987. საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ 375
988. სამხედრო მოსამსახურეთა იმ ევაკუირებული ოჯახებისათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელთაც სურთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე წასვლა 390
989. სრულიად საიდუმლო
990. უსინათლოთა და ყრუმუნჯთა მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 391
991. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების პოლიგრაფიულ სკოლაში მოსწავლეთა დამატებით მიღების შესახებ 394

ეროვნული ბიბლიოთეკა

992. ჯეგეჭკორის, წყალტუბოსა და ზუგდიდის რაიონების იმ კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ, რომელნიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდნენ 397

993. 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თიანეთის, ვანისა და ონის რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა განთავისუფლების შესახებ 398

994. სეტყვისაგან დაზარალებულ წალკის რაიონის კოლმეურნეებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადში და კოლმეურნეობებისათვის საშემოსავლო გადასახადში შეღავათების მინიჭების შესახებ 401

995. თბილისში (ავჭალაში) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კონიაკის ქარხნის მშენებლობის შესახებ . 402

996. საქართველოს სსრ ფინსახკომთან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების სამმართველოს მოწყობის, ავტონომიური რესპუბლიკების ფინსახკომებთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა შექმნისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ფეხმძიმე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის, აგრეთვე შეღავათების მინიჭების წესის შესახებ დამტკიცებული დებულების განხორციელების ზოგიერთ ღონისძიებათა თაობაზე 404

997. ქოხ-სამკითხველოების, სასოფლო კლუბების გამგეებისათვის, კულტურის რაიონული სახლების დირექტორებისა, სამხატვრო ხელმძღვანელებისა და ისტრუქტორებისათვის ხელფასის მომატების შესახებ 411

998. მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებთან არსებული ბიბლიოთეკების, სახელმწიფო საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკთა ხელფასის განაკვეთების გადიდების შესახებ 413

999. ტრესტ „საქართველოს ჩაის“ თბილისის ჩაისსაწონ ფაბრიკაში ფილა-ჩაის საწნეხი მოწყობილობის დამონტაჟებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ 417

1000. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საკითხები 418

1001. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის პერსონალური განაკვეთების ლიმიტის გადიდებისა და თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემის ზოგიერთი მუშაკისათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ 423

1002. სრულიად საიდუმლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა